

# მ მ ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეათე

№ IV

აკრილი, 1903

ტფილისი

საქართველოს ბიბლიოთეკის გამომცემი

1903



Дозв. ценз. Тифлисъ, 28 Апрѣля, 1903 г.

## შინაარსი

	ბგ.
I—უძღვები.—მოთხრობა გ. ბარნოვისა . . . . .	1
II—ხალხის მტერი ანუ ემივი ფტოკვანი.—ხუთ მოქმედებიანი დრამა ჭენრის იბსენისა, თარგმანი ივ. ზოლუმორდვინოვისა . . . . .	31
III—სამნი.—მ. გორგისა, თარგმანი ი. ზოლუმორდვინოვისა. (გაგრძელება) . . . . .	56
IV—ქართული ფტოკვანი სიტყვები.— ად. მარბან-შვილისა . . . . .	1
V—„წმიდა ქართული“ ს ვერ ქართულობა და სავი-რო დასკვნა.—დამოუკიდებელისა . . . . .	28
VI—ქართველთა მატინე.—მოსე ჯანაშვილისა . . . . .	57
VII—უცხოეთის მიმოხილვა.—1. დრიფტის საქმე და დემოკრატიის ძალა საფრანგეთში.—2. მომავალი არჩევნები გერმანიაში.—3. ისპანია. . . . .	82



# უკლები

## I

მთლათ ახალგაზდა ვიყავ, ახლათ კურსშესრულებული და ქვებიც ვარდისფრათ მეჩვენებოდნენ. გული მიმღეროდა, ყველაფერს შევეტოდი, ყველას შევხაროდი, ვეალერსებოდი. ყვავილობის დრო იყო დალოცვილი! დამენანებოდა იგი წარსული, თუ ცოდვათ არ მიმაჩნდეს სინანული. მაინც რა შნო აქვს დანანებას, თუ წარსულს ველარ ეწევი?!

სწორეთ ამდროს ჩამბარეს საკმაოთ სამძიმო საქმე: მგლეთში უნდა ავსულიყავ სასწავლებლის დასათვლიერებლათ. ეს მოზდილი სოფელი აღბულადის დასწვრივ არის გაშენებული ხრამის პირზე. ქართველობა შერჩენია სოფელს. ქალი იყო მაშინ მგლეთში მასწავლებლათ; არ მესმის, რათ ამირჩიეს მე, ის კი ვიცი, რომ ჩემზე კარგს ვერვის გაგზავნიდნენ, ჩემზე მარჯვეთ და ეშხიანათ ვერვინ შეასრულებდა იმ საქმეს.

ისე ვიყავ ხალისით სამსე, ისე მერჯოდა გული, რომ გათენება ველარ მოვიცადე: ღამიანათ გაუდექ გზას.. სოლოლაკის აღმართს რომ ავედი და თბილისს თავს მოვექეცი, ისევე ბინდ-ბუნდი იყო. ქალაქს ჯერ არ გაჰღვიძებოდა, გუგუნე კი რამ მოისმოდა იქიდან გამოურკვეველი: იშმუშნებოდა. რაც ზევით-და-ზევით ვიწვედი, კოჯრის სიო უფრო ძლიერდებოდა და დასიცხულ კაცს საგრძნობლათ მისისინებდა. როცა ოქროყანას დაეუპირდაპირდი, ცა მაშინ შეფერადდა. ღუქანი დავინახე გზის პირას და არაყი დავალევინე მეეტლეს, გამოვაფხიზლე. მეც დავლიე: კარგია, სისხლს აჩქროლებს, კაცს ახალისებს.

ტაბახმელის დასწვრივ მუშა ნამგალს ატრიალებდა. ხელეური გადმომავებს. აბაზი ვაჩუქე და ვაკოცე. ზინზლის სუნი ასდი-ოდა. სუნნელებით გაჟღენთილი ხელცახოცი მოვისვი ცხვირზე. რამდენიმე მისახვევ-მოსახვევი კიდევ და მეეტლემ დაჰკვივლა ცხენებს. გრიალი მოვატანეთ ფოშტის სადგურზე.

### II

სადგურის გამგეთ ყმაწილკაცი იყო, მიმზიდველი სახის შავ-შავი ახალგაზდა. შრომა გაეწია, სახლის წინ კახტა ბაღჩა გაეშენებინა. ამ წიამან ადგილას საამო რამ კორდათ მოჩანდა ეს ამწვანებული საგრილობელი. ბევრი კი არა იყო-რა შიგ, მაგრამ ყველაფერს მოსიყვარულე კაცის ხელი ეტყობოდა. მეტადრე მშვენივრათ იყო მოწყობილი გუმბათივით მოყვანილი თალარი. ლობიო, ფათალო და გოგრა ძმურათ ახვევოდნენ სვეტებს და ბუჩქათ შეკრულიყვნენ ზევით. გარს ტანმალალი ლილიფარა შემოსჯროდა. ისე შეჰხაროდა ყმაწილკაცი ამ გალადებულ მცენარეებს, როგორც იონა აყიროს. ბუნებით ბინადარ კაცათ აგებული ცხოვრებას ეულათ გადმოეგდო ბიამანზე, მაგრამ თავისას არ იშლიდა ის, იქაც ბუნაგობდა. ღიმილით გადმომიგება. ისე მიმიღო, როგორც ძვირფასი სტუმარი.

— ქალაქიდან გახლავან ესენი, მიმითითა თალარისკენ, საკუთარი ეტლი აქვთ; დაგვიანებისა ნუ გეფიქრებათ, ეხლავე შეგიბმევენებთ.

გავიხედე, ბაღჩის გვერდზე ორი ეტლი იდგა ისეთი კეწკეწი და სუბუქი, რომ სადგურისა არ უნდა ყოფილიყო ისინი. მადლობა გადაუხადე მასპინძელს და მივაწოდე ვინაობის ქალღი. შემიპატიჟა ოთახში.

### III

ბაღჩაში, თალარის გარეთ, ორ ვაჟკაცს ეძინა გაუხდელს. ერთს ევროპიულად ეცვა სულ უჯრა-უჯრა, წითელი ყელ-

სახვევი გვერდზე მოჰქცეოდა, თეთრი გულისპირი ღვინითა ჰქონდა შეღებული, ფართო კალთებიანი ჩალის ქული სახეზე ეხურა; ხვრინავდა. მეორე ჩერქეზულათ იყო მორთული; ქვაზე იყო მიწოლილი, თავქვეშ ლეგა ფაფახი ამოედო; ხანჯალი დასთავქვევებოდა, ქარქაშიდან წამოვარდნილიყო. შიგ თალარ ში სამ ქალს ეძინა; ზოგს მუთაქა ედო თავით, ზოგს ბალიში, ერთს საბანიც ეხურა. ლოგინი შეპოხილი იყო, ეტყობოდა იქვე სადგურში მოენახათ, მხოლოთ ერთი ქალი იწვა ფურფუშებით მორთულ სუფთა ბალიშზე; თეთრათ გადმოდებულ მძიმე მკლავზე ძვირფასი სამაჯური უბრწყინამდა. თალარის შუა მაგიდას დაჰყრდნობოდა შალ შემოხვეული ახალგაზდა და ეძინა. მის წინ უხვად ეყარა ნამუსრაფი: ყველი თევზი, ძეხვი, კუპატები, ძვლები, თევზეული, ნაფქვევები; შიგა და შიგ ბოთლები, ხელსაწმენდები და ათასი სხვა. ონავრობა ჩაედინათ და ნაომრისათვის ჯერ ხელი არავის ეხლო.

ჩვენ ხმაურობაზე თალარში მყოფ ვაჟკაცს გამოეღვიძა; აიღო თავი და ერთხანს გაშტერებული გაჰყურებდა სივრცეს, მემრე შეიშმუშნა, თვლები მოიფშენიტა; გაეღიმა, როცა აათვალ-ჩაათვალიერა სუფრა და გარშამო მწოლარენი. ადგა, თეთრ ქალს საბანი გადახურა. მუქი რამ კაცი იყო ნუჟრიანი; მითეთქილ სახეზე სიმწვანე გადასდიოდა; ფაჩხატი წვერ უღვაში მოსდებოდა; ვანივრათ ვახეილ ბავგს მომხო ტუჩები მოსჯროდნენ. სადათ ეცვა მიხაკისფერები.

— ქალაქში ცხელა და წუხელ აქ წამოვასხი ეს ჩემი მეგობრები, მიმითითა იმან და ისე ძმურათ გამიღიმა, რომ გული შემვარდა იმაზე.

— ქალები ადგებიან და ჩაი მზათ უნდა დავახვედრო, განავრძო იმან და გასძახა ბიქს.

გამოუტანეს სამოვარი. დაიწყო ჩაის მზადება. მეც მივეშველე.

— იცი, დათიკო, მეუბნებოდა ძმურათ არჩილი, ქალების მონათა ვარ გაჩენილი, უცნობნი არიან ისინი თუ შინაურნი. დაიხსომე! დილიდანვე არ უნდა აურიო ქალს გუნება, თორემ

მთელ დღეს მოგიშხამას. მეტადრე აის თეთრი ქალი! ხედავ  
რა ფაშაა?! დაახრანტალებს თუ არა, მაშინვე ლუკმა უნდა  
მიაშველო, თორემ შენ გადაგყლაპავს.

— როგორც ზღაპრული ფაშკუნჯი.

— ერთ ალაგას რომ საქმელი შემოაკლდა, ზედ მჯდომმა  
კუნთი გამოიქრა, ის მიაშველა.

— მერმე ხომ თითონვე გაუმთელა ფაშკუნჯმა, ფრთა  
რომ მოუსვა.

— მეც მაგ იმედით ვცდილობ და თავს არა ვზოგავ მაგა-  
თვის.

აიშალა ხალხი. გავაჩაღეთ ჩი. გავხსენით რომი. ისე მოვე-  
წონე არჩილს, რომ თავისი დამა ჩემ მზრუნველობას მოანდო.  
ვლალობდით, ვიცინოდით, ვხარხარებდით, ვთქართქარებდით.  
ვის რას უშავებდით?!

ცოტა ხანში დიდხნის მეგობრებივით დავახლოვდით.  
ალარ გვეთმობოდა ერთმანეთი. არჩილმა მოინდომა მგლეთშიც  
თან გამომყოლიყო.

— აქ მომეწყინა, ქალაქში ჩაბრუნება კი არ მინდა ამ  
სიცხეებში; მოდი ერთათ ვიმგზავროთ! მითხრა იმან, როცა  
გაიგო სად მივდიოდი.

— სასიამოვნო იქნება! მიუგე მე. რას ვაგებდი?!

ამფსონებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, სიხარულით ცას და-  
ეწივნენ, მეტადრე ქალები. ქება შეგვასხეს ამისთანა ჰაზრების-  
თვის. თეთრმა ქალმა ხელი მომცა საკოცნელად.

ჩაის შემდეგ კოჯრისკენ ავისეირნეთ. ხომ გახსოვთ, რა  
ახლოა სადგურიდან ის აგარაკი? სულ ნახევარ საათის სავალი  
თუ იქნება. საუზმისთვის უკანვე დავბრუნდით. სადგურელებიც  
ჩვენთან შენაყრდნენ. რა სასმელები გვქონდა!

შუადღე გადახრილი იყო, როცა გზას დავადექით. თავიანთ  
ეტლით წამიყვანეს. არჩილი, თეთრი ქალი და მე ერთ ეტლში

ჩავსხედით, დანარჩენები მეორეში. მოსიყვარულედ გამოგვეთ ხოვა სადგურის გამგე. მიჯაჭვული იყო ბეჩავი და შეგვენატრი და თავისუფლებას.

დავეშვით ბორბალოსკენ. თუ გივლიათ აქეთ, გეხსომებათ, რა ფრიალოს ჩასდევს გზატკეცილი. ზევით ბუჩქნარი მოსჯრია გზას და ჰფარავს ხევს, ქვეით და ქვეით კი კლდე არის მოტიტვლებული და გზა საშიში. მოაჯირიც კი არ ჩასდევს ამ სახიფათოს. ქალაქას ქუჩებს ნაჩვევი ცხენები შიშითა თრთოდნენ, ელმეცრივ ჩასცქეროდნენ ფრიალოს, კლდისკენ იწვედნენ. არჩილი წინ გვიჯდა. ეტლი რომ დათავკვევდა, ძალიან შეკრთა ჩვენი ქალი; როცა ეტლმა ქანაობა დაიწყო ნაპრალებზე და ლოდებზე, ქალმა წივილ-კივილი ასტება. გვეშინოდა ხმაურობაზე ცხენები არ დამეთხვალიყვნენ, მაგრამ ვეღარ დავაჩუმეთ ქალი. მაშინ არჩილმა ხერხი მოიგონა: თითონაც ჩემკენ გადმოჯდა, ქალს აქეთ-იქიდან მოვხვიეთ წელზე ხელი და მუხლებზე გავიმაგრეთ. აღარ ეშინოდა, დამშვიდდა. ვაშლოვნის ხევს რომ გავცდით, მაშინ-ღა ამოვისუნთქეთ თავისუფლად. ბოთლი გავხსენით, მადლობა შევწირეთ უფალს.

ასურეთი მზით გავიარეთ. საღირაშენში ვახშამი ვკამეთ და თვალი წავატყუეთ. ათი საათი იქნებოდა დილისა, მგლეთში რომ შევედით.



მგლეთი დაფენილ ადგილას ყოფილიყო ხრამის ხეობაში. ბექს რასმე გადავადექით და წინ გავვეშალა სოფელი. გამოჩნდა თეთრი საყდარი, მის ახლო თეთრათვე შელესილი სახლი; მაშინვე ვიგრძენი, რომ სკოლა უნდა ყოფილიყო ის. შევედით ეზოში. გაკვეთილი ჯერ არ გათავებულიყო; ღია ფანჯრიდან მასწავლებლის ხმა გამოდიოდა. შეგვიპატიყეს. მანამ ტანთსაცმელს ვიცვლიდით, გაკვეთილიც გამოვიდა.

მასწავლებლად ახალგაზდა ქალი გამოდგა, თეთრწითელი; თმა ჯალჯივით ეყარა, შუათანა ტანისა იყო, მკვიდრად ჩასხმო.

ლი. სახე რომ ცოტა მოკლე არა ჰქონიყო, სწორედ ლამაზი იქნებოდა. სანდომი რამე კი ჩანდა მადიანი. კობტად დაკვერცხილ ხელებზე ეტყობოდა სუფთა ჩამომავლობა. რწმუნების ქალღმერთი რომ მივართვი, ფერმა გადაჰკრა, ლურჯი თვლები დაუგანიერდა და მის სახეს მიმზიდველობა მიემატა ჩემთვის, იქნება იმისთვის, რომ მისმა შეკრთომამ სიბრალული აღძრა ჩემ გულში.

— მოგელოდით, ბატონო, და შაგირდები არ გავუშვით. სუფთა ხმა ჰქონდა, წკრიალა. გავაცანი სტუმრები.

— მდიდარი ხალხია, განათლებისათვის თავდადებული! მოისურვებს ჩემთან ერთად თქვენი სკოლის ნახვა.

ქალებმა აკოცეს მასწავლებელს, ვაჟებმა ხელი ჩამოართვეს მოკრძალებით.

ყმაწვილების გამოცდას სამი-ოთხი საათი მოვანდომე. მემრე წიგნთ-საცავი, დაფორები და სკოლის ყველა მოწყობილება გამოვიკვლიე. ბევრი ნაკლი ვნახე, სასწავლებელს ბევრგან ეტყობოდა გამოუცდელი ხელი. მინდოდა ცოტა მკვახეთ მენიშნებინა ქალისათვის ყველა ეს, რომ დაჰხსომებოდა, მაგრამ მე მხოლოდ ვთხოვდი საქმე გაესწორებინა, რადგან ყველა ჩემ შენიშვნაზე ისე საწყლად გააღებდა ი დიდრონ თვალებს, რომ გული მიკვდებოდა.

მანც ყოველთვის გული მტკივა, როცა ქალსა ვხედავ ლუკმის საშოვარზე გასულს, გასათხოვარ ლამაზ ქალს. ძნელი საქმეა ჯაფა, დღიური საზრდოსათვის შრომა! ღვთის რისხვა არის ადამიანისთვის მუშაობა, გამჩენისაგან სასჯელად მიცემული. საქმელის საშოვრად ოფლის ღვრა იმ უბედურ ნაბიჯის შედეგია, რომელიც უნებლიეთ გადადგა კაცმა მდიდარ და თბილად გილგებიდან მწირ და გრილ ქვეყნებისკენ, იმ ქვეყნებისკენ, რომლებიც აღმოაცნებენ ეკალსა და კუროსთავსა, იმ ქვეყნებისკენ, სადაც ტყავი უნდა შეემოსა ადამიანს, რომ აეტანა იქაური სასტიკი ჰავა. მანამდე რა უჭირდა კაცს? ბუნებას თვისი უხვი კალთა მის გარშემო დაებერტყა და ყველაფერი იქვე ჰქონდა, საქმელიც და საგრილობელიც, ღვთის ბრძანებით

მიცემული. ლუკმისათვის ჯაფა! მხოლოდ მონა და მონად და-  
 ბადებული შეაქებს ამ შრომას, რომ გული გაიკეთოს სატან-  
 ჯველში. თქვით, თუ მეტი გზა არ არის, უნდა ვიმუშაოთ,  
 ოფლი ვიწუროთ თქო, თორემ ჯაფისადმი გულწრფელი ხატო-  
 ბა! არ მესმის, არცა მწამს.

შრომა მწარე ხვედრია მამაკაცისა, როგორც უფრო ძლიე-  
 რისა. შრომას ძალ-ღონე უნდა, ოფლის ღვრა სჭირია და ეს  
 ძნელია ქალისათვის: იგი ხომ უფრო სუსტია, უფრო მეტ  
 ავადმყოფობათა ბუდე. ქალის დანიშნულება სხვაა: იგი დედაა!  
 იმან უნდა ხორცი შესახს მომავალს და აალორძინოს იგი,  
 იმან უნდა ამრავლოს ტომი და განაგრძოს იგი. ეს არის ბუ-  
 ნების ჰაზრი და გამჩენის ნება. ამისთვის არის, რომ სასძლოთ  
 მოწიფულ ქალს შრომა, ლუკმა პურისთვის ოფლის ღვრა ვერა  
 ჰყოფს გულსავსეთ, ვერ აკმაყოფილებს, პურისათვის დრტვი-  
 ნაში გატარებული დრო დაკარგულია მისთვის. ერისათვისაც  
 დაკარგულია იგი დრო! მიმდინარი ჟამი უფრო-და-უფრო აშო-  
 რებს ქალს მის დანიშნულებას და ასეველიანებს. დარდობს ქა-  
 ლი. მაშ ხელი გაშალოს და ჩამოუშაროს, როცა ხედავს, რომ  
 უკეთეს ხანს თავის ცხოვრებისას, იმ ხანს, როცა ძალღონით,  
 სიცოცხლით და სურვილებით სავსეა, როცა შეუძლიან საუ-  
 კეთესო ნაყოფი გამოიღოს და სიხარულით აღზარდოს იგი  
 ნაყოფი, — როცა ხედავს მეთქი, რომ იმ საუკეთესო ხანას თავის  
 ცხოვრებისას, ყვავილობის ტურფა დროს, სხვა რამ საქმეს  
 ანდომებს უგემურს.

ბუნებაც რისხავს და სჯის მიზან აცილებულს, მის ურჩს,  
 მის მგობრებს, მის უარყოფელს: სამ-ოთხ წელიწადზედ ისე  
 იბუგება აკოკრებული გოგონა, რომ თვალცრემლი მოსდის  
 გულჩვილს. მასწავლებლობა ხომ მთლად აშრობ-ახმობს ქალს,  
 სისხლსა სწოვს გულიდან და ჰფიტავს, ფერს უკარგავს, ძარღვს  
 უდუნებს, ვარდს უქკნობს, სახიდანა შლის, აღუბჰირებს, აბო-  
 როტებს. ჩავიხედნიათ დროთაბრუნვისაგან მიმქენარ ქალწუ-  
 ლის გულში? რა ბოღმა ტრიალებს შიგ! სამარის მღილი ბრუ-  
 ნავს შიგ, სამარის მღილი ღრღნის და ხვრელავს მი' გულს.



აზია ხომ დიდი მცოდნეა ქალთა ბუნებისა და იგი ყოველთვის წინააღმდეგი იყო გამოეყვანა ქალი გულქვევ შრომის მოედანზე და მოეცდინა, აეცდინა უწმინდეს მის მიზნისათვის; აზია ყოველთვის ცდილობდა ადრე შეეყვანა ქალი იმ წალკოტში, საცა უხვი ბუნება დაუცხრომლად წარმოშობავს ახალ-ახალ ქმნილებებს.

თუ გიყვარვარ, განსოვდეს, რომ აზიელი ხარ! აზია კალთაა დედაჩვენისა! თავმომწონეთ აღიარე ეს და ეცადე აზიურ მცნებებზე მოაწყო ცხოვრება. გააუმჯობესეთ იგი მცნებები, ფთები შეასხით მათ, ახალი ძალა მოჰბერეთ მათ, მაგრამ უარსუჰყოფთ; ნუ ამოავდებთ ფესვიანად ჩვენ ხეხილს უცხოური ნერვისათვის. ეცადეთ დაიცვათ და გაავრცელოთ ჩვენი მცნებები, დიდი შრომით და გამოცდილებით, დიდი მოაზრებით დასკვნილი ქეშმარიტებები!...

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე სკოლას და ყმაწვილებსა ვსინჯავდი, ჩემი სტუმრები ძალიან წყნარად იყვნენ, ზრდილობიანად იქცეოდნენ და მოწიწებით. რამდენიმე შესაფერი კითხვაც მისცეს ბავშვებს და ცოდნა გამოიჩინეს. თეთრმა ქალმა ორჯელ-სამჯერ მანიშნა და დამაწყნარა, რადგან მაინც ვღელამდი და ხმას ვიმაღლებდი ხანდისხან. არჩილი კარზე იყო, რაღაც განკარგულებებს აძლევდა.

## VI

ხალხი იკრიფებოდა სასწავლებლის ეზოში. მღვდელი, მებატონე, მამასახლისი და ვიღაც ჯარში ნამყოფი მერუსულე ხომ ჩემთან იყვნენ და ავალ-ყურს ადევნებდნენ ყმაწვილების გამოცდას, სხვები ფანჯრებიდან იყურებოდნენ ან კარებს მოსდგომოდნენ. თან-და-თან ივსებოდა მიღაშო, ხმაურობა მატულობდა.

მოვრჩი ჩემ საქმეს, გამოველ და თვალი გადავაღლე იქაურობას. საყდრის გვერდზე ცხვრებს აფეშხოვებდნენ, აქეთ დედლებსა ჰფუფქავდნენ, იქით ინდაურებს ასუფთავებდნენ; ცე-

ცხლი დაეგზნათ, თხილის შამფურებს სთლიდნენ; მოეზიდნათ პური, ქურჭელი, ღვინო; სოფლიდან დართული ქალ-რძალი მოეფინებოდა; ბავშვები დარბოდნენ, მიჰქონდ-მოჰქონდათ, ემსახურებოდნენ, მორბედობდნენ, ყველა სამზადისში იყო. გამიკვირდა! გავიფიქრე, ჩემ დასახვედრად ემზადება მეთქი ხალხი და მამა.

არჩილი ჩინარს მიჰყუდებოდა და გატაცებით ელაპარაკებოდა ქუდმოხდილ ნაცვალს. მალე გამოირკვა საქმე: არჩილი უმასპინძლდებოდა სოფელს. დამინახა, ღიმილით წამოვიდა ჩემკენ.

— მინდა ერთი მოვალხინო სოფელი, ჩემი მოსვლა დაეახსომო.

— რამ გაფიქრებინა? ხომ დიდი ხარჯი მოგივა.

— იმოდენა, რაც ერთ ღამეს აბრაგუნეს ბალში.

— მამაო! მიუბრუნდა მოძღვარს, გთხოვთ პარაკლისი გადაგვიხადოთ, სკოლა დაგვილოცოთ!

პარაკლისი ეზოში გადავიხადეთ. შევირდები გალობდნენ მასწავლებლის ლოტბარობით. ხალხი ხალისიანად ლოცულობდა. ეშხზე მოსულმა მღვდელმა იაზმაც იხადა და გულიანად გვასხურა წვერმოცვეთილ უსუპით. არჩილი ემთხვია და ოქრო ჩაუდო მოძღვარს. პარაკლისის შემდეგ არჩილმა ორიოდე სიტყვით მიჰმართა ხალხს: გადულოცა სკოლას ხუთი თუმანი და უსურვა აღორძინება; სთხოვა ხალხს ეს ღირს სახსოვარი დღე მხიარულად გაეტარებინათ. ღიმილი გადაეფინა ხალხს, მადლობა მოახსენეს. წავდექი მეც და დავიწყე. ბევრი ვთქვი და კარგები, ხელოვნურად ავკინძე გამონასკული სიტყვები, მაგრამ ვერავინ გავიტაცე, ვერც ავადელევე; ის სარჩული აკლდა ჩემ ხმას, არჩილმა რომ დაუდო თავის თქმას.

დავსხედით სადილად. სუფრის თავში არჩილი დასვეს. მარჯვნივ მე მოუჯექ, მარცხნივ მასწავლებელი. შეიქმნა სმპ-პურობა, დატრიალდა ჯამი, აგუგუნდა სუფრული, აქღრიალდა დაირა, ჩამოტრიალდა ახალგაზღობა; ტაშის ხმა ღრუბელს უწევდა.

არჩილი აუტიკტიკდა მასწავლებელს, ხოტბა შეჭფინა ენატკბილად, ეალერსა რაინდულად, თავს შემოეველო ნარნარად: მეშვიდე ცამდინ ასწია გოგონა.

გასჭრა ღვინომ, აირია მონასტერი: ყველა მღეროდა, ყველა ცეკვამდა; ერთმანეთს ვეზვეოდით, აღთქმას ვაძღვედით, კეთილს ვპირდებოდით. ბუნებამაც თანაგვიგრძნო: სიხარულით შეიძრა, შეტოკდა, შემოტრიალდა; კარგად მახსოვს, რომ კაკლები ბუქნას უვლიდნენ, ჩინრები თავს გვიკრავდნენ, გვემშვიდობებოდნენ.

მგლეთიდან აღბულადში წავედით. მთელმა სოფელმა გავგაცილა. ტკბილად დავშორდით ერთმანეთს, ხვევან-კოცნით, გამოვეთხოვეთ მასწავლებელსაც. არ ვიცი ხელზე ვაკოცე ქალს თუ გულზე, ის კი მახსოვს, რომ მაღალი მკერდი ტალღასავით უღელავდა ცისფერ ფარჩის ქვეშ.

## VII

მეორე დღეს მოწყენით იყო არჩილი, მეგონა ნაბახუსევი არის, დათენთილი და მალე გამოცოცხლდება მეთქი, მაგრამ ვერც საუზმის შემდეგ გამობრუნდა. ამფსონებმა დაინახეს მის შუბლზე ნისლი და ეცადნენ გაფანტვას, თუმცა ამაოდ.

დავთვალიერეთ აგარაკი, ვიგემეთ წყაროები, გავედით სასეირნო ადგილებში, ვსინჯეთ ხალხი, შევიხედეთ სალხინობებში. არჩილი ჩრდილივით დაგვდევდა უკან, უხალისოთ მოაბიჯებდა დაღრეჯილ-მოშვებული. არ იქნა, ველარ მოვხარეთ ჩვენკენ. ხომ არა გგონიათ, გაცემული ემძიმებოდა, ნახარჯი ენანებოდა? აბა! დღესაც გუშინდებურათ აპნევდა საჭურჭლეს, ყველა სურვილს უსრულებდა ამხანაგებს. მხოლოდ სევდა რამ შემოჰყროდა და დაედრიჯნა, პირი აღარ უცინოდა.

თეთრი ქალიც ერთ ხანს ეცადა თავის რაინდის განახლისებას, მემრე კი მოშორდა, ზურგი შეაქცია ნაწყენმა, ჩემკენ გადმოიწია; წაძრობილი თათანიც კი მომიცაცუნა სახეზე;

აღბათ, იმისთვის, რომ შური აეძრა არჩილში, მაგრამ იმან ყურიც არ შეიბერტყა. მთლათ მომეკედლა ქალი.

— რა დამართა მა კაცს, რომ ვერე ჩაქენა უეცრათ, ვინ რა დაუშავა? ვკითხე ქალს.

— არაფერი! მხოლოთ გუშინდელმა ვარდის კონამ დაუწყლოლა მას გული და ველარც მოისვენებს, მანამ მკერდში არ ჩაიქენობს იმ უცხო ყვავილს.

— რა ყვავილს?

— მასწავლებელ ქალს! ახლა იმის სურვილი ჩაეჭრა გულში.

— ხუმრობ!

— არა! მთელ ქონებას გადააგებს, გულის წადილს კი აისრულებს. რამდენჯერ მიცდია! თვეობით უდევნია ციციანათელასთვის, გველის ხვრელში გამძვრალა, ხელში კი ჩაუსრესია პეპელა. მაშინ-ლა დამიბრუნდება.

— მე კი მხოლოთ უბრალო მოქეიფე ვინმე მეგონა.

— რა მოქეიფე, როდესაც ღვინოსაც კი არა სვამს ხეირიანათ; ქალაღდსა და სხვა მისთანა ყომარბაზობას არ მისდევს. ჩვენა ვართ მაგისი ბედნიერება. მონაა ხორცისა, ყურმოქრილი ყმა. დიდი ფული გადუგია ქალებზე, უფრო მეტს წააგებს, მთელ ღოვლათს დაანთქამს და მემრე რა ღოვლათს!

სხვებსაც მოეწყინათ არჩილის აღერსი და ფულის ქისათლა გადააქციეს ის, მხოლოთ ხარჯის გასაწევათ-ლა მიჰმართავდნენ ხოლმე.

გზაზე რამდენჯერმე დამიახლოვდა არჩილი, თითქო რაღაც უნდა გაემეღავნებინა ჩემთვის, მაგრამ ყოყმობდა, ვერა ჰბედამდა. მეც ძალას აღარ ვატანდი: ვიცოდი, რომ უიმისოთაც არ ამცდებოდა მისი საიდუმლო, რომ აღრე თუ გვიან ჩემთვის უნდა გაეზიარებინა თვისი გულის დარღები.

ჩავედით ქალაქს, დავცვალეთ სადარბაზო ბარათები და დავშორდით ერთმანეთს.

## VIII

დადგა გაზაფხული და გახურდა თბილისი, გავარვარდა. თუნუქის ბანებიდან ლაპლაპით ადიოდა ბული და უერთდებოდა კლდეებზე ნახურებ ჰაერს; ჯოჯოხეთის სიცხე ტრიალებდა ქუჩებში. მოიტრუსა და გაშავდა მიდამო. ვინ დარჩებოდა ზაფხულობით ამ საკირეში, თუ არ დაბმული ან უილაჯო?!

თავისუფლად დავფრინავდი იმ ზაფხულს კოჯრიდან კიკეთს, მანგლისიდან აბასთუმანს, ბორჯომიდან სურამს, სოფლიდან სოფლად. აგარაკებში რამდენჯერმე შემხვდა არჩილი. ამაღა ყოველთვის დიდი დასდევდა და მხიარული, თითონ კი გულჩათხრობილი იყო, რაღაცა ფიქრით გატაცებული. აგვისტოს მიწურულებში მივალწიე სურამს. ჩემგან პატივსაცემი კაცი ბუნავობდა იქ და იმასთან ჩავეღ სანახავად. არჩილი დამიხვდა იქ და იცით ვისთან ერთათ? კაკატოსთან! გამოცვლილიყო ვაჟკაცი. მის ტანზე რომ ახალთ-ახალი ტანისამოსი ყოველთვის დაქმუქნულ-დასრესილი მინახავს, სახე მითელილ-მოთელილი, გძელი თმა მინაბდული და მხოლოდ თითებით ნავარცხნი, დღეს გაპეწკილ ტალავარში გამოწყობილიყო, თმა კოხტათ ვადავარცხნა, სახე დაებან-დაეწმინდა; მთლათ გაქაბუკებულიყო, გახალისებულიყო. მარტო ახლდა კაკატოს. ამაღა თან არა ჰყვანდა.

ქალიც ვეღარ ვიცანი: უფრო გამთქვინებულიყო; მოხდენილათ ჩაცმული, მაღალქუსლიან ყვითელ წულეებზე, საავარაკო არგნით ხელში კუპატივით გაძეკილი ლაქლათა გოგო ერთი-ორად ქცეულიყო. ცოტა აჭარბებდა ქცევაში და გამოცდილი თვალი მხოლოდ ამით შეატყობდა, რომ ქალი ამ კეთილ ყოფას ვერ იყო შექცესილი, რომ თავისუფლობა და ნავარდობა არ იყო მისი საყოველღეო ქარგა, რომ იგი შემთხვევით იყო დღეს იალალზე.



არჩილი და კაკატო უმიზნოთ არ ამოსულიყვნენ ჩემ ნაცნობთან: ქალს თბილისში გადასვლა მოესურვებინა და სთხოვდნენ მის სასარგებლოთ სიტყვა დაეძრა.

— გარწმუნებთ, ბატონო, რომ შრომას არ დავზოგავ! ეხვეწებოდა ქალი.

— უთუოთ აღორძინდება სასწავლებელი ამ ქალის ხელში. მე თითონ ვითავებ იმ სკოლის მზრუნველობას, უხვ შემწეობას აღმოუჩენ, არაფერს არ მოვაკლებ! თორემ თითონ თქვენი კეთილი თვალი ნახამს ყველაფერს, ეუბნებოდა არჩილი.

ნაცნობი ხმას არ იღებდა. უსიამოვნოთ აებრიცა ტუჩი, დასავლეთისკენ მიედრიჯნა დაჩერტნილი მომხო ცხვირი და კორტონის მწვერვალებს მისჩერებოდა. ამ სახიფათო მდგომარეობაში არჩილმა და კაკატომ ისეთი თვალით შემომხედეს, რომ აღარ შეიძლებოდა არ ჩავრეულიყავ საქმეში.

— ვგონებ, პატივსადები უნდა იყოს ამ ბატონების თხოვნა! მე მინც იმ ჰაზრისა ვარ, რომ მგლეთში კაცი ვინმე უნდა იყოს მასწავლებლათ, მოვასხენე მე.

— რათა?

— იმისთინ, რომ მარტოხელ ქალს, ისიც ნორჩს და გამოუცდელს, ძალიან უნდა გაუჭირდეს იქ.

— ბატონი ბძანდებით, მიუბრუნდა ნაცნობი არჩილს, ვეცდები ავისრულოთ თხოვნა.

— თქვენ კი, მომმართა მე, ვგონებ შეგიცვლიათ ჰაზრი ამ მცირე ხანში; მოხსენებაში სულ სხვასა ბრძანებდით: ამ ქალზე სწერდით, სოფელს ძალიან უყვარს ის და მასაც შეუთავისებია სოფელიო.

— მართალია, რომ ქალბატონი ეკატერინე გამოჭრილია იმ სოფლის სკოლაზე, მაგრამ მე საზოგადოთ წინააღმდეგი ვარ, რომ ახალგაზდა ქალებს მივარდნილ ადგილებში ვამწყვდევთ: ვინ უნდა შეჰხედეს იქ ქალს თავის საფერი?!

— თუმცა მივარდნილ კლდეებში ბრჭყვინავს ოქრო, მაინც ათასობით მიიკლავენ თავს მის საძებნელათ.

— ეგეც მართალი გახლავთ, მაგრამ ვინ იცის, რამდენი მადანია მიუვალ ადგილას ჩამარხული და მხოლოდ შავ კლედეს ანათებს მისი ბრწყინვალეობა. ქალ-ვაჟი ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდნენ სურამიდან.

### IX

კაკატოს სასწავლებელს მალე შეეტყო ფულიანი კაცის მზრუნველობა: მასწავლებლის ყოველივე სურვილი დაუყოვნებლივ სრულდებოდა; რა სასწავლო ნივთი ან სახელმძღვანელო არ შეიძინა სკოლამ ამ მცირე ხანში! არჩილის ქისა ღია იყო ამ სასწავლებლისათვის.

თითონ კაკატო არაფერსა თხოულობდა თავისთვის და კმაყოფილი იყო იმ მოწყობილობით, რომელშიაც წინა ოსტატს ეცხოვრნა. არჩილს ძლიერ უნდოდა გაეუმჯობესებინა ქალის ყოფა და მით დაახლოვებული მას, მაგრამ ვერაფერს უბედავდა. ეს კეთილი მზრუნველი ჯერ იმითი უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომ ქალთან შედიოდა ხანდისხან და ელაპარაკებოდა, რასაკვირველია, პედაგოგიურ კითხვებზე. საქმეს მხოლოდ ის აძნელებდა, რომ არჩილს ცოტათ-ღა ახსოვდა ეს საკითხავები და სიტყვას ვერ უსწორებდა ქალს, მასლაათს ვერ უბედავდა. დაჰვიწყებოდა ყველაფერი!

არჩილმა მეექვსემდინ მიაღწია გიმნაზიაში და ადვილათაც სწავლობდა, როდესაც ერთათ-ერთი პატრონი შეიქმნა დიდი მამულისა. მას აქეთ ისეთ ცხოვრებას ეწეოდა, რომ თვის სათვალავისათვისაც კი ვეღარ მიეგნო, თორემ წიგნებისთვის სადღა ეცალა. ეხლა შემთხვევით შეისვენა, თავს დაუკვირდა, მაგრამ გვიან-ღა იყო: კითხვის ხალისი დაჰკარგოდა, წიგნის შრიალი ეჯავრებოდა. უნდა დაჰმორჩილებოდა ბედს და ქალისთვის დაეთმო პირველობა. ასეცა ჰქმნა: მოწიწებით უსმენდა კაკატოს და თავის მხრივ მხოლოდ საუკეთესო საკითხავებს თუ სურათს უზიდავდა.

მისჩერებოდა ქალს არჩილი და თანდათან იქლინებოდა მისი სურვილით, იმსჭვალებოდა მისი ნდომით. იმის მკვიდრათ ნაგები ტანი, მორღვეული თვალები, ხუჭუჭი თმა, ნაწნავში რომ ველარ ეტეოდა და იბურძგნებოდა, მკერდის ღელვა, ხოხმიკი ტუჩების მოძრაობა ყველა ეს სასიამოვნოთ ულიტინებდა გამოცდილ ვაჟკაცს და აწვალებდა. თითონ ქალი, მისი სხეულის სუნნელემა და სავსება იყო არჩილისთვის ტკბილი მუსიკა, თორემ რას ამბობდა ის ან რას კითხულობდა, ეს სულ ერთი იყო იმისთვის.

ისე შეუნდა არჩილს ქალი, როგორც მგელს კრავი; სურვილი მოუთმენლათ ატოკებდა იმას და ლამის უცაბედათ ემოქმედებინა! ძლივს-ლა იმაგრებდა თავს და იწოდა მით უფრო, რომ ნაჩვევი იყო სურვილების სასყიდლით დაკმაყოფილებას, მაშინვე დაცბრომას. ეხლა შეუძლებელი იყო აღერსის ყიდვა, ამისთანა სურვილის დაჩენაც კი სახიფათო ხდებოდა, რადგან შეიძლებოდა შეეფთხო ეს ახალი მფრინველი და მისი ქრელი ფრთებიდან ბუმბულიც კი ველარ შერჩენოდა ხელში; სიფრთხილე იყო საჭირო, ნიღაბ აფარებული უნდა დაახლოვებოდა ქალს, ცხვრის ტყავში შეხვეული უნდა შეჰპარვიყო კრავს, ესეც იქცეოდა არჩილი: შესციცავებდა, ოხრავდა, წმინდა სიყვარულს ახსენებდა, თვალებს უბავდა.

ქალი მაინც ადვილად შეამჩნევდა არჩილს თაღლითობას, თუ მის გულში მაინც ყოფილიყო ობოლი მარგალიტი მოთავსებული, თუ მისი გრძნობა მაინც სუფთა ყოფილიყო გამჭვირვალე, მაგრამ არც მის გულში ჰქონდა საწყალ ამურს ბინა!



ქალი სხვა თვალთ უყურებდა ქაბუქს. არჩილი ერთი ჯირკვა კაცი იყო, ნუჭრიანი და თავის აგებულობით ქალს ვერ გაიტაცებდა, ვერც გონებით მოხიბლავდა მსჯელობა ნაჩვევს:

კაკატოს იზიდავდა მხოლოდ მისი გვარიშვილობა და ღოვ-  
 ლათი.

განა ესეთ რაინდს ოცნებობდა კაკატო სასწავლებელში?!  
 მისი ნანატრი ამირანივით ვაჟკაცი იყო შემმართებელი, სამსე  
 გმირული შვენებით, ტარიელივით იყო შმაგქმნილი თავის ნეს-  
 ტანისათვის, ავთანდილივით ზრდილი და ჰაზრიანი, ფრიდონი-  
 ვით ერთგული, ასმათივით თავდადებული; მდიდარი, დევთა  
 საქურქლოს მექონი. ოო! მაშინ თვალებს დაუყენებს ამხანა-  
 გებს, სწავლაში რომ სჯობნიან ეხლა! რა შურით გახეთქავს  
 ამზრდელ ქალს, უსამართლოდ რომ ემტერება ეხლა, ან იმ მან-  
 ქია მასწავლებელს, ტუჩს რომ აუკრავს ხოლმე!

რა წამოსაყენებელია იმ სხივოსან ქმნილებასთან ვილაც  
 არჩილი! მაგრამ რა ჰქნას ქალმა, როდესაც ცხოვრებამ უღმო-  
 ბელი ხელი სტაცა ყანყრატოში და თითქმის გაგუდა? ცხოვ-  
 რებამ ნელ-ნელა ჩამოაცალა მისგან წარმოდგენილ რაინდს სიმ-  
 შვენივრე, გატაცებული სიყვარული, სიბრძნე, ქველობა; ერთი  
 თვისება-ლა შერჩა მის რჩეულს და იმ თვისებას კაკატო ველარ  
 შეეღევა, ეს თვისება არის სიმდიდრე, რომელიც ეხლა ერთათ-  
 ერთ სანატრელ საგნად გახდომია ქალს. პანსიონში ფუფუნე-  
 ბით აზდილმა მალე შეიგნო ფულის მძლეობა და მისკენ-ლა  
 მიისწრაფოდა მთელის არსებით; ეხლა, ვგონებ, ოქროს ქისა  
 გაუგორა ბედმა ფეხქვეშ.

— უნდა მაგრა ჩავკიდო ხელი ამ შემთხვევას! ფიქრობდა  
 ქალი. მაშ რა ვქნა, რამ მაცხოვროს? სამი თუმანი ოცდა ათ  
 ღლეში! ამითი უნდა ჩავიცვა, დავიხურო, ვისაზრდოვო, გან-  
 ვითარებული გემო-სურვილი დავიკმაყოფილო, შავ ღლეს გა-  
 ვუმკლავდე. ღლეში მანეთი! მუშა ვარ კურტნიანი... ამისათვის  
 მთელი ოთხი საათი უნდა ჩავჩიჩინო ვილაც ლაწირაკებს. მემ-  
 რე რა სუნი მოაქვთ ი ბინძურ ოჯახებიდან! უფროსებსაც თა-  
 ვი უნდა მოვუხარო, უნდა ვმადლობდე, თვალეში შევყურებ-  
 დე, თორემ ვინ იცის ჩემ ყოფას რამდენი მშვიერი შეჭნატრის  
 სადმე კუთხეში მიჩურთულ-მიდებული.

განა ესე ოცნებობდა კაკატო პანსიონის დარბაზებში! სამი თუმანი ჯიბის ფულათაც არა ჰყოფნიდა მას, ეხლა რომ ოთახი უქირავს, თავის მოახლესაც არ აკადრებდა იმისთანას. ათ საათზე აღრე აღგომა ვის გაუკონია განათლებული ქალისა?! ნაირნაირი სანოვაგე, ახალ-ახალი ტანთსაცმელი, სამკაული, თვატრი, საკუთარი ეტლი. მითომ რატომ არ უნდა მიჰნიჭებოდა ყველა ეს განვითარებულ ქალს, სუფთა ოჯახის შვილს, ახლათ გაფურჩქენილ მარწყვივით გოგონას? სხვებზე ნაკლებია?! აბა ერთი გავიდეს ცხოვრებაში და ეჩვენოს ხალხს! მნათობივით მიიპყრობს ყველას ყურადღებას სხივოსანი. ბატონიშვილი მიეაღწერსება, ნატრის თვალათ გაუგორდება ფეხქვეშ, ზღაპრულ ხალიჩათ დაეგება, ჯადო სუფრათ გეშლება წინ. აკი ამ გვარი პასუხი შეუთვალა მარგალიტივით ბიქს, რომელიც უეცრად განიმსქვალა მისი სიყვარულით და გაუბედა გულის წადილი.

— შენი ჯამაგირი ხილის ფულათაც არ მეყოფა და რით უნდა შემინახო, თუნდაც წამოგყვე ვილაც გლეხის შვილს?

— ჰა, ჰა, ჰა! როგორ გაშრა ახალგაზდა! თავის ბრალია: სანეკრე რომ ნახა, სახტომიც უნდა გაეზომა; მართლა და რით უნდა შეენახა ქალბატონი, როდესაც თავის მაღალი შუბლის მეტი არა ებადა-რა.

მერე რად გიკვირს კაკატოს საქციელი? ჩჩვილივე მოსხლიტეს ნამდვილ ცხოვრებას, ბროლის სასახლეში ჩასვეს მზეთ უნახავი, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ყველაფერი უზრუნველი ჰქონდა მზამზარეულად, დუგმის შესაკრავათაც კი მოახლე ედგა თავს; ისე ზრდიდნენ, თითქო მის სახელობაზე ათი-ათასი თუმანი შეუტანიათ ბანკში და დაასრულებს თუ არა, ოქროს ლანგრით მიართმევნენ სალაროსაო. წიგნებშიაც ხომ უზრუნველ და დიდებულ ცხოვრებასა ხედავდა, საცა ფული ჩეჩქივით იბნეოდა. საიდან-ღა უნდა შეეგნო ქალს ნამდვილი ცხოვრების ნიშან-წყალი? არსაიდან! და აკი ეზიზღა და ემძიმა მას იგი ნამდვილი, თუმცა ცხოვრება კიდევ ხათრიანათ მოექცა მას და მაშინვე მთლად არ გადუშალა თავის მარითვათები.

ქალ-ვაჟის ურთიერთობაში ნაზი ამური არ არის. სად შეეძლო მის ჩჩვილ აგებულობას აეტანა მგლური კავშირი?! შორიდან რომ შენიშნა დაახლოვებულნი, სიხარულით მიფრინდა მათთან და ძალუმათ მოზიდა სურვილთა მშვილდი, რომ გაეგმირნა ისინი სიყვარულის ისრით, განუყრელათ მიემსჯვალა ერთმანეთისათვის, მაგრამ შეფთხა: ეშმა რამ დაჰხვეოდა მათ გულზე და იმან შეაკრთო. დარცხვენილი დაბრუნდა უმანკო და დიდ მანძილზე ესმოდა ბილწის ხარხარი.

ნადრევი კი იყო ეს ხარხარი: ქალ-ვაჟი ჯერ ებრძოდნენ ერთმანეთს და ვინ იყო დარწმუნებული, რომელი სძლევდა? ძალიან კი ცდილობდა არჩილი: სიყვარულის ქურქში ეხვეოდა, სიუთხილით უახლოვდებოდა, ეპარებოდა.

ფთხილობდა ქაბუკი, რადგან კარგად ვერა ხედავდა ქალის გრძობას, ვერ იცნობდა მის მისწრაფებას; ბინდ-ბუნდათ კი გრძობდა, რომ ქალი სურვილის თვალით უყურებდა მის ღოვლათს და შესაძლებელი იყო ვერცხლის ბქყვრიალზე მისი მიტყუება; თანაც ეჭვობდა, ვაი თუ ეხლა მიმტყუნოს ამ ანკესმა და თევზი ხელიდან დამისხლტესო. მაინც სიმდიდრე იყო ერთად-ერთი ძალა არჩილის ხელში და სცადა მისი სიფთხილით გადაშლა ქალის წინ. ეს იყო მიზეზი, რომ არჩილს მოხსნილი ჰქონდა ქისა და ყოველ მარჯვე შემთხვევაში ოქროს აპნევდა ქალის გარშემო.

შობის ღღესასწაულები იყო მოახლოვებული და ბავშოთა მაშველ საზოგადოებამ კრება მოისურვა ყმაწვილებისათვის საზრუნველ რამე საგანზე. არჩილმა ისარგებლა ამ შემთხვევით და სთხოვა მის ბინაზე შეკრებილიყო ხალხი.

კაკატო ფეხით მივიდა არჩილის სასახლეში. მსახურმა რომ გაულო კარები და შეიწვია ვაკაშკაშებულ დარბაზში, ქალმა უნებლიედ დაიხედა ზედ: მასწავლებლის უბრალო ტანისამოს-

ში უხერხულად იგრძნო თავი და მოიკუმშა. არჩილი ღიმილით მიეგება ქალს, პატივი სცა, გული გაუკეთა.

კარებები ღია იყო. სტუმრები თავისუფლად დადიოდნენ ოთახებში, ათვლიერებდნენ. დიდებულს სადგომს, ძვირფასი ავეჯით და ნივთებით საკსეს, დიასახლისის ხელი-ღა აკლდა, რომ თვალ-მომტაცად აფერადებულიყო

— რა უხერხულათ არის მიყრილი ამოდენა განძი! ფიქრობდა კაკატო. ვაი, ერთი ნატვრა ამისრულდეს და მაშინ ნახამთ: ღმერთების სადგომს დავაგვანებ აქაურობას. და რა ადვილათ! ყველაფერი არის, მცოდნე თვალი-ღა აკლია, გულ-შემატყვიარი ქალის ხელი.

— როგორ მოვაწყობ! იმ ოთახს საპირისფარეშოთ აფარჩევ, ბალის მხარეა სასიამოვნო; არჩილის კაბინეთი იქითა სჯობია: მოშორებული ოთახია და აღარ შემაწუხებს მოურავთან ჯიჯინით; სასადილო ოთახათ ესა სჯობია, თუ სამზარეულო ახლოა, ოცნებობდა ქალი და ყურს არ უგდებდა, რაზე ბასობდნენ შეკრებილნი.

არჩილი სუბუქი ვახშმით გაუმასპინძლდა სტუმრებს. სუნნელოვანი რამ ღვინო მიართვა ძვირფასი. კაკატო თითონ არჩილმა გაჰოცილა. მოწიწებით ჩაისვა ეტლში. ციოდა. თხელ ქათიბში გახვეული ნათბილარი ქალი კანკალმა აიტანა და უნებლიეთ ახლო მიუჯდა კაცს. არჩილმა რომ სითბო იგრძნო, გადირია, თავი ვეღარ შეიმავრა და მადიანათ ჩაჰკოცნა ტუჩებში.

— რას შვრები, ყმაწვილო? შეუტია ქალმა და ქოლგა წაატანა მეეტლეს.

არჩილმა მარჯვით აუკრა ქოლგას ხელი და შეეხვეწა:

— ნუ მიწყენ, კაკატოჯან! შენი ეშხით დამწვარმა ვეღარ შევიკავე თავი, რა ვქნა, რომ მიყვარხარ, რომ ხატი ხარ სალოცავი ჩემი?! ნუ შემრისხამ, ძვირფასო, ნუ ამიქოლავ შენკენ გზას.

— კარგი, ყმაწვილო! გამოეხმაურა ქალი მკვახეთ და უფრო იქით მიიწია.

— შენ არ იცი, რა გაშათახსირებელ ცხოვრებას ვეწოდ-  
 დი აქამდინ: გზის მაჩვენებელ ვარსკვლავთ აღმომიჩნდი და  
 განმინათე გზა ცხოვრებისა, ჩასჩურჩულებდა აღელვებული  
 ვაჟკაცი, მაგრამ ქალი სულ უკან იწევდა.

— აგერ შენი სადგომიც. გამწყრალი ნუ დამშორდები,  
 ცეცხლს ნუ ჩამიგდებ გულში, მომიტევე შენი მშვენიებისგანვე  
 გამოწვეული შეცდომა! უთხრა არჩილმა და ცალ მუხლზე  
 დაეცა.

— კმარა, ყმაწვილო! მიუგო კაკატომ ცოტა რბილათ,  
 როცა ეტლი შედგა სკოლის კარებზე.

არჩილი მარჯვით გადმოხტა ეტლიდან და უნდოდა ჩა-  
 მოესვა ქალი, მაგრამ კაკატომ ხელი არ გაუწოდა ქაბუქს.

## XII

არჩილი ჩაეარდა ეტლში და შესძახა:

— სალხინოში!

მეეტლემ ხალისიანათ გარეკა ცხენები, მაგრამ ბატონმა  
 შუა გზიდან დააბრუნა ის, პირი შინისკენ აქნევინა: ხასიათმა  
 აღარ მისცა ქეიფში ჩაეფლა ვნებათა ღელვა.

მარტო რომ დაიგულა არჩილმა თავისი თავი ვრცელ სა-  
 დგომში, ეჩოთირა. ნაჩევეი არ იყო მარტოობას, იშვიათათ  
 ბრუნდებოდა ამ დროს და ისიც მარტოთ-მარტო, მთელ ღამეს  
 ქეიფში ატარებდა მშვენივრებით გარშემორტყმული და გათე-  
 ნებისას-ღა ბრუნდებოდა შინ გამოსაძინებლათ. მაგრამ არჩილს  
 ეხლა მარტოობა ერჩინა: ისეთი დარდი შემოსწოლიყო, რო-  
 მელსაც თითონ უნდა შეჰბძოლებოდა, რომელსაც ვერც კი ვი-  
 სმე გაანდობდა, რომ მოეფიქრებინათ მის მაგივრათ.

არჩილი ერთათ-ერთი ვნების მონა იყო და ეს ვნება უფ-  
 ლებდა მასზე: სატრფოსადმი ლტოლვილება იყო ყოველთვის  
 მისი საგონებელი და ადვილათაც ისრულებდა სურვილს, რა-  
 ღგან საქმე გულჩვილებთან ექირა; ეხლაც ისევ ის მისწრაფება  
 აღელვებდა ქაბუქს, მაგრამ საგანი მიუვალნი იყო წინანდელი

გზით: კაკატო შეუნდა არჩილს, მოუთმენლად მოესურვა ის; მისი მოპოება კი წინანდელი საშუალებით არ შეიძლებოდა. ახლა ფულს ხომ არ მისცემდა და თუნდ შეეძლია, რა ფონს გავიდოდა?! ერთ ხანს გაიფიქრა მოეტაცნა ქალი და კიდევ გაუხარდა, რომ ამ ფიქრს წააწყდა, რადგან ამ საქმის მოწყობა შესაძლებელი იყო ფულით, მაგრამ უკანვე დაიხია: სახიფათო იყო ეს საკანონო საქმე, ხოლო კანონთა ბაღეს ძალიან უფრთხოდა არჩილი. მაშრა უნდა ექნა? ან თავი უნდა დაენებებინა ქალისათვის და გულიდან ამოერეცხა მისი სახე ან...

— ეჰ, მე რომ კიდევ მოვისურვო კაკატოს თავდანებება, ახლა თავს მანებებს მისი სახე?! კაკატო არ მამცემს შვებას; ის ბატონია ჩემი, მე მონა ვარ, მისი მორჩილი და საით წაუვალ?! ფიქრიც კი აღარ შემიძლიან სხვა რაზედმე და როგორ ავუქცევ გზას?!

არჩილი დადიოდა ოთახში, თმას იბურძენიდა, მაგრამ ფიქრ შეუჩვეველს ჰაზრები ვერ ეფურჩქნებოდნენ, განზე ვერ ეშლებოდნენ, ვერ უფერადდებოდნენ; მის ტვინს მხოლოდ კაკატოს სურათი ეჭირა მის წინ და თან და-თან აბრწყინვებდა მას, ეშხს უმატებდა, უფრო-და-უფრო სანდომათა ხდიდა; აზიებდა ვაჟკაცს.

მოიქანცა არჩილი და ჩავარდა იმ სავარძელში, რომელშიაც რამდენიმე საათის წინ კაკატო იჯდა. ისე ნათლად წარმოუდგა ქალი, თითქო მის წინ ცოცხალი დგასო; ხელახლად იგრძნო მისი სუნნელება, მისი სითბო, მისი ტუჩების სინაზე და სურვილით დაიხლაკნა ვაჟკაცი. უნდოდა დაეყვირნა, შველა ეთხოვნა ვისთვისმე, მაგრამ ვინ უშველიდა?! ძილი აღარ მიეკარა. ლოგინში უფრო გაუცხოველდა ქალის სურათი, მის გახურებულ ტვინს ცოცხლად მოეჩვენა ჰაერში საყვარელი, ზელი მოხვია ლანდს და ატირდა, რომ ვერ შეიპყრო.

კაკატო თვალწინ ედგა კაცს, მაგრამ ისე კი არა, როგორც პიროვნება, არამედ როგორც ტანი რამ: ის ხედავდა მის თვალებს, მის ბაგეს, მის თმას, თეთრ ყელს, მარგალიტის კბილებს, მის მადლიან სხეულს; არჩილისთვის ამ წუთს ორივე

ერთი იყო—არაწმინდა რამ მავნე ბუღობდა ქალში თუ სულთნათელი, ჰაზრ დახშული ბინძური რამ ცხოველი თუ ვთერი, ფაქიზი სულით განათლებული: არჩილს მხოლოდ საყვარლის სანდომი აგებულობა უკლავდა გულს.

ვაჟკაცში ეხლა იმ ველურ არსებას გაეღვიძნა, იმ ხეადწინაპარს, რომელიც შეენარცხებოდა კლდეს თუ მტერს ახალი ჟინისათვის, თუნდაც ასი სხვა ჰყოლიყო ფარაში.

მაგრამ უწინდელი დრო ხომ აღარ იყო ეხლა, რომ თავის ნებაზე ეარნა; ეხლა წესებით იყო ცხოვრება შემოფარგლული და, მეტი ღონე არა ჰქონდა, ამ ფარგალში უნდა ემოქმედნა; ხოლო ამ წრიდან ერთათ-ერთი ბილიკი მისდევდა კაკატომდინ და ეს ბილიკი ეკლესიაზე გადიოდა.

— სწორედ ესე უნდა გათავდეს საქმე! ჯვარი უნდა დავიწერო: დატყვევებული ვარ ქალის სურვილით, მოხიბლული, არ შემძლიან გზა აუხვიო მას, ავცდე იმ მანათებელ შუქურას. ვაიმე! ვიცი, რომ წმინდაო ღმერთოა ჩემთვის ისაია, მაგრამ რა ვქნა, რა წყალში ჩაეარდე, როდესაც კაკატოს გარეშე ყოველივე უკუნია ჩემთვის ამ ჟამად და ბნელი გარესქნელი.....

### XIII

კაკატო სხვანაირ გუნებაზე იყო და სხვასა ფიქრობდა. არც ის იყო ეთეროვანი სურვილებით მეშვიდე ცამდინ აზიდული, სპეტაკ გრძნობებით შუქშემოსილი; ისიც ქვე იხედებოდა, ქვეყნიურს ჩასჩერებოდა, მიწიურად გამსჭვალულიყო, გარნა მას თვით არჩილზე კი არ ეჭირა ხარბი თვალი, მის ჯიბეს მისჩერებოდა.

თქვენა გგონიათ იმის დარდში იყო ქალწული, რომ არჩილმა შეჰბედა და შეურაცხყო იგი! სულაც არა! არჩილი რომ თავი ვერ შეიმავრა და მიეაღერსა მას, აქ საოცარი და საწყენი არაფერია: რა გასაკვირველია, რომ იმისთანა მშვენებამ ძალუ მათ მიიზიდოს ჰაბუკი? საკვირველი ის იქნებოდა, არჩილი არ დაჰმორჩილებოდა მის მიმზიდველ ძალას. როცა ეტლში ჩაუჯ-



და ვაჟკაცი, ქალმა მაშინვე იგრძნო, რა მოხდებოდა და გულში კიდევ უხაროდა, რადგან ეს წინწადგმული ნაბიჯი იყო არჩილის დასაპყრობლათ. ქალი მხოლოდ იმას ფიქრობდა, რამდენათ აზრიანათ მოიქცა, რამდენად მარჯვეთ გამოიყენა არჩილის მოუთმენლობა.

— იქნება უფრო მკვახეთ უნდა დავხვედროდი, რომ ნდომით ამეზილვილებინა? თუ ეჯობინებოდა რბილათ მოვპყრობოდი ადელევებულ ქაბუკს და გამოთხოვებისას მაინც მეგობრულათ ჩამომერთვა ხელი? არა, როგორც მოვიქეცე, ისე სჯობია, თორემ სურვილს მიმიხვედებოდა, თავს წავიდოდა.

— როგორ ნაწყენი ჩავარდა ეტლში! იმას ეგონა კაკატო ოთახშია, მე კი კარებს უკან ვიყავ ატუზული და თვალს ვადევნებდი. ჰა, ჰა, ჰა! რა მარჯვეთ გამოვტრიალდი დერეფანში!

— სალხინოში! უბძანა მეეტლეს. ფაქიზი რამ წაღკოტი კი იქნება ი სალხინო! ეშმაკეული რამ ადგილი იქნება ქაჯეებით სავსე. დამაცა! ხომ გიყვარვარ და რაღა ხავს ეტანები? იქნება ჩემი უკმეხი ქცევით გული ვატკინე და გაჯავრებულნი ვადიხარა იქით? ფიქრობდა ქალი და თან ტანისამოსს იცვლიდა: ახლები ხარხახზე ჩამოჰკიდა, ძველმანი რამ ამოიცვა.

— რა საცოდავი ჩანდა ჩემი კაბა ი მდიდრულათ მორთულ ოთახებში! ოქროსა და აბრეშუმში უნდა იჯდეს ადამიანი, რომ გამოჩნდეს რამე იმისთანა ადგილას. არჩილს იქნება კიდევ ვებრალეზოდი ესე უბრალოთ ჩაცმული. ეს ჩემი ქათიბიც რომ გაიხუხა! იმის ქურქთან აღარაფერი ჩანდა.

— ვინა თქო სიღარიბე საძრახისი არ არისო? სულელი ყოფილა! საძრახისი და დიდი უბედურება, ყველა ქვეათა მყოფელი ადამიანი ვალდებულია განერას ამ საგმობ სისაძაგლეს... მაშ კაკატო არა ვყოფილვარ, თუ არჩილის სიმდიდრე ხელთ არ ვიგდე! ღირსი არა ვარ თუ! სილამაზე მაკლია თუ რამე სხვა ღირსება? რათ უნდა ვიყო მიჩულებული და სხვები კი ფარფაშობდნენ?!

გვიან დაეძინა კაკატოს. სიზმრათ თავისი თავი დიდებულად გილსა ნახა, დოვლათით საესე და გაბრწყინებული. მოახლეები თავს ევლებოდნენ. სტუმრები მოსულიყვნენ ძვირფასათ მორთულ დარბაზში; კიდევ შემოდინდნენ, იკრიფებოდნენ. ფეხაკრეფით დადიოდნენ, მოწიწებით უბნობდნენ: დ-ასახლისის გამოსვლას ელოდდნენ. მზათ არის კაკატოც, მაისის ვარდივით გაღაღანებული. ერთი კიდევ გადაავლო თვალი თავის თავს სარკეში და აიკრა კაბას ხელი, ნაბიჯი გადადგა გასასვლელად... კინალამ გადმოვარდა ტახტიდან.

გათენებულიყო. შაგირდები შეგროვილიყვნენ სასწავლო ოთახში და ხმაურობდნენ, მასწავლებელს ელოდდნენ. ეწყინა, გული ატკინა დაფანტულმა დიდებამ, ისე დაჰნანდა, როგორც მშიერს სიზმრათ მოჩვენებული ფლავი.

კაკატო უგუნებოთ ასწავლიდა იმ დღეს; თვალი ფანჯარისაკენ ეჭირა; ყოველ წუთს ელოდდა თავის ფულის ქისას, ვერცხლის მადანს, ოქროს ზოდს, თავის საუნჯეს უღეველს, საღაროს უთვალავს, თავის ძვირფას არჩილს. ამაოდ ელოდდა, არჩილი არსადა ჩანდა.

— არ მოდის, ჯიუტობს! იქნება კიდევ დამივიწყოს, სხვაზე გამცვალოს... თუ არ მოვიდა, გადავირევი... უთუოთ უნდა ვნახო სადმე, უთუოთ!

#### XIV

ორივეს მოუთმენლად მოსურვებოდათ ერთმანეთი, ნახვა კი გასძნელებოდათ: ვაჟს ეშინოდა მთლად არ გამიწყრეს ქალი და გამაძვოსო, ქალი თავის თავს აყვედრიდა, — ცივათ მოვეკიდე კაცს და შევაკრთეო. ორივეს შეუძლებლად მიაჩნდათ კავშირის გაწყვეტა და გონების თვალით ზვერავენენ ერთმანეთს, იკვლევდნენ ერთმანეთისაკენ მიმავალ ბილიკს. ამ კვლევამ თეატრში მიიყვანა ისინი.

არჩილი ადრე მივიდა და წინ დაიჭირა ადგილი. შემოტრიალდა, თვალი გადაავლო დარბაზს, მაგრამ კაკატო ვერ დაინახა. ეწყინა, დაბრუნება დააპირა, რადგან მხოლოდ იმ ქალისთვის მისულიყო იქ. მაინც დარჩა პირველ გამოსვლაზე: კიდევ იმედი რამ უღვიოდა გულში.

კაკატო ყოყმობდა და იმისთვის შეუგვიანდა. მოქმედება დაწყებული იყო, როდესაც იმან დაიჭირა თავისი ადგილი. მაშინვე შენიშნა არჩილი და იამა, აღტაცებაში კი არ მოვიდა, არც გული აუჩქროლდა სიხარულით, მხოლოდ კმაყოფილება იგრძნო: თავისი მისწრაფების საგანი ნახა იქ. თითონ კაცზე ჯავრიც მოუვიდა.


— აქაო და ფული მაქვსო, პირველ ადგილზე წამომჯდარა! უფრო წინ წაიწვედა, სკამი რომ მდგარიყო, — გაიფიქრა ქალმა.

მოქმედების გათავებისას შეასწრო არჩილმა თვალი კაკატოს და გაექანა იმისაკენ. ქალმა თავდაჭერით მიიღო ის. ლაპარაკი კამედის გმირებზე და მათ ურთიერთობაზე ჩამოვარდა. ქალი განყენებულათა სჯიდა საგანს. არჩილმა რამდენჯერმე სცადა უფრო მახლობელ და სასიამოვნო ნიადავზე დაეყენებინა საუბარი, მაგრამ ამაოთ: ქალი არ აპყეა. ამან უფრო გაახურა არჩილი. გვერდით მოუჯდა, აღარ მოშორდა. სცენამაც ხელი შეუწყო არჩილის ღელვას: სიყვარულის დახასიათებაზე და მის ქება-დიდებაზე იყო სურათი აშენებული და მთლად ააგზნო ჭაბუკი; იგი დაიხარო ქალისკენ და ჩასჩურჩულა:

— გიგრძენია ოდესმე სიყვარულის ძალა?

ქალმა ხმა არ გასცა, მხოლოდ შეხედა და ამოიოხრა, კაცმა ეს სათავისოდ გაიგო და თავი მოიწონა; მთლად აპრიადლდა; არჩილის გულს დაჰკრა იმ ტალღამ, რომელიც გულცივის და ლაჩარსაც კი კეთილს აბედვინებს.

— მიყვარხარ, უშენობა აღარ შემძლიან: გვედრები შეუღლობას! — ჩაადნა არჩილი ქალს ყურში.



კაკატოს ტკბილად შეესმა ეს ხმები. სიხარულით ძლიერს შეიმთვრა თავი. გაწითლდა, თავი დაღუნა. არჩილი მოლოდინათ გადაიქცა. ქალმა ცოტა ყოყმანის შემდეგ ხელი გაუწოდა ვაჟკაცს. არჩილმა იქვე დაუკოცნა ქალს ხელები. ამ დროს სცენაზედაც ნარნარათ გამოუცხადა თანხმობა მზეთ უნახავმა თავის გმირს.

იგრძნო ამურმა, მოფრინდა ქალ-ყრმასთან და სტყორცა ისარი, რომ შეემსკვალა განუყრელათ ორი გული, მაგრამ გულმა აისხლიტა ფრთიანი. გაუკვირდა ამურს, დაღონდა, ფრთა ჩამოუშვა.

### XV

კაკატოს ფრთა დაჰკრა ბედმა, სიკეთე ჩაუგორა კალთაში და ააყვავა. მადლობა იგრძნო ქალმა ქაბუკისადმი. სიხარულისაგან აძგერებულმა გულმა ააღაჟლაჟა ისეც ლაღანა გოგონა, ვარდი გაღუფურჩქნა ლაწვ-ბაგეზე; ნეტარებამ ყავლა მისცა ქალს და დაამშვენა, მის მშრალ თვალს სიხარულის ნამი ასხურა და აბანა.

არჩილმა რომ დახედა დამშვენებულ ქალს, უამა; აღარ დაინანა გრძობათა ღელვის დროს წამოთქმული სიტყვა და გული აუთამაშდა. ქაბუკმა ამწუთს უფრო მეტად დააფასა ქალი, უფრო მალლა დააყენა, სანამ ნდომის რამ საგანი უბრალო. სიყვარულის მაგვარი კეთილშობილური ლტოლვილებმა იგრძნეს ორივემ და გაეხარდათ.

ისევე გახალისდა ამური, ფრთები შეიკუმშა, ყელი მოიღერა და ზრო გაუსინჯა თავის ისარს, ეგონა ისარმა მიმტყუნაო წელან, მაგრამ ისრის პირი სწორი იყო და მახვილი. გაუკვირდა პატარას.

გამოქვეყნდა არჩილის დანიშვნის საქმე. ბევრი ააყაყანა ამ ამბავმა.

— ბედი ჰქონია ნათელაანთ ქალს! მართალია, კაცი თითონ ვერაფერია, მაგრამ მისი დოვლათი გააბედნიერებს მის ცოლ-შვილს, — ამბობდა ერთი.

— ღირსიც არის ნორჩი, განათლებული და ლამაზი, — ამბობდა მეორე.

— ლამაზი კი არა! თმინი ქალია, თეთრ-წითელი, მაგრამ ჯმუხა და კოპიტი; მე ქალს ლამაზს არ ვეტყვი, თუ ნარჩარი არ არის და წერწეტი.

— თვალი დაუდგათ კაცებს! ლამაზი და კარგი ისა ჰგონიათ, ვინც გაუღიმებთ; ალბად, ოსტატი ვინმეა ი ქალი და ჩაითრია ახალგაზდა. თუ ცოლს ირთავდა, ვერ აარჩევდა სიმდიდრითაც და გვარიშვილობითაც შესაფერს? — ამბობდა გასათხოვრების დედა.

— ნახავთ მა კაცმა რა ჰქნას! თუ აისრულა გულის წადილი, გველანასავით დაუძვრება ხელიდან და ძალიან ადვილათაც, რადგან ქალს ქომავი არაფინა ჰყავს, — სთქვა აფყიამ.

— მოქეფე ყმაწვილია, მაგრამ მაგის ავკაცობა კი არავის გაუგონია: არასოდეს არ ჩაიდენს მაგისთანა ავაზაკობას, — აზიებდა ჯიბრიანი.

ქალ-ყრმა ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ვაჟი დაუბრკოლებლივ ჰკრეფავდა ია-ვარდს სათავისოდ გამზადებულ წალკოტში და ტკბილ ნაყოფის გემოთლებას მოუთმენლად მოელოდდა; ქალს წადილისთვის მიედწინა და დაემინებული ელოდდა მომავალს. ლოდინიც არ იქნებოდა მათთვის საქირო, თუ ყველიერი არ ჩამოქანებულიყო მათ შუა.

— კაკატო ჩემო! გაანებე სასწავლებელს თავი; რათ გინდა, რომ ჩასჩინებ და ილლები.

— დავიცდი! ჯერ ხომ ჯვრისწერა არ შეიძლება და ბარემ ბოლომდის ვასწავლი. სჯობია კიდევ: მანამ ყველაფერს ჩვენ გემოვნებაზე მოვაწყობთ.

— კარგი, საყვარელო!

## XVI

საქორწინოდ ემზადებოდა ქალ-ვაჟი: ბუნავსა რთავდნენ, ბუდეს აგებდნენ. ქალმა დაუარა არჩილის სასახლეს. დიდძალი მამაპაპეული ავეჯი ამოჩნდა. ყველა ეს განძი გაიწმინდა, შეკეთდა, გაახლდა, თავის ადგილზე დაიდგა. ახალიც ბევრი შეიძინეს. მთელი ერთი თვის განმავლობაში ისეთი ამბავი იყო არჩილისას, რომ ხელოსნები მოიღალნენ, მსახურები დაიქანცნენ. ქალის აზრიანი თვალი შეაჩნდა და მშვენივრად არჩევდა ნივთს თუ ფარჩას. გახალისდა არჩილიც, მეოჯახე კაცივით ირჯებოდა.

— ბიჭო! მთლად მოაშინაურა ა ქალმა არჩილი.

— მეც მეგონა დააფრენს მეთქი, ის კი, ხედავ, რა საქმიანობას იჩენს!

— სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომელ არ ჰმონებდეს?!

ქალი აღარ ეკრძალებოდა არჩილს, დანდობილი მისდევდა თავის დანიშნულს მის სასახლეში: ბევრი საქმე ჰქონდა იქ დიასახლისას. თავს კი უმანკოთ იცავდა და მით უფრო ავიყვებდა ისეც მისთვის ხელქმნილ არჩილს.

მიიწურა დიდმარხვა, ბინის მზადება კი ჯერ არ შეწყვეტილიყო. ქალი თანდათან მუყაითათ ეკიდებოდა საქმეს, ყველაფერს თავის ხელით ამზადებდა.

— არჩილ! ეს ფარდა დაბლაა დაშვებული, დახე სადა სცემს ფოჩები.

— მაშ როგორ უნდა, სასურველო?

— სკამი მომაწოდე!

ქალი ავიდა სკამზე, მაგრამ ვერ შესწვდა. არჩილმა მაგიდა მიუთრია. კაკატო რომ ფარდას ასწორებდა, არჩილი უძღე-

ბი თვალით შესცქეროდა ქალს კოჭებში, რამდენჯერმე კიდევ მოეხვია მას მარმარილოს სვეტებზე. ქალი საქმეში იყო გართული და არ უჯავრდებოდა ქაბუკს, ოდნავ-ღა იგერებდა. არჩილი წაახალისა ქალის სიღბომ; აღელდა, აირია, აპრიალდა და ბუმბულივით გადაიტაცა ქალი.

უცნაური ხითხითი გაისმა ოთახში: ეშმა რამ ბილწი ხტოდა ბუხრის თავზე. ჩლიქებს აბაკუნებდა, ხელებს იფშენებდა, წვერს აცამცამებდა, ლაშთ იქნევდა, ფრუტუნებდა, კუჭკუჭებდა, კასკასებდა, კვდებოდა სიცილით.

მაისის დამღევს თბილისში ჩამოველ. თავისუფალ დროს ქალაქისკენ ვიწვევ. სოფლათ მოწყენილი გასართობს ვეტანებოდი: სალხინოში სადმე შევიხედე. ჩაკეტილი ოთახიდან სიცილ-თქართქარი გამოდიოდა, მტლაშა-მტლუში გულიანი. ვინა ქეიფობს მეთქი, ვიკითხე. ბატონი არჩილი ბძანდება ვამეყიანო, მიპასუხეს მოწიწებით. ალბათ უკანასკნელათ ლხინობს, ქაბუკობას ეთხოვება მეთქი, ვიფიქრე და შევალე კარები.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! შემომძახეს მოქეიფებმა.

ძალიან უამათ ჩემი მისვლა: არჩილი გადამეხვია, თეთრმა ქალმა ლოყა მომიშვირა, ყველამ მომიკითხა. მძიმეთ დატვირთული სუფრა აეშალათ. სამოთხეში შესულიყვენ და ქალები ევასებურ ტანისამოსში-ღა შევნოდნენ. თვალი მოვაფლე კრებულს და არჩილს დავაშტერდი.

— გრკვირს? ტყუილათ! მე და ოჯახობა! ჯვარის წერის დრო რომ მოვიდა, გული მომიკვდა, დავიტანჯე.

— კაკატო?

— მიყვარს! ვაჰ, რომ მის თვლებში არ არის მოთავსებული ეს ქალობა, მთელი ქვეყნის ქალობა, რომ ყველას მოუაღერსო ერთბაშათ! აზარტ!

— აზნადარუ!

— დაუკათ!

— გარე გარე დავდივარ,  
ლამე შინ არ შევდივარ,  
ლამაზების გულისთვის  
ფეხშიშველა დავდივარ“!..

ჩაწმახნა საზნადარმა.

გ. ბანნაჯი.

# «ხალხის მტერი»

ანუ

## ეკიმი უტოკმანი

სუთ მოქმედებანა დრამა ჭენრის იბსენისა

მომქმედნი პირნი:

ეკიმი ტომასი უტოკმანი—ზღვის აბანოების უფროსი ეკიმი.

ქაღბ. უტოკმანისა—ამისი ცოლი.

შეტრა } —მასწავლებელი ქალი.

ეილიფი } —გაყები, 10, 13 წლისა.

მორტენი }

შეტრე უტოკმანი—ეკიმის უფროსი ძმა, ქალაქის თავი და ზღვის აბანოების კომიტეტის თავმჯდომარე.

მორტენ კაღი—მდიდარი მექარხნე, ქალბ. უტოკმანის მამობილი და ნათლია.

გოფსტადი—„სახალხო მოამბის“ გამომცემელ-რედაქტორი.

ბილდინგი—ამ გაზეთის თანამშრომელი.

გორსტერი—გემის უფროსი.

ასლაგსენი—მესტამბე.

მოქალაქენი, ერთობაზედ სხვა-და-სხვა ხელობის ხაღხი, რამდენიმე ქაღი და მოსწავლენი. მოქმედება სწარმოებს ნორვეგიის სამხრეთ ქალაქში.

## მოთხედება პირველი

(საღამოა. უბრალოდ, მაგრამ სუფთად და კაზწიად მორთული-სასტუმრო ექ. შტოკმანის სახლში. მარჯვნივ ორი კარებია: ერთი ექიმის კაბინეტში გადის და მეორე დერეფანში; კარის ზირდაზირ კიდე სხვა ოთახებში მიმავალი კარებია. იმ მხარესვე ბუხარე; ავანსცენასთან ახლო სავარძელი, წინ, სუფრა გადაფარებული მაგიდაზედ, ანთებული ღამის აბაჟური. სავარძლის უკან, კედელებად სარკე- ზირდაზირ, სსადილო ოთახში გადის კარები, სადაც ვახშმისთვის მომზადებული მაგიდა მსხანს, ოთახი განათებულია. მაგიდას წინ ბილდინგი უზის, ქაბე. შტოკმანისა ფეხზედა სდგას და თუთუთი რაღებინს აწოდებს. დანარჩენი ადგილები წარსილები არიან. მაგიდაზედ არეულ-დარეულია სუფეკაფერა).

- ქ. შტოკმ. მთელი საათით დაიგვიანეთ და თქვენ თავსვე უსაყვედურეთ, რომ ვახშამი ცივი დაგზვდათ.
- ბილდინგი (ფუკმის გადაუღაზვით). როსტობიჭი კი მაინც მშვენიერია და!
- ქ. შტოკმ. ჩემი ქმრის ხასიათი ხომ იცით — თუ ყველაფერი დანიშნულ დროზე არ მიუტანე, არ შეიძლება...
- ბილდინგი. არა უშავს რა! როცა მარტოკა ზიხარ და რამეს შეეცევი, თითქოს უფრო მეტადა გშივდება და საკმელიც უფრო გემრიელად გეჩვენება.
- ქ. შტოკმ. ეგ უფრო უკეთესი, თუ აგრეა... (უურს წაუგდებს დერეფანსკენ) ეს გოფსტადი გვეწვია, მგონი.
- ბილდინგი (შეექცევა) შესაძლებელია...
- (შემოდის ბურგამისტრი ზაღრთი, თქრო-შემოფლებული ფორმის ქუდით და ჯახით ხელში)
- ბურგ. საღამო მშვიდობისა, ძალო!
- ქ. შტოკმ. (გამოვა სასტუმრო ოთახში) აა, თქვენა ხართ? საღამო მშვიდობისა. რა კარგი გიქნიათ, რომ მოგვინებთ-ვართ.

ბურგ. შემთხვევით გამოვიარე თქვენ ქუჩაზედ და... (სასადალო ოთახში გახედება) ოო, სტუმრებიცა გყოლიათ?!

ქ. შტოკ. (გოტათი შეშფოთებულად) სტუმრები კი არა და! ისე შემთხვევით შემოიარა ერთმა ჩვენმა ნაცნობმა (აჩქარებით) ხომ არ ისაუბრებთ?

ბურგ. არა, დიდათა გმადლობთ. სალამოთი როსტბიფი? ღმერთმა დამიფაროს! ჩემს კუქს რაღა ეგ უნდა? (განზუდ გაუა).

ქ. შტოკ. ერთხელ რომ მიირთვათ, არა მგონია, რომ გავნოთ რამე.

ბურგ. არა, ბატონო, დიდათა გმადლობთ. მე ჩიი და კარაქით პური სუყველაფერს შირჩვენია. სასარგებლოც არის და ცოტა არ იყოს ჯიბესაც უხდება.

ქ. შტოკ. (დამიჯივით) მაშ, მე და ტომასი მფლანგავეები ვყოფილვართ, ჰა?

ბურგ. თქვენა? არასოდეს, არასოდეს! მე თქვენ კარგათ გიცნობთ. (ექიმის კაბინეტისკენ) შინ არ არის?

ქ. შტოკ. არა, ვახშმის უკან ბავშვები წაუყვანა სასეირნოთ.

ბურგ. რაო? სასარგებლოაო, რას ამბობს? (უუჩს უგაგებს) ეს ის იქნება უეჭველად.

ქ. შტოკ. არა, ის არ უნდა იყვეს. (კარებს აკაკუნებენ) მობრძანდით! (შემოდას გოფსტადი) აა, ბატონო, გოფსტად!..

გოფსტად. ცოტა დავიგვიანე, მაპატიეთ — სტამბაში საქმეები მქონდა და იმათ დამიჭირეს. გამარჯობათ, ბ. შტოკმან!

ბურგ. (ცოვათ თავს დაუკრავს) გამარჯობათ! თქვენ უსათუოდ რამე საქმისთვის გაისჯებოდით!

გოფსტად. დიად, თითქმის რომ საქმისთვის—მინდოდა გაზეთის შესახებ მომელაპარაკნა.

**ბუტგ.** სწორედ მეც ვგრე გავიფიქრე... ხმა დადის, ვითომ ჩემი ძმა თქვენი გაზეთის ბეჯითი თანამშრომელი იყოს!..

**გოფსტად.** მართალია, ბატონო; როდესაც რომელიმე სპეციალური საგნის შესახებ სათქმელი რამე გაუჩნდება, ის უფრო ჩვენს „მოამბეს“ მომართავს ხოლმე, ვიდრე სხვა გაზეთს.

**ქ. შტოკ.** (გოფსტადს) ხომ არაფერს მიირთმევთ? (უჩვენებს სსსადილო ოთახზედ.)

**ბუტგ.** არ გეგონოთ, რომ მე ჩემ ძმას ვკიცხავდე იმისთვის, რომ ის უფრო იმ წრისთვის სწერავს, რომელსაც უფრო თანაუგრძნობს, ღმერთმა დამიფაროს! პირადათ მე, ბ. გოფსტად, არავითარი საფუძველი არა მაქვს, რომ თქვენი გაზეთით უკმაყოფილო ვიყო.

**გოფსტად.** მე მგონია, რომ ეგრეც უნდა იყვეს.

**ბუტგ.** მაგ მხრივ, ჩვენს ქალაქზედ სიკეთის მეტს ვერაფერს იტყვის კაცი. სწორედ საკვირველია, ღმერთმანი, რამოდენად მომთმენნი და ერთიერთმანეთის გამტანნი არიან ჩვენი მოქალაქენი. მაგრამ ამის მიზეზის ძებნას დიდი ხანი არ მოუხდებით, თუ მოვიგონეთ, რომ ყველას ერთი მიზანი და ერთი მისწრაფების საგანი გვაერთებს და ეს მიზანი ხომ ყველას ერთგვარად და თანასწორად შეგვეხება.

**გოფსტად.** თქვენ ზღვის აბანოებზედ თუ ლაპარაკობთ?

**ბუტგ.** დიად, მართალსა ბრძანებთ, მე ჩვენი აბანოები მქონდა მხედველობაში. თქვენც მალე დარწმუნდებით, ბ. გოფსტად, რომ მალე მთელი ჩვენი მოქალაქეობრივი ცხოვრება ამ აბანოებზედ დამყარდება და აქ დაიწყებს მისი სიცოცხლის ძარღვი ცემას. მე ამის ეჭვიც კი აღარა მაქვს.

**ქ. შტოკ.** ჩემი ტომასიც სწორედ მაგ აზრისაა...

**ბუტგ.** ამ სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში როგორ უცბად წამოიწია ჩვენმა ქალაქმა თავი! ფულმა ჩვენს



გაყინულს ცხოვრებაშიც კი სიცოცხლე და მოძრაობა შემოიტანა. ჩვენს მამულებს და სახლებს დღითი, დღე ფასი ემატებათ.

**გოფსტად.** გასამრჯელოსაც უფრო მეტს იღებს ეხლა ადამიანი.

**ბურგ.** სრულ ჭეშმარიტებასა ბრძანებთ. ღარიბების შენახვა ეხლა უფრო ნაკლებათ გვიჯდება და თუ ამ ზაფხულმაც კარგათ ჩაიარა და საბანაოდ ბევრნი ჩამოვიდნენ, მაშინ ისიც აღარ დაგვეხარჯება, რაც ეხლა გვაქვს იმათთვის გადადებული.

**გოფსტად.** მე მგონია, თქვენი ნატვრა უნდა ასრულდეს.

**ბურგ.** დიად, საქმე ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის. დღე ისე არ გაივლის, რომ ან წერილი. ან დებეშა არ მოგვივიდეს სუყვლა მხრიდგან იმას გვეკითხებიან, თუ სეზონი როდის ისხნება და სახლები არის გასაქირავებელი თუ არაო.

**გოფსტად.** მაშასადამე, ექიმის წერილი სწორედ კაი დროს იქნება დაბეჭდილი.

**ბურგ.** განა კიდევ დასწერა რამე?

**გოფსტად.** ეს წერილი, სადაც ჩვენი აბანოები და ქალაქის სანიტარული მდგმოიარეობაა ნაქები, შარშან ზამთარშივე იყო დაწერილი, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზით მაშინ ვერ დაგებქდე...

**ბურგ.** ალბათ ნაკლი რამ ჰქონდა?..

**გოფსტად.** პირიქით! ბატონო, პირიქით! მაშინვე ჩინებული რამ იყო, მაგრამ მე მაინც გაზაფხულზე დაბეჭდვა ვარჩიე, რადგან ამ დროს ყველა საზაფხულო დროს გატარებაზედ ჰფიქრობს და ადგილების არჩევაშია.

**ბურგ.** მშვენიერად მოქცეულხართ...

**ქ. შტაკმ.** საქმე როცა ჩვენ აბანოებს ეხება, ტოპასი დაუცხრომელი მუშაკია.

**ბურგ.** არც გასაკვირველია. ის ხომ ადმინისტრაციის წევრია!

**გოფსტად.** ეგეც რომ არ იყვეს, ჩვენი აბანოები მისი გონებისა და შრომის დაბადებულნი არიან და რა საკვირველია, რომ კაცს თავისი შვილი უყვარდეს.

**ბუგ.** თქვენ ვერე გგონიათ? მე ვიცი, სხვებიც არიან მაგ აზრისა, მაგრამ, მე მგონი, ცოტაოდენი შრომა მეც მიმიძღვის მაგ საქმეში.

**ქ. შტოკმ.** მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, ტომასიც სულ მაგას არ ამბობს?

**გოფსტადი.** მაგას არც სხვა ვინმე ჰყოფს უარს. ვინ არ იცის, რომ საქმეს წინმსვლელობა თქვენ მიეცით და თქვენვე დააფუძნეთ პრაქტიკულად; მე მხოლოდ იმის თქმამინდოდა, რომ პირველი იდეია ბ. ექიმს ეკუთვნის მეთქი.

**ბუგ.** დიად, ჩემ, ძმას სამწუხაროდ, ძალიან ბევრი იდეები ჰქონდა თავის დროზე, მაგრამ რა? მათ განსახორციელებლად სულ სხვა ყალიბის ხალხია საქირო. მე არ მეგონა, თუ აქაც...

**ქ. შტოკ.** ძვირფასო მაზლო!..

**გოფსტ.** მერწმუნებთ, ბატონო შტოკმან?..

**ქ. შტოკ.** ბ. გოფსტად, თქვენ რომ გესაუზმათ, ძალიან კარგს იზამდით, საცაა ჩემი ქმარიც მოვა.

**გოფსტ.** გმადლობთ, საუზმის წინააღმდეგი სწორედ არაფერი მაქვს (მიღის სსსადილო ოთახისაკენ).

**ბუგ.** (ხაჩევანის ხმით) საკვირველია, ღმერთმანი, ე დაბალ წოდებიდან გამოსულებს რომ თავისი მოუხეშობა მაინც შერჩებათ ხოლმე!

**ქ. შტოკ.** მერე რად აქცევთ მაგას ყურადღებას? ნუ თუ თქვენ და ტომასს ვერ გაგიყვიათ პატივი მაგ საქმის გაკეთებისა და ძმურად ვერ მორიგებულხართ?

**ბუგ.** დიად, ქვე ვერე უნდა ყოფილიყო; მაგრამ, სამწუხაროდ, როგორცა ვხედავ, ყველას არა სურს ამ პატივის გაზიარება.

- ქ. მტკა. რასა ბძანებთ! თქვენ ისე ხართ ერთმანეთში განწყობილნი... (უუწეს წაუგდებს). აი, მგონი ისიც მოვიდა. (მიდის და დერეფნის კბრებს გაადებს).
- ქ. მტკა. (კარებს იქით იცინიას და ხმა-მადლა ღაპანაკობს) აი, გაგახარო, ჩემო კატო, ახალი სტუმარი მოგგვარე. მობრძანდით! აი, ამ ლურმანზე თქვენი პალტო დაჰკიდეთ, ქული მე მომეცით—ესრე! წარმოიდგინე, კატო, აი აქ ჩვენ ქუჩაზე შემხვდა და ძლივს გავაბედინე სახლში შემოსვლა (გარსტუკრი შემოდის და ქაჯბატან მტკაშანისას თავს უკრავს. ექიმი კარებში შეჩერდება). თქვენც მოდით, ბავშვებო! წარმოიდგინე, კატო, ბავშვებს ისევა შიანთ! მობრძანდით, მობრძანდით, ბ-ნო გორსტერ. უსათუოდ უნდა მიირთვათ ჩვენი როსტბიფი (გარსტუკრი მიჭუკავს სასადაღოში, უკან ეილიფი და მორტენა მისდევენ).
- ქ. მტკა. ტომას, განა ვერ შეამჩნიე?..
- ქ. მტკა. (კარებში შემოტრიალდება) ერიჰა! ეს რა დამემართა, შენა ხარ, პეტრე? (მიუახლოვდება და ხელს ჩამართმევს) რა კარგი გიქნია, რომ მოგგონებია. რთ და შემოვივლია.
- ბურგ. სამწუხაროდ, მე ეხლავე უნდა წავიდე...
- ქ. მტკა. ეჰ, რას ლაპარაკობ! აი ამ წუთას გროგსაც მოგვიტანენ... ხომ არ დავაფიწყდა, კატო?
- ქ. მტკა. რად დამაფიწყდებოდა, საცაა წყალიც ადუღდება (მიდის სასადაღო ოთახისკენ).
- ბურგ. როგორ? გროგიც?
- ქ. მტკა. მაშ კაცო! დაჯექ პატარა ხანს, ხათრს ნუ გაგვიტებს; ისეთი გროგი დავალეფინოთ, რომ გაგიკვირდეს...
- ბურგ. გმადლობ, მე ქეიფი არ მიყვარს...
- ქ. მტკა. მერე ეს რა ქეიფი იქნება?
- ბურგ. თითქოს რომ... (სასადაღოში გაიუწრება) საკვირველია სწორედ, ამოდენა საქმელებს როგორ ერევიან?...

**ქ. შტოკ.** (ხელუბის ფშენეტიო) მართლა და რა სასიამოვნო სა-  
ცქერია, როცა ახალგაზდობა მეგლსავით იჯმუჯენ-  
ბა! ყოველ წუთს და ყოველ საათს მშიერი—რა  
მშვენიერია, ღმერთმანი! ეგრეც უნდა იყვეს, მე და  
ჩემმა ღმერთმა. ახალგაზდობამ მეტი უნდა სჯამოს,  
რომ მეტი ღონე შეიძინოს, მეტი ღონე კი მათთვის  
აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რადგან მომა-  
ვალისთვის ბრძოლა მათი მოვალეობაა. ისინი უნდა  
იღწეოდნენ ჩვენის წინმსვლელობისათვის!..

**ბურგ.** რა მოღვაწეობა, რის ბრძოლა, რას ამბობ? მე არ  
მესმის.

**ქ. შტოკ.** წადი და როცა დრო მოვა, ახალგაზდობას დაე-  
კითხე. მე და შენ ამას ვერც დავინახავთ და ვერც  
გავიგებთ—ორი გამოყრუებული ბებერი, როგორც  
ბიცი მე და შენა ვართ...

**ბურგ.** რა საზიზღარი ლაპარაკი იცი...

**ქ. შტოკ.** პეტრე, თუ ღმერთი გწამს, ჩემს ყბედობას ყურადღე-  
ბას ნუ მიაქცევ. დღეს ისეთ კაი გუნებაზედ ვარ,  
რომ არც კი ვიცი, რას ვლაპარაკობ... ამ ახლად  
აღორძინებულ და მშვენივრად აბიზინებულს ცხოვ-  
რებაში ჩემს თავს მეტის-მეტ ბედნიერ კაცად ვსთვლი.  
სწორედ რომ სთქვას კაცმა, მე და შენ, პეტრე,  
კაი დროსა ვსცხოვრობთ—თითქოს ეს მშვენიერი  
ქვეყნიერობა ეხლა აღორძინებულა და შენს გვერ-  
დით, შენს თვალ წინ იზრდებაო...

**ბურგ.** შენ ეგრე გეჩვენება?

**ქ. შტოკ.** შენ ისე ცხადათ ვერ დაინახავ ყველა ამას, ჩემო  
პეტრე, როგორც მე.—შენ მთელი სიცოცხლე აქ  
გაგიტარებია, ყველაფერს შესჩვევიხარ და გრძნობა-  
ნი მოგჩლუნგებია,—მე კი, რომელიც სადღაც გადა-  
ვარდნილს და გადაყრუებულს ჩრდილოეთში ვსქჳნე-  
ბოდი მცენარესავით და იშვიათად. თუ შემომესმო-  
და როდისმე ცოცხალი ადამიანის სიტყვა, ლაპა-

რაკი—სულ სხვასა ვგრძნობ—ასე მგონია, სადღაც საარაკო, სატახტო ქალაქში ვაფნდი მეთქი უცბად...

ბურგ. ჰმ... სატახტო ქალაქშიო?...

ქ. შტოკმ. მე კარგათ ვიცი, რომ შედარებით სხვა ადგილებთან და სხვა ქვეყნებთან ჩვენი ქალაქიც უნდა გადაყრუებულ ადგილად ჩაითვალოს, მაგრამ სანაცვლოდ მომავალი ჩვენია და სამუშაოც—გასაკეთებელიც ბევრი გვაქვს—აი ჩვენი უპირატესობა.—ეს სულ უმთავრესია. (უძახას) კატო, ფოტალიონი ხომ არ მოსულა დღესა?..

ქ. შტოკმ (სასაღიჯოდან). არა, არ დამინახავს...

ქ. შტოკმ. მერე ისიც ბევრსა ნიშნავს, რომ ლჯკმა პურის შოვნა აღარ გაწუხებს და თავისუფლად ემსახურები შენს მიზანს. იმ გაქირვებისა და ვაი ვავლახის შემდეგ, რომელიც გამოვიარე მე უკვე იმ დაწყველილს ჩრდილოეთში, ამის არ დაფასება არ შემიძლიან.

ბურგ. რა სიტყვა-პასუხი გაქვს!...

ქ. შტოკმ. რა, რა დასამალია? ბევრი გაქირვება გამოვიარე, მაგრამ სანაცვლოდ ეხლა მეფესავით შემიძლიან ვიცხოვრო! აი, მაგალითად, დღეს როსტბიფი გექონდა სადილად და ვახშმისათვისაც დავგჩა. აბა, წამო, ნახე რა მშვენიერია. წამო, შეხედე მაინცა, კაცო.

ბურგ. არა, არ შემიძლიან; გმადლობ...

ქ. შტოკმ. მაშ აქეთ წამო, რა გაჩვენო—ისეთი მშვენიერი სუფრა ვიყიდეთ, რომ უკეთესი აღარ შეიძლება...

ბურგ. დავინახე, დავინახე...

ქ. შტოკმ. აბაჟური? ისიც შენიშნე? შეხედე ერთი რა მშვენიერია და! კატო აგროვებდა მაგისტვის ფულს. სუფრა და ეს აბაჟური ოთახს ძალიან ამშვენებენ—კაცი, როგორღაც თბილად, კარგათა ჰგრძნობს აქ თავსა, არა? აი აქეთ მოდექი! არა, ვგრე კი არა! აი, აქედან შეხედე!.. ბოლოს დროს მაინც კარგად მოვეწყეთ, არა?

ბუტგ. რასაკვირველია, როცა გარემოებაც ხელს გიწყობს და შენც გიყვარს ფართაში...

ექ. შტაკმ. მართალს ამბობ, ეხლაკი თავისუფლად შემიძლიან ჩემს თავს ნება მიესცე, რომ აღამიანურად ვიცხოვრო. კატო მარწმუნებს, შენი შემოსავალი სრულიადა ჰფარავს ოჯახის ხარჯსაო...

ბუტგ. ჰო, თითქმის, რომ უნდა ჰფარავდეს...

ექ. შტაკმ. მეორეც ისა, პეტრე, რომ იმ კაცს, ვინც მეცნიერებას ემსახურება, ეპატიება და შეჭფერის კიდევ ბატონურად ცხოვრება. მე მგონია, რომელიმე შერიფი ათჯერ და ოცჯერ ჩემზედ მეტს უნდა ჰხარჯავდევს...

ბუტგ. ეგ საკვირველიც არ არის, თუ იმ განსხვავებას მივიღებთ მხედველობაში, რომელიც თქვენ შორის უსათუოდ უნდა იყვეს—შერიფს იმისთანა ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, რომ სხვაფრივ...

ექ. შტაკმ. მართალი რომ სთქვას კაცმა, ფლანგვაც არ მიყვარს! ახლა იმას ხომ ვერ ვიხამ, რომ სულ მთლად გამოვსწყდე საზოგადოებაში და ბერსავით გამოკეტილ სენაკში ვიცხოვრო. საზოგადოება ჩემთვის ისევეა საჭირო, როგორც სხვისთვის არსებითი პური, როგორც ჰაერი, ურომლოდაც ცხოველებსაც კი ვერ გაუძლიათ. ისიც მეყოფა, რაც მარტობა გამოვიარე. მე მხოლოდ მაშინ ვგრძნობ თავს ბედნიერად, როცა ჩემს თავს თავისუფლების მოყვარულ და მშრომელ ახალგაზღობაში ვხედავ ხოლმე. სულ ესეთები არიან, ვისაც შენ აქა ჰხედავ. მე მინდა, პეტრე, რომ გოფსტადი კარგად გაიცნო შენ და დაუახლოვდე.

ბუტგ. მოგონებაზე... გოფსტადი მართლა აპირებს შენი წერილის დაბეჭდვას?

ექ. შტაკმ. ჩემი წერილის?

ბუტგ. ჰო. აი, შარშან ზამთარს რომ დაგიწერია ჩვენი აბანოების შესახებ.

- ექ. შტოკმ. ჰო, ისა! მე ის აღარ მინდა, რომ დაიბეკდოს!
- ბუზგ. რადა? მე მგონია, ბ.გოფსტადის სწორედ კაი დრო ამოუჩრჩევია!
- ექ. შტოკმ. შეიძლება... გარემოებანი რომ არ გამოცვლილიყვნენ... (დაიწიკებს ოთახში სიარულს).
- ბუზგ. (თვალს ადევნებს) განა გარემოებანი გამოიცვალნენ მერე?
- ექ. შტოკმ. (გაჩერდება) ტყუილა ნუ მკითხავ, პეტრე, სულ ერთია, ჯერ ვერაფერს გიტყვი... ჩვენ აწმყო მდგომარეობაში შეიძლება ბევრი რამ არა ჩვეულებრივი გამოდგეს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ არაფერი შეიცვალოს. ვინ იცის! იქნება მე ვსცდები და სუყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფია.
- ბუზგ. რა გამოცანებით ლაპარაკობ? განა ისეთი მოხდა რამე? ისეთი რა უნდა იყვეს, რომ მე დამემალებოდეს? მე მგონი, მე როგორც კომიტეტის თავმჯდომარეს...
- ექ. შტოკმ. მე კი მგონია, მე, როგორც... ეჰ, ისევ გვიჩვენია ეს ლაპარაკი შევსწყვიტოთ. ნუ წავიჩხუბებით.
- ბუზგ. ღმერთმა დაშიფაროს! მე ჩხუბებს და კინკლაობას ჩვეული არ გახლავარ. მაგრამ ამასთანავე გეტყვი, რომ მე მოვალე ვარ ვიხმარო ყოველი ღონე და ძალა, რომ საქმეები ისე სწარმოებდნენ, როგორც კანონითაა დადებული. მე არ შემიძლიან ფარულ და უკანონო საქმეში მონაწილეობა მივიღო.
- ექ. შტოკმ. როგორ? მაშ მე ფარულად და უკანონოდ ვიტყვი?
- ბუზგ. რაც გინდა იყვეს, იმას მაინც ვიტყვი, რომ შენ ბავშვობითვე გგქონდა ეგ საძაგელი ხალათი—ყოველთვის ისე გინდა მოიქცე და ის გააკეთო, რაც შენ გსურს და მოგწონს. ამისთანა საქციელს კი არც ერთი დაწესებულება და არც ერთი ამხანაგობა არ მოგიწონებს და არც თუ ნებას მოგცემს მაგგვარი

მოქმედებისას. კერძო პირი ყოველთვის უნდა ექვემდებარებოდეს და ემორჩილებოდეს საზოგადოებას, ან უკეთ რომა ვსთქვათ, იმ ავტორიტეტებს, რომელნიც თვალს ადევნებენ ამხანაგობას და მის კეთილ-დღეობას.

ექ. შტაკმ. ვსთქვათ ეგ ყველა მართალია, მაგრამ მე რაღა შუაში ვარ?

ბურგ. აი საქმეც მაგაშია, ძვირფასო ტომასო, რომ მაგას შენ ვერასოდეს ვერ მიხვდები. მაგრამ ფრთხილად კი იცავ; ადრე თუ გვიან, მაგგვარი საქციელისათვის შენ პასუხს მისცემ. მე ჩემი მოვალეობა ამისრულებია და გამიფრთხილებიხარ, ახლა შენ იცი! მშვიდობით!..

ექ. შტაკმ. რას ლაპარაკობ, კაცო, ხომ არ გაგიჟდი? შენ ძალიან სცდები, თუ გგონია...

ბურგ. მე საზოგადოათ ძალიან იშვიათად თუ როდისმე შევესცდები. კარგი, დავანებოთ ამას თავი... (სასადილო ოთახში შეოფთ უკრავს თავს) მშვიდობით, რძალო, მშვიდობით! (შიდის)

ქ. შტაკმ (გამოდის სასადილო ოთახიდან) პეტრე წავიდა?

ექ. შტაკმ. დიად, წავიდა, მაგრამ ძალიან კი გაჯავრდა.

ქ. შტაკმ. რა არის, ჩემო ძვირფასო, კიდევ აწყენინე რამე?

ექ. შტაკმ. არა, ღმერთმანი, მე ისეთი არაფერი მითქვამს, რომ საწყენი ყოფილიყვეს. რაექნა, ყველაფერში ხომ ანგარიშს ვერ მივსცემ და ისიც უდროოა დროს.

ქ. შტაკმ. ანგარიშსაო? რა ანგარიში უნდა მიგეცა?

ექ. შტაკმ. ჰმ.. ნუ მკითხავ, ჩემო კატო, ნუ! ისევ სჯობია ჯერ სრულიად არ ვილაპარაკოთ ამ საგანზედ. (სათს დაჭნედავს) რაექნა, რატომ წერილები არ მოაქვთ აქნობამდის?

(გოფსტადი, ბილდინგი და გოფსტერი ადგებიან და სასტუმრო ოთახში გამოვლენ, თან ეილდუი და მორტუნიც გამოჭეუებიან).

ბილდინგი (იზმორება). უჰ, ლაზათ! ამისთანა ქეფის შემდეგ ასე გგონია ეხლა დავიბადეო.

გოფსტადი. ბურგომისტრი დღეს როგორღაც კაი გუნებაზედ ვერ იყო.

ქ. შტაკმ. ეს სულ კუჭის ბრალია; საწყალს კუჭი მოშლილი აქვს და ეს ბევრსა მოქმედობს იმის ხასიათზედ.

გოფსტადი. მაშ ჩვენ „მომამის“ სტრიქონებს ხომ სულ ვეღარ მოინელვებს!

ქ. შტაკმ. თქვენ ისე მეგობრულად ელაპარაკებოდით, ბ. გოფსტად, რომ მე მეგონა თქვენისთანა მეგობრები სხვაგან ვეღარ მოიპოვებიან მეთქი.

გოფსტადი. ოო, რასაკვირველია! მაგრამ ამას კი მოგახსენებთ, რომ ეგ ზავი ჩვენში დროებითი გახლავთ.

ბაღღანგი. ღმერთი გამიწყრეს, თუ ეგ სიტყვა ნამდვილად არა ჰხატავდეს საქმის ვითარებას!

ქ. შტაკმ. ყმაწვილებო, ნუ დაივიწყებთ, რომ პეტრე უცოლ-შვილო კაცია და ოჯახის სიამოვნებას სრულიად არის მოკლებული; იმას ერთი სამსახური და დარჩენია და იმის მეტი მას აღარაფერი გააჩნია ქვეყნიერობაზე. მერმე ჩაიმაც, დილიდან მოყოლებული საღამომდინ რომ ჰყლაპავს, არ შეიძლება ცუდათ არ იმოქმედოს იმის ხასიათზედ... მაგრამ სულ დავანებოთ ამ საგანზე ლაპარაკს თავი ისა სჯობია! აბა, ყმაწვილებო, სკამები ავილოთ და დავსხდეთ! კატო, გროგი ჯერ გზათ არ არის?

ქ. შტაკმ. (მიდის სსსადილო ოთახისკენ) აი, ამ წუთს მოგიტანთ.

ქ. შტაკმ. თქვენ, ბ. გორსტერ, აი აქ, ჩემს გვერდით დაბრძანდით — თქვენ ისეთი იშვიათი სტუმარი ბრძანდებით, რომ... დასხედით, მეგობრებო, დასხედით!...

(ვაჟები მ:გიდას შემოუსხდებიან, ქ. შტაკმ. შემოაქვს ფოდნისი — ჭიქებით, გრაფინით და სხვა).

ქ. შტაკმ. აბა, სუყველაფერი მოგართვით! აი რომი, ეს კონიაკი და ესეც არაყი. ყველამ თავის ხელით დაისხას.



ქ. შტაკო. (ჭიქას აიღებს ხელში) აბა დავიწყეთ. (იმ დროს  
 წოდება ქ. შტაკო. გაზრდის ურეეს კოვზით). ეხლა სიგარაც  
 მოგვიხდებოდა, ეილიფ. აბა ერთი წამოხტი და სიგა-  
 რები მომიბრებინე, შენ, მგონი, იცი საცა ვინახავ  
 ხოლმე; შენ კი, მორტენ, ჩიბუხი მომიბეზენე. (ბავშვები  
 მარჯვენა გადიან) მე მგონი, ეილიფი სიგარას უნდა  
 ეწეოდეს ხანდისხან, მაგრამ მე მინდა არ გავაგებინ-  
 ნო, რომ მიხვედრილი ვარ. (უძახის) ჩიბუხი რაღა  
 იქნა, მორტენ? კატო, ერთი თუ ღმერთი გრწამს,  
 აჩვენე რაცა ჩიბუხი. აა, კარგი, კარგი, თითონ  
 იპოვნა (ბავშვებს ჩიბუხი და სიგარები შემაქვთ) აბა,  
 მეგობრებო, შეუდგეთ ეხლა... იცით ეს ჩიბუხი ჩემ-  
 თვის რა არის? ეს ის მეგობარია, რომელმაც არც  
 ერთ გაჭირვებაში თავი არ დამანება და არ დამაგლო-  
 ბედის ანაბარათ—კიდევ იმიტომ მიყვარს ასე უზო-  
 მოთ. (ჭიქას მიუკაკუნებს) ღმერთმა გადღეგრძელოთ!  
 რა მშვენიერია, ღმერთმანი, იჯდე თბილათ შენს  
 ოთახში და მეგობრებში დროს ატარებდე — არც  
 ქარისა გეშინიან, არც წვიმისა და ავროისა და არც  
 სიცივისა.

ქ. შტაკო. (ზის და წინასა ჭიქას) თქვენ, ბ. გორსტერ, მალე  
 აპირებთ აქედან გამგზავრებას?

გორსტერსა. მე მგონი, იქით კვირას დავიძრებით კიდევ ადგი-  
 ლიდან.

ქ. შტაკო. ეხლა საით? ამერიკაში მიემგზავრებით?

გორსტერსა. დიალ.

ბილდინგი. მაშ, როგორც გეტყობათ, არჩვენებს არ გინდათ  
 დაესწროთ. .

გორსტერსა. რა არჩვენებს? განა კიდევ აპირებთ რამეს?

ბილდინგი. ნუ თუ, არც კი იცით?

გორსტერსა. მაგისტანა საქმეებში მე ვსცდილობ არ ჩავერიო  
 ხოლმე

ბილდინგი. მაშ, საზოგადო საქმეები სრულიად არ გაინტერე-  
 სებენ?

- გოტსტეკ.** მაინტერესებენ კი არა და, სწორედ მოგახსენოთ, ეგ თქვენი საზოგადო საქმეები მე ვერც კი შემიგნია.
- ბაილინგი.** ეხლა კი ისეა გამწვავებული საქმე, რომ ყველა უნდა სცდილობდეს ისარგებლოს თავისი ხმით და უფლებებით.
- გოტსტეკ.** როგორ? ისინიც კი უნდა სარგებლობდნენ, ვისაც არ ესმის საზოგადო საქმე და ვერც შეუგნია მათი მნიშვნელობა?
- ბაილინგი.** არ ესმისო? მაგის თქმა როგორ შეიძლება? საზოგადოება იგივე გემია და მის სათავეში ჩადგომა მართვა და გამგეობა ყველამ უნდა იცოდეს და, რასაკვირველია, ესმოდეს კიდევ.
- გოტსტეკ.** შეიძლება ხმელეთზედ ვერე იყვეს, არ შეგეჯიბრებით, მაგრამ რაც კი ზღვას შეეხება... რა მოგახსენოთ? იქაც რომ ყველა ჰკიდებდეს ხელს..
- გოტსტეკი.** საკვირველია სწორედ, ზღვაზედ მოსიარულე ხალხი რადა ჰკარგავს ხოლმე საზოგადო საქმეებისადმი ყოველ ინტერესს?..
- ბაილინგი.** მაგ კითხვას მეც ბევრჯერ დაუფიქრებიავარ...
- ქ. შტაკ.** ზღვაოსანნი, ბატონებო, ფრინველები არიან, რომელნიც ზამთრობით თბილ ქვეყნებში გადასახლდებიან ხოლმე — ისინი ჩრდილოეთში არიან თუ სამხრეთში, თავს ყოველთვის საკუთარ სახლში ჰგრძნობენ. მით უფრო მეტი შრომა და ენერჯია დაგვიკირდება ჩვენ, გოტსტეკ! მართლა, „მოამბეში“ ხვალ საინტერესო არაფერი იქნება?
- გოტსტეკი.** არა, ადგილობრივ ცხოვრებას არაფერი შეეხება. ზეგის ნომერში კი თქვენი წერილი მინდა მოვათავსო.
- ქ. შტაკი.** ჩემი წერილი? არა, გოტსტეკ, ცოტა მოიცადეთ, ჯერ ნუ დაჰბეჭდავთ.
- გოტსტეკი.** რასა ბრძანებთ, ეხლა მშვენიერი დროა იმის დაბეჭდვისა, თავისუფალი ადგილიც ბევრი გვაქვს გაზეთში.

- ექ. შტოკმ. შეიძლება, მაგრამ მაინც ცოტა მოცდა დაგვირ-  
 დებათ... მიზეზს მერე გეტყვით...
- (დერეფნიდან შეიშლის ჰეტრა შლიაზით და ჰაღტოთი,  
 ხელში რეუულები უჭირავს).
- ჰეტრა. სალამო მშვიდობისათ!
- ექ. შტოკ. აა, შენა ხარ ჰეტრა? გამარჯობა შენი, გამარჯობა!  
 (ეუკლანი მიესალმებიან; ჰეტრა მოიხდის შლიაზის, ჰაღ-  
 ტოს და კარებთან მდგარ სკამზედ ჩამოჯდება.)
- ჰეტრა. თქვენ აქ დროს გასატარებლად შეყრილხართ და  
 მეკი ვაკვეთილებზედ დავრბოდი.
- ექ. შტოკმ. აი, გენაცვა, შენც შემოგვიერთდი რა!  
 ბაღღინგი. ნება მიბოძეთ, ბატონო, გროგი მოგართვათ.
- ჰეტრა (შაგიდას მიუხლოვდება). გმადლობთ, ნუ შესწუხდე-  
 ბით. მართლა, მამა, დღეს შენ სახელზედ წერილი  
 იყო (დაბრუნდება და იმ შაგიდას მიუხლოვდება, რომელ-  
 ზედაც რეუულები დააწყო).
- ექ. შტოკმ. წერილი? ვისგან არის მერე?
- ჰეტრა (ჰაღტოს ჯიბეში ეძებს). დილას, ვაკვეთილებზედ რომ  
 მივდიოდი, ფორტალიონს გამოვართვი და...
- ექ. შტოკმ. (აღება და ჰეტრას მიუხლოვდება) მერე, შე უღმერ-  
 თო, აქამდის ჯიბეში გედო, არ შემატყობინე?
- ჰეტრა. რა ექნა, მამილო, დრო არა მქონდა, რომ შემომე-  
 ვლო. (ეძებს) აი ვიპოვნე.
- ექ. შტოკმ. (ხელიდან გამოჰკვლიჯავს) მაჩვენე ერთი, მაჩვენე  
 (აღრესს ჰკითხულობს) ის არის, ის!
- ქ. შტოკმ. ეგ ის წერილია, ტომას, ამ ბოლოს დროს რომ  
 ელოდი?
- ექ. შტოკმ. ის არის, ის! მოიცა ერთი, წავიკითხო. . ლამაზა  
 სად არის, კატო? ჩემ ოთახში ლამაზა კიდევ არ და-  
 გინთიათ განა?
- ქ. შტოკმ. როგორ არა, საწერ მაგიდაზედ არა სდგას?!
- ექ. შტოკმ. კარგი, კარგი! უკაცრავათ, ყმაწვილებო, ცოტა  
 ხნით თავს დაგანებებთ (გადის მარცხნივ ოთახში).

პეტრა. ნეტა რა წერილია, დედი?

ქ. შტოკმ. რა ვიცი გენაცვა. ეს რამდენიმე დღეა თვალი სულ გზისკენ ექრა და ფორტალიონს ჰკითხულობდა.

ბაღდინგა. რომელიმე სოფელში მყოფ ავადმყოფისაგან იქნება, უსათუოდ...

პეტრა. საწყალი მამა! საცაა ისეთი მუშაობა დაწყება, რომ ერთი წუთიც კი აღარ ექნება თავისუფალი. (გრძელდასსმს) რა სასიამოვნო სასმელია ეს გროგი!

გოფსტადი. დღესაცა გქონდათ, ბატონო, საღამოს გაკვეთილი?

პეტრა. (ჭიქაღვან მსვამს) დიახ. ორი საათი.

ბაღდინგა. ოთხი საათიც დილას ინსტიტუტში!

პეტრა (მაგიდას მიუჯდება). ხუთი!

ქ. შტოკმ. რვეულებიც წამოგიღია გასასწორებლად, ახლა დღეს მთელ საღამოს მაგათ მონადომებ.

პეტრა. მერე რამდენია! მთელი ხროვაა.

გოფსტადი. როგორც გეტყობათ, ბატონო, საქმე არასოდეს არ გელევათ ხოლმე.

პეტრა. მართალია, საქმე კი ყოველთვის ბევრი მაქვს, მაგრამ საკვირველია, რომ ეს მუშაობა შე სრულიადაც არ მაძიძიებს. პირიქით, რა მშვენვივრდა ვგრძნობ ხოლმე თავსა, როცა დაღალულ-დაქანცული მოვალ და მივეგდები დასასვენებლად.

ბაღდინგა. როგორ? თქვენ მოგწონთ კიდევ მუშაობით და ქანცვა?

პეტრა. განა მოსაწონი არ არის? მერე რა ტკბილადა სძინავს მაშვრალ ადამიანს.

მორტენ. მაშ, დიდი ცოდვილი უნდა იყვე შენ, პეტრა?

პეტრა. დიდი ცოდვილიო?

მორტენ. ჰო; მაშ რაღა მუშაობ მაგდენს? აი ბ. რერლუნგი გვეუბნება ხოლმე მუშაობა ჩვენი ცოდვების გამო არის ღეთისგან გაჩენილი დასასჯელადო.

ქაღაფი (ზაზღათ). აი, სიტუტუცე! შენც რა რეგვენი ხარ, რომ მაგისთანა სისულელეს იჯერებ.

- ქ. შტაკი. ჰე, ჰე, ჰე, ჰე... ეილიფ!
- ბილდინგი (სიცილია). ვაშა, ვაშა, მორტენ!
- გოფსტადი. როგორც ეტყობა, მორტენს, მუშაობა არ უნდა უყვარდეს?
- მორტენ. რასაკვირველია, რომ არ მიყვარს!
- გოფსტადი. მაშ რა გინდა გამოხვიდე?
- მორტენ. ზღვაზედ ვიყარაღებ
- ეილიფი. მაშინ ხომ კერპთაყვანისმცემელი იქნები?!
- მორტენ. რა არის მერე, ვიყო რა?
- ბილდინგი. აი, მაგაში კი გეთანხმები, მორტენ. მეც სწორედ მაგ აზრისა ვარ.
- ქ. შტაკი. (ანიშნებს გაჩუქდით). ბ. ბილდინგ, თქვენ კი ხუმრობთ, ვიცი, მაგრამ ბავშვებს შეიძლება მართალი ეგონათ.
- ბილდინგი. ღმერთი გამიწყურეს, თუ ვხუმრობდე!
- ქ. შტაკი. ბავშვებო, ეხლა კი დრო არის თქვენს ოთახში წახვიდეთ. ვიცი, ხვალისთვის გაკვეთილები გექნებათ.
- ეილიფი. გაკვეთილები კი გვაქვს, მაგრამ ცოტა ხანი კიდევ დავრჩებით, დედავ!
- ქ. შტაკი. არა, აღარ შეიძლება; გეყოფათ აქჯდომა (ბავშვებო წამოხდებიან და უკვლავს გამოეთხოვებიან, მერე მარტენს ოთახში გაუქვან).
- გოფსტადი. ნუ თუ თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ ბავშვებმა მაგისტანა ლაპარაკი არ უნდა გაიგონონო?
- ქ. შტაკი. არ ვიცი, ღმერთმანი, შეიძლება თუ არა, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ არ მიყვარს მე მაგისტანა ლაპარაკი.
- შეტრა. მე კი მგონია, დედავ, რომ შენ ცოტასა სცდები მაგ შემთხვევაში!
- ქ. შტაკი. შეიძლება ვსცდებოდე, მაგრამ მაინც გავიმეორებ, არ მომწონს მაგისტანა ლაპარაკი ოჯახში და ისიც ბავშვებთან.
- შეტრა. პირფერობას და სიმტყუნეს, როგორც ეტყობა, სუყველგან მოუკიდნია ფეხი—ოჯახებშიაც და სასწავლებელშიაც.

ბაღდინგი. რაც მართალია, მართალია!

ზეტრა. მე რომ შეძლება მქონდეს—მე თითონ გავხსნიდი სკოლას და სულ სხვანაირად დავაყენებდი აღზრდის საქმეს.

გოფსტადი. თუ არა ხუმრობთ და მართლა გინდათ თქვენი აზრის განხორციელება—მაგ საგნისთვის მე დიდის სიამოვნებით დავითმობლით ჩემს სახლს—მამიჩემის ძველი სახლი სულ ერთია, ხომ ცარიელია; სწორედ ქვეითა სართულში ერთი დიდი დარბაზია თავისუფალი!

ზეტრა (სიცილით). არა, რასა ბრძანებთ, დიდათა გმადლობთ... სულ ერთია, არაფერი გამოვა.

გოფსტადი. რასაკვირველია, რომ არაფერი გამოვა! თქვენ, ჩემის აზრით, გაზეთის საქმეს უფრო კარგათ წაიყვანდით. მართლა, ის ინგლისური რომანი ვერ გადაათვალიერეთ, ამას წინად რომ დაგეპირდით გადაგითარგმნითო?

ზეტრა. არა, ჯერ არ გადამითვალიერებია, მაგრამ დანიშნულს დროზედ კი მოგართმევთ თარგმანს, ნუ შესწუხდებით. (გამოდას ექ. შტოკმ. თავის ოთახიდან ჯა ხელში წერილი უჭირავს).

ექ. შტოკმ. (წერილის ქნევით) ახალი ამბები, ყმაწვილებო, და მერე ისეთები, რომ მთელ ქალაქს შეარყევს და ათას მითქმა-მოთქმას გამოიწვევს.

ბაღდინგი. ახალი ამბები?

ქ. შტოკმ. რა ახალი ამბები, ტომას?

ექ. შტოკმ. ახალი გამოკვლევა, კატო, გამოკვლევა და მერე რისა?

გოფსტადი. რაიო?

ქ. შტოკმ. შენი გამოკვლევა?

ექ. შტოკმ. დიახ, ჩემი გამოკვლევა, სწორედ ჩემი! (სიარულს დაიწყებს) აბა წავეიდნენ და ეხლაც გამკიცხონ ფანტაზიებს და სულელურ აზრებს მისდევსო. ეხლა ველარ გაჰბედავენ. ჰა, ჰა, ჰა! ეხლა კრინტსაც ველარ დასძრავენ.

პეტრე. მამა, გვითხარი რა ამბავია, რაღას გვაწვალებ?

ქ. შტოკმ. კარგი, კარგი, ცოტა დრო მომეცით და სუყვე-  
 ლაფერს გაიგებთ. ეჰ, ეხლა რომ პეტრე ყოფილიყო  
 აქა!.. აი იმის დასამტკიცებელი საბუთი, თუ ხალხი  
 თავის აზრს და შეხედულობას საგანზედ როგორ  
 არდგენს.—კაცი ბრმაა, როგორც თხუნელა...

გოფსტადი. მაგთი რის თქმა გნებავთ, ექიმო, მე ვერ გავიგე?

ქ. შტოკმ. (შავიდასთან გაწერდვს) ჯერ ერთი ეს მითხარით,  
 ყველას არა გგონიათ, რომ ჩვენი ქალაქი საღ ად-  
 გილზედ არის გაშენებულიო?

გოფსტადი. მაგაში ექვი არავისა გვაქვს.

ქ. შტოკმ. დიახ, საღ ადგილზეო და ისიც იმოდენად საღ-  
 ზეო, რომ ყველას საღ ადამიანსაც და ავადმყოფ-  
 საც დაუფიქრებლივ ჩვენკენ უთითებენ—იქ წადით  
 და იქ განიკურნებითო.

ქ. შტოკმ. ტომას...

ქ. შტოკმ. სხვებს არც ჩვენ ჩამოვრჩით—ჩვენც ბევრჯერ  
 გვიქია და გვიდიდებია ეს ადგილები. მე თითონ  
 ერთხელ და ორჯერ არ გამიტარებია ეს აზრი „სა-  
 ხალხო მოამბეში“ და კერძოთამ საგნისთვის გამოცე-  
 მულ პატარ-პატარა ბროშურებში...

გოფსტადი. მერე რა მოხდა ახლა, რაო?

ქ. შტოკმ. ის აბანოები, რომლებსაც ჩვენ „ქალაქის გულს“  
 ვუწოდებდით, იმის „ცენტრალურ ნერვს“ და კიდევ  
 რა ვიცი რამდენ სხვა რამეს...

ბილდინგი. ჰო, ერთს კრებაზედ „მოფრთხილვე ქალაქის გული“  
 მეც ვუწოდებ ერთხელ...

ქ. შტოკმ. მართალია, ყველანი ვიყავით აღტაცებულნი, მა-  
 გრამ იცით, ეს ნაქებ-ნადიდი აბანოები ნამდვილად  
 რას წარმოადგენენ თურმე? იცით მეთქი, გვეითხე-  
 ბით, რას წარმოადგენენ ეს აბანოები?

გოფსტადი. რასა, რას წარმოადგენენ?

ქ. შტოკმ. გვითხარი რაღა, რაშია საქმე?

- ქ. შტოკმ. ეს ნაქები ადგილები წარმოადგენენ იმ საძაგელს და მყარალ ორმოს, სადაც რა სენსაც გინდათ, შეიძინთ და მერე სხვასაც გადასცემთ.
- შეტრა. ჩვენი აბანოები?
- ქ. შტოკმ. დიახ, დიახ, ჩვენი აბანოები!
- გოფსტადა. ნუ თუ არა ხუმრობთ, ბ. ექიმო?
- ბილდინგა. ეს დაუჯერებელია!
- ქ. შტოკმ. მე თქვენ გეუბნებით ეს ადგილები ადამიანობის ჯანსაღობისათვის მეტის-მეტად არიან მეთქი მავნებელი! ის საძაგელი უსუფთაობა, რომელიც მილდელიდან იღებს სათავეს და საზიზღარ სიმყარეს ავრცელებს ქალაქში, მიღებში გამოყვანილ წყალს თურმე სწამლავს და მერეწლდის ნაპირებშიც გადის...
- გოფსტადა. საცა აბანოებია?
- ქ. შტოკმ. სწორედ იქა.
- გოფსტადა. როგორ დარწმუნდით მერე მაგაში?
- ქ. შტოკმ. ეს საქმე მე საფეხებით გამოვიკვლიე, და ამიტომ არის, რომ ასე დაბეჯითებით გელაპარაკებით მე დიდი ხანია ექვი დამეზადა. ჯერ შარშანვე შევნიშნე ჩემ პაციენტთა შორის მეტად საოფლე და საოცარი კუქის ავადმყოფობა...
- ქ. შტოკმ. ჰო, მახსოვს, შენ გიკვირდა კიდევ...
- ქ. შტოკმ. მაშინ ჩვენ გვეგონა საბანაოდ ჩამოსულმა ავადმყოფებმა თითონ ჩამოიტანეს თან ეს სენი და მერე სხვებსაც გადასდესო; მაგრამ ამის შემდეგ კი, შარშან ზამთარს ექვეში შეველი. აი, სწორედ მაშინ მიეყე ხელი და წყალს ქიმიკურად დაუწყე კვლევა.
- ქ. შტოკმ. კიდევ ეგ ყოფილა, რომ ისე გატაცებით და გამუდმებით მუშაობდი!..
- ქ. შტოკმ. მართალია, ბევრი მუშაობა დამჭირდა. აქ, თქვენც კარგათ იცით, სამეცნიერო გამოკვლევებისათვის საჭირო მანქანები არა ვაქვს და ამიტომ იძულებული ვიყავი ჩემი დასკვნა სხვებისთვისაც მეჩვენებინა და

თუ დავრწმუნდებოდით, რომ შეცდომა არ მომსვლია და სწორე დასკვნას დავსდგომივარ, მაშინ გამომექვეყნებინა. ამისათვის ზღვისა და ჩვენი სასმელი წყალი გაუგზავნე ჩვენ ქიმიკოსს უნივერსიტეტში...

გოფსტადი. მაშ ეხლა რომ წერილი მოგივიდათ, იმის პასუხი იყო?

ქ. შტაკმ. (წერილს უჩვენებს) დიახ, აი პასუხი. ეს პატარა ქალაქი ცხადათა მოწმობს, რომ ჩვენ წყალში მილიონებით დაქუთმათობენ ათასნაირი ინფუზორიები და ადამიანის სხეულს სწამლავენ. ამისთანა წყალი გინდა სასმელად იხმაროს კაცმა და გინდ საბანაოდ, სულ ერთია, მის ჯანსაღობას მალე მოუღებს ბოლოს.

ქ. შტაკმ. კიდევ კარგი, რომ დროზედ აღმოაჩინე!

ქ. შტაკმ. ეს დიდი ბედნიერებაა, დიდი!

გოფსტადი. ეხლა როგორ გინდათ მოიქცეთ, ექიმო?

ქ. შტაკმ. როგორ და საქე სრულიად უნდა გასწორდეს.

გოფსტადი. დარწმუნებული ხართ, მერე რომ შესაძლებელია?

ქ. შტაკმ. ეს უსათუოდ საქიროა. თუ ჩვენი შეცდომები დროზედ არ გავასწორეთ, ჩვენი აბანოები სამუდამოთ დაილუპებინან, მაგრამ მე ამისი არ მეშინიან, მე დარწმუნებული ვარ, რომ შეცდომა კიდევ გასწორდება.

ქ. შტაკმ. მერე ეგრე საიღუმლოდ რაღათ გადააქციე უენი გამოკვლევა?

ქ. შტაკმ. მაშ როგორ გნებავდათ, წავსულიყავ და მთელ ქალაქში მეყვირა, როცა მე თითონ ჯერ დარწმუნებულიც არ ვიყავი? არა, უკაცრავათ, მე ჯერ ჭკუაზედ არ შევმცდარვარ...

შეტრა. მთელს ქალაქში კი რად უნდა გეყვირნა, მაგრამ ჩვენ კი, მე მგონი...

ქ. შტაკმ. მარტო თქვენ კი არა, ჩემო პეტრა, საზოგადოდ ვერავის ვერ ვეტყვოდი, სანამ არ დავრწმუნდებოდი.

მე მოვალე ვიყავ ასე მოვქცეულიყავ: ხვალ კი შეგიძლიან შეიარო შენ ბებერ დათვთან და...

ქ. შტაკამ. ტომას!..

ქ. შტაკამ. კარგი, კარგი! შეგიძლიან მეთქი შენს ბიძასთან შეიარო და ყველაფერი უთხრა. როგორ გაუკვირდება ბებრუხანას! ის ბებერ ვერაფერ აზრისაა ჩემზედ. ჰგონია ჩემი ძმის თავი რიგზედ ვერ მუშაობსო. მაგრამ: მართალი რომ სთქვას კაცმა, სხვანიც ბებრნი ჰფიქრობენ მაგრე. ეხლა კი ყველას ვაჩვენებ, ყველას! (ჯადის ხედების ფშვინებით) როგორ შეფუცხუნდება ეხლა მთელი ქალაქი! არა წარმოიდგინე და! ჩვენი მიღების სისტემა სულ მთლად უნდა გამოიცვალოს

გაფსტადი. სულ მთლად უნდა გამოიცვალოსო?

ქ. შტაკამ. რასაკვირველია. მიღები მიშინ ძალიან ღრმათ ჩაწყყეს და ეხლა კი სუყველას ამოღება დაგვირდება.

შეტრა. მაშ შენ მაშინვე მართალი გითქვამს, მამა!

ქ. შტაკამ. ჰო, გახსოვს, პეტრა? ჯერ მუშაობაც არ დაეწყოთ, რომ შე მაგ საგანზედ ვწერდი კიდევ გაზეთებში, მაშინ ყურადღება არ მომაქციეს. ეხლა კი, ეხლა აშკარად დავუმტკიცებ, რომ ისინი სცდებოდნენ და მე მართალი ვიყავ. რასაკვირველია, დირექტორებთან მოხსენება დაწერილი მაქვს კიდევ, ერთი კვირა მეტია დავწერე და მხოლოდ ამ წერილსა ველოდი (წერაღს უჩვენებს). ეხლა კი ყველას შეუძლიან წაიკითხოს ჩემი მოხსენება (ჯადის კაბანეტში და ქადაგები გამაქვს). აი, უყურეთ! ოთხი თაბანი სულ წვრილის ხელით არის დაწერილი. ამ მოხსენებას ამ პასუხსაც მიუმატებ. ერთი ძველი გაზეთი არაფერია, კატო, გავახვიო... აი, ესრე. ეხლა ეს იმას გადაეცით... (ფუხს დაბარტუნებს) იმას... ეჰ, რა ჰქვიან იმ ოხერს? ერთი სიტყვით, გოგოს მიცვით და უთხარით ეხლავე ბურგომისტრს წაუღოს-თქო (ცოფი ქადაგებს გამაგრ-თმევს და სისადილო ოთახით გავა).

**პეტრა.** მამა, შენ როგორა გგონია, ძია რას იტყვის ეხლა?

**ქ. შტაკმ.** რა უნდა სთქვას? ლაპარაკი არ უნდა, გაეხარდება.

**გოფსტადი.** იმედი მაქვს, ბ. ექიმო, ნებას მომცემთ ამ ახლად აღმოჩენილ საგნის შესახებ პატარა შენიშვნა მოვითავსო „სახალხო მოამბეში“.

**ქ. შტაკმ.** დიდის სიამოვნებით, მე ძალიან მოხარული ვიქნები.

**გოფსტადი.** სასურველია ეს ამბავი საზოგადოებამ რაც შეიძლება მალე გაიგოს.

**ქ. შტაკმ.** რასაკვირველია!

**ქ. შტაკმ.** (დაბრუნდება) გავატანე.

**ბილლინგი.** ღმერთი გამიწყურეს, ბ. ექიმო, თუ თქვენ პირველი კაცი არ გახდეთ ჩვენს ქალაქში.

**ქ. შტაკმ.** (ნასიამოვნევი დადის ოთახში). ეგ სისულელეა! მართალი რომ ვსთქვა, მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევასრულე და ესეც რომ არ იყოს, ეს მხოლოდ ბედის საქმეა, მაგრამ მაინც...

**ბილლინგი.** თქვენ როგორა გგონიათ, ბ. გოფსტად, კარგი არ იქნებოდა, ჩვენი ძვირფასი ექიმის პატივსაცემლად რომ ერთი კვირა პროცესსია გაგვემართა, ბაირაღებით?

**გოფსტადი.** მაგ კითხვას მე უსათუოდ აღვიძრავ გაზეთში.

**ბილლინგი.** მაშ მე ასლაქსენს მოველაპარაკები.

**ქ. შტაკმ.** არა, ჩემო მეგობრებო, ეგ კომედიები რომ სრულიად არ დავიწყოთ, ისევე ის გვირჩევენია. მაგას მენურც კი გამაგონებთ. დირექტორებმა რომ ჯამაგირის მომატება მოინდომონ, მე არ მოგიკვდეთ, რომ არც ეგ ვისურვო. არ დავთანხმდები არასგზით!

**ქ. შტაკმ.** ძალიან კარგს იზამ, ჩემო მეგობარო!

**პეტრა** (ჭიქას აიღებს). ღმერთმა გადღეგრძელოთ, მამა!

**გოფსტადი, ბილლინგი.** გაცოცხლოთ ღმერთმა, ექიმო!

**გოფსტადი** (ჭიქას მიუკაკუნებს). ღმერთსა ვთხოვ, რომ ეს ახა-

ლი გამოკვლევა სასიხარულოდ და საბედნიეროდ  
 გაგზდომოდეთ თქვენცა და თქვენ ოჯახსაც!..

ექ. შტაკი. გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო.  
 მე ვერ გამომიტყვამს რა ბედნიერადა ვგრძნობ ეხლა  
 ჩემს თავს!.. რა ნეტარებაა, როცა შენი შრომით  
 და ერთგული სამსახურით პატივსა და მადლობის  
 გრძნობას დაიმსახურებ შენი მოქალაქეებისაგან...  
 ურა, კატო, ურა! (კისერზედ მოეხვევა და ტრიაღს  
 დაიწეებს; ცოდი ჭევირის და სტდილობს როგორმე  
 განთავისუფლდეს; სუეველანი იტინიან და ტაშს უკრავენ;  
 ბავშვები თავებს გამოჭეოფენ ოთახიდან და იუურებთან).

ივ. ზაღუმცარდვინოვა

(შემდეგი იქნება)

## „ს ა მ ნ ი“\*)

მ. გოჯისა.

თარგმნილი ივ. პოლუმორდინოვის მიერ

რამდენიმე დღე ლუნევი და ტატიანა სულ ვაჭრობის შესახებ ლაპარაკობდნენ. ქალმა ყველაფერი იცოდა და ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლეს ამკაულებით ვაჭრობაში გაუტარებიაო. ილია ღიმილით ყურს უგდებდა გაჩუმებული და მეტად უკვირდა ქალის ცოდნა და გამჭირიანობა. მას უნდოდა სახლი მალე დაეჭირავებინა, რომ რაც შეიძლებოდა უფრო მალე დაეწყო განძრახულ საქმის განხორციელება. აი ეს იყო იმის მიზეზი, რომ ტატიანას ყველაფერში სთანხმდებოდა.

ბოლოს ყველაფერი გამოირკვა,—როგორც აღმოჩნდა ტატიანას სახლიც კი ჰქონოდა მხედველობაში. ეს დუქანი სწორედ ისეთი იყო, როგორზედაც ილია მუდამ ოცნებობდა: სუფთა ქუჩაზედ, პატარა, კოპწია დუქანი, იმისთანავე სუფთა ოთახით. ილიას უწინაც ბევრჯერ ენახა ეს ოთახი,—წინათ აქ სარძევე იყო და ილიას ბევრჯერ მოხდომია აქ ყოფნა. საქმე მშვენივრად მიდიოდა, წვრილმანი ნატვრაც კი უსრულდებოდა და ლუნევი სიხარულით ზეცას ეწეოდა.

გახარებულმა საავადმყოფოსკენ გასწია, რომ ამხანაგებისათვისაც ეხარებინა თავისი გამარჯვება; საავადმყოფოში ჰაელეც გახარებული დახვდა.

\*) იხ. „მომამბე“ მე-3 №-რი.



— ხვალ მივდივარ აქედან! — მისალმების მაგიერ მიიძახა პავლემ და გაიღიმა. — ვერკასაგან წერილი მივიღე... ილანძღება... მაწყყენიო... კუდიანი!..

თვალეები უელვარებდნენ, ლოყები დაჰკვერებოდა და, სიხარულით აღელვებული, ერთს ადგილს ველარ ჩერდებოდა — მოუთმენლად ჰბორგავდა და ხან რას წააწყდებოდა, ხან რასა.

— იცოდე! — უთხრა ილიამ. — ეხლა კი სიფთხილე გმართებს...

— რასაკვირველია! მე ერთს დავეკითხები მხოლოდ: მაშხელ კაპიტანოვისა, — გსურთ თუ არა ჯვარი დაიწეროთ? თუ ჰო — მობრძანდით, არა და ეს დანა და შენი ჯანი!

პავლეს სახე დაეღრიჯა და ტანში გააჟრიალა.

— რას მიჰქარავ! — სიცილით უთხრა ილიამ. — დანა!.. რა სისულელეა!

— არა, კმარა! უიმისოდ ცხოვრება მე არ შემიძლიან... და არც თუ იმას დარჩენია ჩემს იქით სხვა გზა! საკმარისია რაც სისაძაგლე ჩაუდენია. აქამდინ უნდა გამაძღარიყო, მე მგონი... მეც აგერ, ყელში ამომდის! ხვალ ყველაფერი გადასწყდება... ესე თუ ისე...

ლუნევი ამხანაგის სახეს რომ ჩააშტერდა, ნება უნებურად გაიფიქრა:

„არც კი გაუკვირდება, რომ მოჰკლას და!..“

უცბათ თავში ნათელმა და მხიარულმა აზრმა გაუელვა. ილია გაწითლდა უცებ და მერე ჩუმად ჩაიცინა...

— პაშკა! ბოლოს ხომ მაინც მივაგენი ჩემ ბედსა!

აქ ლუნევემა მოკლეთ გადასცა ამხანაგს ყველაფერი, რასაც ამ მოკლე ხანში სულ მთლად უნდა შეეცვალა მისი ცხოვრება. პავლემ მოუსმინა, თავი ჩაჰქინდრა, ამოიოხრა მწარედ და სთქვა:

— დიახ!.. ბედი გაქვს, შე ოხერო, ბედი!..

— გუშურს?

— მა როგორ არ შეგუშურდება?..

— ისე კარგათ წავიდა ჩემი საქმე, რომ, წარმოიდგინე, მრცხვენინან კიდევცა შენი... ჰო ღმერთმანი! როგორც პატიოსანი კაცი!

— მაგაზნედაც გმადლობ! — ჩაიცინა დაფიქრებულმა პავლემ.  
 — იცი რა ვითხრა? — განაგრძო ნელის ხმით ილიამ. —  
 კვებნით კი არა, მართლა გეუბნები — მრცხვენთან მეთქი, ღმერთ-  
 თმანი!

პავლემ ხმა ამოუღებელივ შებედა ამხანაგს და თავი ჩაჭ-  
 ლუნა.

— მინდა ვითხრა... ქირსა და ვარამს ვიზიარებდით, მოდი  
 სიხარულიც გავიზიაროთ მეთქი.

— მმ... — წაიზმუკუნა პავლემ, — გამიგონია, სიხარულისა  
 და ქალის გაზიარება ერთნაირად ძნელი და შეუძლებელიაო...

— შესაძლებელია! შენ გამიგე რა არის საჭირო მიღების  
 გასაკეთებლად, რა იარაღი დასჭირდება, რა და რა ნივთი იჭ-  
 ნება საჭირო, ერთი სიტყვით ყველაფერი გაიგე... რაც და-  
 ჯდება, ყველა ამის შეძენა თუ მოწყობა, საჭირო ფულს მე  
 მოგცემ...

— ღმერთმანი? — დაეკითხა დაუჯერებლად პავლე. ლუნევ-  
 მა ხელი ჩამოართვა და მოუქირა.

— სულელი... ღმერთმანი მოგცემ! — მაგრამ კიდევ ბევრი  
 ლაპარაკი დასჭირდა ლუნევს, სანამ დააჯერებდა ამხანაგს, რომ  
 ის არა ხუმრობდა და მზათ იყო თავისი სიტყვები დღესვე გა-  
 ნებორციელებინა. პავლე თავს აქანდურებდა, რაღასაც ჰბუყუ-  
 ნებდა და ამბობდა:

— ეგრე არასოდეს არა ჰხდება ცხოვრებაში...

ბოლოს ძლივს ძლივობისას დააჯერა ლუნევმა, რომ ის  
 არა ხუმრობდა და მართლა გაუხსნიდა შილების გასაკეთებელ  
 ქარხანას. მაშინ პავლემ გადაეხვია ამხანაგს და აცახცახებულის,  
 ყრუ ხმით უთხრა:

— გმადლობ, ჩემო ძმაო! ორმოციდან ამომიყვან სწორედ...  
 მხოლოდ იცი?.. მე ქარხანა არ მინდა, წავიდეს დაიკარგოს!..  
 სადა მაქვს იმის თავი! შენ ფული მომეცი, ვერკას წავიყვან და  
 წავალ აქედან. ეს შენთვისაც კარგი იქნება ნაკლებს გამო-  
 გართმევ და მეც ეს მირჩევნია. წავალ სადმე და მე თითონ  
 სხვის ქარხანაში ვიმუშავებ...

— ეგ სისულელეა! — უთხრა ილიამ. — ის არ გირჩენია პატრონი შენ იყო?..

— მე რა პატრონი ვიქნები? — მხიარულად შესძახა პავლემ. — შე არც კი ვიცი მუშებს როგორ მოვექცე. არა, ძმაო, ეს ჩემი საქმე არ არის... მე კარვად ვიცი პატრონი რაც არის! შე პატრონად ვერ გამოვდგები! თხას ღორათ ვერ გადააქცევო, ხომ გაგიგონია?..

ლუნვეს კარვათ არ ესმოდა პავლეს უფარგისობა, მაგრამ მაინც მოეწონა მისი აზრი და უფრო კაი კაცად ეჩვენა ამხანაგი. ის მხიარულად და ალერსით უყურებდა პავლეს და ეუბნებოდა:

— მართალს ამბობ, — თხასა ჰგევხარ, სწორედ იმისეება ხარ ჩამომხმარი და გაწოწოლავებული. იცი, — შენ მეჩქემე პერფიშკასა ჰგევხარ... ღმერთმანი! მაშ ეგრე, ხვალ შემოიარე და წაიღე, რამდენიც პირველ ხელობას დაგკირდება, მე კი იაკობთან წავალ ეხლა...

— კარგი! გმადლობ, ძმაო!..

— შენ როგორა ხარ იაკობთან?

— ისე, როგორღაც ვერ შევეთანხმებულვართ... — მიუგო ღიმილით გრაჩევმა.

— უბედურია... მეტად უმძიმს მუშაობა, — წარმოსთქვა დაფიქრებით ილიამ.

— ეგ სიკეთე კი, მგონი, არავის გვაკლია... — მიუგო პავლემ და მხრები შეიშმუშნა. — მე კი მგონია სრულ ჭკუაზედ არ უნდა იყვეს იაკობი...

— შივდივარ...

— წადი...

და როცა მოშორდა ილია, პავლემ ერთი კიდევ მიადახა...

— გმადლობ, ძმაო, გმადლობ!

ილიამ ღიმილით თავი დაუქნია.

იაკობი დაღონებული და დაძმარებული დახვდა, ის გულ-აღმა ეგდო საწოლზედ, თვალები ქერისთვის მიებჯინა და ისე გაშტერებულიყო, რომ ამხანაგის შემოსვლა ვერცკი გაიგო.

— ნიკიტა ეგორიჩი სხვა ოთახში გაიტანეს, — უთხრა და-  
 ღვრემილად იაკობმა.

— ძალიან კარგი უქნიათ! — შენიშნა ლუნევა. — თორემ  
 მეტად საშიში რამ იყო... აზრებიც ისეთები ჰქონდა... ესე  
 სჯობიან!..

იაკობმა ნაწყენად გადახედა ამხანაგს და არა უთხრა-რა.

— რჩები? — დაეკითხა ილია

— ჰო... — ოხვრით მიუგო იაკობმა. — ავადმყოფობაც კი  
 არ შემძლიან, ისე უბედური ვარ... გუშინ კიდევ იყო აქ  
 მამა ჩემი. სახლი ვიყიდეთ. მეორე დუქანსა ჰხსნის თურმე.  
 ესეც ახალი უბედურება...

ილიას უნდოდა თავისი გამარჯვებით გაეხარებინა ამხანაგი,  
 მაგრამ რაღაც უშლიდა ლაპარაკს.

გაზაფხულის მხიარული მზე აღერსიანად იყურებოდა  
 ფანჯრებში, მაგრამ საავადმყოფოს ისედაც ყვითელი კედლები  
 უფრო ყვითლად გამოიყურებოდნენ. მზის სინათლეზედ კედ-  
 ლებზე რაღაც ლაქები და დასკდომილი ადგილები მოსჩანდნენ.  
 ორი ავადმყოფი საწოლზედ წამომსხდაროყვნენ და გატაცებით  
 ბანქოს თამაშობდნენ! მალალი ტანის გამხდარი, თავშეხვეული  
 კაცი უხმაუროდ ერთის კუთხიდან მეორეში გადიოდ-გამოდი-  
 ოდა. ოთახში სიჩუმე სუფევდა, თუმცა საიდლანაც ვიღაცის  
 გაბმული ხველა მოისმოდა და დერეფანში ავადმყოფების ფლოს-  
 ტებს შლაპა-შლოუბი გაუდიოდათ. იაკობს გაყვითლებული, უსი-  
 ცოცხლო სახე ედო და ამღვრეული თვალები სევდიანათ გა-  
 მოუკრთოდნენ.

— ეჰ, მოვკვდე მაინც დროზედ! — ამბობდა ის თავისი  
 ხმელი, ჭრაქუნა ხმით. — ვწევარ და ვფიქრობ: საინტერესოა  
 სიკვდილი. უსათუოდ იქ სულ სხვა იქნება... რამე თავისებური  
 და ადამიანისაგან ჯერეთ უნახველი... არც ხმაურობა... ყველა-  
 ფერი ცხადი, აშკარა და ნათელი... — აქ ხმა ჩაუარდა და უფრო  
 დაბლათ განაგრძო:

— ანგელოზნი კეთილნი და აღერსიანნი იქნებიან... ყველა  
 კითხვაზე მოგიგებენ, ყველაფერს აგისხნიან... — აქ გაჩუმდა,

თვალეზი დაახამხამა და ჰერს მიაჩერდა, სადაც ის იყო რილას-  
 ვნითაც ვადმოცემულმა მზის მკრთალმა შუქმა შეითამაშა.

— იცი...—დაიწყო ლუნვემა.

მაგრამ იაკობმა შეაწყვეტინა

— მაშეკო არ გინახავს?..

— არა...

— ინახულეზდი!.. რა იყო!..

— როგორღაც თავში არ მომივიდა.

— გულში უნდა მოგდიოდეს, თავში კი არა!..

ლუნვეს შერცხვა და ჩაჩუმდა... დერფენიდან ვილაც  
 უღვაშებ დაწყებელი, დაბალი ტანის კაცი შემოვიდა ყავარ-  
 ჯენებით და ხელ აკრულ ავადმყოფს სისინით მიუბრუნდა:

— შურა კიდე არ მოეთრა... საძაგელი... .

იაკობმა გადახედა, ამოიოხრა და მოუსვენრად შეინძრა  
 ლოგინზედ.

— აგერ ნიკიტა ეგორიჩს სიკვდილი არ უნდა, მაგრამ  
 კვდება კი... ფელშარმა მითხრა... მოკვდებაო! მე მინდა სიკვდი-  
 ლი და არა ვკვდები... მოგრჩები,—ისევე ღუქანში უნდა ვიდ-  
 გე... არყის სმას დავიწყებ და დავილუბები...

იაკობს ტუჩები დაეჭიმნენ და სახეზედ ყინულსავით ცივი  
 ღიმი შეუკრთა. მერე როგორღაც გადახედა ამხანაგს და ისევე  
 განაგრძო:

— ადამიანმა რომ იცხოვროს ამ ქვეყნად, რკინის გვერ-  
 დები და რკინისევე გული უნდა ჰქონდეს... თორემ სხვებსავით  
 უაზროთ და უსინიღისოთ ცხოვრება...

ილიამ ამ სიტყვებში რაღაცა მტრული უკმეხი კილო  
 იგრძნო და გაჩუმდა.

— მე კი ქვიან შუშასა ეგვევარ: გადავბრუნდები თუ ვად-  
 მოვბრუნდები უსათუოთ ვავიზარები...

— ოჰ, რა ძალიან გიყვარს ჩივილი და წუწუნნი!—უთხრა  
 ლუნვემა.

— შენა?—დაეკითხა იაკობი.

ილიამ ზურგი შეაქცია და არა უბასუხა-რა. მაგრამ როცა შეატყო, რომ იაკობი ლაპარაკს აღარ აპირებსო, დაფიქრებულმა წარმოსთქვა:

— ყველას უქირს ცხოვრება, აი, გინდა პავლე ავიღოთ მაგალითად...

— არ მიყვარს მე შენი პავლე, — გააწყვეტინა სიტყვა იაკობმა და სახე მოეღრუბლა.

— რისთვის?

— ისე... არ მიყვარს...

— მე კი მიყვარს და...

— გიყვარს და ღმერთმა ერთმანეთს შეგაბეროთ!..

— ეჰ!.. უნდა წავიდე...

იაკობმა ხმა ამოუღებლივ გაუწოდა ხელი, მაგრამ უცბათ სიჩუმე დაარღვია და საბრალო ხმით, გლახასავით შევევდრა:

— გამიგე რამე მაშიკოზე... თუ ქრისტე გწამს!..

— კარგი, გაგიგებ! — დაამშვიდა ილიამ.

მას როგორღაც უმძიმდა ამხანაგის სევდიანი ლაპარაკის სმენა და როცა მოშორდა, თავისუფლად ამოიოხრა. მაშიკოს მოგონებამ ხომ სირცხვილით დასწვა; სინიღისმა ქენჯნა დაუწყაო და გადასწყვიტა, რაც შეიძლებოდა მალე გაესწორებინა თავისი შეცდომა და გაეგო როგორ მოეწყო საწყალი გოგო. მატრიცასთან რომ წასულიყო, ის, რასაკვირველია, ყველაფერს დაწვრილებით ეტყოდა. თითონ ილიამაც და მთელმა ქუჩამაც კარგად იცოდნენ, რომ ჯვრის წერამდინ მეწვრილმანე ხრენოვი ყოველ შაბათს მატრიცას თავისთან იბარებდა ხოლმე, რომელსაც იატაკის გარეცხვაში თუ ალერსში გადაწყვეტილი ჰქონდა მისგან ხუთი შაური...

ილია ეხლა ფილიმონოვის სამიკიტნოსკენ მიდიოდა და გულში კი მომავლის იმედები და ოცნებები უღვიოდნენ და უცხოველდებოდნენ — ისინი ულიმოდნენ მას და ატკობდნენ. თვისდა შეუმჩნევლად, ტკბილ ფიქრებით გატაცებული, ილია ფილიმონოვის სამიკიტნოს გასცდა, მაგრამ, როცა მიხვდა თვისს შეცდომას, მაშინაც არ დაბრუნდა, რადგან ქალაქს უკვე გა-

ცდენილი იყო: თვალ წინ ბნელი ტყით შემოზღუდული ველი გადაეშალა. მზე ჩადიოდა და მისი სხივები აბიზინებულ მინდორს წითელ ელფერსა სდებდნენ. ილია თავ-აწეული მიდიოდა და გატაცებული შეჰყურებდა ზეცის სივრცეს, სადაც წითელი ღრუბლები შეჩერებულიყვნენ უნძრველივ და მზის სხივებში იწოდნენ. სიამოვნებას ჰგვრიდა მას ეს სიარული: ყოველი ახლად გადადგმული ნაბიჯი და სუფთა ჰაერის ყოველი ყლაპი ახალს იმედს უბადავდა გულში და ოცნების კარს უღებდა. მას ეხლა თვისი თავი ცხოვრების ასპარეზზედ მდიდრად და ძლიერად ელანდებოდა. აგერ, მისგან დაჯაბნული და გაკოტრებული ფილიმონოვი სდგას და ტირილითა და წუწუნით თავს აბრალებს, მაგრამ ილია ლუნევი ეუბნება:

— შენ შეგიცოდო? მერე შენ შეგიცოდნია ვინმე? შეილი აწამე, დააქლექე. ბიძა ჩემს ცოდო ჩადენინე. მე დამცინოდი... შენ დაწყევლილ სახლში ერთი სული არ იყო ბედნიერი და კმაყოფილი, შენ სახლში სიხარული არავის უგემნია. შენი დამპალი სახლი ყველასთვის მახე და საპყრობილე იყო.

პეტრუხა ცახცახებს და ჰგმინავს მისი შიშით, მაგრამ ილია მაინც არ ინდობს.

— სახლს გადაგიბუგავ და გავინადგურებ, რომ კვლავ აღარავინ გააუბედუროს შენმა ქოხ-მახმა! შენ კი იხეტიალე ქვეყნად და შენგანვე შევიწროებულ და გაუბედურებულებს ევედრე შეგიბრალონ; ძრწოდე სიკვდილამდის და ბოლოს მშიერ წყურვალი და გაუკითხველი ჩაძალღი სადმე ძაღლსავით!..

ბინდმა მოიცვა არტმარე; შორს, მინდვრის ბოლოს ტყე შთასავით ჩაბნელ-ჩამოშავდა. ჰაერში უხმაუროდ პატარა ღამურა დაჰფრინავდა და თითქოს ის ავრცელებდა ირგვლივ მწყვდიადსა. შორს, სადღაც მდინარეში, გემის თვლებს ხრიალი გაუდიოდათ წყალში: კაცს ეგონებოდა სადღაც, უზარ-მაზარი ფრინველი მიფრინავს, არღვევს თვისი ძლიერი ფრთებით გაყურებულს და გაჩუმებულს ჰაერს და ეს იმის ხმაურობა ისმისო. ლუნევეს ყველა მოაგონდა, ვინც კი ხელს უშლიდა ცხოვრებაში და ყველა ღირსეულად დასაჯა. ამან უფრო ასია-

მოგნა და კარგ გუნებაზედ დააყენა... მარტოდ - მარტომ და ყოველ მხრივ წყვილიდით შეზღუდულმა ილიამ სიმღერაც შემოსძახა...

მაგრამ უცბათ სანაგვესა და დამპალი მიწის სუნი მოუვიდა. ილიამ შეწყვიტა სიმღერა: ამ სუნმა ტკბილი და სასიამოვნო მოგონებანი გაუღვიძა გულში. ილია ეხლა ქალაქის სანაგვესთან იდგა, იმ სანაგვესთან, სადაც არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა ილია პაპა ერემეისთან ერთად და ნაგვის ქექვაში ტკბილი წუთები გაუტარებია. დამპლის სუნი ეხლა უფრო მძიმედ ეჩვენა ილიას, ვიდრე სიყმაწვილეში. ბებერი მეკონკე ცოცხალსავით გამოესახა თვალ-წინ და ილიამ მიიხედ-მოიხედა, უნდოდა სიბნელეში ის ადგილი ეპოვნა, სადაც მოხუცს დასვენება უყვარდა ხოლმე. მაგრამ ის ადგილი აღარა სჩანდა: ალობად, ახლად მოტანილმა ნაგავმა თუ დაჭფარა. ილიამ ამოიოხრა და იგრძნო, რომ მის გულშიაც რაღაც გამქრალა და ნაგავს დაუფარია...

„მე რომ ის არ დამეხრჩო... ეხლა ჩემზედ ბედნიერი არავინ იქნებოდა...“ — უცბად გაიფიქრა ილიამ, მაგრამ იმ წუთსვე, თითქოს ვიღაცამ წასჩურჩულაო, გულში გაივლო:

„ის ჩემი უბედურებაა და არა ცოდვა...“

რაღაც შეხმაურდა — პატარა ძაღლმა წკმუტუნით გაურბინა ფეხებში. ილია შეკრთა: მის წინ თითქოს წყვილიდი გაცხოველდა, დაიკვნესა და გაჭკრა:

„სულ ერთია, — ფიქრობდა ილია, — უიმისოდაც მოსვენება არა მქონდა გულში. რამდენი შეურაცხება მიმიღია და რამდენი სხვა მინახავს შეურაცხყოფილი. გული თუ ერთხელ გაიკაწრა, ხომ სულ ერთია ტკივილებს არ მოაკლებს ადამიანს...“

ამ ფიქრებში გართული ილია, ნელის ნაბიჯით მიდიოდა ხევის ნაპირისკენ, ფეხები ეფლობოდა ნაგავში და გამხმარ ჩინჩხვარს და ნაფოტებს ლაწა-ლუწი და შრიალი გაუდიოდათ. აგერ, ფეხქვეშ მაგარი დედა-მიწაც იგრძნო — ეს პატარა ადგილი ხალხს ჯერ ვერ აემსო ნაგვით და კონცხად შედიოდა ხევში; ილიამ ეს ადგილი გაიარა და როცა მის გაწკვეტებულ წვერს მიადგა,

ჩამოჯდა და ფეხები ხევში გადაჰკიდა. ჰაერი აქ უფრო სუფთა იყო და როცა გაიხედა სივრცეში, ფოლადსავით მბრქვინავი მდინარის პირი დაინახა. ყინულსავით შეჩერებულს წყლის პირზე უხილავი გემების ცეცხლნი ჩუმად და უხმაუროდ ჰკრთოდნენ. ერთი მათგანი წითელ ფრინველსავით მისცურავდა ჰაერში, მეორე შეჩერებულყო და უსხივოდ მწვანედ და ბოროტად გამოიყურებოდა სივრციდან... ფეხ-ქვეშ კი ხევის განიერი ხახა უკუმეთი სიბნელით იყო სავსე და იგიც მდინარეს ჰგავდა, რადგან მასშიც მისცურავდნენ შავი ჰაერის ტალღანი. ქმუნვით მოცული ლუნევი იყურებოდა ქვეით და ჰფიქრობდა:

„მშენიერად ვგრძნობდი ამ წუთს თავსა... მსუბუქად... თითქოს გამიღიმა კიდევ ბედმა და ეხლა კი... რად არის ესრე, რომ ცხოვრება იქით უკრავს ხოლმე ადამიანს თავსა, საითაც თითონ არ უნდა წასვლა? ყველაფერი მძიმე, უსამართლო და გაუგებარია ცხოვრებაში. იქნება იაკობი მართალსაც ამბობდეს: ადამიანმა ჯერ თავისი თავი უნდა იცნოსო? ან იქნება ჯერ სხვები, სხვის ცხოვრება უნდა იცნოს? როგორა სცხოვრობენ და რა კანონებით?“ მას მოაგონდა იაკობის დღევანდელი მტრული, გესლიანი კილო და იმან უფრო დააღონა და კაეშანი მოჰგვარა ილიას... ხევში რალაცამ შეიხმაურა: ალბად, ბელტი ან ქვა მოსწყდა ხევის პირს და ქვეით ჩაგორდა. ილიამ კისერი წაიწია და ქვეით სიბნელეში გადაიხედა... ღამის სინესტემ სახეში შეჰბერა... ილიამ ზეცას შეხედა. იქ გაუბედავად, ცახ-ცახ-თრთოლით ენთებოდნენ ვარსკვლავნი; ტყის სიღრმიდან მედიდურად ამოდოდა ბადრი მთვარე და დიდ უგრძობლო თვალსავით იყურებოდა ირგვლივ და როგორც ამ რამდენიმე წუთის წინ ღამურა დაჰფრინავდა წყვილიაღში,—ეხლა ილიას გულსა და თავშიაც შავი ფიქრნი და მოგონებანი აფორიაქდნენ და აირივნენ ერთმანეთში: ისინი იბადებოდნენ და უბასუხოთვე ჰქრებოდნენ და რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად და მეტად იცვადნენ მის სულსა და გულს სიბნელით თუ სიცივით.

„ადამიანნი სძარცვავენ, აწამებენ და ახრჩობენ ერთმანეთს და ერთი არავინ მოიძებნება, რომ დაჩაგრულს მიე-

ქომაგოს და გაჟაღვილოს ცხოვრება, ყველა სცდილობს როგორმე თავი მოაშოროს ამ უსამართლოთა ძარცვა-გლეჯას, საზიზღარ სურათებს და სადმე მოშორებით დინჯათ და მყუდროთ იცხოვროს... აგერ მეც მივძვრები კუნჭულისკენ... მაშ სად, სად არის ნამდვილი, წრფელი ცხოვრება?“

დიდი ხანი იჯდა კიდევ ფიქრებით გატაცებული და ხან ზეცას, ხან ხევს უცქეროდა. მინდორში სიჩუმე სუფევდა. ღამის მათობმა ხევს წყვილიაღშიაც გადაიხედა და ბუჩქნი და უსწორ-მასწორო ადგილნი და ოღრო-ჩოღრონი გამოაჩინა; ბუჩქებს მახინჯი და საოცარი ჩრდილები დაეტოვებინათ ადგილზე. ცაში ვარსკვლავთა და მთვარის გარდა არა იყო რა. ილიას შესცივდა; წამოდგა და ღამის სინესტით შეეროლებულმა ქალაქისაკენ გასწია. ამ ჟამად მას არც ერთი ფიქრი არ აწუხებდა: გული და სული დაუდევრობით და გარეწრობით ჰქონდა საფე...

ბინაზედ ძლიან გვიან მოვიდა და კაი ხანი იდგა კარების წინ, რადგან ზარას ჩამორეკას ვერა ჰბედავდა. თანჯრებში სინათლე აღარ მოსჩანდა, — როგორც ეტყობოდა, სახლის პატრონებს ეძინათ. მას ტატიანა ელასოენასი ერიდებოდა, რადგან კარებს მუდამ ის უღებდა ხოლმე... მაგრამ რაც უნდა დიდხანი ელოდნა, სახლში ხომ მაინც უნდა შესულიყო. ლუნევმა ოდნავ ჩამოაწკარუნა ზარი. თითქმის იმ წუთსვე კარები გაიღო და ილიას წინ თეთრებში გამოხვეული დიასახლისის ფიგურა გამოჩნდა.

— ჩქარა მიხურეთ კარები! — წასჩურჩულა რაღაც არაჩვეულებრივი აცახცახებული ხმით ტატიანამ — ცივა.. ტიტველა ვარ... ქმარი შინ არ არის...

— მაპატიეთ, — წაილულულა ლუნევმა.

— რა გვიან მოხველით! სად იყავით?

ილიამ კარები ჩარაზა და ის იყო მობრუნდა, რომ ეპახუნა კითხვაზედ, მაგრამ ქალს დაეტაკა. ქალი, იმის მაგიერ, რომ მორიდებოდა, პირ-იქით უფრო მწიდროთ ეკვროდა ილიას. არც ილიას შეეძლო უკან დახევა, რადგან ისედაც კარებზე იყო

შიქეჟევილი. უცბათ ქალმა სიცილი მორთო... ლუნევა ხელები ასწია და ფრთხილად დააწყო მხრებზედ. ქალის მოკრძალებამ და მისი ჩახვევის, ჩაკონების სურვილმა ხელები აუცახცახეს. მაშინ თითონ ქალმა მოჰხვია კისერზე ცეცხლსავით გახურებული ხელები და ზარსავით წკრიალა ხმით უთხრა:

—სად დაეთრევი შუა ღამემდის? სადა? აქ უფრო ახლო არა გჰქონდა... დიდი ხანია... ჩემო კარგო!.. ღამაზო!.. ღონიერო!..

ილია თითქო სიზმარშიაო, ისე ეძებდა ქალის გახურებულს ღოკებს და რომ ველარ' იმაგრებდა ქალის მოქნილ სხეულს, ძლივს-ღა იღვა ფეხებზედ. ქალი კი კატასავით ჩაჰტრინებოდა გულში და განუწყვეტლივ ჰკოცნიდა, ილიამ ბოლოს ხელში აიყვანა ქალი და მსუბუქად წაიყვანა თავის ოთახში...

მეორე დღეს ილიას გულის კანკალით და შიშით გამოეღვიძა.

„როგორ-ღა შევხედო ეხლა კირიკს სახეში?“—გაიფიქრა, გაახილა თუ არა თვალები. უბნის ზედამხედველისადმი შიშის გარდა სირცხვილსაცა ჰგრქნობდა ილია.“

„ან ჯაფრი მაინცა მჭირებოდა კირიკისა. მჯავრებოდა, თორემ სრულიად უმიზეზოთ, უსაბაბოთ შეურაცხვეყავ და დავამცირე“—გულის ფანცქალით გაიფიქრა ილიამ და ტატიანისადმი რალაც ცუდმა გრძნობამ გაუელვა გულში. ილიას ეგონა კირიკი უსათუოდ მიუხედება ცოლს ღალატსაო და რა მოხდებოდა შემდეგ, რითი გათავდებოდა საქმე—არ იცოდა და ვერც მიმხედარიყო.

„რა მშიერსავით ღამეცა?“—გაკვირვებული დაეკითხა ილია თავის თავს და აქვე კმაყოფილების და თავმოყვარეობის გრძნობამ გაუთბო გული. ეხლა კი მან სუფთა, განათლებული და ქრმიანი ქალის ყურადღება მიიქცია და არა ვაჭრის „ქვეშაგე ბისა“, როგორც ეხლა გუნებაში უწოდებდა ილია ოლიმპიადას.

„ალბათ რომ ყოფილა ჩემში რალაც არაჩვეულებრივი,—გაიფიქრა ნასიამოვნებმა ილიამ.—სირცხვილია, დიდი სირცხვი-

ლია, მაგრამ რა ვქნა, ქვისა ხომ არა ვიყავე?.. ხელს ხომ ვერა-  
 ვკრავდი და არ მოვიშორებდი...“

ილია ჯერ ყმაწვილი იყო, მაგრამ გამოცდილებაც ჰქონდა. მას ტატიანას რაღაც თავისებური და არა ჩვეულებრივი ალერ-  
 სი მოაგონდა და ნება-უნებურად გაიფიქრა—ეს კავშირი მეტის-  
 მეტად სასიამოვნო და მოხერხებული იქნებაო. მაგრამ ამ გვარ-  
 ფიქრებს კვალ-და-კვალ უგემური ფიქრებიც მალე მოჰყვნენ:

„ისევ კუნჭულში შევიქედე... განა მინდოდა, მერე?  
 პატივსა ვსცემდი... ერთხელ არ გამივლია გულში ცუდი აზრი...  
 და აგერ რა გამოვიდა...“

მაგრამ ეს შავი ფიქრები მალე გაჰქრნენ მის გონებითი  
 ჰორიზონტიდან და მათი ადგილი ახალ, სუფთა და მყუდრო  
 ცხოვრების მოლოდინმა და იმედებმა დაიჭირეს მთლად. თუმცა  
 ამ სასიხარულო აზრებს მაინც გაჰკვეთავდა ხოლმე დრო-გა-  
 მოშვებით ცივი და მოუსვენარი აზრი:

„მაინც უამისოთ ემჯობინებოდა“...

ილიამ გადასწყვიტა ავტონომოვის წასვლამდინ ლოგინი-  
 დან არ ამდგარიყო და ეხლა ლოგინში მწოლარეს მას კარგათ  
 ესმოდა, უბნის ზედაშხედველი ტუჩების ტლოშნით როგორ  
 ეუბნებოდა ცოლს.

— ესე, ჩემო კარგო, სადილად, არ დაგავიწყდეს, ხორცის  
 კუბატები უნდა გამიკეთო. ლორის ხორცი ცოტა მეტი უნდა  
 უყუო და პატარა მეტი მობრაწო, ისე რომ თევზიდან თურაშა-  
 ული ვაშლისავით გამოიყურებოდეს... წმ... პილპილიც ბლო-  
 მათ ცოტა. მეც შექარლამებს მოგიტან, მაშ?

— კარგი, კარგი, წადი ნუ იგვიანებ! ისე ლაპარაკობ,  
 თითქოს მე არ ვიცოდე, რაც გიყვარს...—ეუბნებოდა ალერ-  
 სიანად ცოლი.

— მოდი ეხლა გაკოცო, ჩემო მშვენიერო!

მოჰქრა თუ არა ლუნემა კოცნას ყური, მთელ სხეულში  
 ჟრუანტელმა გაურბინა. ეს ლაპარაკი და შემდეგ კოცნა თან  
 უსიამოვნებას ჰგვრიდა და თან აცინებდა ილიას.



— ჩიკ! ჩიკ! ჩიკ! — კოცნასთან ერთად ამბობდა ავტონომოვი. ქალი კი იცინოდა. ქმრის გასვლისთანავე ტატიანამ კარი მიჰკეტა, ტყვიასავით შეფარდა ილიას ოთახში, ლოგინში ჩაუხტა და მხიარულად დაუყვირა:

— ჩქარა მაკოცე — არა მცალიან!

ილიამ ნაწყენად მიუგო:

— თქვენ ამ საათში ქმ.რს ჰკოცნიდით. .

— რაიო? თქვენაო? ღმერთო, იქვიანიც ყოფილა! — სიამოვნებით შესძახა ქალმა, წამოხტა უცბათ, ფანჯრებზე ფარდებს ჩამოფარება დაუწყო და თან ლაპარაკობდა:

— იქვენულობ, — ეს კარგია! იქვიანებმა ძლიერი და გრძნობიერი სიყვარული იციან.

— მე იქვენულობით არ გითხარი...

— ჩუმაღ — გიჟმაყურად დაუყვირა ქალმა და ალერსიანად ტუჩებზე ხელები მიაფარა...

შემდეგ, როცა გაძღნენ კოცნითა და ალერსით, ილიამ შაინც ვერ მოითმინა და ღიმილით უთხრა:

— ძალიან გაბედული რამ კი ყოფილხარ, მე და ჩემმა ღმერთმა... ქმრის ცხვირ წინ მაგისთანა საქმე ჩაიდინოს ქალმა?... ტატიანამ გაბედულად გადმოხედა ილიას და უთხრა:

— ეს ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა და აქ საკვირველი სრულიადაც არაფერი არ არის! შენა გგონია ბევრნი არიან ისეთი ქალები, რომლებიც ასე არა სჩადიან? მარტო გონჯები და ავადმყოფები თუ არ იჩენენ საყვარლებს... თორემ ლამაზი და კოხტა ქალი ყოველთვისა სცდილობს რომანი გაიჩინოს...

თითქმის უშადღემდის ქალი სულ იმას უამბობდა ილიას, თუ ცოლები როგორ ატყვილებენ ქმრებს და სხვაგან როგორ ჰპოულობენ ნეტარების წყაროს. ფართუკ აფარებული და მკლავებ დაკარწახებული, ტატიანა ჩიტსავით დაცქრიალებდა სამზარეულოში, ქმარს კუბატებს უმზადებდა და მისი წკრიალა ხმა თითქმის შეუწყვეტლივ გაისმოდა ილიას ოთახში.

— შენა გგონია, რაკი ქმარი ჰყავს ქალსა, ეს საკმარისია მისთვის? ქმარი შეიძლება ხანდახან სრულიად არ მოსწონდეს

ცოლსა, რომ უყვარდეს კიდევაც, მაშინაც კი, გარდა ამისა არც ქმარი გაუშვებს შემთხვევას თუ კი მოახერხა... ქალსაც მოსწყინდება, რომ სულ მუდამ ქმარი, ქმარი და ქმარი ახსოვდეს! ხანდახან უცხო ვაჟთანაც მოუნდება გახუმრება: გაიგებს მაინც როგორი ვაჟები არიან ქვეყანაზე და რა განსხვავებაა მათ შორის. კვასიც კი ათასნაირია: უბრალო კვასი, ბავარული კვასი და სხვ. დიდი სისულელეც იქნებოდა, რომ კაცს მუდამ მარტო უბრალო კვასი ესვა...

ილია ყურს უგდებდა და თან ჩაისა სვამდა, მაგრამ თითონაც არ ესმოდა, რა მიზეზი იყო, რომ ჩაი დღეს მომწაროდ ეჩვენებოდა. ქალის ლაპარაკში მისთვის რაღაცა უსიამოვნო და უკმეხი იმალებოდა. მას ნება-უნებურად ოლიმპიანა მოაგონდა, მისი ბოხი ხმა, დინჯი მიხვრა-მოხვრა და აღფრთოვანებული ლაპარაკი, რომელშიაც რაღაც გამოურკვეველი ძალა გამოსჰვიოდა. რასაკვირველია, ოლიმპიანა გაუნათლებელი, ბნელი ქალი იყო, ვიღაც უბრალო, აგრეთვე გაუნათლებელი ნოქრის ცოლი და იქნება სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ოლიმპიანა თვის დაცემულ ცხოვრებაში უფრო წრფელი და მარტივი იყო, ვიდრე ტატიანა... ტატიანა ელასოვნას ლაპარაკზე ილია ძალდატანებულად ილიმებოდა. მას არც ეს ლაპარაკი მოსწონდა და არც თუ მხიარულადა ჰგრძნობდა თავს, მაგრამ თუ იცინოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდა რაზედ ელაპარაკნა დიასახლისთან და როგორ მოჰპყრობოდა. ქალის ლაპარაკმა სევდაც მოჰბერა მის სულსა და გულს, მაგრამ მაინც ღრმა ცნობის-მოყვარეობით გატაცებული გულდადებით უსმენდა და ბოლოს დაფიქრებულმა წარმოსთქვა:

— არ მოველოდი, თუ თქვენ სუფთა ცხოვრებაშიაც ამისთანა წესები აღმოჩნდებოდნენ.

— წესები, ჩემო კარგო, ყველგან ერთნაირნი არიან. წესებს ადამიანი ადგენენ და ადამიანთ კი ერთათ-ერთი სურვილი აქვთ—კეთილად იცხოვრონ. ყველა სცდილობს ადამიანურად—მშვიდად, მაძლრისად და მოხერხებულად იცხოვროს. ყველა ამისთვის კი ფულია სჭირო. მაშასადამე, ყველაზე უწი-

ნარეს ადამიანისთვის ფულია საჭირო—გამდიდრება. გამდიდრება კი სამი გზით შეიძლება—მემკვიდრეობით, ბედით, და შრომით. ვისაც მომგები ბილეთი აქვს, იმას შეიძლება რომ ბედის იმედი ჰქონდეს. ლამაზ ქალს ბუნებით აქვს მომგები ბილეთი მინიჭებული—ეს მისი სილამაზეა. სილამაზით ბევრს მიაღწევს ადამიანი! ვისაც არც მდიდარი ნათესავები ჰყავს, არც მომგები ბილეთები აქვს და არც სილამაზე, იმან უნდა იშრომოს. მთელი შენი სიცოცხლე შრომაში გაატარო—მძიმეა და საწყენი... მიუხედავად იმისა, რომ მომგები ბილეთი ორი შაქვს, მე მინცა ვშრომობ. მაგრამ შენი გულისთვის გადაწყვიტე ორივე დაეაგირავე... ორი ბილეთი რა დიდი სარჩოსაბადებელია! კუბატების კეთება და ქორფლიანი ზედამხედველის კოცნა ამოდენა შრომასთან ერთად რკინისაც რომ იყო, მოგწყინდება!.. ჰო და მეც მომწყინდა და შენი კოცნა-აღერსი მომწყურდა...

როცა დაათვა ეს გრძელი სიტყვა, გადახედა ილიას და გიჟ-მაჟურად დაეკითხა:

— შენ ხომ არ გეზიზღება ეს კოცნა?.. რატო ეგრე გაჯავრებული მიყურებ?

ილია თავის ოთახის კარებში იდგა და შუბლ-შეკრული ქალს შეჰყურებდა. ტატიანა მიუახლოვდა, ხელები მხრებზე შეაწყო და აღერსით ჩააშტერდა სახეში.

— მე არა ვჯავრობ, — უთხრა ილიამ.

ქალმა გადაიხარხარა და სიცილში წამოიძახა:

— მართლა? დიდათა გმადლობ... რა გულკეთილი რამ ყოფილხარ!..

— მე მხოლოდ იმას ვფიქრობ, — განაგრძო დინჯათ ილიამ, — რომ შენ თითქო მართალს უნდა ლაპარაკობდე... მაგრამ ყველა ეს საძაგელი და საზიზღარი კია...

— ოჰო, უყურებთ ამასა?.. რა არის საზიზღარი, აბა ერთი ამიხსენი?

მაგრამ ილიამ ვერაფერი აუხსნა. მას თითონ არ ესმოდა რა იყო ისეთი ტატიანას ლაპარაკში, რომ მას არ მოსწონდა.

ოლიმპიადა უფრო ცუდათ და უხეშად ელაპარაკებოდა ხოლმე, მაგრამ ის არასოდეს არ უჩქოლებდა გულს ასე უსიამოვნოთ, როგორც ეს მალხაზი და ცქრიალა ჩიტი. მთელი დღე ილიამ სულ ამ საოცარ უკმაყოფილებების მიზეზის ძებნაში გაატარა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა რისგან იყო, რომ ყოველის მხრით სასიამოვნო კავშირმა ასეთი უთანხმოება გამოიწვია მის სულსა და გულში?..

შინ როცა დაბრუნდა, სამზარეულოში კირიკი მიეგება და მხიარულად გამოუცხადა:

— ეე, ჩემო ძმაო, ტატინას დღეს ისეთი კუბატები გაუკეთებია, რომ დაგნანდება შესაქმელად! ისე დაგნანდება, როგორც ცოცხალი ბუღბუღის შექმა... მე, ჩემო ძმაო, შენც კი შეგინახე ერთი მათლაფა. მოიხსენ კისრიდან შენი მალაზია და დაჯექ, შეექექცი.

ილიამ დარცხვენით, დამნაშავესავით შეხედა კირიკს და ფრთხილის ღიმილით უთხრა:

— გმადლობთ, კირიკ ნიკოდიმიჩ!

მერმე ამოიოხრა და დაღმატა:

— კაი კაცი ხართ... ღმერთმანი!

— ეჰ, კარგი ერთი!—ხელის ჩაქნევით შესძახა კირიკმა.— ერთი მათლაფა კუბატები დიდი რამ არ არის! არა, ჩემო ძმაო, ეს არაფერი... აი პოლიცმეისტერი კი რომ ვყოფილიყავი... მჰ! აი, მაშინ მეტყობდი მადლობასა... დიახ! მაგრამ პოლიცმეისტერად მე ვერასოდეს ვერ გავხდები და საცაა პოლიციასაც დაფანებებ თავსა... მე მგონი, ერთ ვაჟარს ვეჭილად დაუდგები... უფრო უკეთესია! მუდმივი ვეჭილი? ო, ეს პატარა ვინმე არ გახლავს! ამ ადგილზედ მალე მოვუყრი გროშებს თავსა...

ტატინა ვლასოვნა კი ჩუმის ღიღინით რაღასაც ჰფუსფუსებდა ფეხთან. ილიამ გადახედა და ისევ ის უსიამოვნო გრძნობა დაებადა გულში. მაგრამ ახალ შთაბეჭდილებათ და ზრუნვათ მალე გაუქმლეს და გაუნადგურეს იგი გულში. უკანასკნელ დღეებში საფიქრებელი დროც კი არა ჰქონდა, ისე იყო გატაცებული მალაზიის გარდების საქმით. საქონელი

უნდა ეყიდნა, გადაეტანა, დუქანი მოეწყო და სხვა. მუდმივ საქმესა და ზრუნვაში გართული ილია თავისთვისვე შეუმჩნევლად ისე შეეჩვია ქალს, როგორც ლოთი არაყს შეეჩვება ხოლმე. როგორც საყვარელი, ტატიანა ძალიან მოსწონდა ილიას, თუმცა მისი აღერსი სირცხვილს და თითქმის შიშსაც კი იწვევდა მასში. თავისი ლაპარაკებით და აღერსით ტატიანამ იქაძდის მიიყვანა ილია, რომ უკანასკნელმა მისდამი პატივისცემა სრულიად დაჰკარგა. ყოველ დღით, ქმარი რომ სამსახურში წავიდოდა, ან საღამოთი, როცა კირიკი მორიგეთ იყო სადმე დანიშნული, ტატიანა ან თითონ შევიდოდა ილიას ოთახში, ან თავისთან გაიყვანდა მას და რეებს არ უამბობდა! ყველა ეს ცხოვრებიდან ამოღებულ, ამოკრებილი ამბები ტატიანას გადმოცემით ისეთი ჩვეულებრივი და ყოველ დღიურნი იყვნენ, რომ კაცს ეგონებოდა ყველა ეს გაიძვერა და ვერაგი ხალხით დასახლებულ ქვეყანაში მომხდარა, სადაც ტიტულიკანა უნდა დაიარებოდეს ხალხი და ცხოვრების აზრად თუ მიზნად უსირცხვილო ქცევა და შემადრძლებელი ცოდვა.

— ნუ თუ ყველა ეს მართალია? — ეკითხებოდა ხოლმე დაღვრემილი ილია. მას არ უნდოდა მათი დაჯერება, მაგრამ ჰგონებოდა, რომ უძლური იყო მათ წინ და მათი დარღვევა არ შეეძლო. ქალი კი ხარხარებდა, ჰკოცნიდა და სცდილობდა თავისი აზრი დაემტკიცებინა:

— აი, ზევიდან დავიწყოთ, თუ გინდა: სახაზინო პალატის მმართველის ცოლი გუბერნატორთანა სცხოვრობს, პალატის მმართველმა ამას წინათ ერთ თავის მოხელეთაგანს წაართვა ცოლი, მიხაილოვის ქუჩაზედ დაუქირა სახლი და კვირაში ორჯერ ცხადათ გამოდის მასთან ერთად სასეირნოთ. იმ ქალს მე კარგათ ვიცნობ—სულ ახალგაზდაა ჯერ, ერთი წელიწადიც არ არის, რაც გათხოვდა. ქმარი კი მაზრაში გაგზავნეს გადასახადოთა ინსპექტორად. მე იმასაც ვიცნობ, — კაი მოუვა, კაი ინსპექტორი ის იქნება! — უსწავლელი, ტუტუცი და ქალაჩუნა...

ტატიანას სიტყვით, ვაჰრები ახალგაზდა გოგოებს ჰყიდულობენ გასარყენლად, მათ ცოლებს საყვარლები ჰყავთ და

თითონ ინახვენ მათ, დიდი საზოგადოების გასათხოვარი ქალები-  
 ორსულდებიან და მუცლებს იფუჭებენ.

ილია ყურს უგდებდა და ცხოვრება ნაგვისა და წუმბე-  
 ბის ორმოდ ეჩვენებოდა, რომელშიაც ხალხი ქია-მლილსავით  
 დაქუთმათობდა.

— ტყუ!—წამოიძახებდა დაღლილი ილია. —ერთი ეს მით-  
 ხარი, სუფთა, ნამდვილი ცხოვრება არის სადმე თუ არა?

— რის ნამდვილი? რას ამბობ?—ეკითხებოდა გაკვირვე-  
 ბული ტატიანა.

— ნამდვილი რამე მეთქი, არის თუ არა ცხოვრებაში?..—  
 შესძახებდა ბრაზ-მორეული ილია.

— რავექნა, მე ნამდვილზედ არ გცლაპარაკები!.. სულელი!..  
 მარა, მე ხომ არ მოვიგონე ყველა ეს?..

— მე მაგაზედ არ გეუბნები! სადმე, რამეში არის თუ არა  
 ნამდვილი სუფთა და წრფელი?

ქალს არ ესმოდა ილიას ლაპარაკი. ხანდახან მათი ლაპა-  
 რაკი სხვა ხასიათსაც მიიღებდა ხოლმე. ტატიანა მწვანე ცეც-  
 ხლით აღვზნებული თვალებით ჩააჩერდებოდა ილიას სახეში და  
 შესთხოვდა:

— პირველად როგორა სცანი ქალი, მიამბე!

ამის მოგონება ძალიან ეჯავრებოდა ილიას და რცხვენოდა  
 მისი. ამისთანა დროს ზურგს შეაქცევდა საყვარელს და ყრუდ,  
 ნაწყენის კილოთი ეტყოდა ხოლმე:

— რა საზოგადოებას რამეებს მეკითხები... გრცხვენოდეს მაინც...  
 ბიჭ-ბუჭებიც-კი არა ლაპარაკობენ მაგებზედ...

მაგრამ ქალი თავს არ ანებებდა და სიცილ კისკისით,  
 მზიარულად ჩააცვივებოდა—მიამბეო. ხშირად მისი დაურიდე-  
 ბელი და ბილწი სიტყვებით ლუნევი მოთხვრილ-მოსვრილად  
 იგრძნობდა ხოლმე თავსა. მაგრამ თვალს მოჰკრავდა თუ არა  
 ქალი ილიას სახეში უსიამოვნებას და უკმაყოფილებას, იმ წამს  
 ხვედურ გრძნობებს გაუღვიძებდა და სწრაფლად დაავიწყებდა  
 ხოლმე უსიამოვნებას...

ერთხელ როგორღაც, დუქნიდან რომ დაბრუნდა ილია, საღაც თახჩებს აკეთებინებდა ღურგლებს, სამზარეულოში მატყას მოჰკრა თვალი. ის მაგიდას მისჯდომოდა, თავისი ვეებერთელა ხელები ზედ დაეწყო და ფერთან ატუზულ ტატიანას ელაპარაკებოდა.

— აი,—დაიწყო ტატიანამ და ღიმილით მატყაცხე ანიშნა ილიას,—ეს ქალი რამდენი ხანია გიცდით...

— საღამო მშვიდობისა!—უთხრა მატყამ და ზღაზვნით წამოდგა ფეხზედ.

— ოჰ! — შესძახა ილიამ.—ცოცხალი ყოფილხარ ისევ?

— დამბალ კუნძს ღორიც არ შესჰამსო, ხომ გაგიგონია?— ბოხის ხმით წაილაპარაკა მატყამ.

ილიას კაი ხანი იყო, რაც არ ენახა მატყა და ეხლა თან სიამოვნებით, თან სიბრალულით უყურებდა მას. მატყას ბამბაზის დაგლეჯილ დაფლეთილი კაბა ეცვა, თავზე გახუნებული თავსახვევი ეხვია და ფეხები შიშველი ჰქონდა. კედლებზე ხელებ მიბჯენით ძლივს შებობლდა მატყა ილიას ოთახში და ოხვრით დაეშვა სკამზე.

— საცაა ჩაეძაღლდები...—ამბობდა ისა—აგერ ფეხებიც მღალატობენ... წამერთმევიან და მშიერი მოვკვდები...

სახე საშინლად გასიებოდა და რაღაც შავი ლაქებით ავსებოდა, დიდრონი თვალები სიმსიენეში ჩამძვრალ-ჩაფლულიყენენ და ძლივს-ლა მოსჩანდნენ.

— რას შემომყურებ?—დაეკითხა ილიას.—გგონია, ნაცემი ვარ? არა, ჩემო კარგო, ეს ჩემი სენი მქამს და იმისგან მაქვს ამისთანა სახე...

— როგორა სცხოვრობ?—დაეკითხა ილია.

— ეკკლესიებთან ვგდივარ... და მოწყალებას ვთხოულობ...—გუგუნებდა მატყა.—საქმემ მომიყვანა შენტან... პერფიშკასაგან გავიგე, რომ მოხელესთანა სცხოვრობ თურმე და იმიტომ მოველი...

— ჩაის დალევ?—დაეკითხა ლუნევი. მას ეზიზღებოდა მატყას ბოხი ხმა და დამბალი სხეული.



— ეშმაკებმა ჩაიბანონ ჩაიში კუდები, მე რად მინდა?...  
 შენ თუ გინდა, შაურიანი მაჩუქე... ეს კარგი საქმე იქნება!..  
 აბა გაიგე, რისთვის მოველი?

მატიცას ლაპარაკი უძნელდებოდა, ძლივსა ჰსუნთქავდა  
 და საშინელი მყრალი სუნი ასდიოდა.

— ჰო, რისთვის მოხველი?—დაეკითხა ილია და ზურგი  
 შეაქცია—მას უცბად მოაგონდა ეხლა ერთხელ რა შეურაცხ-  
 ყოფა მიაყენა საცოდავ მატიცას.

— მაშიკო გახსოვს? ჰა! გამდიდრდი და მეხსიერება და-  
 გეკარგა?..

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს!—მიუგო აჩქარებით  
 ილიამ

— შერე, ვის რა სარგებლობა აქვს იმისგან, რომ გახსოვს?—  
 სთქვა და თავისი ბოხი ხმით დაჰფარა ილიას ლაპარაკი.—შენა  
 გგონია, შენი ხსოვნით მაშოს ტვირთი შეუმსუბუქდება?..

— რა... როგორა სცხოვრობს?

მატიცამ თავი გააქნია და დაუმატა.

— ჯერ არ ჩამომხრჩვალა...

— სთქვი რაღა სწორედ! — დაუყვირა გაბრაზებულმა  
 ილიამ.—მე რა ნიშნს მიგებ? შენ თითონ არ გაპყიდე სამ  
 მანათლად?..

— შენ კი არა—მე ჩემ თავს ვუგებ ნიშნსა... —დინჯად  
 უბასუხა მატიცამ და აუჩქარებლივ დაწვრილებით უამბო მაშოს  
 თავგადასავალი.

ბებერი ქმარი ნამდვილი მტარვალი გამოადგა საწყლს—  
 იქნეულობს და სტანჯავს. კარშიაც კი არ ახედებს: ზის ოთახში  
 ბავშვებთან და ეზოშიც რომ უნდოდეს გასვლა, ქმრის დაუ-  
 კითხავად არ შეუძლიან. ბოლოს ბავშვები ვილსაც მიიბარა  
 ხრენოვმა და მარტოდ-მარტო სცხოვრებს ეხლა მაშოსთან.  
 ხორცებს აგლეჯს, სცემს, ხელ-ფეხს უკრავს და სხ. ასე იმიტომ  
 სტანჯავს, რომ პირველი ცოლი თურმე ჰალალობდა ქმარს  
 და ის ორი ვაჟიც სხვისაგან ყოფილან. მაშო ორჯერ გაექცა  
 ქმარს, მაგრამ პოლიციამ ორჯერვე დაიჭირა და ისევ ქმარს

მიჰგვარა—ქმარმა კიდე სცემა და შიმშილით დასჯა მოუგონა. აი, როგორი ცხოვრება აქვს საცოდავს!

— დიახ, კაი საქმე ჩაიდინეთ შენ და პერფიშკამ!—წაილაპარაკა მოღუშულმა ილიამ.

— მე მეგონა, ასე შემჯობინება მეთქი,—ჩაბრინწიანებულის ხმით ეუბნებოდა ქალი. მისი კლდესავით შეჩერებული უსიცოცხლო სახე და სამარისებული ხმა ზიზღსა ჰგვრიდნენ ილიას და სულს უხუთავდნენ.

— მე მეგონა ეს უფრო პატიოსნურია მეთქი!.. ის კი არა, ჩვენ სწორედ ის უნდა ამოგვეჩია რაც უფრო ცუდი და საზიზღარი იყო... ვისმე მდიდრისთვის უნდა მივგვეყიდა... სახლს დაუქერდნენ, ტანთ ჩააცმევდნენ და ყველაფერი... მერე, წელს რომ მოიმადრებდა პატარას, გაავდებდა და იცხოვრებდა... როგორც ყველანი სცხოვრებენ. ბევრნი სცხოვრებენ ეგრე... ბებრებისაგან.

— ჰო კარგი... რისთვის მობრძანდი, ეხლა ის მითხარი?—დაეკითხა ილია.

— პოლიციელთანა სცხოვრობ... ეგენი კი იქერენ და ქმარს მიჰგვრიან ხოლმე... უთხარი, ნულარ დაიქერენ.. გაიქცეს, რა ენადღელებათ! იქნება უშველოს როგორმე თავსა...

— მართლა მაგისთვის მოხველი?

— ჰო და რა? ხელს ნუ შეუშლიან, უთხარი...

— ეჰ, თქვე საბრალოებო!—ამოიკვნესა ილიამ და დაფიქრდა—მაშოს როგორ უშველოო.

მატიცა კი ზღაზენით სდგებოდა სკამიდან, ოხრავდა, ჰკრუსუნებდა და ჰგმინავდა; კაცს ეგონებოდა ეს ადამიანი კი არ მიდის, ძველის ძველი და დამპალი კუნძი ეცემა დედამიწაზედაო.

— მშვიდობით!.. ველარ შევხვდებით... საცაა ჩავძაღლდები...—ბუტბუტებდა ქალი.—გმაღლობ... მდიდარო!.. გმაღლობ, გმაღლობ!..

გავიდა თუ არა მატიცა ქუჩაში, ილიას ოთახში დიასახლისი შემოცქრიალდა, შემოეხვია ილიას კისერზედ და დაეკითხა:

— ეგ არის, — შენი პირველი სიყვარული? ჰა?

— ვინა? — დაეკითხა დინჯად მაშოს ხვედრზედ დაფიქრებული ილია.

— ეს დედაკაცი?

ილიამ ძლივ ძლივობით მოისხნა ტატიანას მკლავები კისრიდამ და დაღვრემილმა წაილაპარაკა:

— დედაკაცი ფეხებს ძლივს მიათრევს... და სიყვარულიო.

— რა, ვინ უყვარს? — ეკითხებოდა გაკვირვებული ქალი და ცნობის მოყვარეობით აცეცებდა თვალებს.

— დამაცა, ტატიანა, — უსაყვედურა ილიამ. — რა დროს ხუმრობაა.

მერე მოკლეთ უამბო მაშოს თავ-გადასავალი და ჰკითხა:

— რა უნდა უყვით ეხლა?

— არაფერი! — მხრების მაღლა აწევით დაიწყო ტატიანამ.

— კანონის ძალით ცოლი ქმარს ეკუთვნის და არავის არა აქვს უფლება, რომ წაართვას...

და იმ აღამიანსავით, რომელმაც ყველა კანონები იცის და მათ შეურყეველობაში დარწმუნებულია, ამაყად მოჰყვა და დიდი ხანი უმტკიცებდა ილიას, რომ თმენისა და დაყოღების მეტი არა დარჩენია-რა ქალსაო.

— დრომდის უნდა ითმინოს. ცოტა კიდევ მოიცადოს, ქმარი ხნიერი ყოფილა, მალე მოჰკვდება და მთელი იმისი სარჩო-საბადებელი ცოლს დარჩება... მერე ახალგაზდა, შეძლებულ ქვრივზედ დაიწერ ჯვარსა... არა?

აქ გაიცინა, მაგრამ მალე ისევ უხუმრად დაუწყო სწავლა დარიგება:

— მაგრამ ყველას კი ის ემჯობინებოდა, რომ შენ ძველ მეგობრებთან და ნაცნობებთან ყოველივე კავშირი მოგესპო. ეხლა შენი ცალები აღარ არიან... და გარცხვენენ კიდევ. სუყველანი მოთხვრილ, მოსვრილი და უზრდელეები არიან. აი, გინდა ის აიღე მაგალითად, ფულის სასესხებლად რომ მოვიდა, გამხდარი, დაგლეჯილი. მერე რა გესლიანი თვალეები ჰქონდა!

— გრაჩევი...



— ჰო ისა... რა საოცარი გვარები გაქვთ ამ უბრალო ხალხსა: გრაჩევი, ლუნევი, პეტუხოვი, სკვორცოვი. ჩვენი წრის ხალხს გვარებიც კარგი აქვთ: ავტონომოვი, კორსაკოვი. მამა ჩემი — ფლორიანოვია. გასათხოვარი როცა ვიყავი ერთი იურისტი მემარშიყებოდა — გლორიონოვი იყო გვარად... ერთხელ ყინულზედ ცურაობის დროს, წვივსაკრავი მომხსნა ფეხიდან და დამემუქრა, თუ შენ თითონ შენი ფეხით არ მოხვალ ჩემ სახლში, ერთ ვაი ვაგლახს ავტეხო...

ილია ყურს უგდებდა ქალის ტიკტიკს და თან თვის წარსულსაც იგონებდა. ამ ფიქრების დროს ილიამ იგრძნო, რომ პეტრუხა ფილიმონოვის სახლთან ის რაღაც უხილავი ძაფებით იყო გადაბმულ-გადაკვანძული. ეს სახლი მუდამ შემოშლის ცხოვრებაში ხელსაო — გაიფიქრა უცბათ...

აგერ, ძლივს ძლივობისას გაუნხორციელდნენ ლუნევის ოცნებანი.

სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე, დილიდან საღამომდის იდგა ილია თვის კოპწია მაღაზიაში და ამაყურად ათვალიერებდა მას. ირგვლივ თახჩები კოხტა და ლამაზი კოლოფებით იყვნენ სავსე; ფანჯარაში ათასი რამე გამოეფინა — ქაჩების ბრჭყვიალა ბალთები, პორტმონები, ლილები, ფერად ქალაღებში გამოხვეული საპნები; აქა-იქ გაბმულ კანაფებზედ ბუზმენტები, ყაითნები, არშიები და ფერად ფერადი ლენტები. ყველა ეს სუფთა იყო და მზის სხივებზედ ბზინავდა და ცისარტყელასავით გამოიყურებოდა. თითონაც ლამაზად და დაჯდომილ ადამიანსავით ეგებებოდა მუშტარს, ზრდილობიანად სალამს აძლევდა და კოხტად უშლიდა დახლებზედ საქონლის სხვა და სხვანაირ ნიმუშებს. არშიებისა და ლენტების შრიალი ნაზ მუსიკათ ესმოდა მის ყურთ და რამდენიმე კაპეიკის საქონლისთვის შემოსული მკერვალი გოგო ლამაზად და გულ-კეთილად ეჩვენებოდა. ცხოვრება უცბათ სასიამოთ და მსუბუქათ გადაექცა და თითქოს მის აზრსაც მიაგნო; წარსული კი ბურუსში გამოეხვია მისთვის და მიიმალა. გარდა ვაქრობისა, საქონლისა და მუშტრისა სხვა რამე-

ზედ ფიქრიც კი აღარ უნდოდა... ილიამ ხელზედ სამუშაოდ პატარა ბიჭი აიყვანა, სუფთა ხალათი ჩააცვა და თვალს ადევნებდა, რომ ხშირად ებანა პირი და საზოგადოთ სუფთად ეარნა.

— მე და შენ, გაბრიკო, ფაქიზი საქონლით ვვაჭრობთ, — ეტყოდა ხოლმე ბიჭსა, — და ყოველთვის სუფთად უნდა ვიაროთ...

გაბრიკო თორმეტ-ცამეტი წლის, სრული, სახე დაჩენილი, ჯუჯა და ქრელ თვალემა ბიჭი იყო. მას ეს ეს იყო საქალაქო სასწავლებელში გაეთავებინა სწავლა და თავს ვაჟკაცად იგულვებდა. პატარა, სუფთა მაღაზიაში მასსახურმა ისიც მალე გაიტაცა; ის სიამოვნებით ალაგებდა კობწია კოლოფებს და სცდილობდა მუშტარს ილიასავით ზრდილობიანად მოჰპყრობოდა. მაგრამ ვერ ახერხებდა: მას მეტის - მეტადა ჰქონდა განვითარებული სხვის გამოჯავრების ნიჭი და დრო-გამოშვებით საკვირველის მსგავსებით გამოეხატებოდა ხოლმე სახეზედ მუშტარის სახის გამომეტყველება. ბავშვს ვერას გზით ვერ მოენდებოდა გოგოები და ვერ ეპატიებინა მათთვის არსებობა და არსებობის სურვილი. — ის ძნელად თუ როგორმე გაუშვებდა შემთხვევას, რომ ან არ ეჩქმიტა შეხვედრილ გოგოსთვის, ან არ ჩაერთყა და ან თმა არ გამოეწია, ერთი სიტყვით, ვერ მოითმენდა, რომ პატარა მუშტარებისთვის რამე უსიამოვნება არ მიეყენებინა...

ილია შეჰყურებდა გაბრიკოს და თავის თავს იგონებდა სტროგანნის სათევზეულოს დუქანში რომ მსახურებდა. როცა მუშტარი არა ჰყავდა, ილია სიამოვნებით გამოეხუმრებოდა და გამოელაპარაკებოდა ხოლმე თავის პატარა ნოქარს.

— რომ არ მოგწყინდეს, თავისუფალ დროს წიგნი უნდა იკითხო, — ურჩევდა ხოლმე პატარა თანამშრომელს. — წიგნის კითხვაში დრო შეუმჩნეველად გარბის. გარდა ამისა წიგნის კითხვა სასიამოვნოც არის...

ეხლა ყველას ტკბილად და აღერსიანად ეპყრობოდა ილია. თითქოს ეს უნდა უთხრასო:

— ბედმა გაგიღიმა... მოითმინეთ, იქნება თქვენც გაგიღიშოთ...

დილის შვიდი საათიდან მოყოლებული საღამოს ათ საათამდის ილიას ღია ჰქონდა მაღაზია. და რადგან მუშტარი ბევრი არა ჰყავდა, კარებთან სკამსა დაიდგამდა, ჩამოჯდებოდა და გაზაფხულის მზის თბილ სხივებს შეუშვებდა ხოლმე მხრებს. ამისთანა წუთებში არც ჰფიქრობდა და არც თუ რამე სურდა, ის მხოლოდ გაყუჩებული ისვენებდა. გაბრიკოც აქვე მოუჯდებოდა, თვალს ადევნებდა და აჯავრებდა გამვლელ-გამომვლელს, ან ძაღლებს ეთამაშებოდა, ან და რამე წიგნს ჰკითხულობდა. ხანდახან ილია ხმა მაღლა წააკითხებდა ხოლმე წიგნს, მაგრამ მათი შინაარსი ვეღარ აინტერესებდა. ის უფრო მიყუჩებულს და მიმშვიდებულ გულს წაუგდებდა ხოლმე ყურს, ამ გულის სიყუჩეს დიდის სიამოვნებით უკვირდებოდა და სტკებოდა მითი, რადგან ამისთანა სიმშვიდე ჯერ არ გამოეცადა; მაგრამ ხანდახან ეს სიმშვიდე და გულის სისრულე რიდათიც დაერღვევოდა ხოლმე. ეს რაღაცა საოცარი და წინასწარული გრძობა იყო; იგი თუმცა არ ურღვევდა სულის სიმშვიდეს, მაინც მსუბუქად რჩდილავდა მას.

ამისთანა დროს ილია გაბრიკოს გამოელაპარაკებოდა ხოლმე.

— გაბო, მამა შენი რა ხელობისაა?

— პოქტალიონია... წერილები დააქვს...

— ოჯახი დიდი გაქვთ?

— უჰ, დიდი, ძალიან დიდი! ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ. ზოგი წერილი და ზოგი მოზრდილნი.

— წერილი რამდენი გყავთ?

— ხუთი და სამი დიდი... დიდრონნი სულ ადგილებზედ არიან უკვე: მე-თქვენთანა ვარ, ვასო—ციმბირში, ტელეგრაფზედა მსახურებს, სონა გაკვეთილებს აძლევს. ოო, სონა იმდენსა შოულობს, რო! თვეში თორმეტი მანათი მოაქვს სახლში. ერთი მიხა გვყავს კიდევ... ის ისე... ჩემზედ დილია... მაგრამ ჯერ ისევა სწავლობს გიმნაზიაში...

— მაშასადამე, მოზრდილნი ოთხნი ყოფილხართ და არა სამნი...

— რასა ბრძანებთ?— შესძახა გაბრიკომ და დაუმატა:— მიხაკო ხომ სწავლობს ჯერა... დიდი კი ის არის, ვინც ადგილზეა უკვე.

— ღარიბათა სცხოვრობთ?

— მარა!— მშვიდათ მიუგო გაბრიკომ და მაგრა შეისუნთქა ცხვირით ჰაერი. მერე თავის იმედებს და მომავალ ცხოვრების გეგმებს გადასცემდა ხოლმე.

— გავიზრდები სალდათათ წავალ. ომში მივიღებ მონაწილეობას. წავალ... მე გულადი ვარ... ყველაზედ წინ წავალ და დროშას წავართმევ ჩვენ მტერს... ბიძა ჩემს წაერთმია ეგრე და გენერალ გურკოს ჯვარი მიეცა და ხუთი მანათი ეჩუქებინა.

ილია ყურს უგდებდა მის ოცნებებს, შესცქეროდა მის დაჩენჩილ, მოძრავ, განიერ სახეს და იღიმებოდა. სალამოთი, მაღაზიას რომ დაჰკეტავდა, მეორე ოთახში გავიდოდა, სადაც გაბოს დამზადებულ სამოვარს ჩუხჩუხი გაუდიოდა უკვე. მაგიდაზედ ახალი პური და დაქრილი ძეხვი ელაგა. გაბრიკო დალევდა ერთ ჭიქა ჩაის, პურს შეატანდა და დუქანში გავიდოდა დასაძინებლად. ილია კი ხშირად ორი-სამი საათი უჯდა ხოლმე სამოვარს გარინდებულთ.

მთელი ოთახის მორთულობას ორი სკამი, მაგიდა, ლოგინი და შკაფი შეადგენდა. ოთახი ვიწრო და დაბალი იყო, მისი ოთხ-კუთხი ფანჯრიდან მოსიარულე ხალხის ფეხები, ქუჩის მეორე მხარეს ამართული სახლის სახურავი და მის ზევით ცის ნავლევჯი მოსჩანდა მარტო. ფანჯარაზედ ილიამ თეთრი მარმაშის ფარდა ჩამოათარა. ქუჩის მხრიდან ფანჯარას რკინის ჩარჩოები ჰქონდა, რაც ილიას მეტად არ მოსწონდა. ლოგინ ზევით კედელზედ სურათი გაიკრა, რომელსაც მსხვილის ასოებით ეწერა „ცხოვრების საფეხურები.“ ეს სურათი ძლიერ მოსწონდა ილიას და კაი ხანია მის შეძენას აპირებდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სურათი უზალთუნი ღირდა მხოლოდ, მაღაზიის გახსნამდის მაინც არ იყიდა.

საფეხურები სურათზე ორი მხრიდან აღიოდნენ და ერთ წერტილზე თავდებოდნენ. საფეხურებს ქვეშ სამოთხე იყო დახატული, სადაც მცენარეებით და ნათელით გარემოცული საბაოფი ადამს და ევას ელაპარაკებოდა. სულ ჩვიდმეტი საფეხური იყო სურათზედ. პირველზედ ახლად ფეხ ადგმული ბავშვი იყო დახატული, რომელსაც ცალი მხრიდან დედა იმაგრებდა. ქვეშ მსხვილი, წითელი ასოებით ეწერა: „პირველი ნაბიჯი“; მეორეზედ ბავშვი ხტოდა და თან დოღს უკრავდა, ქვეშ კი ეწერა: „წლისა, — თამაშობს.“ შვილისა — „სწავლობდა,“ ათისა — „სკოლაში დაიარებოდა,“ ოცდა ერთი წლისა იდგა თოფით ხელში და ბედნიერად იღიმებოდა, — ქვეშ წარწერა აუწყებდა: „ჯარში მსახურებს.“ შემდეგ საფეხურზედ, ოცდა ხუთი წლისას ცალ ხელში თაიგული ეჭირა, მეორეში კოხტად შეკეცილი შლიაბა და „საკოლეო“ ეწერა. შემდეგ დავაჟაკებული, შავ სერთუკში გამოწყობილი იდგა და ვილაც სქელ დედაკაცს ხელს ართმევდა. ოცდა ხუთმეტისას ჩაქუჩი ეჭირა და დამკლავებული სამქედლოში მუშაობდა. უმაღლეს საფეხურზედ წითელ სავარძელში იჯდა და გაზეთს ჰკითხულობდა; ირგვლივ ოთხი შვილი და ცოლი შემოსხდომოდნენ და ყურს უგდებდნენ, თითონაც და მის ცოლ-შვილსაც (უფთათ ეცვათ და ჯანსაღათ, მზიარულად გამოიყურებოდნენ — ამ დროს ორმოც და ათი წლის იყო უკვე. მაგრამ აგერ საფეხურები დაბლა დაეშენენ: კაცს წვერი გასქადარავებია, ხელში თევზი და ქოთანი უჭირავს. ამ საფეხურს ქვეიდან აწერია: „გარჯა სახლში;“ შემდეგ საფეხურზედ მას შვილის-შვილი უჭირავს ხელში და აძინებს. უფრო ქვეით, თითონ ის დაჰყავთ, რადგან ოთხმოცი წლისა შესრულებულა. უკანასკნელს საფეხურზედ, — ოთხმოც და ხუთმეტი წლისაა, — სავარძელში ზის და ფეხები კუბოში უწყვია, ზურგს უკან სიკვდილი უდგია და ხელში ცელი უჭირავს...

ილია სამოვარს მისჯდომოდა და ამ სურათს შეჰყურებდა, მას მეტად მოსწონდა, რომ ადამიანის ცხოვრება ასე გაწესრიგებული და ცხადათ წარმოდგენილი იყო. სურათისაგან ილიას

ფიქრით სიმშვიდე და ბედნიერება მოჰპერავდა და მისი ნათელი ტუჩები თითქოს უღიმოდნენ ადამიანს. ილია დარწმუნებული იყო, რომ სურათზედ გასაგებათ და აშკარათ იყო ადამიანის ცხოვრება დახატული. დახატული იყო ისე. როგორც ნამდვილად უნდა მიმდინარეობდეს. ილია სინჯავდასურათს, უფიქრდებოდა მის საიდუმლო აზრს და მნიშვნელობას და ეგონა მეც მივახწიე ესლა ერთ წერტილს, მივალწიე ჩემ სატრფიალო საგანს და დღეის იქით ჩემი ცხოვრებაც ასე გაწესრიგებული იქნება და ესე ნათლად, მწყობრისად ჩაივლისო — ჯერ მალლა წავა და როცა უმაღლეს წერტილს მივალწევ და ფულს მოვაგროვებ, ჭკვიან და ცოტათი მაინც ნასწავლ გოგოზედ დავიწერ ჯვარს... მაშინ ძირს დაეშვებაო.

სამოვარი სევდიანად ხითხითებდა და უსტვენდა. ფანჯარაში, მიუხედავად იმისა, რომ თხელი კისაიის ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული, ზეცა და ვარსკვლავნი მაინც მოსჩანდნენ. ვარსკვლავთა ბრჭყინვაში ხომ ყოველთვის რაღაც მოუსვენარი და მშფოთვარი იფარება....

„ორმოც წლამდის არ ვარგა ცოლის შერთვა, — ჰფიქრობდა ილია. — ქალს ვერ მოაქვს ოჯახში მშვიდობა: ისინი ბევრს უვარგის, ფუჭ ფაცი-ფუცს და წვრილმანებისთვის ღელვას და შფოთვის მოიტანენ ხოლმე თანა. ცოლიც ოცდა ათი წლისა მაინც უნდა იყვეს... მაგრამ გვიან შეირთავ ცოლსა და შვილები აღარ მოგესწრებიან, ვეღარ მოასწრებ მათ ფეხზედ დაყენებას...“

სამოვარმა ხმას უკლო და უფრო და უფრო მიუსუსტდა სტვენა, მაგრამ წინანდელზედ უფრო ძრიელ იპყრობს ადამიანის ყურადღებას. ეს სუსტი და წვრილი კნავილი თავ-მოამბეზრებლად ეხირება ადამიანს ყურებში, — კოლოს ბზუილსა ჰგავს, აღელვებს ადამიანს, არ ასვენებს და აზრებს უფანტავს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ილიას მაინც არ უნდა სამოვრის ჩაქრობა: როცა სამოვარი ჩაქრება. აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდება ხოლმე... ახალ სახლში ილიას ახალი შთაბეჭდილებანი გაუჩნდნენ. უწინ ის ყოველთვის ადამიანთა გვერდით, მეზობლად

სცხოვრებდა ხოლმე, მათგან მხოლოდ თხელი ფარდულებით და ფიცრის კედლებით იყო ხოლმე განსაზღვრული, — ეხლა კი ქვით-კირის კედლებით შეიზღუდა და თვის გვერდით ხალხი აღარ ეგულებოდა.

„რად არის ასე, რომ ადამიანი უსათუოდ უნდა მოკვდეს“ დაეკითხებოდა ხოლმე ილია თავის თავს, როცა კუბოსკენ მიმავალ კაცს მოჰკრავდა ხოლმე სურათზედ თვალსა.

აქ იაშკა მოაგონდებოდა რომელიც, მუდამ სიკვდილზედ ჰფიქრობდა, მოაგონდებოდა აგრეთვე მისი სიტყვები: „საინტერესო უნდა იყვეს სიკვდილი“...

ილია ზიზღით იშორებს თავიდან ამ არა სასიამოვნო მოგონებათ და სცდილობს სხვა რამეს გადააყოლოს გული.

„ნეტა როგორა სცხოვრებენ ეხლა პავლე და ვერა?“ — ებადება შავ ფიქრთა ნაცვლად არა სასურველივე კითხვა.

ქუჩაში რალაც ეტლი გახრიალდება. ამ ხმაურობისგან ფანჯრები და კედელზედ მიკრული სანათი ზანზარს იწყებენ. მერე რალაც საოცარი ხმაურობა ისმის დუქანში... ეს — გაბრიკო ლაპარაკობს ძალში. კუნჭულში თითქოს სიბნელიც მოძრაობს, ირხევა. ილია ზის, მაგიდაზედ დაყრდნობილი, ხელები საფეთქლებში მიუბჯენია და სურათს სინჯავს. საბაოს გვერდით დინჯათ გამომყურალი ლომი სდგას, მიწაზედ კუ ხოხავს, ცოტა იქით მელა მიდის, ბაყაყი ხტუნავს, ბოროტებისა და სიკეთის ხეს დიდი, წითელი ყვავილები აყრია. მოხუცი, რომელსაც ფეხები კუბოში აქვს ჩაშვებული, საოცრადა ჰგავს პოლუექტოვს. იმასავით მელოტი და გამხდარია ესეც და იმგვარივე წვრილი კისერი აქვს... ქუჩაში ყრუ ხმაურობა გაისმის: ფანჯრებთან ვილაკამ აუჩქარებლივ გაიარა. სამოვარი ჩაჰქრა და ეხლა ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ჰაერი გაყინულა ოთახში და კედლებს შესისხლხორცებიაო...

ვაჟრის მოგონება სრულიად არ აწუხებს ილიას და არც თუ სულს უმძიმებს, — ის ფაქიზად ეხება მის სულსა და გულს და ისე ეხვევა გარშემო, როგორც მთვარეს შემოგებვევა ხოლმე ნაზი ღრუბელი. ეს იყო მხოლოდ, რომ პოლუექტოვის მო-

გონება თითქოს რომ სურათის ღია ფერებს ახუნებდა, სწრდი-  
 ლავდა მას, ლაქას აცხებდა და ილიას ირგვლივ სიჩუმეს აორ-  
 კეცებდა... თითქმის ყოველთვის, გაიფიქრებდა თუ არა პო-  
 ლუექტოვზედ და მის მკვლელობის სურათს გაითვალისწინებდა,  
 დამშვიდებულის დაუდევრობით გაივლებდა ხოლმე გულში—  
 ხომ უნდა იყვეს ქვეყნად სამართალი და ცოდვა, ადრე თუ  
 გვიან, დასჯილი უნდა იქმნესო. მაგრამ, გაიფიქრებდა თუ არა  
 ამას, ოთახის იმ ბნელ კუნჭულს ჩააკვირდებოდა, საცა უფრო  
 მკვდარი სიჩუმე იყო და შავი, უკულო სიბნელე თითქოს რა-  
 ლაც გამორკვეული ფორმის მიღებას ჰლამოდა... მერე ტანთ  
 გაიხდიდა, ჩაწვებოდა ლოგინში და სანათს ჩააქრობდა ხოლმე,  
 მაგრამ ისე არას დროს არ ჩააქრობდა, რომ პატრუქი რამდენ-  
 ჯერმე არ აეწ-ჩაეწია. ამის გამო სანათში ხან სრულიად ჩაპ-  
 ქრებოდა. ცეცხლი, ხან ისევე გაჩნდებოდა, სიბნელე თითქოს  
 დახტოდა და დანაფარდობდა საწოლის გარშემო, ხან ეცემო-  
 და ყოველი მხრიდან და ხან ისევე განზედ გაუდგებოდა და  
 კუნჭულებში მიიმალებოდა. ილია თვალს ადევნებდა უსხეუ-  
 ლო შავ ტალღებს, ჰხედავდა როგორ სცდილობდნენ მის შთან-  
 თქმას და კი ხანი ათამაშებდა ამგვარად სანათის პატრუქს.  
 თან კი თვალგბ-დაჭყეტილი ჩასცეცებოდა სიბნელეს, თითქოს  
 რაღასაც ეძებს და რიდაცის დაჭერას ჰლამისო... დაბოლოს,  
 ცეცხლი უკანასკნელად შეიცახცახებდა და გაპქრებოდა, კუმე-  
 ტი სიბნელე ერთის წუთით უცბათ გაავსებდა ოთახს და ერთს  
 კიდევ შეიცახცახებდა, თითქოს სინათლესთან ბრძოლის შემ-  
 დევგ ჯერ არ დამშვიდებულა და გონზედ ვერ მოსულაო. შემ-  
 დევგ აშკარად გამოჩნდებოდა მასში ფინჯრის ბედრანგი, ცის  
 ფერი ლაქა და, თუ ღამე მთვარიანი იყო, რკინის მოაჯირის ჩრდი-  
 ლი წვრილ და გრძელ ზოლებად ეცემოდნენ მაგიდასა და ია-  
 ტაკზედ. ოთახში ისეთი შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდებოდა,  
 რომ კაცს ეგონებოდა, საკმარისია ერთი ამოიოხროს ადამიან-  
 მა, ჰაერი შეისუნთქოს, რომ სუყველაფერი შეირყეს და ახმაურ-  
 დესო. ლუნევი მჭიდროდ ამოიკეცავდა საბანს, უფრო კისრის  
 დაფარვას სცდილობდა და თვალგბ-დაჭყეტილი იმ დრომდის

ჩასცქეროდა სიბნელეს, ვიდრე ძილი თვალებს არ მიუღულავდა და კისერს არ მოსწყვეტდა ხოლმე. გათენებისას ყოველთვის მშვიდი და ჯანსაღი გამოიღვიძებდა და გულშინდელი სისულელის მოგონებანიც კი სირცხვილსა ჰგვრიდნენ და აწითლებდნენ. ვაიღვიძებდა თუ არა, გაბრიკოსთან ერთად შეუდგებოდა ხოლმე ჩაის სმას და ისე გულმოდგინედ ათვალიერებდა თავის მაღაზიას, თითქოს ჯერ არ უნახავს და პირველად გაჩნდა ამ ოთახშიო. ხანდახან მუშაობიდან მომავალი პავლეც შემოირბენდა ხოლმე ილიასთან. პავლე თითქმის ყოველთვის მოსვრილ-მოთხვრილი, ბლუზა გამომწვარი და მჭვარტლით მოთხუნული იყო. ის ისევ წყლის მიღების გამკეთებელთან მსახურებდა და ყოველთვის ტყვიის შილებსა და კალას დაათრევდა ხოლმე ქვებით. როცა უნდა შემოეველო, ყოველთვის შინ მიეშურებოდა და რაც უნდა ჰგვეწნოდა ილია დარჩიო, ერთი წუთითაც ვერ დასვამდა. ამისთანა შემთხვევაში დარცხვენილი ღიმილით ეტყოდა ხოლმე პავლე:

— არა, ძმაო, ვერ დავრჩები! მე ისეთ გუნებაზედა ვარ, თითქოს შინ ვერკა კი არა, რაღაც ძვირფასი, საზღაპრო ჩიტი მელიოდეს... და გალია კი მეტად სუსტი ჰქონდეს. მთელი დღეები მარტოკა ზის საწყალი... და ვინ იცის, რაებსა ჰფიქრობს? უფერული ცხოვრება დაეწყო საცოდავს, ძალიან კარგათ ვხედავ... ბავშვი აღარა ვარ...

აქ გრაჩევი მწარედ ამოიოხრებდა... ერთხელ დაღონებულმა და დაძმარებულმა პავლემ ამხანავს უთხრა:

— გადვუგდე მთელი წყალი ჩემ ბოსტანს და მეშინიან არ გაჩიფუქოს.

მეორეჯერ ილიას კითხვაზედ—ისევა სწერ ლექსებსა, თუ არაო?—გრაჩევი ღიმილით მიუგო:

— ზეცაზედ თითოთ, დიანხ... ეჰ, დაიკარგნენ ოხრები! რა ჩენი საქმეა!.. მე, ჩემო ძმაო, სულ მთლად დავეშვი, ერთი ნაპერწკალი აღარ მიღვივის არც თავში და აღარც გულში. მუდამ იმაზედ ფიქრობ... ვმუშაობ, —გკლავ, თუ სხვა რამეს ვაკეთებ, —ტყვიასავით მესხმის თავში იმაზედ დარდი და

ფიქრები... ეგეც შენი ლექსები... ხა, ხა!... მაგრამ ესეცა სთქვას კაცმა, კაცი ის არის, ვინც ყოველ საქმეში მთლად გამოიჩინოს თვის ბუნებას... ეგრე, ჩემო ძმაო, ჰხედავ, მე ესრე ვარ... ის კი სულ სხვანაირად... დიახ... მძიმე უღელი იღვა კისერზედ და იტანჯება...

— შენა?—დაეკითხა ილია.

— მეც ამით ვიტანჯები... ეჰ, იმას რომ კარგი ცხოვრება ჰქონდეს! ის მხიარულებას არის მიჩვეული... დიახ, სულ ფულებზე ოცნებობს. სადმე რომ ფულები დამეძრაო, ამბობს,—მთელი ჩვენი ცხოვრება გამოიცვლებოდაო.—სულელი ვიყავ, რომ რომელიმე ვაჭარი არ გავეჭურდე, როცა შემეძლოო... საზოგადოდ სისულელეებს ჰროტავს. განა არ ვიცი, სულ ჩემის სიბრალულით მოსდის... მაგრამ თითონაც ვაუჭირდა ცხოვრება...

აქ რაღაც მოაგონდა პავლეს და ფაცი-ფუცით სადღაც გაიქცა.

ილიას დაგლეჯილ-დაფლეთილი და ნახევრად ტიტველი მეჩქემეც ხშირად ეწვეოდა ხოლმე, რომელსაც თავისი განუშორებელი მეგობარი „ბუზიკა“ მუდამ ილლიაში ჰქონდა ამოჩრილი. მოვიდოდა და მოუყვებოდა მასპინძელს რაც კი მომხდარიყო იმ ცოტა ხნის განმავლობაში ფილიმონოვის სახლში, რა გაეგონა, რა ენახა და რა შეენიშნა. იაკობის შესახებაც ბევრს რამეს მოუთხრობდა ხოლმე. ჩამომხმარი, მოსვრილი, დათვსავით გაბანჯვლილი მეჩქემე ამოეკვროდა დუქნის კარებს და ღიმილით მოუყვებოდა ხოლმე თავის ლათაიებს.

— დაქორწილდა ჩვენი პეტრუხა, ცოლი ჯარხალს მიუგავს და გერი სტაფილოს! მთელი ბოსტანი გაიჩინა რაღა სახლში, ღმერთმანი. ცოლი მოკლე და სქელია, სახე კი სამ-სართულიანი აქვს. სამი ნიკაპი აქვს და პირი კი მიინც ერთი, საკვირველია სწორედ. თვალები კეთილშობილი ღორისა აქვს: წვრილები და ზეთ ვერ იყურებიან. შვილი ყვითელი, გრძელი და სათვალეზიანი დაუდის: „ლისტოკრატია“ სწორედ! სახელად სავვა ჰქვიან, დედასთან „ნეტარ არს კაცი“ და უდებოთ

კი — ღმერთო წაიღე იმისი თავი... ერთი სიტყვით, კამპანიაა მშვენიერი! იაკობი ეხლა ისე გამოიყურება, თითქო სოროში შეძრომას აპირებს, აბანოს ქიასავით ყლურწავს ჩუმჩუმად და რაც ძალი და ღონე აქვს, ახველებს. ეტყობა, მამას ღვიძლები გაუფუჭებია საბრალოსათვის! სქამენ რაღა. ბიჭი ჩვილია, ყელზე არ დაადგებათ, შესთვლათავენ... ბიძა შენმა წერილი მოგვწერა კიევიდან... ჩემის აზრით, ტყუილადა სცდილობს საბრალო... კუზიანს, მე მგონი, სამოთხეში არ შეუშვებენ!... მატყა ხომ სულ მთლად დაიღუბა, ორთავე ფეხით დამბლად ჩავარდა. ეხლა თვლებიან ყუთში ჩაუსვამთ და დაჰყავთ. ვილაც ბრმა დაუჭირავენბია, შეუბამს და მიერეკება ცხენსავით, — საცინელია! მაინც კი ცხოვრობს და! კაი დედაკაცია, ღვთის წინაშე! ისე რომ იმისთანა კარგი ცოლი რომ არა მყოლოდა, მე და ჩემმა ღმერთმა, მატყაზე დავიწვრდი ჯვარს! სწორედ გეტყვი, მთელ დედამიწის ზურგზე ორი დედაკაცია ნამდვილი, ესე იგი ადამიანურის გულით, — ჩემი ცოლი და მატყა. — მართალია ღოთობს, მაგრამ ესეცა ვსთქვათ, რატომ არ უნდა იღოთოს კარგმა ადამიანმა? კაი ადამიანი ყოველთვის ღოთია...

— მაშიკო? — მოაგონა ერთხელ ილიამ.

ქალის მოგონებაზე ანდაზები და სიცილი სულ მთლად დაეკარგებოდა ხოლმე მეჩექმეს, — თითქო შემოდგომის ქარმა დაჰქროლა და ხეს გამხმარი ფოთლები ჩამოჰგლიჯაო. ტუჩები აუცახცახდებოდა, ყვითელი პირის სახე დაეჭიმებოდა და დარცხვნილი, ჩუმის ხმით წაილულლულდებდა.

— ჩემი ქალის შესახებ არაფერი ვიცი.. ხრენოვმა პირდაპირ მითხრა, გვერდზედაც კი არ გამიარო, თორემ დავსახიჩრებ შენ ქალსაო... მომეცი რამე, ილია, ერთი ბოთლის ასაშენებლად ან აღსადგენად!..

— დაიღუბები, პერთილ, — უთხრა სიბრალოულით ილიამ.

— ვიღუბები კიდევ, — დინჯად დაეთანხმა მეჩექმე. — ბევრმა უნდა მომიგონოს ხოლმე, როცა მოვკვდები! — განაგრძო დაბეჯითებით პერთიშკამ. — იმიტომ რომ მხიარული კაცი ვარ

და მიყვარს ხალხის გართობა! სუყველანი ვაისა და ვუის გაი-  
 ძახიან, ღმერთსა და ცოდვებზედ ლაპარაკობენ... მე კი ჩიტ-  
 სავით ვმღერი გამუღმებით და ვიცინი. ერთს შესცოდავ თუ  
 ათასსა, მიანც ჩასძაღლდები და ეშმაკები ერთნაირად გაწამებენ...  
 მხიარული ხალხიც არის საჭირო ქვეყანაზედ, ჩემო კარგო!

სიცილითა და ოხუნჯობით, ბებერ, გახუნებულ და გაქე-  
 ციანებულ ჭივჭივსავით გაცუხცუხუნდებოდა ბოლოს და ილია  
 ღიმილითა და თავის ქნევით მიაცილებდა ხოლმე კარებამდის.  
 ილიას ებრალებოდა პერფიშკა, მაგრამ იმავე დროს ისიც ესმო-  
 და, რომ ეს სიბრალოელი სრულიად მეტი იყო და თუ ხელს  
 არ უშლიდა, ხერს არაფერს აყრიდა. წარსულის სიახლოვეს  
 ჯერ კიდევ მკაფიოდ ჰგრძნობდა ლუნვეი და ყველა, რაც კი  
 უცხოვლებდა მის მოგონებას, რაღაც მოუსვენარ და საძაგელ  
 გრძნობას უღვიძებდა. ილია ეხლა დაღალულ-დაქანცულ ადა-  
 მიანსა ჰგავდა, რომელიც მიწოლილა და ტკბილადა სთვლემს,  
 მაგრამ შემოდგომის თავმომაბეზრებელი ბუზები გამწარებული  
 დაპბზუიან თავზედ და მოსვენებას არ აძლევენ. როცა ან პავ-  
 ლეს, ან პერფიშკას ელაპარაკებოდა, თანაგრძნობით უღიმოდა,  
 თავს იქნევდა და მოუთმენლად კი ელოდა, როდის წავლენ  
 და როდის დამანებებენ თავსაო. ხანდახან პავლეს ლაპარაკი  
 მოპბეზრდებოდა და ყურის გდებაც კი აღარ უნდოდა: ამის-  
 თანა წუთებში აჩქარებით ფულებს შეაძლევედა და ხელების  
 პარჭყვით ეუბნებოდა:

— სხვა რილათი შემოძლიან გიშველო?... გირჩევი ვერას  
 თავი დაანებე მეთქი... მაგრამ ხომ არ დამიჯერებდი...

— თავის დანებება არ შემოძლიან, — დინჯად მიუგებდა  
 ხოლმე პავლე. — თავს იმას ანებებენ, რაც საჭირო აღარ არის  
 კაცისთვის. ვერა-კი საჭიროა ჩემთვის... და სხვებისთვისაც,  
 მართალი რომ სთქვას კაცმა. საქმე იმაშია, რომ მტაცებენ,  
 ძალით უნდათ ხელიდან გამომგლიჯონ... იქნება მე გულით არც  
 კი მიყვარს და ჩვენი ურთიერთთან დამოკიდებულება ბრაზისა  
 და წყენის გრძნობითაც იყოს გამოწვეული. ვერა ჩემი ცხოვ-  
 რების საუკეთესო ნაწილს, ჩემ ბედსა და იღბალს შეადგენს

და ნუ თუ, უნდა დაუთმო ვისმე? მე რაღა უნდა დამრჩეს მერე?.. მიჰქარავენ, არავის დაუთმობ! მოვკლავ და კი არავის დაუთმობ.

მუშტებ მოკუმშული და კრიქამოქერილი გრაჩევი მთლად წამოწითლდებოდა, როცა ამ საგანზე ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი.

— განა ეარშიყება ვინმე? — დაეკითხა დაფიქრებული ილია.

— არა, არაფერი შემინიშნავს...

— მაშ ვიღაზე ამბობ — ხელიდან უნდათ რომ გამომგლიჯონო?

— გახლავთ ისეთი ძალა, რომელიც გაძარცვას მიპირებს... ეჰ, დასწყევლოს ღმერთმა! მამაჩემიც ქალის გულისთვის დაიღუპა და, ალბად, მეც ეგ ბედი მიწერია...

— ვერას გზით ვერ გიშველი! — უთხრა ლუნევა და თან რაღაც კმაყოფილება იგრძნო. პავლე პერფიშკაზე უფრო ძლიერ ებრალებოდა ილიას და როცა გრაჩევი ბრაზ-მორყეული ლაპარაკს დაიწყებდა, ილიასაც გაუღვივდებოდა ხოლმე გულში ვიღაცისადმი ბრაზი და სიძულვილი. მაგრამ შეურაცხყოფი მტერი კი, მტერი, რომელიც პავლეს ცხოვრებას უსახიერებდა, არსადა სჩანდა, ის ყველასთვის უხილავი იყო. ლუნევი ისევ იგრძნობდა ხოლმე, რომ ეს ბრაზიც, როგორც სიბრაღეული და სხვა ყოველი კეთილი გრძნობანი, როგორც მისთვის, ისე სხვებისთვისაც ყოვლად უფარვისნი და უსარგებლონი იყვნენ. სასტიკად მოღუშული პავლე კი ეუბნებოდა:

— მეც ვიცი, რომ ველარა მეშველებარა... რითი მიშველი? ვინ მიშველის? ჩვენ მარტონი ვართ, ჩემო ძმაო, ცხოვრებაში. ჩვენთვის ბედს მხოლოდ ის უბრძანებია: იშრომე, ითმინე და ხმა ჩაიკმინდე... და მერე, თუ გინდა, ჩაძლდი სადმეო!

და თვალების დაშტერებით და გესლით განაგრძობდა:

— აი, შენ კუნჭულში მიჯექი და ხარ შენთვის დინჯად... მაგრამ, ღმერთს გეფიცები, ეხლა ვინმე ღამეებს სტეხავს და სულ კი იმის ფიქრშია, რომ როგორმე გამოგადლოს ამ კუთხიდან...

— უკაცრავად, — მიუგო ლუნემა ღიმილით, — მე მტერს არც შეეფუშინდები და არც დაუვარდები! ჩემი დაძარცვება და დაჯანება ვერც ადვილი არ გახლავთ...

— ეჰ, თავი დამანებე ერთი და! მაშ შენა გგონია მთელ შენ სიცოცხლეს ვაქრობაში გაატარებ?

— მაშ როგორა გგონია?

— თავს დაგანებებინებენ!.. ან არა და შენ თითონ დაანებებ... აი ნახავ..

— სანამღი ნურასა სკამ! — მიუგო სიცილით ილიამ.

მაგრამ გრაჩევი შინც თავისას არ იშლიდა. ის ჩაშტერებოდა ამხანაგს და ჯიუტად იმეორებდა:

— მე კი გეუბნები — თავს დაანებებ მეთქი და! ისეთი ხასიათი არა გაქვს, რომ მთელი შენი სიცოცხლე ჯურღმულლოში იჯდე. უეჭველად ან გალოთდები, ან და გაკოტრდები... უსათუოდ რამე შეგემთხვევა...

— რაღა მერე? — შეჰყვირა გაკვირვებულმა ლუნემა.

— ისე როგორღაც ვერ გიხდება დინჯად ცხოვრება... შენ კი ბიჭი ხარ და ადამიანის სული გიდგია... არიან ისეთი ადამიანნი, რომელნიც მთელ თავიანთი სიცოცხლეს ჯანსაღად ატარებენ, მაგრამ ერთს თუ წაიბოროძიკებენ, სამუდამოდ დავარდებიან ხოლმე.

— როგორ თუ დავარდებიან?

— ისე, დავარდებიან და მოკვდებიან...

ილიამ გაღიხარხარა, მერმე გაიზმორა, მაგარი ძარღვები დაიჭიმა და ღრმად ამოიოხრა.

— სისულელეა! — დაუმატა ილიამ გულგრილად.

მაგრამ სულამოთი, სამოვარს რომ მოუჯდა გვერდით, ნება უნებურად გრაჩევის სიტყვები მოაგონდნენ და ავტონომოვთან დაქერილ საქმეზედ დაიწყო ფიქრი. მისი წინადადებით გახარებული ილია ყველაფერზედ სთანხმდებოდა, რასაც კი ეუბნებოდნენ. მაგრამ ეხლა კი მიხვდა, რომ თუმცა ორმოც თუმნამდის ჩაპყარა ამ საქმეში, ტატიანა ვლასოვნას ნოქარი თუ დაერქმეოდა, თორემ ამხანაგი კი არას გზით. ამ აზრმა გააკვირვა და გააშმაგა კიდევ ილია.

— აა! მაშ იმიტომ მებვევი აგრე მაგრა, რომ ჯიბეში ჩამძვრომოდი?— ელაპარაკებოდა გუნებაში ტატიანა ვლასოვნას და აქვე გადასწყვიტა დანარჩენი ფულიც დაეხარჯნა და დუქანი სულ მთლად გამოესყიდა საყვარლისგან. ტატიანა ვლასოვნა უწინაც მეტ ბარგად მიაჩნდა და ამ უკანასკნელ დროს ხომ ველარც კი ითმენდა იმის სიახლოვეს. ვერ იქნა და ვერ შეეჩვია იმის აღერსს და ერთხელ შიგ პირში უთხრა:

— რა უსინიდისო რამა ხარ, ტასო...

ქალმა მხოლოდ გადინხარხარა ამის პასუხად.

ის ძველებურად მოუთხრობდა ხოლმე თავსი წრის ხალხის ცხოვრებას და ერთხელ ამისთანა ლაპარაკის დროს ილიამ უთხრა:

— თუ სულ მართალს ლაპარაკობ, ტასო, მაშ მთელი თქვენი კეთილი ცხოვრება კაპიკად არა ღირებულა.

— რადა? კარგა მხიარულად ვატარებთ ცხოვრებას! — მიუგო ავტონიმოვისამ, მხრების აწევით.

— კარგი მოგცეს ღმერთმა, კაი მხიარულობა ეგ იყოს! დღე ჭორიკანობა. და ღამე — გარყენილობა... არა, აქ რაღაცა ვერ არის კარგი...

— რა ბავშვი რამა ხარ! — სიცილით მიუგო ტატიანა ვლასოვნამ. — აბა, დამიგდე ყური... აქ ისევ მოჰყვა ქალი თავიანთ კეთილ და მართებულ ცხოვრების ქებას, მაგრამ ქების ნაცვლად მისი ჭუჭუი და სიმკაცრე გამოააშკარავა.

— მერე რა არის მანდ კარგი? — ეკითხებოდა ილია.

— რა ტუტუცი ყოფილხარ! მე იმას კი არ გეუბნები, კარგია მეთქი, მაგრამ ასრე რომ არ გვეცხოვრნა, მოსაწყენი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება.

ქალი ხანდახან არიგებდა და ქკუასაც აწავლიდა ხოლმე ილიას

— დროა ჩითის პერანგებს თავი დაანებო: რიგიანი ხალხი ტილოს საცვლებს ატარებს... ყური მიგდე როგორ ვლაპარაკობ და შენც ისწავლე. ვინ ამბობს „ტაქანი“, „ტოლი“,

„ჭტრაფი“ და სხვ. ეგ სულ გლახური სიტყვებია და შენკი გლახი აღარა ხარ, თუმცა გაროკენა გაკლია ჯერ კიდევ.

როცა დრო და ეამი გადიოდა, ტატინა ვლასოვნა თან და თან უხშირებდა ილიას გლახობაზედ და მის გაუროკენაობაზედ ლაპარაკს. ყოველ სიტყვაში, თუ მიმოხვრაში ქალს ეტყობოდა, რომ თავისი განათლებით თუ სხვა უპირატესობით ილიასთან თავი მოჰქონდა. ყველა ეს ილიას ამცირებდა და ბრაზსა ჰგვრიდა. როცა ოლიმპიადასთან სცხოვრებდა ილია, ქალს ხან კარგ მეგობრათ იგულვებდა და ხან კი ეგონა მშვიდის და წრფელის სიყვარულით მიყვარსო. ტატინა ვლასოვნა კი არასოდეს არ იწვევდა მასში მეგობრულ გრძნობას და განწყობილებას, თუმცა როცა დააკვირდებოდა, ცხადათა ჰხედავდა, რომ ტატინა უფრო საინტერესო და წარმტაცი იყო, ვიდრე ოლიმპიადა. მიუხედავად ყველა ამისა, ვერას გზით ვერ მოუხერხებინა მისი პატივისცემის ჩანერგვა გულში. ჯერ ისევ იმ დროს, როცა ილია ავტონომოვებთან სცხოვრობდა, ხშირად მოუტრავს ყური, ტატინა ვლასოვნა ძაღლის წინ როგორ ლოცულობდა ხოლმე:

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა... — გაისმოდა ხოლმე კედლის იქითა მხარეს ტატინას აჩქარებული ჩურჩული. — პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი...“ კირია! ადე ერთი სამზარეულოს კარი მიხურე, ფეხებში ქარი მიბერავს...

— მერე ტიტლიკანა მუხლებით რად იჩოქებ ცარიელ იატაკზე? — დაეკითხებოდა ხოლმე ზარმაცად კირიკი.

— დაიცა, ნუ მიშლი!... — და კვლავ გაიგონებდა ილია ქალის აჩქარებულ სისინს:

— განუსვენე, შენ უფალო, მონასა შენსა ვლასსა, ნიკოლოზს, მღვდელ მონაზონს მარდარიას... მონასა შენსა ევდოკიასა, მარიამსა, მოიხსენე შენ უფალო და მიეც ჯანი ტატინას, კირიკს, სერაფიმს...

ქალის აჩქარებული ლოცვა არ მოსწონდა ილიას: ის ცხადათა ჰგრძნობდა, რომ ტატინა იმიტომ კი არ ლოცუ-

ლობდა, რომ ღმერთი ელოცნა, არამედ იმიტომ, რომ ეს ლოცვა ჩვეულებათ ჰქონდა უკვე გადაქცეული.

— ტასო, სწორედ მითხარი, ღმერთი გრწამს შენა?—  
 დაეკითხა ერთხელ ილია.

— რა სულელია!— შესძახა გაკვირვებით ქალმა.— მრწამს მარა! რა იყო, რაზედ მეკითხები?

— ისე... ძლიერ გეჩქარება ხოლმე მისი თავიდან მოშორება...— ღიმილით მიუგო ილიამ.

— ჯერამ ერთი, რად ამბობ ძრიერ, როცა შეგიძლიან სთქვა ძალიან, ძლიერ! მეორეც ეს ერთი, მე ისე ვიღლები მთელი დღის განმავლობაში, რომ ღმერთი ჩემ დაუდევრობას და ლოცვის დროს აჩქარებას უსათუოდ მაპატიებს...

ამ სიტყვებზედ ტატიანამ ოცნებით ალაპრო ზეცისკენ თვალნი და დასძინა:

— ის— მაპატიებს, რადგან გულთა-მხილავია და მოწყალე...

ოლიმპიდა კი ყოველთვის ხანგრძლივად და ჩუმად ლოცულობდა ხოლმე. დაიჩოქებდა ხატების წინ, ჩაჰქინდრავდა თავს და გაქვავებულსავით იდგა ერთ ადგილს... მისი სათნოიანი სახე ამისთანა წუთებში სასტიკ და ცივ გამომეტყველებას მიიღებდა, კითხვებზე არაფერს მოგიგებდათ და არც კი შემოგხედავდათ...

ეხლა კი, როცა იმასაც მიხვდა ილია, რომ ტატიანა ვლასოვანამ ვაჭრობაში უსინიღისოთ მომატყუილაო, რაღაც ზიზლის მაგვარი გრძნობა იგრძნო მისდამი.

„უცხო რომ ყოფილიყო ჩემთვის, კიდევ ჯანი ვავარდნოდა!— ჰფიქრობდა ილია.— ყველა ატყუილებს ერთმანეთს... მაგრამ ტატიანა ცოლისავით არის ჩემთვის... მკოცნის, მელერსება... საზიზლარი, მრუშე კატა! ეგრე ხომ მრუშე ქალები იქცევიან... იმათგანიც ყველა არ იზამს მაგასა და!..“ ამ ფიქრების შემდეგ ტასოს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა, გულგრილათ ეპყრობოდა და სკდილობდა მასთან შეხვედრისა და ბაასისთვის რაიმე მიზეზით დაეხწია თავი. სწორედ ამ დროს ლუნეგმა ერთი სხვა ქალიც გაიცნო. ახლად გაცნობილი

ქალი გაბრიკოს დაი იყო, რომელიც ძმის სანახავათ ხშირად შემოირბენდა ხოლმე დუქანში. გაბრიკოს და მალალი ტანის, გამხდარი, მაგრამ მოყვანილი და ულამაზო ქალი იყო და თუმცა ძმამა სთქვა ოცი წლისაო, ილიას მინც ბევრით უფროსი ეგონა. დაგრძელებული სახე უდროოთ ჩაჰყვითლებოდა და მალალი შუბლი დაჰღაროდა. ვანიერი ნესტოები ბრაზისაგან გაბერილებს უგავდნენ. თუმცა გარკვევით ლაპარაკობდა, მინც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს კრიკა მოჭერილი, ძალა დატანებულად ლაპარაკობსო; სიარული ჩქარი ჰქონდა და თავ გადაწეული დაიარებოდა, თითქოს თავისი ულამაზო და ულამაზო სახით თავი მოაქვსო, ან იქნება შავი თმის გრძელი და სქელი ნაწნავი იყო ამის მიზეზიო... დიდი, შავი თვალების და სახის სასტიკი გამომეტყველება მის წერწეტა ტანს რაღაც თავისებურობის და შეუდრეკლობის ელფერსა სდებდა. ლუნევი მის წინ რაღაც გაუბედობას და მოკრძალებას ჰგრძნობდა და ქალი ამაყად ეგულებოდა. შევიდოდა თუ არა ქალი მალაზიაში, ილია ზრდილობიანად სკამს მიაწოდებდა და დასაჯდომად მიიწვევდა ხოლმე.

— გმადლობთ! — თავის დაკვრით, მოკლეთ მიუგებდა ქალი და ჩამოჯდებოდა. ლუნევი ჩუმათ ათვლიერებდა ქალის არა ჩვეულებრივ სახეს, მის მიხაკის ფერ, საკმაო ნახმარ კაბას, დაკერებულ ფეხსაცმელს და ჩალის შლიაპას. სკამზედ ჩამოგდარი ქალი, ძმასთან ლაპარაკის დროს, მარჯვენა ხელის თითებს მუხლზე ათამაშებდა და მარცხენა ხელით თასმებით შეკრულ წიგნებს აქანავებდა. ილიას როგორღაც ეხამუშებოდა, რომ ამისთანა ღარიბი ოჯახის ქალს ასრე ამაყად ექირა თავი. ორი-სამი წუთის შემდეგ ქალი წამოხტებოდა და წასვლის წინ ძმას მიუბრუნდებოდა:

— მშვიდობით! ძალიან ნუ იგეჟებ...

მერე ლუნევსაც დაუკრავდა ხმა ამოუღებლივ თავსა და ომში მიმავალ ვაჟკაცსავით გაივლიდა ხოლმე კარებისაკენ.

— რა სასტიკი და გყავს! — გაბრიკოს უთხრა ერთხელ ლუნევმა.

გაბრიელმა უცებ ცხვირი მაღლა აიწია, თვალები გადმოიკარკლა და ტუჩები გადმოიბრუნა. სახის ახალმა ცვლილებამ ბავში მეტად დაამსგავსა თავის დას. მერმე ღიმილით მიუბრუნდა ილიას:

— აი როგორი ბრძანდება .. ასე გვაჩვენებს თავსა, თორემ...

— დასაძალი რა აქვს მერე?

— ისე .. უყვარს ვერე და რაჰქნას! განა მეკი ვერ ვიხამ ვერე, რა სახეც მინდა, იმას გაჩვენებ...

ახლად გაცნობილმა ქალმა ილია ძალიან გაიტაცა და როგორც უწინ ტატიანა ვლასოვანაზედ, ეხლა ამაზედაც ჰფიქრობდა:

„აი ამისთანაზედ უნდა დაიწეროს კაცმა ჯვარი, რომ ბედნიერი იყოს. ამისთანას სულიც ექნება და გულიც“...

ერთხელ, ძმის სანახავად რომ მოვიდა ქალი, თან დიდი და სქელი წიგნი მოიტანა:

— აჰა, წაიკითხე... კარგი წიგნია...— მიუბრუნდა და თავის ძმას.

— რა წიგნია, შეიძლება ვნახო?— ზრდილობიანად დაეკითხა ილია.

ქალმა გამოართვა ძმას წიგნი და ლუნეეს გადასცა:

— დონ-კიხოტია... ერთი გულკეთილი გმირის თავგადასავალი.

— ჰოო? გმირებზედ მეც ბევრი კაი წიგნი წამიკითხავს, — ზრდილობიანის ღიმილით უთხრა ილიამ და სახეში შეხედა. ქალს წარბები შეერხნენ და აჩქარებულად მიუგო:

— თქვენ ზღაპრები გიკითხავთ და ეს კი მშვენიერი და ჭკვიანური წიგნია. ამაში ისეთი კაცია დახასიათებული რომელმაც უბედურთა და შევიწროებულთ შესწირა თავი... ეს კაცი ყოველთვის მზათ იყო სხვის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ თავი განეწირა, — გესმით? წიგნი სასაცილოდ არის დაწერილი... მაგრამ ამას მაშინდელი დრო და გარემოებანი მოითხოვდნენ. ეს წიგნი გულის ყურით უნდა წაიკითხოს ადამიანმა, რომ მისი აზრი გაიგოს.

— ჩვენც ვგრე წავიკითხავთ რა,— მიუგო ილიამ.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ გაბრიკოს და ილიას გამოელაპარაკა. ამან მეტად ასიამოვნა ლუნევი და ნეტარი ღიმი მოჰგვარა სახეზედ. მაგრამ ეს სიამოვნება ხანგრძლივი არ იყო ქალმა შეხედა სახეში და მკვახედ უთხრა:

— არა მგონია, რომ ეს წიგნი თქვენ მოგეწონოთო და წავიდა. ილიას ისე ეჩვენა თითქო სიტყვას თქვენ სულ სხვა მნიშვნელობა მისცაო. ეს მეტად ეწყინა ლუნევს და გაბრაზებული გაბრიკოს მიუბრუნდა, რომელიც წიგნს მისჯდომოდა და ნახატებს სინჯავდა:

— წიგნის კითხვის დრო არ არის ეხლა.

— მუშტარი ხომ არ შემოსულა და რატომ არ არის დრო? — დაეკითხა გაბრიკო და წიგნი მაინც არ მოჰკეცა. ილიამ გადახედა და არა უთხრა-რა. თავში სულ ქალის უკანასკნელი სიტყვები უტრიალებდნენ. ქალის მოგონებაზედ უსიამოვნოდ გაიფიქრა გულში:

„რა ფარშავანგია!..“

(შემდეგი იქნება)

## ქართული ფართო-ენი სატყევები.

ლაპარაკის გასალამაზებლად თვითეულ ხალხს თავის ლექსიკონში მოეპოვება ანდაზები, ეპიტეტები, სიტყვები, რომლებიც თავიანთი ფორმით, მნიშვნელობით ანუ დასაწყისით—წარმოშობით უცებ იზიდავენ საერთო სიმპათიას.

ამგვარი სიტყვები ერთნაირის სიაღვლით და სიმარლით გადადის დიდებულის დარბაზიდან საცოდავის ქოხამდე და უბადრუკ მუშაკიდან ხარისხოვან მოხელემდე; დადის კილით-კიდეზე; „დაფანანგს“, ყველა იმეორებს, ყველა ისმენს, სტკბება გაგონებით. რომ იტყვიან, მავანმა „მარილიანი“ საუბარი, „წყლიანი“ ლაპარაკი იცისო, უეჭველად სახეში ასეთი „ფართო-ენი სიტყვების“ ხმარებაც აქვთ, სხვათა შორის, რასაკვირველია.

საუბრის გაშროიანება, გალაზათიანება წარმოუდგენელი უამისოდ: ანდაზა, მოსწრებული სიტყვა, მახვილობა და თავის ადვილას ნახმარი ეპიტეტი ლაპარაკისთვის იგივეა, რაც არქიტექტურა შენობისთვის.

ენის სიმდიდრეც, სხვათა შორის, ამ „ფართო-ენის სიტყვების“ სიმრავლითაც გაიზომება, მგონია, ქართულ ენას ამ მხრივ ნაკლი არ დაედება; დასანანებლად მხოლოდ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენ მშობლიურ ენის საუნჯეს ჯერჯერობით აკლია მკვლევარი და მაძიებელი.

უამთა მიმდინარეობა თავისს ელფერს ადებს ერთა ცხოვრებას და მასთან ერთად მისს ენას. დრო მიდის და ენა შეუშინველად სტოვებს თავისს ძველ ფორმებს და სამაგიეროდ

იძენს ახლებს; კიდევ კარგი, თუ ახალი ფორმების შექმნა ხდება ბუნებრივად, საკუთარის კანონების და მასალის მიხედვით და შემწეობით და არა ნაძალადევად, უსაბუთო, უგუნურ წახედულობით, მიბაძვით.

კერძოთ ცვლილების ძალას ემორჩილება თვითეული სიტყვა: ზოგს აკლდება დაბოლოება, ზოგს თავი; ზოგს ეძლევა სხვა მნიშვნელობა, ზოგის მნიშვნელობა სრულიად გვაღიწყდება. ასეთივე დღე ადგება, რასაკვირველია, „ფრთოვან სიტყვებსაც.“ დღეს სიამოვნებით ვისმენთ და ვხმარობთ ამგვარ სიტყვებს, რადგან არამცთუ მათი მნიშვნელობა კარგად გვესმის, არამედ ზოგჯერ დაახლოვებით ვიცით მათი წარმოშობა, თავდაპირველი მთქმელი, სრული მისი ისტორია; გავა დრო, და მთქმელი ხომ, რასაკვირველია, დაგვაღიწყდება,—მაგრამ დაგვაღიწყდება მასთან თვით სიტყვის მნიშვნელობაც, რადგან ზოგჯერ „ფრთოვანი სიტყვის“ მნიშვნელობას ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს თვით მთქმელთან და, საზოგადოდ, „სიტყვას“ თავის ისტორიასთან. მაგალითად, ქიზიყში ანდაზად ამბობენ:

„ვინც იცის—იცის, ვინც არა—ცერცვი ჰგონია“. ვინც პირველად მოისმენს ამ ანდაზას, შეიძლება ვერაფერი გაიგოს მის მნიშვნელობისა: რის ცერცვი, რა ცერცვი? ცერცვი აქ რა უნდა იყოს? განცვიფრებით იკითხავს იგი. ცხადია, ამ ანდაზას განმარტება სჭირია, რის შემდეგაც, როგორც მერე დავინახავთ, ისე უცნაურად აღარ გვეჩვენება; პირიქით, საკმაოდ მოსწრებულადაც მივიჩნევთ და არსებობის გზასაც დაუწლოცავთ.

ქართულ ენაში ბევრია ამგვარი სიტყვები, რომლების ისტორიაც უეჭველად აღძრავს მშობლიურ სიტყვიერების მოყვარეთა შორის ცნობისმოყვარეობას. ვის არ უნდა გაიგოს, მაგალითად, რა საფუძველი, რა დასაწყისი აქვთ ამ თქმულებას: ციციანთ დავა, მაჩაბლიანთ კაბა, ატოცის გლახა, თოროზას გულა, გაგუნანთ დერეფანი, ოთოთაანთ ქორი, ალიას დარდი და სხვ. და სხვ.

ჩვენ განვიზრახეთ, შეძლების და-გვარად, ზოგიერთა ქართული ფრთოვანი სიტყვების წარმოშობის აღნიშვნა და გან-

შარტება, თუმცა საგანი მეტად სამძიმოდ მიგვაჩნია, რადგან ამ საქმეს დიდი ღრო და ძიება სჭირია: საძიებელი და საჩხრეკი ორი წყაროა, ორივე ფართო და თითქმის განუსაზღვრელი: პირველი—ძველი და ახალი ქართული მწერლობა და მეორე—ხალხური ზეპირ-გარდმოცემა.

პირველსაც და მეორესაც ბევრი დევნა, რკვევა, მოთმინება და მოკლილობა უნდა, რაც ერთის კაცისთვის ყოველად მოუხერხებელია.

ამიტომ სრულიად იმედი არა გვაქვს ნატვირთი შრომა ბოლომდის მივიყვანოთ; მაგრამ ჩვენს სურვილს აღსრულებულად მივიჩნევთ, თუ ვინმე ჩვენის მაგალითით წახალისდება და მიჰყოფს ხელს აღნიშნულ საგნის კვლევას. ძლიერ ნასიამოვნები დავრჩებით, თუ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დასტამბული ასეთი შრომის ნახვა ოდესმე გველირსება.

ჯერჯერობით წერილში მოვათავსებთ თოთხმეტ სხვა-დასხვა „სიტყვის მასალას“, თქმულებას ანუ, როგორც სათაურშივე ვუწოდეთ, „ფართოვან სიტყვას“.\*)

### თავსუდ ლაფ-დასხმულა

წყრომის ნიშნად ხალხში ხშირად ერთი მეორეს ეტყვის ხოლმე: „შე თავზედ ლაფ დასხმულოო!“

საფუძველი ამ ქართული შეჩვენება-გინებისა აი სად მოიპოვება.

ზნეობით დაცემული ქალი ძველად საქართველოში ამ წარსულ საუკუნემდე დიდად იშვიათს ამბავს შეადგენდა. თვით ქართული ყოფა-ცხოვრების წეს-წყობილება, ოჯახის პირობები

\*) ამ თარგმეტის წლის წინად რუსულ ენაზედ დასტამბა ბ. მაქსიმოვის წიგნი ასეთისავე სათაურით, სახელდობრ: „Крылатые слова.“ რუსის საზოგადოებამ ეს წიგნი დიდის სიამოვნებით მიიღო და სალიტერატურო კრიტიკამ იგი რუსულ სიტყვარების განძად დასახა.

ქალს ისეთს შემოზღუდულ წრეში აყენებდნენ, რომ იქიდან სამრუშოდ ფეხის გადადგმა მეტად მოუხერხებელი და თითქმის შეუძლებელი იყო.

ჯერ ერთი, ყმაწვილ ქალს თუ ვაჟს სიყრმიდგანვე დიდ-თაგან ყურში ჩაწვეთებული ჰქონდათ და მუდამ ჟამსვე ესმოდათ ის აზრი, რომ მრუშობა ერთი უსაშინელებს და ადამიანის ქვეყნის წინაშე მეტად დამამცირებელ ცოდვათაგანია; ერთის სიტყვით, ოჯახობრივს იღრზდას დიდი გავლენა ჰქონდა ქართველი ქალის ზნეობითს უმწიკვლობაზედ.

მეორეც ეს, რომ ქართველ ქალს უცხო კაცთან შეხვედრა განმარტოებით არსად არ შეეძლო. ახლო ნახვა და შეხვედრა ვისიმე შეეძლო მხოლოდ მშობლის ანუ ქმრის სახლში, ისიც სტუმრისა. მხოლოდ ქალს არც ამ შემთხვევაში ჰქონდა მინიჭებული სრული თავისუფლება: ერთად გართობა, ლაყბობა, კრეჭა-გრეხა, ჩურჩურ-კურკური ქალს არც თავის სახლის სტუმართან შეეძლო. პირიქით, თუ სახლის ვითარებანებას იძლეოდა, სტუმრობა-ნადიმობის დროს ქალები შეექცეოდნენ ცალკე ოთახში და ვაჟები ცალკე. შეერთება ამ ორი სქესის გუნდებისა მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ლხინს აუცილებლად საერთო, საზოგადო ხასიათი უნდა მისცემოდა, ე. ი. ცეკვა-თამაშობის დროს. მაგრამ ურიგობას არც აქ ჰქონდა ადგილი; დომხალივით ქალ-ვაჟების ერთმანეთში არევა არც აქ შეიძლებოდა: ყოველთვის ყველა ქალებს ექირათ წრის ერთი მხარე და ვაჟებს მეორე. ვაჟი ქალს გამოიწვევდა საცეკვაოდ თავაზიანის თავის-დაკვრით და მასთან საუბრის გამართვა კი არ შეეძლო.

თვით ეკლესიაშიც კი, როცა შესაძლებელი იყო ქალებისა და ვაჟების შეხვედრა, ყოველთვის თვითეულ სქეს თავისი განსაკუთრებული ადგილი ეკავა წირვა-ლოცვის დროს: თითქმის მუდამ ქალები უკან დგებოდნენ, ვაჟები წინ.

ხშირად ქალისა და ვაჟის ცოლ-ქმრობის საქმე სრულიად გადასწყდებოდა ორივე მხარის მშობელთა შორის და საქმროსა და საცოლოს ერთმანეთი კი ჯერ არ ენახათ.



ეს უკანასკნელი ჩვეულება ეხლანდელის შეხედულებით შომასწავებელია მშობლების დესპოტიურ უფლებისა და მოკლებულია ადამიანურ გრძობას; ჩვენ, ეხლანდელ თაობას, გვიკვირს და გვაოცებს შვილების ასეთი მონებრივი მდგომარეობა. მაგრამ ცოტაოდნად რომ ჩავუფიქრდეთ და ეს გარეშობა დაკვირვების საცერში გაეატაროთ, ადვილად მივხვდებით, რომ ამ ჩვეულებას ცუდ მხარესთან დიდი სიკეთე და პრაქტიკული საფუძველი ჰქონია იმ დროში. წარმოიდგინეთ, რა იყო ძველებური საპატარძლო და მაშინდელივე სამეფო? პირველი იყო ცამეტ-თოთხმეტის წლის გოგო, სრულიად უფიცი, გამოუცდელი, ყველაფრის უნახავი, გონებით განუფითარებელი, თითქმის ბავშვი; მეორე — ჩვიდმეტ - თვრამეტის წლის ბიჭი, რომელიც ჰკვა-გონებით და გამოცდილებით იმავე ხარისხზე იდგა. ცხადია, რომ ამათანა პირებს იმისთანა მძიმე საქმეში, როგორც არის შეუძლება, უნდა ჰყოლოდათ არამც თუ ხელმძღვანელი და მრჩეველი, არამედ პატრონი, საქმის ამწონდამწონი, ანგარიშის გამწევი და გადამკრელი, ე. ი. მშობლის გული და გონება, რომელთაც ძნელად გამოეპარებოდათ შვილის ინტერესი, სიკეთე და სარგებლობა.

უეჭველია, მოხდებოდა ხოლმე, რომ მშობელი ღალატობდა შვილის სამჯობინარს; მაგრამ ეს ხომ იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

ჩვენს დროში ქალიცა და ვაჟიც გონებით და გამოცდილებით გაცილებით მალსა სდგა. ხშირად საქრმო მიაღწევს 40 წლამდის, სარძლო 30. ქალიცა და ვაჟიც თავის ჯვარისწერამდე უკვე ორმოცი პირის გაცნობას მოასწრებენ, რომელთაც ვაჭრულის თვალით დაუწყებენ ცქერას; ბევრი მათგანი მოეწონებათ, მხოლოდ ზოგი ცოტად, ზოგი მეტად; ხშირად სიყვარულსაც უცხადებენ ერთმანეთს. აბა რაღა თქმა უნდა, მშობლების მოსახრება და ჩარევა ამ შემთხვევაში მეტიჩრობა და გამოდის და სწორედ ბარბაროსობა და დესპოტობა იქნება, რომ ამ დროს მშობელმა თავის შვილს უბძანოს, გინდა თუ არა, ესა-და-ეს ქალი უნდა შეირთო, ანუ ამა-და-ამ ვაჟს უნდა

შიგათსოვოო. ან ვისი-ღა ებეკუნობაა საქირო 35-40 წლის კაცისთვის და 25-30 ქალისთვის? ეხლანდელ ქალს ანუ ვაჟს უკვე გამოარკვეული აქვს საკუთარი რწმენანი, საკუთარი შეხედულება აქვს საგნებზედ და შესტრფის თვითგანვე უკვე დახატულს ცხოვრების იდეალს და „იღბალს.“ ქალიცა და ვაჟიც უეჭველად უბედურდებიან, როცა მათ ძალით ანებებინებენ თავს აღმორჩეულ საგნისთვის, აღმორჩეულ ცხოვრების გზისთვის ანუ იმ არსებისთვის, „ვისგან სიკვდილში, თვით უკვდავებას“ ჰპოებენ იგინი, როგორც ჩვენი უკვდავი პოეტი იტყვის.

უწინდელ ცამეტის წლის, სრულიად უვიცს, უნახავს და გამოუცდელ ქალს აბა რა იდეალი, შეხედულება და ვისიმე ჩანერგილი სიყვარული უნდა ჰქონოდა, რომ მშობლის სურვილი და ნება მათი დამრღვევი და ჩამშლელი შექმნილიყო?

ასე ძნელი, მოუხერხებელი და უმართებულოა ძველი და ახალი დროის ზნე-ჩვეულებების ერთის ადლით ზომვა, ერთის სასწვრით აწონვა და ერთის თვალით სინჯვა.

ერთის სიტყვით, ძველანდელი ქართველი ქალი ისეთს პირობებში იყო ჩაყენებული, რომ მრუშობა იმისთვის ადვილი მოსახერხებელი არ იყო. ქალის გარყენილობა და უზნეო-ყოფა, ჩაცევა დიდს იშვიათს მოვლენას შეადგენდა, და, როგორც ყოველი იშვიათი რამ, ასეთი შემთხვევა თუ მოხდებოდა, დიდს გასაოცარს, დიდს სამაგალითო და ქვეყნის სალაპარაკო მითქმა-მოთქმის საგნად გარდიქცეოდა ხოლმე.

სახელ-გატეხილი ქალი ყველასაგან დევნილი, მოძულე-ბული და გასაკიცხი იყო. მისი უებრალება აღარავის ჰქონდა, ყველა ზიზღით უტკეროდა და იხსენიებდა.

ასეთის უბედურის ქალისთვის შემდეგი სასჯელი იყო დადებული, ჩვეულებათა და დროთაგან დაგვირგვინებული. რაკი ქალის უზნეობა გამომჟღავნდებოდა, მოსქრიდნენ მას ცხვირს,\*) გამოიყვანდნენ სასოფლოზედ, შესვამდნენ ვირზედ

\*) Бакрадзе и Бердзеновъ. „Тифлисъ въ историч. и этнографич. отношеніяхъ“, стр. 95.

პირ-უკულმა, ზოგჯერ კუდს ხელში დააქერინებდნენ და ამ სახით ჩამოატარებდნენ სოფლის ანუ ქალაქის ყველა ქუჩებზედ; ამასთან ეს უბედური უნდა გაეჩერებინათ თითქმის ყოველ სახლის წინ, სადაც ყველა დიდსა და პატარას, რომელნიც მაყრიონივით, აუარებელის რიცხვით უკან მისდევდნენ საშინელის აურ-ზაურით, ჟრიაშულით, კიჟინით ნება ჰქონდათ ხელით და ნიჩბებით მიესხათ წინადვე დამზადებული ტახასა, ჭაფია.

ადამიანს მიწას აყრიან დამარხვის დროს. „თავზედ ჭაფის დასხმაც“ იმის მომასწავებელია, რომ „ლაფ დასხმულიც“ ცოცხლებილამ გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. ვირზედ ნაჯდომს მშრალი მიწა რომ მიაყარონ, მაშინვე ჩამოსცივია; ლაფი კი ზედ შედარებით, მეტ ხანს შერჩება, ნასახს დასდებს, გასვრის და ამიტომ უუკიდურესს სასჯელისთვის—ლაფისთვის ხალხს უპირატესობა მიუცია.

„1805 წელს მაისის თვეში ქ. სიღნაღის კაპიტან ისპრავნიკმა მთავრობას დაასმინა, რომ სოფელ ბოდბისხევის მცხოვრებლებმა, რიცხვით 500 სულმა, მარიამ ყარდანაშვილის სახლილამ გამოათრიეს მისი ქალი—ბარბარე უზნეო ყოფა-ქცევისათვის, შესვეს ვირზედ, დაატარეს მთელი სოფლის ქუჩები თავზედ ლაფის სხმით და შემდეგ სახლიც დაუწვესო.“\*)

მღვდლის იოანე დიმიტრის-ძის აღნიაშვილის სიტყვით, ასეთივე შემთხვევა მომხდარა უფრო ახლო ხანში, ასე 1876—7 წლებში, გორის მაზრის სოფ. მოხისში, სადაც ტალახი დაუსხავთ მამაკაცისთვის.

ასე, ჩემო მანსჯეო, ხან ასე და ხან ასეო.

ორი მოსაუბრე როცა დააბოლოვებენ თავიანთ საუბარს და ნამეტნავად თუ ეს საუბარი მრავალ-ფეროვანი და სასიამოვნო მოსასმენი იყო, ხშირად ამთავრებენ მას ამ სიტყვებით:

\*) იხ. იგივე „Тифლისъ“ გვ. 95.

„ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“, რომელსაც იტყვის ერთი იმათგანი, ვინც უფრო მათში ხუმრობის გუნებაზედ იქნება.

დასაწყისი ამ სათქმელისა აი სად მოიბოვება. ამ სიტყვებით ხშირად უყვარდა საუბრის დაბოლოება საქართველოს უკანასკნელს მეფეს გიორგის. მამის მიბაძვით, ამ სიტყვების ხშირად ხმარებას მიეჩვია შვილი გიორგი მეფისა ბატონიშვილი მიხეილი, რომელსაც ერთხელ თურმე აღეძრა ცნობის-მოყვარეობა და იკითხა ამ ლექსის წარმომდინარეობა. ბატონიშვილს ასეთი განმარტება მოახსენეს:

მეფე თეიმურაზ მეორეს, ერეკლე მეორის მამას (გარდაიცვალა 1762 წელს) ჰყოლია ერთი თავისთან, ხუმრობისა და მჭევრმეტყველობის გამო, დაახლოვებული ბერი, სახელად მანასე. როცა თეიმურაზ მეფე ამ მანასე ბერთან საუბრით ასრულდებოდა, დაბოლოვების დროს, როგორც თვითვე მოხუბარე და მოლექსე, მიმართავდა ხოლმე ამ ბერს ლექსით:

„ასე, ჩემო მანასეო,  
 ხან ისე და ხან ასეო“.\*)

როცა ეყარა, ის დრო წავიჯაო.

ამ სიტყვებით ნიშნს უგებენ იმ კაცს, რომელიც დაუდევრობით და ზარმაცობით თავისთვის სასარგებლო საქმეს უმჯობესს დროს კი არ შეასრულებს და როცა ვადა გავა და მეცადინეობა ამაო შეიქმნება, მაშინ ლამობს ძიებას და საქმის დაწყობას.

ამ თქმულების დასაწყისი ასეთია. მკა იყო გახურებული. ხოსროუანთ ქვრივს (სოფ. ხელთუბანში) ნათლიამ შესძახა კარებიდან:

\* ) პ. იოსელიანი. „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“, გვ. 159.

— ნათლი დედ! ბატონიანთ ხოდაბუნში ქვეყნის თავთავი ყრია, წაიღე ფოცხი, მოფოცხე, წვრილ-შვილი ხარ, გამოგადგებო.

— უი, შენ გენეცვალე, ნათლი, ამ სიტხეში როგორ წავიღე, ხომ მოვკვდიო.

გავიდა ზაფხული, შემოდგომაც და ზამთარიც ჩამოწვა. ხოსრუანთ ქვრივს დაფქულიც გამოელია და დასაფქვავეიც. სიმშლილისაგან შეწუხებული ბაღლები სულ შესჩხავიან. მაშინ წავიდა ხოსრუანთ ქვრივი და ნათლის გადასძახა:

— ნათლი, სადა ყრია ის თავთავი, მინდა წავიღე, მოფოცხოვო.

— ეხლა აღარა ყრია, ნათლი-დედო, გამოსძახა ნათლიამ: რთცა ეყარა, ის დრო წავიდაო.\*)

### ეს ხაზაიც ყაღბაა.

ყველამ უწყის საქართველოს უკანასკნელის მეფის გიორგი მეცამეტის გამეფება რა სამძიმო და სამწუხარო ხანას წარმოადგენს ჩვენი სამშობლოს ისტორიისას. ათასი მითქმა-მოთქმა, ძრახვა, და გულ-ძვირობა მეფის შესახებ არამც თუ მარტო ხალხში გაისმოდა, არამედ ძლიერ ხშირად თვით გიორგის ყურამდისაც მიდიოდა.

სწეულობით, შფოთით, სამეფო საქმეების აწეწ-დაწეწილობით და შერყეულობით გამწარებულ მეფის სიცოცხლეს ამით უფრო შხამსა და გესლს უმატებდნენ.

ახალი მეფისთვის ეს უღმობელი და შემადრწუნებელი გარემოებანი მით უფრო განუგრილებელი და სავაგლახო იყო, რომ მის შესახებ ავის მთესველთ და წყაროთ წარმოადგენდნენ მისივე ძმანი და დედინაცვალი დარეჯანი, შურიტა და მტრობით გამსქვალულნი.

\*) თ. რაზუკაშვილისაგან გაგონილი და ჩაწერილი. „მოკზაური“ №№ VI და VII 1901 წლისა.

ამ ცხარე დროს მეფემ სცნო, რომ, სხვათა შორის, მისი ტახტზედ ასვლა გაუკილავს მღვდელს იოსებ თურქისტანიშვილს, რომელსაც მასზედ დაცივნის კილოთი წარმოუთქვამს: „ეს აბაზიცი ყაღზიაო“. რა თქმა უნდა, მეფეს დიდად ეწყინებოდა ეს ამბავი და ამიტომ მიეცა ბრძანება—მეორე დღესვე იოსებ მღვდელი მის წინაშე გამოცხადებულიყო.

როცა მამა იოსები წარდგა მეფის წინ, უკანასკნელმა ჯერ იგი მოიკითხა, გამოჰკითხა ამბავი ქალაქისა და შემდეგ უბრძანა მიუტანოს და მიართვას თავისი ოქმი წინა მეფეთაგან ბოძებულითა რავდენთამე კომლთა გლეხთა შესახებ, რათა, ჩვეულებისამებრ, როგორც ახალმა მეფემან, იმანაც იგი დაამტკიცოს.

მეორე დღეს მამა იოსებმა ხსენებული ოქმი მიართვა მეფეს. ჩამორთმევის უმაღლვე მეფემ ეს ოქმი შეაგდო იქვე ბუხარში, რომელშიაც ცეცხლი ღაღადებდა, და თან იმავე მღვდლის ნათქვამი სიტყვები მოაყოლა თურმე: „ეს აბაზიცი ყაღზიაო“ \*).

აშკარაა, მამა იოსები დიდ ხან არ იწვალებდა მეფის ასეთის საქციელის განმარტებისათვის, სიტყვაშეუბრუნებლივ დაემორჩილებოდა განწესებულს სასჯელს და ყურებ-ჩამოყრილი დაბრუნდებოდა სახლში.

მაგრამ შემდეგ რავდენისამე ეამისა ღეთის-მოყვარე და გულ-კეთილ მეფეს შეებრაღა ეს მღვდელი, ხუშარა და აღრითვე მეფესთან დაახლოვებული, და ხელ-მეორედ უბოძა ახალი ოქმით ყმანი და მამულნი, ძველს წერილში მოხსენებულნი.

მღვდელი იოსებ თურქისტანიშვილი გარდაიცვალა 1820 წელს ტფილისში, ღრმად მოხუცებული და იმ შემთხვევიდან სიკვდილის დღემდე ყოფილა მარადის კეთილად მომხსენებელი მეფისა.

\*) იხ. პ. იოსელიანის „ცხოვ. მეფე გიორგი მეც“, გვ. 187.

ეჯიფო, შენს მეფეს გაუმარჯოს!

მოგესხნებათ, რომ მთელს საქართველოში ახლად ჯვარდაწერილთ პირველ სამი დღის განმავლობაში „ნეფე-დედოფალს“ უწოდებენ

ქორწილის გარდახდა და ამისი ღმინი სამი დღე გრძელდება. ამ დროის განმავლობაში ნეფე-დედოფალნი დიდად მოკრძალებულნი არიან: არავითარს საქმეს ხელს არ ახლებენ და მათი ხმა-მალა ლაპარაკიც კი, ნამეტნავად სუფრაზე, დიდად სათაკილოდ მიაჩნიათ.

ამიტომ მიღებულია, რომ ერთი მაყართაგანი, უფრო მიღებული, ნამეტნავად ენა-მეტყველობით და მახვილობით გამოჩენილი, ნადიმის დროს „ნეფეს“ უეჭველად გვერდით ახლავს ანუ უზის. ამ პირს ჰქვიათ ეჯიფი ანუ ეჯაბი.

ნეფე ყოველ თავისს სურვილს, სიტყვას ჩუმად ეჯიფს უზიარებს და ამ უკანასკნელს ნეფის სურვილისა-და-გვარად ყოველივე მოჰყავს სისრულეში. ღვინის დაღვევის დროს სუფრაზედ უპირველესად, რასაკვირველია, ნეფის სადღეგრძელო დაიღვევა. ამ დროს თვითეული მაყარი აიღებს ხელში ღვინით სავსე ჭიქას და რადგან ნეფის პირდაპირ გამოხმობა არ შეიძლება და არც მისგან მადლობის მალა-ხმით გამოცხადება შეიძლება, იგი მიჰმართავს ეჯიფს შემდეგის სიტყვებით: „ეჯიფო, შენს ნეფეს გაუმარჯოს“. ეჯიფი ამას გარდასცემს ნეფეს და მისგანვე მიიღებს ნებას, დავალებას მადლობის გარდაცემისას.

სათავე ამ ჩვეულებისა იპოვება ჩვენს ძველს ისტორიაში. ძველად ეჯიფი ანუ ეჯიბი ყოფილა სახელი ანუ ხარისხი სახელის მოხელისა, რომლის თამდებობა და სამსახური თითქმის იგივე ყოფილა, რა მნიშვნელობასაც დღეს ჩვენი ხალხი აძლევს ქორწილობის ეჯიფს და უღრის თანამედროვე АДЪЮ-ТАНТЬ-ს.

მეფის სადგომში ნება-დაურთველად ვერავინ გაბედავდა შესვლას, გარდა ეჯიბისა. ამასვე ეტყოდნენ თავიანთ სათქმელს

კარის-კაცნი, დარბაისელნი და მოხელენი გარდასაცემად შეფისა და ეჯიბისავე პირით თვითეულს მიეცემოდა ბრძანება, განკარგულება და პასუხი შეფისაგან.

„ამირეჯიბობა“ ნიშნავს უპირველესს ეჯიბს. აქედგანვე სწარმოებს ცნობილი ქართული გვარი—ამირეჯიბი.\*)

ასეთი გოდორა დასწან, შენს შეიღსაჯ გამოადგკსო.

სწორედ გასაოცარია ის გარემოება, რომ ხალხის შემოქმედებითი ძალა თვითეულს თავისს დასკვნაში—თუ ასე შევხედავთ ანდაზას—უსათუოდ ხელმძღვანელობს ცხოვრებიდამ ამოღებულის ფაქტებით და გამოცდილებით. ყოველს ანდაზას უეჭველად აქვს თავისი დასაბამი, თავისი ისტორია და წყარონი. უფრო ხშირად ეს წყარონი ჩვენთვის, ანდაზის გამგონათვის, ჟამთა წყვდიადით არიან მოცულნი. ამიტომ ანდაზაში ნახმარი ზოგიერთა ცნება, სიტყვა პირველის შეხედვით კაცს გააოცებს, გააკვირვებს და უნებლიედ აფიქრებინებს—რისთვის არის მოყვანილი და რა კავშირი აქვს ამა-და-ამ ცნებას ანდაზის აზრთანაო. ვიმეორებ, ეს იმიტომ ხდება, რომ აღარ გვახსოვს დასაბამი ანდაზისა. უმნიშვნელოდ, უსაფუძვლოდ, მოუფიქრებლად, წარა-შარად ხალხის გონება და ფანტაზია არა დროს არ ჰქმნის დასკვნას და ამიტომ ანდაზაში ნახმარ თვითეულ ცნებასაც თავისი გასამართლებელი საბუთი და ისტორია აქვს.

დღევანდელი ჩვენი გაუგებრობა და მიუხდომელობა საბუთს არ გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ ხალხის გულ-უბრყვილობაზედ, სამართლიანობაზედ და განმსჯელობაზედ თავისს გონებრივ ნაწარმოებთა შექმნაში: ზეპირ სიტყვიერების შემწეობით ხალხი გადმოგვცემს მხოლოდ იმას, რაც უნახავს, უგრძნია, გამოუცდია, გარდახედია ან გაუგონია.

წინაპართა გონება, გრძობა, სურვილთა და თავ-გადასავალთა ვითარების კვლევა, ძიება და ჩხრეკა შთამომავლობის-

\*) იხ. „კალმასობა“ გვ. 74.

თვის არაოდეს არ არის ინტერესს მოკლებული, თუნდა ეს შთამომავლობა უსწავლელ ხალხს წარმოადგენდეს; ამიტომ ხალხის ხსოვნას ზოგ ანდაზასთან ერთად შეუნახავს და კიდით კიდემდე, თაობიდან თაობამდე გარდააქვს და ავრცელებს თვით ანდაზის შექმნის საბაზს, წყაროს, ისტორიას ანუ განმარტებას.

საუბედუროდ, ყოველ ანდაზას არ მოეპოვება ასეთი განმარტება; არც თუ შესაძლებელი იქნებოდა ხალხის მეხსიერებას აენუსხა თვითეული ანდაზის წარმოშობის ამბავი: ეს მეტის-მეტე მძიმე და, იქნება, გამოუსადეგრად, გამოუყენებელ ბარგად გარდიქცეოდა.

ასეთს ბედნიერ ანდაზას, რომელსაც თან ახლავს თავისი ახსნა, სხვათა შორის, წარმოადგენს სათაურში მოყვანილი: „ასეთი გოდორი დასწან, შენ შვილსაც გამოადგესო.“

რა გოდორი? რის გოდორი?

ამის პასუხს იძლევა შემდეგი განმარტება, რომელიც ხალხის თქმით ჩაუწერია დიდად პატივცემულ ერთგულს ქართული სიტყვიერებისას პეტრე უმიკაშვილს თავის ანდაზათა კრებულში.

„ერთს ადგილს ჩვეულება ჰქონდათ, კაცი რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდიდამ გადაადგებდნენ. ერთის ბრმა ბერიკაცის შვილებმა მოინდომეს მამისათვის გოდორის დაწვნა. ბერ კაცს ესმოდა ამათი ლაპარაკი და ჰკითხა, რას აკეთებთო? უთხრეს, არაფერსო; გოდორს ვსწნავთო. ვიცე, ვისთვისაც გინდათო, მაგრამ ასეთი უნდა დასწნათ, თქვენს შვილებსაც გამოადგესო. ეს რომ უთხრა, (შვილებმა) ხელი აიღეს ამ საქმეზედ.“

აქვს ამ ამბავს რაიმე საფუძველი, სიმართლე, აუ ეს წარმოადგენს მხოლოდ ქართველი ერის უქმი ფანტაზიის ნაყოფს? ზემოდაც ვსთქვით, ხალხის გონების და ფანტაზიის ზეპირ-სიტყვიერ ნაწარმოები უეჭველად რაიმე ნიადაგზეა აშენებული. ეს ნიადაგი ხშირად აღარ სჩანს, ჩვენთვის მიუხედავად; მაგრამ ჩვენ იგი უნდა ვიგულისხმოთ, როგორც დაკარგული, დაფიწყებული, ოდესმე არსებული და არა ფიქტიური.

აღნიშნულ ანდაზის წლოვანობას თუმცა დღეს ძნელად თუ ვინმე გამოიცნობს, მაგრამ ის ნიადაგი, რაზედაც იგი აღმოცენებულია, დღესაც ნათლად მოჩანს დედამიწის ზურგის სხვა-და-სხვა კუთხეებში და არა ერთი სწავლით გამსჭვალული მოგზაური გადმოგვცემს ველურ ხალხთა იმ საშინელ ჩვეულებას, რომლის ძალითაც უძლოურ მოხუცებულს მოკვლით ბოლოს უღებენ მისივე ოჯახის წევრნი.

უფრო ხშირად მოგზაური ასეთს ადგილებად აზიის შორეულ და აფრიკის შუაგულ ქვეყნებს ასახელებენ. შესაძლებელია, ძველად ასეთი ჩვეულება საქართველოს მახლობელ ქვეყნებშიაც არსებობდა; და თუ ახლო არ მოიპოვებოდა, მისი ამბავი აზიიდან და აფრიკიდანაც ძალიან ადვილად შემოვიდოდა და გავრცელდებოდა ჩვენს სამშობლოში, თუ სახეში მივიღებთ იმ დამოკიდებულებას, რომელიც უწინ ჰქონია საქართველოს ინდოეთთან და არაბეთთან ისტორიულ გარემოებებათა ძალით.

ერთი ინგლისელი მოგზაური, ვ. ვ. როკხილი, ტიბეტელების ცხოვრებიდან მოგვითხრობს შემდეგს.

„მონგოლები თავიანთ მშობლებს და საზოგადოდ მოხუცებულთ ეპყრობიან ძლიერ უპატივცემულოდ და უარჰყოფენ ყოველგვარ მოვალეობას მათ წინაშე. ბევრს მოხუცს შემოაუჩივლია ჩემთვის, რომ იგინი იმყოფებიან საშინელ გაჭირებაში და უკანასკნელ დღეში მაშინ, როდესაც მათი შვილები ფუფუნებით და განცხრობით ცხოვრობენ.

მომეტებულ ნაწილად ღრმად მოხუცებულ მშობლებს სახლებიდან გარეთ აგდებენ, რის შემდეგაც უკანასკნელნი, უკიდურესობამდის მიხწეულნი, სანებვეზედ-ლა პოულობენ ბინას და დაფლეთილ, დაძენილ ცხვრის ტყავის ნაჭრის ამარა უვარგის ჩაით და დაობებულ, ყაპ-მოკიდებულ ძამბით იკვებებიან. მოხუცებულთ ფიქრათაც არ მოუვათ მთავრობას მიმართონ და მას სთხოვონ შემწეობა და მფარველობა: ამ ჩვეულებას მკვიდრად აქვს მოკიდებული ფეხი.“\*)

\*) „Мирь Божій 1901 г № 4, стр. 98. Статья: „Въ страну ламъ. Путешествіе по Китаю и Тибету.“

მართალია, აქ მხოლოდ სახლიდამ გარეთ გაძევებაზედ, გაგდებაზედ არის ლაპარაკი და არა მკვლელობაზედ, მაგრამ მკითხველი აშკარად ხედავს, რომ ამისთანა „გარეთ გაგდებულად“ ძალიად მოკვლამდის მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ლა რჩება, თუ მასთან სრულიადაც ბარდაბარი არ არის.

ჩვენ ვხედავთ, რომ ველურ ხალხთა ის ჩვეულება, რომელსაც ევროპიელნი მოგზაურნი მხოლოდ დღეს აგნობენ, ქართულ ზებირ-სიტყვიერებას უხსოვარ დროშივე ჰქონია აღნიშნული.

საქირთა განვიხილოთ, რა ადგილი აქვს ანდაზაში სიტყვა „გოდორს.“ ადვილი მისახდომია, რომ იმისთანა დასჯისთვის, რომელიც ველურებს თავიანთ მოხუცებულებისათვის ურგუნებიათ, გოდორი წარმოადგენს საუცხოვო, ზედ გამოჭრილ იარაღს. მოხუცი ისჯება არა ავაზაკობისთვის, აცაკობისთვის, არამედ უძლოურობისთვის, და უძლოურობა ხომ დანაშაული არ არის; ამას ველურნიც, უეჭველია, კარგად იგრძნობდნენ. თუ მსხვერპლს სიკვდილისთვის დანაშაული არ მიუძღოდა, მაშასადამე მტარვალს სასჯელის დროს რაიმე „შელავათზედ“ უნდა ეფიქრა: უარარაოთ კაცის კლდიდამ უფსკრულში გადაგდებას შეიძლება ის შედეგი მოჰყვეს, რომ კაცი დაეცეს იქვე ახლო გამოკიდებულ ტინს ანუ ჩირგვს, მას დაებლაუქოს, საკმოდ დაშავდეს და სული კი არ განუტევეს; ან შესაძლებელია კიდიდამ ახლო დაცემული ბობლით მალღავე ამოსულიყო და მეორედ მოხდომოდა გადაგდება, რაც უფრო მისს ტანჯვას მხოლოდ განაგრძობდა, გააძნელებდა. გოდორით გადაგდებული, რასაკვირველია, სრიალით გაქანდებოდა უფსკრულისაკენ და მით ადვილად მოეღებოდა ბოლო განწირულის არსებობას.

მე თუ ბედა მექნებოდა, მაკოაა მექმებოდა.

ამ სიტყვებ ლაპარაკის დროს ხმარობს მხოლოდ ჩვენის აწ განსვენებულის პოეტის მამია გურიელის ნათესაობა. თუმცა

ჯერ არ არის გავრცელებული ჩვენს ხალხში, მაგრამ მით უმეტეს მოგვყავს იგინი, როგორც მთქმელ-პოეტის სამახსოვროდ, აგრეთვე პატივისცემლად მის ღირსეულის საგვარეულოსი, რომელიც მოწინებთ და სიყვარულით იცავს და იგონებს ამ ექსპრომტს.

თუ როგორ და რა შემთხვევით დაიბადა ეს სიტყვები, ამის განმარტება მივანდოთ ბ-ნს ი. მეუნარგიას.

„ორ ძმას თავართქილაძეს დიმიტრის და ოტიას უყვარდათ—პირველს შესანიშნავი ლამაზი ქალი მაკოია და მეორეს ირინე. არჩევან-არადანში მამიას მხრივ იყო დიმიტრი, მაკოიას სატრფო-ჩინოვნიკი და მოწინააღმდეგე დასში ოტია. როცა გაიმართეს ხმა მოლექსებმა, მამიას მოწინააღმდეგე პარტიამ გადაკრა რაღაც დიმიტრის და გამოურია ლექსში:

„ამას ამბობს ირინე“.

ეს რომ მამიამ გაიგო, პასუხად შეუტია:

„ირინემ თქვა: არ შეგნა,  
 თუ თქვენგან ეს ითქმებოდა;  
 შე თუ ბედი შექნებოდა,  
 მაკოია შერქმებოდა.“

ესე იგი ლამაზიც ვიქნებოდით და ჩინოვნიკის სატრფოცაო. ეს უკანასკნელი: „მე თუ ბედი მექნებოდა, მაკოია მერქმებოდა“ იმდონად მოეწონათ მამიასაგან, რომ დღემდის მამიას ძმობაში, როცა ბედს იწყევლიან, ამ ლექსს ამოიოხრებენ გულთან.\*)

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს.

როდის, რა შემთხვევაში ხმარობს ქართველი კაცი ამ სიტყვებს, ყველასათვის ცხადია და განმარტება არა სჭირია.

ხოლო რაც შეეხება მათ წარმოშობას, ამას მოგვითხრობს ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი.

\*) იხ. „თხზულებანი მამია გურიელისა“, ბიოგრაფია.

„თითქმის ყოველ დიდ ოჯახს ჰყავდა ძველად საკუთარი მღვდელი. წირვა-ლოცვა გაუწყვეტელი იყო და ადრე მღვდელსაც პატივსა სცემდნენ, ვიდრე დღეს. მეფე და მთავრებიც შენდობას თხოვდნენ მღვდელს და ხელზედ ეამბორებოდნენ; მხოლოდ ბატონები თავის საკუთარ მღვდლებს, რადგანაც სულ ერთად იყვნენ, არა ჰკოცნიდნენ ხელზე და ამიტომაც დარჩენილა ჩვენში ანდაზა: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.“\*)

### მეცამეტე გოჭი.

როცა ვინმე ლაპარაკში ან რაიმე საქმეში მიუწვევებოდ, მეტიჩრულად ჩაერგვა და ულაგო სიტყვას დახარჯავს, ან სხვის საერთო საქმეში, გაყოფაში სრულიად შეუსაბამოდ, უსაფუძვლოდ მონაწილეობას თხოულობს, იმას ეტყვიან: „შენ მეცამეტე გოჭივით რას გამოსტყვევრო.“

ამ სიტყვების საფუძველს ხალხის თქმულება ასე განმარტავს.

ჯერ ისევ ბატონ-ყმობა იყო. ერთს თავადიშვილს დიდი წვეულება ჰქონდა და ნადიმს იხდიდა. სუფრაზე იხსდნენ, როცა მინდვრიდან მოურავი დაბრუნდა და, ბძანებისამებრ, მაშინათვე ბატონთან წარსდგა მამულ-დედულის, შემატებულ-დანაკლისის ამბის მოსახსენებლად.

— ბატონს გაუმარჯოს! ქუდ-მოხდილი დაბლა თავის დაკვრით მიესალმა მოურავი.

— გაგიმარჯოს, მოურავო! რა ამბავი? საით გივლია? ხომ ყველაფერი რიგზე დაგხვდა?

— დღეგრძელობა ჩემ ბატონს, ღვთის წყალობით ზიანი არაფერს მისცემია: ჯოგში ორმოც-და-ათი ახალი შემატებული კვიცი ვნახე; ცხვარსაც, კაი მოგეცეს, კაი დოლობა ჰქონია.

\*\*) იხ. „კვალი“ № 18, 1894 წ. წერილი: „ჩემი თავ-გადასავალი.“

— მაშ ღორშიაც იქნებოდი?

— გახლდი, შენი ჭირიმე.

— იქაც ხომ მრავლობაა?

— მრავლობა და როგორი: ქედა ღორს რომ ვეძახით, ცამეტი გოჭი დაუყრია

— ოჰ! შენმა შხემ, დიდი ამბავია; მხოლოდ, მოურავო, ერთი ეს გამაგებინე: ამბობენ, ღორს თორმეტ ძუძუზედ მეტი არასოდეს არ ექნებაო, და როცა ჩვენი ქედა ღორი თორმეტ გოჭს წოვებას დაუწყებს, მეცამეტე გოჭმა რაღა უნდა ქნას?

— რა უნდა ქნას, შენი ჭირიმე, გულ-უბრყვილოდ მიუგო მოურავმა: როგორც ეხლა შენ შენის კეთილის სტუმრებით სადილს შეექცევით და მე კი განზედ ვდგევარ და შემოგცქერით, მეცამეტე გოჭიც ასე, ჩემსავით, იქნებაო.

მოურავის ამ პასუხზედ სტუმარ-მასპინძელთ დიდი სიცილი ასტეხეს და ისე მოეწონათ, რომ ყველას კარგად დაახლოვდა და ამ დღიდან მათის შემწეობით მეცამეტე გოჭის ამბავი მთელს საქართველოს მოეფინა და მას შემდეგ დარჩენილა ანდაზად.

### გინც იცის—იცის, გინც არა—ცერცვა ჭკონაა.

— ვაიმე, ვაიმე! რა მომივიდა, კაცი სულ ერთიან დავილუბე, ხელ-ცარიელი დავრჩი, აღარაფერი მამადია! თავი ცოცხალი რაღად მინდა; ამას იქით თუნდა ვყოფილვარ, თუნდა არაო.

ასე აცხადებს თავის მწუხარებას ერთი. მეორე, ამის გამგონე, ცდილობს ანუგეშოს, მძიმე ფიქრები განუქარვოს, განუფანტოს და ეუბნება:

— შე კაი კაცო, რომ საიმისო არაფერი გადაგხედია, ტყუილ უბრალოდ თავს რად იწუხებ და სასოწარკვეთილებას ეძლევიო.

— ეჰ!—მიუგებს პირველი—ვინც იცის,—იცის, ვინც არა—ცერცვი ჭკონიაო. და ამ ანდაზით ის უნდა სთქვას, რომ

შენ ჩემი ბოლმის და დარდის მიზეზი არ იცი, ან სულ უბრალოდ გჩვენება და ამიტომ ნუგეშსაც შეუფერებლივ ანუ უადგილოდ იძლევიო.

ცხადია, თუ კაცს გაგონილი არა აქვს ამ ანდაზის ისტორია, იგი ვერ მიხვდება, რისთვის და რა აზრით ჩაუთავს მასში პირველად მთქმელს სიტყვა „ცერცვი“.

მაშ ყური ვათხოვოთ ხალხის გარდმოცემას:

როგორც დღეს ბევრი მოიპოვება უიღბლო, უბედური კაცი, რომელიც ვერ დაიკვებებს ცოლის ერთგულებას, ისე ძველადაც, თურმე, ყოფილან, ჩვენში მოღალატე ცოლის პატრონნი.

ერთს ამისთანა უბედურს კაცს დიდი ხანია გუმანი ჰქონდა მიტანილი ცოლზედ; მაგრამ გულს ვერ აჯერებდა, რადგან ცოლის შეცოდება თავისს თვალთ არ ენახა. რასაკვირველია, თუ ოდესმე კურო ხელში ჩაუვარდებოდა, არ დაინდობდა და სასიკვდილოდ გასწირავდა.

ერთ დროს მოკეთებებმა აცნობეს ამ კაცს კუროს მოსვლის დრო მისს ცოლთან. მართლაც, უდარაჯა, უთვალთვალა დანიშნულს ღამეს ოჯახის სიტკბოების დამარღვეველს და მოასწრო კიდევ სწორედ იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი კარის-ბჭეზედ ფეხის გადადგმას აპირებდა, სტაცა ხელი და ამართა თუ არა ხელი ხანჯლის დასაკრავად, კურო გაუსხლტა ხელიდამ და გაქუსლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

მირბის კურო, არ გააგია ღობე-ყორე; თან მისდევს მოტყუებული ქმარი ხანჯალ ამოღებული; გადადიან ეზოდამ ეზოზე, ვენახიდამ ვენახზე, ბოსტნიდამ ბოსტანზე. კურომ ნახა, რომ ეს ხუმრობა აღარ არის და მისი საქმე ცუდად მიდის; ამ გაჭირვებულ მდომარეობაში რომ არის, უცებ ხერხი წამოაგონდა: ბოსტანზე რომ გაირბინა, აღმოცენებული ცერცვი დაინახა; წაატანა ამ ცერცვს ხელი, მოგლიჯა რაც მუქაში ეტეოდა, გადახტა ღობეზედ, გადაიტანა თან ცერცვი და გაეშურა ბაზრისკენ, რომელიც იქვე ახლო იმყოფებოდა.

ბაზარზედ რომ გარბის, ხალხმა გაოცებით დაუწყო ცქერა და ბევრმა მას კითხვა კითხვაზედ მიაყარა:

— კაცო, რა ამბავია? რას გარბიხარ? რა მოხდა? ვინ მოგდევს?

— ქრისტიანები არა ხართ, ხალხნო,— მიუგო კურომ,— აი ამ ერთი მუჭა ცერცვის გამო მოსაკლავად მომდევნ, ღვთის გულისთვის, გადამარჩინეთ, შემიფარეთო!

როცა შენიშნეს, რომ ამ კაცს მართლა უკან ხანჯალ ამართული მეორე კაცი მოსდევს, ბევრს გული მოუვიდა, გადაეღობნენ და შორიდანვე დაუწყეს ძახილი:

— არა გცხვენიან, შე უსინდისო, შე უღმერთო, ერთი მუჭა ცერცვის გულისთვის კაცს როგორ ჰკლავო!

— ეჰ!— მიუგო შურისძიებისაგან გაფოთებულმა ხანჯლო-სანმა: „ვინც იცის— იცის, ვინც არა— ცერცვი ჰგონიაო“.

ბაზარში მყოფი ხალხი ჯერ ვერ მიუხვდა ამ უბედურ კაცს; მაგრამ მალე მისი გარემოება საქვეყნოდ გამოაშკარავდა და „ცერცვის“ ამბავმაც მკვიდრად მოიკიდა ფეხი ხალხის მებსიერებაში.

ვისაც ღმერთი მასცემს, აგანას სევშიაც მასცემს.

ქართველ ხალხს დიდი რწმენა აქვს ბედისა, იღბლისა: მისის აზრით, მეცადინეობა, გარჯა, შრომა, ბეჯითობა— ყველა ამაოა, თუ კაცი უიღბლოა, ესე იგი თუ ღმერთს მისთვის არა ჰსურს სიკეთე და ბედნიერი ცხოვრება. ყოველ ადამიანს თავისი ხვედრი შუბლზედ აწერია და, ბევრაც რომ ეცადოს, მაინც ვერ ასცდება ღვთისგან მისთვის განწესებულ ცხოვრების გზას. მდიდარი კაცი ბოლოს დატაკად გარდიქცევა, თუ ღვთის ნებაა, და დატაკი გაურჯელადაც განცხრომას და ფუფუნებას მოეწევა ღვთისავე განგებით.

ამ რწმენაზეა დაფუძნებული ზემორე მოყვანილ ანდაზის აზრი; ხოლო საბაბი მისის შეთხზვისა, ხალხის გარდმოცემით, ყოფილა შემდეგი.

ერთი ძლიერ ღარიბი კაცი ყოფილა. თურმე, ბევრი იწვალა, ბევრი იტანჯა, ბევრი იმეცადინა, მაგრამ მაინც თავის

სილარიბეს ვერას გზით ვერ დაეხწია: თვითონაც მშვიერ-ტიტვე-ლი დადიოდა და ცოლ-შვილსაც ვერ ათბობ-აძლობდა. რომ მოზებრდა ასეთი ვაების სიცოცხლე, ადგა და თავის ჩამოხრ-ჩობა განიზრახა.

თელავის მაზრის სოფელ ბეჟანიანში არის ერთი ხევი, რომელსაც ადგილობრივ აფანის ხევს უწოდებენ. ეს სასოება-დაკარგული კაცი წავიდა აფანის ხევისკენ თავის ჩამოსახრჩო-ბად. იარა, იარა და მიადგა ერთს ვეებარა მუხას, რომელიც ხევის პირას იყო ამართული. მოეწონა ეს მუხა და გადასწყვიტა მისს ერთ ხმელ ტოტზედ გადაეგდო სულის ამომხუთველი თოკი. თოკს ბოლოში კილო გაუკეთა, გაყო შიგ თავი და საბრალო, სიცოცხლის მაწყევარი კაცი მსწრაფლ ჩამოეკიდა ფეხების ქნევით ხმელ ტოტზედ.

დაბერებულ მუხას იმ ტოტის ძირში, თურმე, ფულურო ჰქონია. კაცის პირველი გაქანება და ტოტის მოტეხა ერთი იყო. რასაკვირველია, ტოტის მოტეხვაზე თავ-განწირულიც ძირს, მიწაზე დაეცემოდა. აი სწორედ ამ დროს მოხდა ამ უბე-დურის სასარგებლოდ სასწაული: ფულუროში ქილით, ანუ ქოთნით ოქროსა და ვერცხლის ფული ყოფილა ვისგანაც დამალული; მოტეხილს ტოტს ეს ქილაც თან ჩამოჰყვა; ქილა დაიმსხვრა და ფული მიწაზე გაიბნა.

ფულის დანახვაზე ამ კაცს სიხარულის ელდა ეცა: უც-რივ წამოხტა, თოკი კისრიდან გადიძრო, მოიმარჯვა ახალო-ხის კალთა და ფულის კრეფა დაიწყო. აკრიფა, გაიგსო ჯიბე-კალთა და აღტაცებული გაეშურა სახლისკენ. ამის შემდეგ ამ კაცმა გაისწორა ოჯახის ყოველი ნაკლი, შეიძინა ახალი მამულ-დედული, საუკუნოდ შეიქმნა მდიდარ კაცად და იწყო განცხრომით ცხოვრება.

რასაკვირველია, ასეთი ამბავი არ უნდა დარჩენილიყო გაუვრცელებლად. ხალხის რწმენით, ეს ჯერ უბედური და მერე ბედნიერი კაცი თვით ღვთის განგებას უნდა მიეყვანა იმ სა-ნუკარ მუხასთან. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, ხალხურ ენაში თავისთავად უნდა დაბადებულიყო ასეთი თქმულება,

როგორც არის: ზვისაც ღმერთი მისცემს, ავანის ხეგზიაც მისცემს“-ო.

თუ მივიღეთ მხედველობაში კახეთის წარსული, შიშინობა, რომელიც შამილისა და მისი წინაპრების მეოხებით დიდ ხანს ურღვევდა კახელ-ქიზიყელებს მყუდრო ცხოვრებას, ადვილად ვირწმუნებთ, რომ მუხის ფულუროდან ფულის გადმოცვინა ხალხის ცრუ ფანტაზიის ნაყოფად არ უნდა ჩაითვალოს.

ლეკიანობის დროს კახეთ-ქიზიყის სოფლები მუდამ დღე მტრის შემოსევის და აკლების მოლოდინში იყვნენ. ცხადია, ამისთანა მდგომარეობა ყველას აფიქრებინებდა არასოდეს არ მიეტოვებინა ზრუნვა ოჯახის განძეულობა-ფულის დაცვისათვის.

მაშინ საუკეთესო ღონედ მიაჩნდათ ფული და ძვირფასი განძეულობა მოეთავსებინათ მიწაში ჩაფლულ ანუ ქვითკირში დატანებულ ქოცოვებში ანუ ქილებში, სულადის ორმოვებში და ხშირად ხის ფუტუროვებშიაც.

მოხდებოდა ხოლმე, რომ ფულის დამმაღავი მოულოდნელად კვდებოდა ან ბუნებრივის სიკვდილით, ან მოიკვლებოდა მტრის ხელით.

მაშინ დაფარული ფული ან საუკუნოდ იკარგებოდა, ან ჩავარდებოდა იმ იღბლიანის ხელში, რომელიც რაიმე შემთხვევით ოდესმე იმ ალავს წააწყდებოდა.

### ჩაიღურის წყაღი დაჯიბა.

— გამარჯვება შენი, ნინიავ! როგორა ხარ, როგორ მიღის შენი საქმე?

— გაგამარჯოს, ნოდარ; გახლავარ, შენი ქირიმე: ვარ არც ისე, როგორც მტერს უნდა, არც ისე, როგორ მე მინდა. მაინც შენ რომელ საქმეზედ მკითხავ?

— აი, შენ რომ ბიძაშვილს ხოდაბუნს ედავებოდი.

— ჰო, იმ საქმემ, ჩემო ნოდარ, „ჩაილურის წყალი დალია“.

— მაშ წააგე!

— წავაგე სამუდამოდ.

ასე, როცა ქართველს კაცს (უფრო კახეთში) უნდა სთქვას—საქმე წავაგე, შრომამ და მეცადინეობამ მუქთად ჩამიარა, სარგებლობა ვერ ვნახე ანუ რაღე დამეკარგაო, ირონიულის კილოთი ამბობს: „იმან ხომ (საქმემ, შრომამ, საგანმა) ჩაილურის წყალი დალია“-ო.

ჩაილური ჰქვიან პატარა სოფელს სიღნაღის მაზრაში და მდებარეობს ჩრდილო - დასავლეთით. ამ სოფელზედ ცივ-გომბორის მთის კალთებიდან ჩამოდის პატარა მდინარე, ხევი, რომელსაც ჩაილურის წყალს უწოდებენ; სოფელს რომ გასცილდება, ვადის სოფლის ბოლოს მინდვრად და ერთვის მდ. იორს.

ეს ხევი შესანიშნავია მით, რომ საკმაოდ ღრმა კალაპოტი და მაღალი ნაპირები აქვს, რის გამოც ხდება ყოველად უვარგისი, გამოუსადეგი და უსარგებლო: მისს ორსავე ნაპირზე ჩამწკრივებულია ბლომა ყანები და ბოსტნები; მაგრამ ამ ხევიდან იქ სარწყავად არხის გაყვანა მცხოვრებთათვის შეუძლებელი ხდება.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ „ჩაილურის წყალი“ მეტად მდორე და თითქმის მუდამ მღვრივეა, რის გამოც დასალევადაც ბევრი ერიდება, ადვილად მივხვდებით, რომ „ჩაილურის წყალს“ სამართლიანად დაუმსახურებია უსარგებლობის სახელი, და ხალხის გამჭირვას გონებას და სასტიკ ფანტაზიას მისი გამოუსადეგობა ანდაზის ხარისხზედ უსაბუთოთ არ აღუყვანია.

#### ფართოვანი ქარა.

ვიდრე თოფის წამალს გამოიგონებდნენ, კაცობრიობა ომში უმთავრესად ისარს, შუბს, ხმალს და ამგვარ იარაღებს ხმარობდა. ხოლო ნადირობაში ისრის გარდა, რომელსაც უპირ

ველესი ადგილი ექირა, მწვეარ-მეძებრები და ქორ-მიმინოები ანუ შავარდნები დიდ ხმარებაში იყვნენ.

ნადირობა ყოველთვის და ყოველგან ორგვარი ყოფილა: ზოგნი ნადირობით სარჩო საბადებელს შოულობდნენ, ზოგნი მას მხოლოდ გასართობად მისდევდნენ.

გასართობად ნადირობა, რასაკვირველია, შეადგენდა უფრო თავად-აზნაურთა კუთვნილებას, როგორც პრივილეგიურ კლასისას.

თუმცა თოვის წამალი მეთოთხმეტე საუკუნიდან შემოვიდა ხმარებაში, მაგრამ ქორ-მიმინოთი ნადირობამ თითქმის ჩვენ თაობამდის მოაღწია და იგი ვარდება მხოლოდ ბატონ-ყმობის მოსპობის დროთაგან, როდესაც თავად-აზნაურთა ცხოვრების პირობები ძირიანად იცვლება.

ჩვეულება წარმავალია: ზოგი სრულიად გადავარდება ხოლმე და ზოგი ხასიათს იცვლის; ანდაზა კი საუკუნოდ ანდაზად რჩება. ასეა „ოთოთაანთ ქორის“ ამბავიც.

ოთოთაანი ყოფილა (ანუ, იქნება, ახლაც იყოს) ქართველ აზნაურთა ერთი საგვარეულო (მგონია, ქართლში). ერთს ოთოთაანთ ოჯახს სანადირო ქორი ჰყოლიო, რომელსაც ახირებულნი თვისება, თურმე, ჰქონია: მინდორში რომ ხობხისა და კაკბის დასაქერად აუშვებდნენ, ის სახლისკენ იზამდა პირს და პატრონისავე ეზოში შინაურს ქათმებს დაეცემოდა.

ცხადია, ამისთანა ქორი მეტად სასაცილო და სამასხარო უნდა ყოფილიყო და უეჭველად სახელი უნდა გაეთქვა, თუმცა სახელიც არის და სახელიც.

ხალხის დაკვირვებითი ნიქი ხშირად აღნიშნავს მსგავსებას ადამიანთა და პირუტყვთა თვისებათა შორის; ამ შემთხვევაშიაც არ შეეძლო ოთოთაანთ ქორის ასეთი უცნაური ჩვეულება ისე მიეტოვებინა, რომ არ შეეძარებინა ზოგიერთა კაცის საქციელისათვის: განა არ არიან იმისთანანი, რომელნიც გარედ საქმეს წააგებენ, სხვისგან ნაჯობნი შინ ბრუნდებიან და სხვისთვის რომ შიშით ვერაფერი გაუბედნიათ, ვერაფერი დაუკლიათ, შინაურებზედ ყრილობენ ჯავრს და ბრაზს ჰხეთ-

ქავენ; ანუ ავკაცობაზედ სდებენ თავს: იწყობენ მრუშობას, ქურდობას და მერე ისიც სად—უეჭველად თავისიანებში, მეზობლებში, თავისავე უბანში, სოფელში, რადგან სიმხდალისაგან ანუ ნამუს-ჩამორეცხულობისაგან შორს, გარედ გასვლა ვერ მოუხერხებიათ.

აი, ამისთანა გმირზედ იტყვიან: „ოთოთაან“ ქორივით შინა-ურებს დარია ხელიო“.

### ნაცარქექია.

ახალგაზდა ქართველებისა კი რა მოგახსენოთ და ხანში-შესულების შესახებ კი დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იგინი ძლიერ კარგათ იცნობენ ქართულ „ნაცარქექიას“: დღევანდელი ახალგაზდა ქართველები არიან დაბადებულნი და იმყოფებიან სულ სხვა პირობებში, „ნაცარქექია“ იმათთვის უცნობა პირია; ხანში შესულ ქართველს დედის რძესთან ერთად კიდევ ატკობდა ხალხური ზღაპრის გაგონება თავისი მშობლის ქერ ქვეშ და ამიტომ, უეჭველია, არა ერთხელ გადუხარხარნია გულით „ნაცარქექიის“ სასაცილო ოინების გაგონებაზედ, რომლებითაც, ქართული ზღაპრების თქმით, ასე მდიდარია მისი („ნაცარქექიას“) ბიოგრაფია.

ჩვენი ზღაპრების მომქმედნი პირნი, როგორც უკვე აღნიშნული აქვს პატივცემულ პროფესორს აღ. ხახანაშვილს,\*) არიან: დევი, გველაშაპი, რაში, კუდიანი, ნაცარქექია და მრავალი სხვ.; ხოლო ნაცარქექიას ამ მრავალთა შორის უჭირავს არა უკანასკნელი ადგილი: მას შევხვდებით ბევრ ზღაპარში და თვითველ მათში თუ პირველი არა, არც უკანასკნელი ყურადღება აქვს მიპყრობილი.

ნაცარქექია ხომ ნაცარქექიაა, მაგრამ ქართველი ხალხი უფრო სიყვარულით, კეთილის თვალით, მეგობრულად უტყერის, ვიდრე სიძულილით, ზიზლით. ნაცარქექიასთან ქართველი

\*) Очерки по истории груз. словесности“. I. Вып.

ხალხის ასეთს კეთილ-განწყობილებას თავისი საბუთი აქვს: იგი მეტად გამართობელი, გამამხიარულებელი, მომალხენელი და თითქმის მუდამ ბოროტების მღვენელი და კეთილის-მყოფელია.

მართალია, ძლიერ ხშირად ნაცარქექიას ვერც ბრძანებით, ვერც მუქარით საქმეს ვერ აკეთებინებენ: ეტყვიან: „წადი, ნაცარქექიავე, წყაროზედ და წყალი მოიტანე“; ის აღგება, აიღებს წერაქვს, ბარს, ნიჩაბს, მივა წყაროსთან და გარშემო დაუწყებს თხრას. შინაურები კი ელიან, ელიან და როცა მოთმინებიდან გამოვლენ, წავლენ საძებრად. იპოვიან და ჰკითხავენ: „სადა ხარ აქამდის, წყალი რატომ არ მოგაქვსო?“

— „მინდა ეს წყარო მოვთხარო და სულ მთლიანად შინ წამოვიღო, რომ წყლისთვის აღარ დავღონდეთ და მისთვის სახლიდან შორს სიარული აღარ დავგვირდესო“, მიუგებს ნაცარქექია. ეტყვიან: „ნაცარქექიავე, ტყეში წადი და შეშა მოგვიტანე“. წავა ტყეში, თან გრძელ თოკს, საბელს წაიღებს; შემოაველებს ამ თოკს ას-წლოვან ხეებს, რამდონსაც კი მოსწვდება და დაუწყებს, ვითომ, წევას ძირიანად ამოსაგლეჯად. მოთმინებიდან გამოსულნი შინაურები კიდევ გამოედევნებიან, ჰკითხავენ: „სადა ხარ, რატომ შეშა არ მოგაქვსო?“

— „მინდა ეს ხეები ძირიან-ფესვიანად დავგლიჯო და ისე წამოვიღო, რომ შეშისთვის სიარული აღარ დავგვირდესო.“

რასაკვირველია, ამ სახით ვერც წყალი, ვერც შეშა და ვერც სხვა-რამ ნაცარქექიას სახლში დავალებისამებრ ვერ მიაქვს და მუდამ თავიდან იცდენს საქმის აღსრულებას.

მაგრამ ამ უსაქმურობასთან და „ნაცრის ქექვასთან“, რომელიც ასე ძლიერ უყვარს, მას ბევრი სიკეთე, ვაჟკაცობა, გმირობაც შეუძლიან და ხშირად დიდ გონების გამჭრიახობასაც, მოხერხებულობას და უნარს იჩენს. არა ერთხელ მოუგრებია კისერი ნაცარქექიას ცხრა-თავიან დევისთვის, ქამანდით დაუქერია ცეცხლ-მფრქვევი რაშები და გამკლავებია გველშაბებს. გმირული საქმისთვის და გონება-მახვილობისთვის არა ერთხელ მიუღია მას ჯილდოდ უთვალავი ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარ-


გალიტი, დიდკაცობა; გამხდარა ღირსი ხელმწიფის ასულის შერთვისა და ზოგჯერ თვით ხელმწიფობისაც.

ხოლო, მიუხედავად კაი მხარეებისა, ნაცარქექია მაინცა-და მაინც უფრო უსაქმურობით და ზარმაცობით არის განთქმული და ცნობილი. სწორედ, აი, ამ მხრივ იხსენიებს ხალხი ლაპარაკში „სიტყვის მასალად“ ნაცარ-ქექიის სახელს.

როგორც ვხედავთ, ნაცარქექია ღვიძლი შვილია ქართული ზღაპრებისა და სიტყვის მასალადაც ხალხი ამ ზღაპრის ნაცარქექიას ხმარობს და არა სხვას.

„ეს კაცი სწორედ ნაცარქექიასავით იქცევაო“, როცა ამას ქართველი ხალხი ვისზედმე ამბობს, ამით იმის თქმა უნდა, რომ იგი მეტად უსაქმურია, ზარმაცია, ან სულ არაფერს აკეთებს, ან ტყუილად ჩხირკედელაობს და თუ მაინც ხელს ამოძრავებს, მისი მოქმედებიდან სარგებლობას ნუ ელითო.

აღ. მიწიანაშვილი



## «წმინდა ქართული»-ს ვერ ქართულობა და საჭირო დასკვნა.

„ანუ რას ნიშნავს წმინდა თქვას  
შინა ქმისა შენისას და დვირესა თქვას  
შინა შენსა არა განიცდი?“ (სახ. მათ. თ. 7, მ. 3).

სიხარულითა და სიამოვნებით აღმოვიკითხე „ივერიის“ № 4-ში დაბეჭდილ ახალის განყოფილების (ასე გვპირდება ავტორი: „...ამ აზრით გვინდა აღვნიშნოთ ხოლმეო. და სხვ.“) სათაური „წმინდა ქართული“ და ვსთქვი—იქნება ახლა მაინც გვეღიროსოს მართლა ქართულადა და გრამატიკულ-სინტაქსიურად კანონიერად დაწერილ ამბებისა თუ წერილების კითხვა-მეთქი... მაგრამ ვაი, რომ მოვტყუედი!..

განზრახვა ბ-ნის გრ. ყიფშიძისა, ვეთანხმებით, ყოვლად სასარგებლო და მნიშვნელოვანია; ჩვენში დღეს, სამწუხაროდ, მოხდენილად, სწორე ქართულით დაწერილს რასმე ადამიანი იშვიათად თუ შეჰხვდება, მაგრამ როცა ასეთი კეთილი საქმე განიზრახა, უთუოდ ურომაც უნდა მიეღო (გვგონებთ, თვითონ რედაქციის ენის განმწმენდელი, მუდმივი თანამშრომელი) და გაზეთში დასაბეჭდ წერილების წმინდა ქართულობაც დაეცვა. პირ-იქით, არამც თუ ეს არ ინება, ზოგიერთს შემთხვევაში თავისი საკუთარი „წმინდა ქართულიც“-კი შელხა და შეარყია. ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, მაგალითებს მივმართოთ და მოვიყვანოთ ნიმუშები,—ან „ივერია“ როგორ წმინდა-ქართულობს, ან თვითონ „წმინდა ქართულის“ ავტორი.



დავიწყეთ „წმინდა ქართულიდგან“, რადგან მიზეზი ალაბარაკებისა მისმა ავტორმა მოგვცა.

„კაცი მტკიცე ხასიათითა და მძაფრი სულითა ვერ დასწერს და ვერ ილაპარაკებს ისე, როგორც სწერს და ლაპარაკობს უხასიათო და მძაბაფი სულითა“ (იხ. „ივერია“ № 4, 2 გვ. 4 სვეტი, „წმ. ქართ.“).

რადგან თავისს მეორე წერილში ბ-ნი გ. ყიფშიძე მხატვრობრივს ღირსებასაც ახსენებს (იხ. „ივერია“ № 6), ამისათვის ურიგო არ იქნება ეს მისი წინადადება ყოველ მხრივ დაფასოთ და გამოეჩხრიკოთ, რამდენად წმინდა ქართულითა და მხატვრობრივად ააშენა იგი ავტორმა.

ექვი არ არის, უმეტესობა ჩვენის მწერლებისა თუ არა მწერლებისა ასე იტყოდა, როგორც ყიფშიძემა სთქვა ზემოდ დასახელებული წინადადება, ან იმაზე უარესადაც, მაგრამ, თუ ბ-ნი ყიფშიძეც დაგვეთანხმება, ნამდვილი დარბაისელი ქართველი, ვგონებ, უფრო ასე იტყოდა: მაგარის (ან მტკიცე) ხასიათისა და დიდსულოვანი (და არა მძაფი სულითა=ВОЗВЫШЕННЫЙ ДУШОЙ!) კაცი ვერ დასწერს და (გერ მეტია) ილაპარაკებს ისე, როგორც (აქაც სწერს და ლაპარაკობს სიტყვების გამეორება და სულ მეტი) უხასიათო და სულმდაბალი (და არა მძაბაფი სულითა). ასე იტყოდა უთუოდ უცხო ენის გავლენის ქვეშ არ მყოფი დარბაისელი ქართველი წმინდა ქართულითა და ნათქვამი, ვგონებ, არც მხატვრობრივს ღირსებასა და ფასს იქნებოდა მოკლებული. მაგრამ... ბ-ნმა გრ. ყიფშიძემ სხვა ფორმა ამჯობინა და ვერ იწმინდა-ქართულა, რადგან მშვენიერი ქართული სიტყვები „დიდსულოვანი“ და „სულმდაბალი“ განდევნა. ეს ერთი.

მეორე მაგალითი:

იქვე, ცოტა ქვევით, ბ-ნი ყიფშიძე სწერს:

„როცა ენა ფუჭდება, ხდება—ეს უტყუარი ნიშანია“ და სხვ...

როდესაც ადამიანი საგანს კრიტიკულის თვალთ უყურებს და სცდილობს სხვას ნაკლი და შეცდომა გამოუძებნოს,—

მოვალეა უთუოდ თავის თავსაც ასრევე სასტიკად მოექცეს და იმ ჟამად მაინც სალაპარაკო საქმეში საკიჟინო და სამხილებელი არა შეგებაროს-რა. ეს წესი უთუოდ ყველასათვის სახელმძღვანელოა.

ბ-ნი ყიფშიძე, ვიცით, ქართულის კარგი მცოდნეა, მაგრამ ვერ ვაპატივებთ თუნდაც უმნიშვნელო შეცდომებსაც-კი, როცა ენის შებლაღვას სხვას უკიჟინებს.

აი, ამ მეორე წინადადებაშიაც სიტყვა „ფუჭდება“ სრულიად უადგილოა. „როცა ენა ფუჭდება, ხდება“... და სხ., ამბობს ავტორი „წმინდა ქართულისა“. კარგი და წმინდა მექართულე კი ფუჭდებას სრულიად გზას აუქცევდა და იტყოდა: „როცა ენა ირყენება, ხდება“... და სხვ. გაფუჭება ქართულად, თუ რომ ღრმად დაფუკვირდებით მისს ნამდვილს, წმინდა ენით ხმარებასა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება, როცა საქმე ნივთიერს რასმე შეეხება და გვსურს მისი ავი თუ კარგი ვითარება გამოვსახოთ, წარხლომა კი იხმარება აბსტრაქტულ, განყენებულ საგნებზე, მაგალითად, სახელი წაუხდა, საქმე წაუხდა და სხვ. და არა გაუფუჭდა. ღვინოზე, არაყზე, გზაზე, მაგალითად და სხვ. კი იტყვიან: ღვინო, არაყი, გზა გაუფუჭდა და სხვ.

პოეტსაც ამიტომა აქვს სამართლიანად ნახმარი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“... ჩვენში-კი, სამწუხაროდ, ამ ორ სიტყვას არ არჩევენ და ერთი მეორის ადგილას ხშირად ხმარობენ. ბ-ნმა გრ. ყიფშიძემაც იგივე ჰქმნა. ეს მეორე.

ასეთივე შეცდომები სხვაც ბევრია, მაგრამ მრავალიდგან რამდენიმე ვიკმაროთ. აი. მაგალითად: „აი, ამ აზრით გვინდა აღვნიშნოთ ხოლმე, თუ რამ ქართულის უსწორობას ვნახავთ“ და სხ. (მეხუთე სვეტი, 15 სტრ.). სხვა დროს შეიძლებოდა ასეთის მცირე შეცდომისათვის ყურადღება არც-კი მიგვექცია, მაგრამ რაკი ავტორს ენაწმინდობა ჰსურს, მოვალე იყო, იგი ყველგან დაეცვა. ხაზ-გასმული სიტყვები: „თუ რამ ქართულის უსწორობას...“ ერთი მეორის ადგილასა სხედან. ნამდვილი სწორე მოლაპარაკე-კი უთუოდ ასე იტყოდა, რომ ნათქვამი ორ-აზროვანობად არავისა სჩვენებოდა: თუ ქართულის რამ უსწო-



რობას... და სხ., რადგან სიტყვა რამ ეკუთვნის უსწორობასა და არა ქართულს. ზემოდვე მოგახსენეთ, მცირედია-მეთქი ეს შეცდომა, მაგრამ უადგილო-ადგილას სიტყვის დასმა ხშირად აზრს არსებითადა სცვლის. ეს-კი უხერხულია და მავნებელი ჩვენის ენის განვითარებისათვის, თუ გვსურს უბრალო სალაზ-ლანდარო ენად-კი არ დარჩეს იგი, არამედ ფილოსოფიური და ლოგიკური სისწორე აზრისა შეითვისოს, განმტკიცდეს.

ქვემოლ, იმავე სვეტში, მე-41 სტრიქონში ნათქვამი აქვს: „დიდებულნი მწერალნი ყველა დროისა და საუკუნისა იქიდან...“ და სხ. ამ წინადადებაში მხოლოობითი დაბოლოვება საუკუნისა, როცა მრავლობითი რიცხვი სიტყვებისა დიდებულნი მწერალნი ძველის ფორმითა აქვს (ნი) ნახმარი, უეჭველად დის-გარმონიაა; ნამდვილი მექართულე უთუოდ ამ სიტყვასაც მრავლობითს დაბოლოვებას მისცემდა და იტყოდა: „დიდებულნი მწერალნი ყველა დროისა და საუკუნისა-ნი იქიდან...“ და სხ. და ამით ენის ჰარმონიასა და კანონს სრულიად დაიცავდა. მასთან საამური და დიდებული მოსასმენიც იქნებოდა ყურისათვის; მაშასადამე, მხატვრობრივიც. დასამტკიცებლად საბუთების დასახელება, ვიცი, არ დამჭირდება, რადგან უკეთესი ნიმუშები იქნება თვითონ ბ-მა ყიფიშიძეშაც მოიგონოს.

„წმინდა ქართულს“ ჯერ-ჯერობით საგულისხმოდ ეს ვაკმაროთ და წმინდა ქართულობის კბილი ახლა გაზეთს გავუ-სინჯოთ, რომლის ენის განმწმენდელიც ბ-ნი ყიფიძე ბრძან-დება.

ეჭვი არ არის, როცა ადამიანს გარკვეული და მტკიცე ცოდნა აქვს საქმისა თუ მიმართულებისა, იგი უთუოდ ამ თავისს ცოდნასა და მიმართულებას არა ჰღალატობს, შეურყეველად იცავს, სცდილობს სხვისა წასაბაძი გახდეს.

ასე უნდა მოქცეულიყო უთუოდ „ივერიაც“ და წმინდა ქართული, რომლის არ ცოდნასა და შელახვა-შებლახვასაც სხვებს უკიჟინებს ერთისთვის, ენის კარგად მცოდნე თანამშრომელის პირით, ყველა თავისს წერილში დაეცვა, ენა „ივე-

რისა“ წასაბაძად, სამაგალითოდ გაეხადა. მაგრამ, სამწუხაროდ და დიდად სამწუხაროდ, „ივერიამ“ ამ შემთხვევაში თანდათანობა და სიმტკიცე ვერ გამოიჩინა და თავი თვით გაიხადა საკიენოდ. ჩემი სიტყვები რომ მოქორებულად არ მიიჩნოთ, ბ-ნებო, ავიღოთ თუნდაც მახლობელივე №№-ები ამ გაზეთისა, ე. ი. იმავე დღეებისა, რა დღეებშიაც ბ-ნის გრ. ყიფშიძის „წმინდა ქართული“ ჰქმნა გაზეთმა და ვნახოთ, სარედაქციო წერილები როგორის წმინდა ქართულით-ღა იწერება.

ნიმუშად თუნდა მე-3 და 5 №-ში დაბეჭდილი სარედაქციო წერილი „რუსეთი 1902 წელს“ ავიღოთ. იქ, სადაც ქ-ნი ლიუბიმოვისა ასწერს სიღარიბეს ქოხისას, მთარგმნელი (ე. ი. რედაქცია) სწერს:... „ქოხში საშინელი სუნი სდგას. სუჯის მოთქმაც გაგვიქირდა.“ (იხ. № 3, მე-2 გვერდი, I სვეტი, 27-28 სტრიქ.) არ ვიცი სწორედ, რა ვაგულისხმო?!. სუჯის მოთქმა ტირილია, თუ სუჯ-თქმა უნდა ეთქვას! ცოტათი-კი მიეხვდი, რომ, ვგონებ, სულ-თქმაზე ანუ სუნთქვაზე აქ ლაპარაკი, მაგრამ, სამწუხაროდ, დაწერილიდგან ეს არაა სჩანს. კიდევ შეიძლება კორექტურულის შეცდომით იმართლოს თავი რედაქციამა და სთქვას: სუჯის ა-მოთქმაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ესაც ვერ იხსნის, რადგან სუჯის ამოთქმაც მეტად მძიმე ქართულია და უხმარებელი სიტყვა. მაშასადამე, ამ სიტყვებში სრული უაზრობაა, სხვა არასფერი. რადგან სუჯის მოთქმა დამახინჯებული სიტყვაა...

იმავე წერილის მეორე სვეტში (იხ. 37-38 სტრ.) ასეთს წინადადებას შეჰხვდებით: „მხოლოდ მეტი მუშაობაა საჭირო, რომ რამე აიღო, რაიცა ფრიალ საძნელოა“. აქ, სწორედ მოგახსენოთ, ისეა წინადადება აშენებული, რომ აზრს ვერაფრით ვერ გაიგებთ; ან, თუ გაიგებთ, საექვოდ დაგრჩებათ, რა არის ფრიალ საძნელო? ის, რომ აიღო რამე, თუ შეტი მუშაობას საძნელო?!. ექვი არ არის, წინადადება რუსულად არის ნაფიქრი და ქართულად ცუდად გამოთქმული, თორემ აზრი ასე არ დაეკარგებოდა...

„არც ციმბირია (განსაკუთრებით ირკუტსკი) გადაჩენილი გაჭირვებას“ (იხ. იქვე, მეორე სვეტი, 55 სტრ.). არავისთვის სადავო არ გახდება, ვგონებთ, თუ ვიტყვით, რომ ყოვლად უმზგავსადა და არა ქართულად არის აქ აზრი გამოთქმული. ნამდვილი მექართულე, უეჭველია, ასე იტყოდა: არც ციმბირი გადურჩა გაჭირვებასა, მაგრამ... ეს არასფერი, ქვევით ჩავიკითხოთ.

„და, აი, უმაღლესის ბრძანებით წარსულის წლის 23 იანვარს დგება განსაკუთრებული კომიტეტი“... (იხ. № 4, მესამე სვეტი, 17—18 სტ.) არ ვიცი, ბ-ნო ყიფშიძე, ახლა, როცა მოქმედება თქვენს ახლო სწარმოებს, რას ბრძანებთ, თორემ უიმისოდ უთუოდ რისხვით აივსებოდით და რიხიანად ჰბრძანებდით, რომ „დგება კომიტეტი“ ქართული არ არისო. ეჭვი არ არის, მთარგმნელს პირდაპირ რუსული კონსტრუქცია აქვს ნასესხები; ქართველი-კი უთუოდ იტყოდა: ...„არსდება (და არა დგება ან წვება) განსაკუთრებული კომიტეტი“ და სხ.

ცოტა ქვევით რომ ჩავიკითხოთ აღნიშნული წერილი, სამწუხაროდ, ისეთსავე შეცდომას წავადგებით, ბ-ნო გრ. ყიფშიძე, როგორსაც თქვენ თქვენს „წმინდა ქართულში“ ასახელებდით: „მუქთი ექიმი და წამალი ექმნება ხალხსაო“. აბა, ჩავიკითხოთ: „...შემოიღონ ხალხისათვის უფასო სკოლების დაარსება და უფასო სწავლება“... (იხ. № 4, 3 სვეტი, ქვევიდან მე-11 სტრიქ.). სხვისა არ ვიცი და მე-კი ვფიქრობ, რომ ვერ არის ეს წინადადება ქართულად ნაფიქრი და აშენებული. თუ შემოღებაა, შემოღება შეიძლება უფასო სკოლებისაც და სწავლებისაც, მაგრამ შემოღება დაარსებისა კი?... არა და არა, არ შეიძლება. ამიტომაც წმინდა მექართულე უთუოდ ასე იტყოდა: „დაარსონ ხალხისათვის უფასო სკოლები და შემოიღონ უფასო სწავლება“, ან „შემოიღონ ხალხისათვის უფასო სკოლები და სწავლება“. მაშასადამე, აქ ისეთივე აზრის აბნევა მოხდა, როგორიც „მუქთი ექიმისა და წამლის“ თავსა!

ბ-ნი ყიფშიძე ჰკიცხავს, მაგალითად, რუსულ გამოთქმის „не смотря на это“-ს ქართულად ხმარებას: მიუხედავად ამასა,

მაგრამ იქვე, ცხვირ წინ, რომ არა ერთი და ორი ასეთივე მიმზავსებული გამოთქმა აქვს გაზეთში ნახმარები, ამას-კი ვერა ჰედავს ..

მაგალითად, იმავე წერილის მეოთხე სვეტში ასეთს წინადადებას ამოიკითხავთ: „...ისე მოვიქცეთ, როგორც ცხოვრება თხოულობს, არც მეტი, არც ნაკლები.“ (იხ. № 4, მე-4 სვეტი, 21—22 სტრ.).

მიბრძანეთ ერთი, ბ-ნო გრ. ყიფშიძე, ეს არც მეტი, არც ნაკლები რა ვახლავთ, თუ არ რუსული НИ БОЛЬШЕ, НИ МЕНЬШЕ?..

ან იმავე წერილის მეორე ნახევარში ნახმარები: „როზგი“ — ეს ისტორიის სამარცხვინო შენაძენი (??) — ჯერაც ძალაშია რუსეთში“. რა არის ეს ჯერაც ძალაშია რუსეთში თუ არ ფოტოგრაფიულად რუსულიდგან უაზროდ სიტყვების გადმოღება, თუ არ ქართულის დამახინჯება? ეჭვი არ არის, ქართველი ამ აზრს ქართულად სულ სხვანაირად იტყოდა, მაგალითად: „როზგი — ეს ისტორიულად შენაძენი სამარცხვინო ჩვეულება — ჯერაც არ გადავარდნილა რუსეთში“ და სხ., ან კიდევ სხვა რიგად როგორმე.

და მრავალნი სხვანი და სხვანი...

მაგრამ, რომ „ივერიამა“ და მისმა თანამშრომელმა ბ-ნმა ყიფშიძემ ნათქვამი და სათქმელი მტრობაში არ ჩამომართვან, განგებ გვიგონებს უყურადღებობასაო, თითო მაგალითს გაზეთის ყველა იმ განყოფილებიდანაც მოგუყვან, რომელსაც სარედაქციო, შინაური შრომა ეწოდება, ან რომელიც ხელმოუწერელად იბეჭდება რედაქციის პასუხისმგებლობით.

და რომ ისევ ეს განგებ გამქექელობა არ შემომწამონ. იმავე №№-ებს მივმართავ, საიდგანაც ნიმუშები აქამდის მომყვანდა.

იხილეთ ამ წლის № 3 „ივერიისა“ და მეთაური წერილი ჩიკითხვით, რომელიც გაზეთის წმიდათა-წმიდას უნდა შეადგენდეს. მე 5 სვეტში, მე-16 სტრიქონიდან მე-20-მდე, 3 შეცდომას ჩამოითვლით: 1). . „განვმარტოთ მთავარნი უკუღმართობანი „ცნობის ფურცლისა“.



თუ, ბ-ნო, მრავლობითს რიცხვს ძველის ფორმითა ხმა-რობთ (ნი), განმარტებითი სიტყვებიც უთუოდ მრავლობითად უნდა დააბოლოვოთ, სახელდობრ: ... „განმარტოთ მთავარნი უკუღმართობანი „ცნობის ფურცლისანი“ და არა ისე, როგორც თქვენ იხმარეთ. ეს ქეშმარიტებაა ქართულის ენის ბუნებისა.

2)...„არამედ ვანებაზე მოვიყვანოთ ... მართალია, მცირედია ეს შეცდომა, მაგრამ თუ მზეობა გსურთ, პაწია მტვერიც ლაქად დაგაჩნდებათ უთუოდ, ბუნების კანონია. მაშასადამე, უნდა ფრთხილობდეთ, ყოველგვარი ლაქა ჩამოირეცხოთ.

„გონებაზე მოვიყვანოთ“, თუ თქვენც დამეთანხმებით, სწორე ქართული ვერ არის, რადგან ასე არ იტყვის არც უბირი, არც ინტელიგენტი, თუ გვამში სული და გული ქართული უცემს. „გონზე მოვიყვანოთ“-კი, ეს, ბატონო, ნამდვილი ქართული არის, მასთან მხატვრობრივიც; რადგან ება მეტ ბარგად აღარა ჰკიდია და ქართულს გამოთქმას სისხლით-ხორცამდე შესთვისებია.

3) „სწორს გზაზე დავაყენოთ“. ნუ-კი მიწყენთ და აზრი არ მესმის!.. ვითომ რაო, იმ გზაზე დავაყენოთ, რომელზედაც ჩვენა ვდგევართო!.. დიახ, ბ-ნო, აგრე უნდა გვესმოდეს უთუოდ ნათქვამის აზრი, რადგან სწორს გახლავთ წამომდგარი სწორი-დგან და ეს სიტყვა თავდაპირველად თანაბრობას, ტოლობას, სწორობას ნიშნავს, ხოლო შეიძლება იშვიათს შემთხვევაში სხვა აზრიც მივაწეროთ... მაგრამ რა საჭიროა?

თქვენ-კი, ვგონებ, გსურდათ სულ სხვა აზრი წარმოგეთქვათ, ე. ი. „სწორე გზაზე დავაყენოთ“. დიალ, ბ-ნო, მაგრამ სწორი სწორეს რომ არა ჰნიშნავს?! ამას უთუოდ თქვენც დაადასტურობთ. თორემ, აბა, ავიღოთ ორი რამ შესაფერი მაგალითი. აი, თუნდ ასე: 1) სწორ კაცთანა მაქვს საქმე და 2) სწორე კაცთანა მაქვს საქმე, ან: 1) სწორს კაცს ველაპარაკებოდი და 2) სწორე კაცს ველაპარაკებოდი. ექვი არ არის, პირველს შემთხვევაში ორსავე წინადადებაში სწორი ჰნიშნავს ტოლს, თანაბარს და ყველაც ასე გაიგებს აზრსა, ხოლო მეორე შემთხვევაში—პირდაპირს, მართალსა. მაშ, უნდა დავეთანხ-

მოთ, რომ აზრი ააბნით, ვერ ისწორ - ქართულეთ. მაგრამ შეიძლება კორექტორს დააბრალოთ?!..

ეს მეთაური.

იმავე მე-3 № ში, ფელეტონის პირველს სვეტში, მე-22 სტრიქონში ნახმარია სიტყვა: გაუმჯობესება. მიბრძანეთ, ბ-ნებო, გაუმჯობესება უნდა თუ გაუმჯობესებლობა?.. იქვე მე-24 სტრ. ნათქვამია: „ეს არის ერთი უმთავრესი უბედურება ჩვენის გუბერნიის, რომელიც აფერხებს“... და სხ. გამოდის, ბ-ნებო, რომ უბედურება-კი არა, გუბერნია თურმე აფერხებს და სხ“... სიტყვები აქ, ექვი არ არის, თავ-თავისს ადგილას არ სხედან. სწორედ აშენებულს წინადადებას-კი, მაგალითად: „ეს არის ჩვენის გუბერნიის ერთი უმთავრესი უბედურება, რომელიც აფერხებს“ და სხ. ასეთი უაზრობა არ დაემართებოდა, საყვედური ასცილდებოდა... მაგრამ არაფერია... სტილისტს დრო არა ჰქონდა, კორექტორს შესცდომია, არ გაუსწორებია!.. ან სწორედ რომ ვთქვათ, სხვა შეცდომების გასწორებით თავი მოჰხერხებია, დალილია და ესა და ზოგიერთი სხვაც ვეღარ გაუსწორებია.

იქვე მე-32 სტრიქონში ნათქვამია:... „ცუცხლით გადაწვა“ და სხ. ნეტა, თუ ვინმე ამიხსნის, გადაწვა წყლითა ან სხვა რითიმეც შეიძლება?!.. ექვი არ არის, სიტყვა ცუცხლით მეტად და უაზროდ არის აქ ნახმარი, რადგან გადაწვა თავის თავად კარგად გამოგვცემს ქიმიურს მოვლენას წვასა და განმარტებას აღარა ჰსაჭიროებს!..

ესაც ფელეტონი.

იმავე № 3-ში, მესამე გვერდზე, განყოფილება „კავკასია“ რომ წაიკითხოთ (თორემ შეიძლება კიდევაც იგემეთ, ბ-ნო მკითხველო, ეს გარუსულებული ქართული), თავით ბოლომდის მხოლოდ უკუღმართობას შეიცავს, სხვას არაფერს. აი, ბ-ნო, წავიკითხოთ: „მინისტრთა კომიტეტის (უნდა იყოს ან კომიტეტი-საგან ან კომიტეტის ჰიერ) უმაღლესად დამტკიცებული დებულება ანიჭებს კავკასიის მთავარმართველს შემდეგს უფლებას: ქალაქ ბაქოს მცხოვრებთა და საფაბრიკო და საქარხნო რაიონთა



სავალდებულოდ (?) დადგენილებანი(?) გამოცემის (?) სანიტარულის ნაწილის შესახებ (?)... და სხ. " რაო?.. გეფიცებით, ვერა გავიგე-რა და ვერც მიგვხვდი, რა უნდა ეთქვათ!! სამწუხაროდ, ველარც რუსული ტექსტი მოვძებნე და დავრჩი ასე პირში ჩაღამაგოვლებული. მაგრამ ეს არაფერი, შეიძლება აქ მართლაც ან კორექტორი, ან ამომწყოები, ან მეტრანაჰეი იყოს დამნაშავე; აურევიათ, სიტყვა ამოუგდიათ და სხ. მაგრამ ეს მეორე ნახევარი რაღაა? 2) „მიანიქოს ბაქოს გუბერნატორს უფლებანი, რემკის (თუ რომელთა?) შემწეობით (?) გუბერნატორი სისრულეში მიაყვანს პირველ მუხლში მოხსენებულს დადგენილებას“. ეს სისრულეში მიაყვანს კი, ვგონებ, სამაგალითო წმინდა და ღრმა ქართულია, არა მკითხველო? როგორ მოგწონთ? სისრულეში მიაყვანს=приведеть в исполнение, რუსიციზმია, მა რა ღვთის რისხვა!

აბა ერთი გვიბრძანეთ, ბ-ნო ყიფშიძე, გლეხის ან სხვა დაბრაისელ ქართველის პირიდან სად გაგიგონიათ, რომ შესრულებისა და ასრულების მაგივრად სისრულეში მოყვანა ეხმაროთ? ჰბრძანეთ ერთი, ამ თქვენს რუსიციზმს რა პირით შეჰყურებთ და როგორ აპირებთ თავის მართლებასა? იქნება იმითი, რომ წამკითხველი გულში ნადებს მიგვიხვდებოდაო?... თორემ ეს რუსიციზმი ხომ თქვენ მიერ დასახელებულ „პირობას“ ათ წილადა სქარბობს. როგორც თქვენი გლეხ-კაცი, ისე მომეტებულად ჩვენი დაგეკითხებოდათ: ვის მოიყვანს, ვინ მოიყვანს, მოსაყვანი მე არა ვიცი-რაო! ან რა სისრულეშიო?..

ქართველი, ექვი არ არის, ქართულად ცოტა სხვა ნაირად გამოსთქვამდა ამავე აზრსა, მაგალითად: მიანიქოს ბაქოს გუბერნატორს უფლებანი, რომელთა ძალითაც (შემწეობას, ვგონებთ, ესა სჯობს) გუბერნატორი ასრულებს პირველ მუხლში მოხსენებულს დადგენილებას. და ასე ნათქვამი წინადადება ყველასათვის ერთნაირად გასაგები, უფრო მოხდენილი ქართული. იქნებოდა.

ესაც ერთი განყოფილებათაგანი.

ვიცი, თავს-კი მოგაბეზრებდით, მკითხველო, მაგრამ, თუ შეიძლება, მცირე მოთმინება იქონიეთ და იმავე № 3-ის ერთი განყოფილება კიდევ ვნახოთ.

მესამე გვერდზე, მეხუთე სვეტში, „თეატრისა და ხელოვნების“ განყოფილებაში რამდენიმე წერილია მოთავსებული. ამათგან ორი ხელ-მოუწერელია, მაშასადამე, რედაქციისაა, სხვები ხელმოწერილები, გარეშე თანამშრომლებისა. ავილოთ, ბ-ნო, და პირველივე წერილი ჩავიკითხოთ.

მესამე და მეოთხე სტრიქონშივე ასეთს წმინდა რუსიციზმს წაადგებით:... „დაიდაჲ პირველი ქართული ჰაესა“.. = *постав-  
 лени была первая грузинская пьеса*. იქნება არც საიმიხოდ ყურს ეჩოთირებოდეს, არც დიდად აზრი ეკარგებოდეს ნათქვამსა, მაგრამ გამოთქმა რომ წმინდა რუსიციზმია, ამას ვგონებ, ყველა, და, სხვათა შორის, რედაქციაც აღიარებს!.. და იდაჲ ჰიესა = *поставлена была пьеса* ისეთივე ქართულია, როგორც: კითხვა დააყენა = *поставилъ вопросъ*, რომლის წინააღმდეგაც ბ-ნმა ყიფშიძემ ასე რიხიანად გამოილაშქრა. თუ მეორეა შეუწყნარებელი ცოდვა წმინდა ქართულის წინაშე, პირველიც არა ნაკლები ცოდვაა.

მე-25 — 26 სტრიქონში იმავე წერილისა აი, როგორს წინადადებას ამოიკითხავთ: „მსახიობი განგებ ხაზგასმულად ამბობდა იმ ფრაზებს, რომელშიაც „ვირი“ ერია“... და სხვ.

„ვირისა“, ბატონებო, რა მოგახსენოთ და ეს განგებ „ხაზგასმულად ამბობდა“-კი მეტად დიდის ტანის აქლემია!

„განგებ ხაზგასმულად ამბობდა“! დიდალ, იქნება მართლაც თან განგებ ხაზს უსვამდა ან ავლებდა რასმე და თან ამბობდა მსახიობი, მაგრამ აზრი, აზრი სად არის ამ მარილიანის, ბრძნულის თქმულობისა?!

არამც თუ უბირი გლახი, ბ-ნო, ცოტად თუ ბევრად შეგნებულნი, სააზნაურო განათლების ინტელიგენტიც კი ვერას მიჰხედება აქ, თუ რუსული ენა ბუნებრივისავით არ იცის და არ გაუგონია—რას ჰნიშნავს *нарочно подчеркивалъ*.



ამიტომაც ქართველი ქართულად ამ აზრს ცოტა სხვა ნაირად იტყოდა და, რასაკვირველია, მაშინ ადვილად გასაგებიც იქმნებოდა, თუ ხაზ-გა'მუჯად რისამე თქმა რასა ნიშნავს; მაგალითად: „მსახიობი განგებ საგული ხმოდ ამბობდა იმ ფრაზებს“... და სხ., თორემ თქვენს ხაზ-გასმუჯობას ხომ ქართველ მკითხველისათვის ცალკე კომენტარები დასჭირდება!..

აი, ამასა ჰქვიან, ბ-ნებო, ის განგებ თვალების ახვევა, რომელიც თავისს ნაკლს ღირსებად დაანახევებს ხოლმე კაცსა და სხვისას ბუმბერაზათ აქცევს. მაგრამ ჩვენ ხომ ცოტა უფრო სამართლიანები უნდა ვიყოთ: ინტელიგენტები, საზოგადო მოღვაწეები გვეწოდება? რა დაგვიშლის, მაშ, სხვისა სამართლიანი მხილება მოთმინებით მოვისმინოთ და ქეშმარიტების წინაშე ქედი მოვიხაროთ. იმედია, ამისათვის მცირე შენიშვნას, რომელიც „წმინდა ქართულმა“ გამოიწვია, არავინ იწყენს და შეერთებული ძალით ვეცდებით ვიბრძოლოთ იმ საშიშარ მტრისა წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს ენას ძირს უთხრის, სჩაგრავს, განვითარების მაგივრად გადაგვარების გზაზე უპირებს დაყენებას: სულ ერთია, ეს მტერი გარედან მოგვადგება თავხედად გასანადგურებლად, თუ შეუნიშნავად, ჩუმად, შინიღვან შემოგვეპარება, მოყვრულის თავ-მოჩვენებით მოგვხიბლავს და ისე დაგვლუპავს ვერაგად...

დიად, სამართლიანობა ვახსენე და ამან მომაგონა, რომ ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა მეთქვა, ვიდრე აღთქმულს „საქირო დასკვნას“ ჩემსას მკითხველს გაეუზიარებდე.

სხვა განყოფილებათა შორის არ ვახსენე, მაგალითად, „ტფილისისა“ და „ჩვენებური ამბები“, უცხოეთი და დეპეშა იმიტომ, რომ: 1) ტფილისის ამბები და დეპეშა მუდამ სისწრაფით ითარგმნებიან და, მაშასადამე, ადვილია სტილისტიმა თვალი ვერცკი დაჰკრას, ან ხშირად აჩქარებით თვითონაც ისუსტოს... და 2) „ჩვენებური“ ამბები გარედგან არის მოსული და არა ვთქვი რა იმიტომ, რომ გარედგან მოსული მასალა მომეტებულ ნაწილად ენის მხრივ საშინლად სუსტია ხოლმე; ხოლო „უცხოეთის“ შესახებ არა გვეთქმის-რა, რადგან ეტყობა შემდგენელი

სკდილობს აზრი გამოაქართულოს და რუსულიდან ქართველ მკითხველისათვის ისე გადმოიღოს. ჩვენც ამ შრომას სწორედ ღირსებად ვუთვლით და ადრევე ვმადლობთ, ვინც უნდა იყოს იგი.

არა გვეთქმის - რა, რასაკვირელია, არც სხვა ზოგიერთ მეფელეტონე ავტორების ნაწერებზე, რადგან ყველა ავტორი თავისს ღირსებას თან ატარებს და, გამოვტყდებით, რამდენიმე სამაგალითოდ წმინდა მექართულე მეფელეტონე ძველმა რედაქციამ ქრთამად კიდევაც გაატანა „ივერიისა“... მაგრამ კარგის მახლობლად და მეზობლად ყოფნა ნუ-თუ ასე უნაყოფოდ უნდა რჩებოდეს?.. რა არის მიზეზი?.. არ ვიცი, და ეტყობა უთუოდ ჯერ-ჯერობით რედაქციასაც ვერ შეუტყვია... იძიეთ და ჰპოვებთო, ნათქვამია. ამითი გავათავოთ და მოისმინეთ, ბ-ნო, ის მცირედი დასკვნა, რომელიც „ივერიის“ წმინდა ქართულმა“ და ვერ ქართულობამ უნებლიედ გამოიწვია.

ენა, როგორც სარკე ერის სულიერ განვითარებისა, მოგხსენებათ, ყველას და ყველა დროს ერთნაირი არა აქვს: ველური თავისს სულიერ არსებობისა და ხორციელ საქიროებათა გამოსახატავად, სულ რამდენისამე ასი სიტყვით კმაყოფილდება, ზოგჯერ კი ნაკლებითაც, ხოლო საშუალო და უმაღლეს განვითარებისა და კულტურის მქონე შესაბამად მოქარბებულთაც ძლივს-ძლივობით ახერხებს თავისს მრავალგვაროთულ ცოდნისა და აზრის გადაცემას, გამოხატვასა, ყოველდღე ახალს სიტყვებს, ტერმინებსა სთხზავს...

ადამიანი განვითარების პირველ საფეხურზე ბავშვსა ჰგავს. საგანს, რაც უნდა მრავალ-ნიშნისანი და თვისებისანი იყოს, ეძახის იმ სახელსა და მიაწერს იმ თვისებას მარტო, რომელსაც გარეგნობით უფრო ადვილად და პირველად შეჰნიშნავს. ამიტომაც ენა მისი სულ ღარიბია, ერთი სახელით რამდენსამე მზგავსს საგანს იხსენიებს, აზრის გადასაცემად ხშირად ხელეებისა და სახის მოძრაობას, გამომეტყველებას იშველიებს. შემდგომ, რამდენადაც მისი ცოდნითი ნიჭიერება ვითარდება, იმ-

დენად ლექსიკონიც უმდიდრდება, აზრის გამოხატვა და გადაცემაც შესაფერისად ურთულდება, უმრავალფეროვნდება. მაგრამ პირველ ხანად მაინც წმინდა აზრს, წარმოდგენას საგნისას გრძნობითი ხასიათი აქვს: ადგილს უთმობს ადამიანი ოცნებობას, მგრძნობელობასა და ნამდვილს ბუნებრივს თვისებებს საგნისას, რომელსაც ბუნების-მეტყველება იძლევა, პოეტურს ელფერს დაჰკრავს, გაალამაზებს ხოლმე. ეს ის ხანაა ერის ცხოვრებაში, როცა გრძნობა ნამდვილს ცოდნას ჯერ კიდევასკარბობს. შემდეგ-კი, როცა ადამიანი ბუნებას თან-და-თან უახლოვდება და მის ურიცხვ მოვლენათა შესახებ სწორე, ცდითა და ღრმა დაკვირვებით აღმოჩენილს, ცოდნას იძენს, მაშინ მგრძნობელობა ნელ-ნელა უკანა დგება და იწყებს მუშაობას სასტიკი, პირდაპირი, მიუდგომელი მსაჯული გონება, რომელსაც სილამაზის გულისათვის საგნის დამახინჯება მიუტყვევებელ ცოდვად მიაჩნია.

აქედგან იწყება ბატონობა ინტელექტისა და მისი სასარგებლო აღმოჩენანი და მოქმედებანი, რომელთაც გრძნობასთან იმდენად აქვთ საქმე, რამდენადაც ეს მათის ცნობისა და შესწავლისათვის არის საჭირო.

მაშასადამე, პირველ საფეხურიდგან ამ უმაღლეს განვითარებამდე ერს არ შეუძლიან, რასაკერძოდა, სულ ერთისა და იმავე ლექსიკონით, ერთნაირად უბრალო აზრთა გამოთქმით ხელმძღვანელობდეს; სულიერ განვითარებასთან ერთად უნდა უთუოდ განავითაროს ენაც, როგორც უმთავრესი იარაღი აზრთა და იდეათა გარეთ გამოფენისა, გასაზოგადოებრივებისა, ე. ი. ევოლიუციის კანონებს დაუმორჩილოს. ესაა მოკლედ დასახული სხემა ენის განვითარებისა ყველასათვის, ვისაც-კი ჰსურს უმაღლეს კულტურის დაწაფება, ვისაცა ჰსურს თანამედროვე განვითარების ნაყოფთაგან მცირედად მაინც არის იგემოს რაშე. აუცილებლობას ამ გზისას ვერსად ვერ წაუვა...

მასთან ენის გამდიდრება და გართულება გამოთქმით იმას როდი ჰნიშნავს, რომ უხეიროდ და ულაზათოდ დაბარგულს, საზიდად ძნელს მძიმე ურემს ემზგავსებოდეს, არა! გამდიდრება

და გართულება უნდა გამოიხატებოდეს მრავალ გვარის მოქნილობით, რომ სულ მძიმედ მოსაწინდებელი, ღრმა აზრი უბრალოდ და კანონიერად სიტყვათა შეხამებით, ლექსიკონის გაუქმებლივ, სწორედ იყოს გამოთქმული; ყველა სიტყვას წინადადებაში უთუოდ თავისი ელფერი და აზრი შერჩეს, ლოგიკისა და შინაარსის მხრივ, მარცვალი რა არის, ერთი მარცვალი არ დაეკარგოს, არც ერთი მისი აზრის ნაწილილი არ დაიფაროს. მაშასადამე, სასტიკი სისწორე აზრისა და მასთან თვითოეულის სიტყვისა, როგორც პირდაპირის შინაარსით, ისე გარემოების მიხედვით, უთუოდ მუდამ დაცული უნდა იყოს და როგორც სიტყვა, ისე მთელი წინადადება, ორ-აზროვანად, დაუმთავრებლად, გაუგებრად არავის უნდა ეჩვენოს. არც ისე უნდა იყოს გასაგებად გაუმბრალოებული, როცა ამას გარემოება არ მოითხოვს, რომ ზედმიწევნითი, ღრმა აზრი და გარკვეულობა დაეკარგოს და მხოლოდ ზოგადი, ზეზეური წარმოდგენა-ლა შერჩეს. ერთი სიტყვით, საჭიროა უთუოდ განვითარდეს, განმტკიცდეს იქამდის, რომ ყოველგვარი მეცნიერული შრომა და ფილოსოფიური თუ სოციალური მოძღვრება, აგრეთვე ყოველგვარი სპეციალური ცოდნა ენისათვის ადვილად შესათვისებელი გახდეს. ეს არის სასურველი, ამას უნდა სცდილობდეს ყველა, ვინც-კი რაიმე ნაირად ეროვნულ წარმატებასა და კერძოდ მისს ენას ემსახურება.

მოვალეობა და შრომა, ექვი არ არის, ფრიად დიდი და მასთან იქამდის ძნელი და რთული, რომ ჯერ კიდევ დიდმა ღრმად უნდა განვლოს და ბევრი კალმის კაცი მოიღალოს, მაგრამ პროგრამა-კი, თუ საზოგადოდ როგორ უნდა მოხდეს ეს განვითარება და გამდიდრება ენისა, საჭიროა ადრევე გათვალისწინებული იქმნას.

რასაკვირველია, ენის გამდიდრებაში დიდს ადგილს დაიჭერს სხვა-და-სხვა საგანგებო ცოდნათათვის საჭირო ტერმინების შემუშავება, მაგრამ უამისოდაც საზოგადოდ ენას ადვილად უნდა შეეძლოს ყოველგვარ სულიერ მოძრაობათა და განწყობებულ აზრთა და წარმოდგენა-შესმენათა გადაცემა, რასაც

ფილოსოფიური და საზოგადოებრივი განვითარება-განათლება იძლევა.

მაგრამ ასეთს ბუნებრივს განვითარებას, ეჭვი არ არის, მაშინ უფრო ადვილათა და დაუბრკოლებლივ ეღიროსება ერი, როცა პოლიტიკური თავისუფლება ხელს უწყობს და თვით-მმართველობა ეროვნული გონებრივს წარმატებასა და წინსვლას ერთგულად ემსახურება. აღორძინება სულ მცირე ხნის განმავლობაში მაშინ გასაკვირალი არავისთვის უნდა იყოს; ერის მხნეობასა და წყურვილს ვერა შეაფერხებს-რა, რადგან ყოველივე ხელს უმართავს: მთავრობაცა და კანონიც, სკოლაცა და ცხოვრებაც... მაგრამ თუ ამ თავისუფლებას მოკლებულია ერი, მაშინ საქმე გაძნელებულია.

მაინც, თუ რომ ეროვნული თვითშეგნება საკმაოდ გავლიძებული აქვს და გადაგვარების ნიშნები არ უჩანს ჯერ, წარმატების გზაზე ერს მისს დღეში ვერა დააბრკოლებს-რა და სხვისა ბატონობის ქვეშაც მოახერხებს თვისი სულიერი ღირსება და ნიჭი გამოიჩინოს. მაგალითად ყველგან და ყველასა-გან დევნილი ისრაელიცა კმარა, რომლის ნიჭიც ქვეყნიერებას აკვირვებს... მაინც დამორჩილებულსა თუ ნებით ქედ დახრილს ერს ამ მხრივ გზა ეკლითა და ნართა აქვს ხოლმე მოფენილი და უნებლიედ მსხვერპლსა და შრომას რჩეულთაგან დიდსა თხოულობს, რის მაგალითებადაც ევრობის პატარა ერე ბიცა კმარან.

მბრძანებელი და მებატონე ერი ყველა საჯარო დაწესებულებასა და სკოლებში უპირატესობას თავისს ენას ანიჭებს, სახელმწიფო, საუფლო ენად აცხადებს. ამ რიგად უმთავრესი ძარღვი სიცოცხლისა, წინსვლისა და წარმატებისა—სკოლა—მორჩილ ერთა ენისათვის დახშული და გაუქმებულია: შეუძლებელი ხდება სხვა-და-სხვა გვარი მოძღვრებანი და ცოდნანი სამშობლო ენაზე შეითვისონ, მით ენა გამტკიცდეს, განვითარდეს. საზოგადოებრივის ხასიათის სახელმწიფო დაწესებულებათაშიც თითქმის ყველგან ასრევე განდევნილია მათი ენა. დარჩა-ლა, მაშასადამე, მხოლოდ ეკკლესია, თეატრი და ჟურნალ-გაზეთობა,

რომელთაც შეუძლიანთ ენას სული ჩაუდგან, შეინახონ. საზოგადო და კერძო დაწესებულებაშიაც ყველგან ნებას არა ჰრთავენ მორჩილ ერთა ენამ ფრთა გაშალოს. სამეცნიერო საზოგადოებანიც ისევე კერძო თაოსნობამ, იმავე კალმის ხალხმა უნდა იკისროს... მაგრამ ამათგან ყველას კერძოობის ხასიათი აქვს, გარდა ეკკლესიისა, თუ მისს წმიდათა-წმიდასაც არ შეეხნენ!

ამ რიგად, თუ რომ ენის დაკარგვა და გაუქმება არა გვსურს, ეკკლესია, თეატრი და ჟურნალ-გაზეთობა, მასთან ყველა ნასწავლი კალმის კაცი უნდა უთუოდ ერთგულადა და მხნედ ემსახურებოდნენ და თავ-თავის წილად სცდილობდნენ გაამდიდრონ, წინ წასწიონ, განავითარონ იგი. მართალია, სკოლა და მმართველთა მოსარჩლეობით ყველა დაწესებულებაში გაბატონება ენისა დიდი ძალაა,—მაშინ ვეღარა შეარყევს-რა და სისწრაფით განვითარდება, მაგრამ თუ ერთი მხნე და გულგაუტეხელი, მასთან დროის შესაფერად შეგნებულთა, მერწმუნეთ, კერძო კაცთა, თეატრისა და ჟურნალ გაზეთობის შრომა და ღვაწლიც არა ნაკლებ ნაყოფიერია, ბევრჯელ მეტსაც შეიქმს: მეცნიერების ტაძრად კერძო კაცთა კაბინეტები გარდიქმნიებიან, სკოლად და აუდიტორიათ—ყველა ფეხის დადგმა აღგილი, სადაც-კი შესაფერისად დაწერილი წიგნაკი და ჟურნალ-გაზეთი მიაღწევს; ეკკლესია კიდევ თავისს მხრივ ეცდება ზნეობის განმტკიცებასა და სიმართლის გამარჯვებასა, რადგან თვით საფუძველი მისი მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე და ქეშმარიტებაა.

ამიტომაც, განზრახვა ბ-ნის გრ. ყიფშიძისა — გაზეთის საშუალებით ენის განწმენდისა და აღდგენისა—თავშივე მოვიწონეთ, სასარგებლოდა და მნიშვნელოვანადა ვსცანით. მაგრამ ისე-კი არა, რგორც ყიფშიძე აპირებს. არა! ეს მხოლოდ ენის აზნევა და დაცარვა, გაღატაკება იქნება.

თუ არა ვცდები, ბ-ნი ყიფშიძე დიდი თაყვანის-მცემელია ძველის ქართულისა და ენის ძველ ფორმებისა, რომლებიც



დღეს გამოსათქმელად და გასაგებად ზოგჯერ მეტად უხერხულნი არიან. ასეთისავე პატივისა და უპირატესობის ღირსადა სთვლის ხშირად ისეთს სიტყვებსა და ფორმებს, რომლებსაც ამ ერთის ან ორი საუკუნის წინად იქნება ღირსება დიდი ჰქონდათ, მაგრამ ახლა ესაც დაკარგული აქვთ, რადგანაც სამაგიეროდ სხვას ხმარობს ხალხი და აზრიც იშვიათად-ღა ესმის ვისმე.

თუ რომ ბ-ნი ყიფშიძე მართალსა ჰბრძანებს, რომ ჩვენს ბედნიერებას ის შეადგენს, „რომ ენა ჩვენის ახალის მწერლობისა და ხალხისა, მთლად მდაბიო ხალხისა, უბირის გლექსაკობისა ერთნაირია, ერთმანერთს დაუშორებელი“ (იხ. „ივერია“ № 6, „წმ. ქართ. ბოლო“), მაშინ ვერ გამიგია, თვითონ რალად შეუქცევია ზურგი ამ ხალხისათვის და რად მიჰმართავს ხოლმე ისეთს, ხალხში უხმარებელს სიტყვებსა, როგორიცაა, მაგალითად, გარნა, ვითარცა, ნუხლი, რუდუნება და სხ. ნუ თუ ჰგონია, რომ ერთ აზროვანსავე ცოცხალ სიტყვებს: ხოლო, არამედ, როგორც-ს, საგზალსა და შრომა-ღვ-წლს აზრს ვერ მიუხვდებიან?..

და ასე ხშირად, მეტად ხშირად მიჰმართავს ხოლმე ბ-ნი ყიფშიძე ძველს, დავითნისა და საეკლესიო საგალობლების ენას მაშინაც-კი, როცა აზრი შეიძლება უბრალოდ, მდაბიოდ გასაგებად, ახალის ფორმებითა და სიტყვებით გამოიხატოს. განა, ეს არის, ბ ნო, არ დაშორება ხალხისა და წინსვლა? არა და არა!

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ხალხი ეკლესიაში ჯერ იშვიათად დაიარება და თუ მივა, მაშინაც საეკლესიო ლოცვებისა სულ არა გაეგება-რა, რადგან ენა საღმრთო წერილისა ჩვენს დღევანდელს ენას ფორმებითა და ბევრში სიტყვებითაც მეტად დაჰშორდა. ამიტომაც გლეხი უცხო სტუმარივითა სდგას ეკლესიაში და მხოლოდ „უფალო შეგვიწყალებ-ს“ იმეორებს გულში ხელის ცემითა. რა უფლება გვაქვს, მაშ, ამის შემდეგ დღევანდელს, ხალხში ხმარებულს, ქართულსავე ფორმებსა და სიტყვებს გზა ავუქციოთ და წარსულ საუკუნეთა ენას

დაეუბრუნდეთ? არავითარი, მაგრამ ბ-ნს ყიფშიძეს ეს ენის განვითარებად მიიჩნია და ზას იქმთ?!

სულ სხვაა, მაგალითად, ძველი ენიდგან თუ მწერლობი-დგან ამოვკრიბოთ სიტყვები, რომელთა საბადლოც არ მოგვეძებნება, მაგრამ ის-კი, რომ ხმარებული სიტყვა გავაუქმოთ და მკვდარი, უხმარებელი მის ადგილას წამოვასკუპოთ, დანაშაულობად მიიჩნია, რადგან ენის აბნევას, დაცარვას გამოიწვევს, სხვას არასფერს.

ეს კრთი, და, ვგონებ, არავინ გაგვამტყუენებს, თუ უზომოდ უკან-უკან, ზურგთ უკან ცქერა ვუკეთებთ ბ-ნს ყიფშიძესა, ძაშინ როცა ცხვირ წინ მომხდარ ცვლილებათა და ამბების ვითარება და ბუნება კარგად ვერ გავვიცვნია, შეგვის წავლია...

წარსული და ძველი უთუოდ და უთუოდ ძვირფასია ჩვენთვის, მაგრამ იმ ზომად, რამდენადაც აღმზრდელი ხასიათი აქვს, დროის შესაფერად სამკვიდროდ შესაძენია. წასაბაძია, მაგალითად, უმაგალითო ერთგულობა და თავგანწირვა სამშობლოსათვის, მასთან მხნეობა და სიმტკიცე ხასიათისა, როგორსაც ჩვენნი წინაპარნი იჩენდნენ ძველს დროში, მაგრამ—ჩვენც ჩაჩქან-მუზარადითა და ფარ-შუბით შეიარაღებულთ ვიაროთ უთუოდ, აქაო-და ისინი ასრე დადიოდნენო, ეს-კი სასაცილოა, ვგონებ! მაშასადამე, წარსულის ტრფობასაც უთუოდ ზომიერება თან უნდა ახლდეს!

მეორე შემცდარი აზრი ბ-ნის ყიფშიძისა „წმინდა ქართულობის“ შესახებ კიდევ ის არის, რომ იზმუბას დევნით გატაცებული ყოველს აზრსა და გამოთქმას, რომლისთვისაც კი მიუგნია, რომ გადმოქართულებული რუსულიაო, სასიკვდინო ცოდვათა სთელის, თუნდაც ეს აზრი და გამოთქმა შინაარსითა და მხატვრობრივ ღირსებით ბევრს წმინდა, ბუნებრივს ქართულს არ ჩამოუფარდებოდეს.

ვიცი, ბ-ნი ყიფშიძე და მისებრ ძველით უზომოდ გატაცებულნი შემაჩვენებენ, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და თქმულის დასასაბუთებლად და დასასურათებლად, თუ



როგორ არის ბ-ნი ყიფშიძე ამ დევნის ჟინით გატაცებული, რამდენსავე მაგალითს მოვიყვან.

ავიღოთ, ბ-ნებო, უბრალო წინადადებანი, მაგალითად: კაცი მიდის, ძაღლს სძინავს, მზე ანათებს, ხმალი ეღვარებს და სხ. რუსულად ასე იქმნება: ЧЕЛОВѢКЪ ИДЕТЬ, СОБАКА СПИТЬ, СОЛНЦЕ СІЯЕТЪ, ШАШКА БЛЕЩЕТЪ. როგორცა ჰხედავთ, ნათქვამი თითქმის ასო-ასოთ გადმოდის, არამც თუ სიტყვა-სიტყვად, მაგრამ არასოდეს არავის ფიქრად არ მოუვა, რომ, აქაო-და რუსიც ასრევე ამბობს ამ აზრს, როგორც ჩვენ, გამოთქმა რუსულიაო.

აღამიანი სწორედ იმიტომ არის, ბ-ნებო, უუგონიერესი და უუმადლესი ქმნილება ცხოველთა შორის, რომ ნიქი საზოგადოობრივობისა მოჰმადლებია და ავსტრალიელი, ფრანგი თუ კავკასიელი, ყველა ერთნაირად მსჯელობს და ფიქრობს, თუ რომ თანაბარი განათლება აქვთ, რასაკერვლია. ამიტომაც ერთ-ერთის ენა მათთვის გასაგებია, თუ ლექსიკონი ერთმანერთისა შეუსწავლია. რად? იმიტომ, რომ ჩვენი მსჯელობითი ნიქიერება საგნებს ერთნაირად სცნობს და აფასებს, უამისოდ გონებრივი განვითარება და საზოგადოდ პროგრესი შეუძლებელი იქმნებოდა, ევოლიუცია საზოგადო აზრთა და იდეათა ყველასთვის ერთნაირად არ მოხდებოდა. მაშასადამე, გასაკვირალი სრულიადაც არ უნდა იყოს არავისათვის, თუ ერთსა და იმავე აზრს არსებითად სხვა-და-სხვა ენისა და ქვეყნის ხალხი მომეტებულ ნაწილად ერთნაირადვე აშენებს. ასეთი მზგავსება გამოთქმათა და აზრთა უმთავრესი საშუალებაა საყოველთაო, მსოფლიო განვითარებისა, საზოგადოობრივობისა და ერთობისა. უამისოდ აღამიანი ვერც-კი წარმოიდგენს, რაგვარი უბაბილონის ენათა არევა და აბნევა მოხდებოდა, მეხანიზმი მსჯელობისა და აზრთა გარეთ გამოფინვისა ყველას რომ სხვა-და-სხვა ჰქონდეს.

მართალია, ყველა ერსა და ენასა აქვს თავისი განსაკუთრებული გამოთქმანიც, ეგრედ წოდებული იდიოტიზმები, რომელთა პირდაპირ თარგმნა და გაგებაც შეუძლებელია, მაგრამ

რიცხვი მათი ჩვეულებრივ მრავალი არ არის ხოლმე. მასთან ილიოტიზმებით რიცხვ-მრავალ ენასაც ამიტომა სთვლიან ხოლმე ძნელად შესასწავლ ენადა.

მაგრამ ბ-ნს ყიფშიძეს ილიოტიზმები სრულიადაც არ უხსენებია. მაშასადამე, რად ეწინააღმდეგება ასე ზოგიერთჯერ რუსულთან მიმზგავსებულს ქართულს გამოთქმასა, თუ-კი გამოთქმას აზრიც შერჩენია და შნოც არ დაუკარგავს, თუნდაც გამოთქმა თარგმნილიც იყოს, არ ვიცით?..

ავილოთ, ბ-ნებო, ამ წერილიდგანვე რამდენიმე შესაფერისი მაგალითი და საქართულო კრიტიკის ცხრილში გავატაროთ. ზემოდ, მაგალითად, ნათქვამი მაქვს: „მაშინ როცა ცხვირ წინ მომხდარა“... და სხ. ჩვენი გამოთქმა: ცხვირ წინ მომხდარა ყიფშიძეს შეუძლიან მთლად შეაჩვენოს, რადგან რუსულადაც ეს აზრი სიტყვა-სიტყვით ასე ითქმის: передъ носомъ происходящее... მაშასადამე, რუსიციზმი ყოფილაო. თქვენი რა მოგახსენოთ, ბ-ნებო, მაგრამ მე-კი არ დავეთანხმებოდი, რადგან კარგად ვიცი, რუსსაც წინა აქვს ცხვირი და ქართველსაც და, მაშასადამე, თუ იმისი თქმა ჰსურთ, რომ ამ ცხვირის წინ რაიმე ამბავი ხდებოა, სწორედ ასრე იტყვიან ორივენი, როგორც ზემოდ მოგახსენევიო. ქართულად კიდევ ასე იტყვიან ხოლმე: ჩემ თვალ წინ მოხდა ეს ამბავიო; მაგრამ რუსულადაც რომ ასრევე ამბობენ: передъ моими глазами случилось о? დალახვრა ეშმაკი! სწორედ რომ სასაცილო და ცოტა სამწუხაროცა ხდება ეს საქმე!

ავილოთ, ბ-ნებო, თუნდაც ყიფშიძის მიერვე გამობილი გამოთქმანი: „მიუხედავად ამისა,“ „სახეში იქონიეთ“, ან ყბადღებულის და წყალ-წადლებული „цѣль“ და „условіе“. როგორა ჰგონია ბ-ნს ყიფშიძეს: მიხედავ არ არის ქართული სიტყვა და მისგან წამომდგარი მიუხედავად სწორედ ნაწარმოები, თუ აზრი აქვს დაკარგული და გაუგებარი სიტყვათა რახუნია? არა მგონია, ან ერთს ან მეორე ბრალდებას რაიმე საფუძველი ჰქონდეს, რადგან სიტყვა ქართულია, სწორედ ნაწარმოები და აზრიც შერჩენილი აქვს. მე და თქვენ-კი არა, ბ-ნნო მკითხველ-

ნო, ყიფშიძის გლეხსაც რომ ვუთხრათ ასეთი წინადადება, უთუოდ ისაც მიჰხვდება აზრსა, თუმცა ზოგჯერ, გამოგიტყდებით, ჩვენი გლეხი წმინდა ქართულსაც ვერას გაუგებს ხოლმე, ვიდრე უფრო მდაბიოდ, იმის შეგნებისათვის მისაწვდომად არ დაურკვევთ და დაუხვეწათ მარცვლებად, უბრალო ელემენტებად აზრსა. რისი მიზეზია? ეჭვი არ არის, იმისი, რომ განუვითარებელი, ბნელი გონება მისი საგანს ვერ მიჰხვდა, ვერ მოინელა, თუმცა ყიფშიძის მაინც აქ ენის უწმინდურება ეჩვენებოდა უთუოდ მიზეზად...

მეორე გამოთქმა: სახეში იქნაიე "არა ნაკლებ გასაგები და მხატვრობრივია, ვიდრე მის მიერ ასრე შეყვარებული გუჯში იქნაიე".

მიბრძანეთ, რატომ არ შეიძლება ამ ორსავე გამოთქმას ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეთ? თუმცა გუჯში იქნაიე\* იგულისხმებს დასაფარს, არგასამეღაფნებს რასმე. სახეში იქნაიე ისრეთივე სურათებრივი გამოთქმაა, როგორც გუჯში იქნაიე. მასთან თუ გულში რისამე ჩადება შეიძლება, ასრევე შეიძლება, თუ არა მეტად, მისი ფიქრით ტარებაც, აზრთა სამთავროში შეტანა, რადგან სახე, როგორც გამომხატველი ყოველგვარ სულიერ მოძრაობათა და აზრთა, სინონიმიია მათი. გარდა ამისა, როგორც უკვე მოგახსენეთ, კაცს რომ ეტყვიან: გულში გქონდესო, ამითი თითქოს ეუბნებიან, იცოდე, მაგრამ არ გაამეღაფნოო. სახეში გქონდესო-კი რომ ეტყვიან, ამითი მხოლოდ სთხოვენ, ახსოვდეს, თორემ დაფარვას, არ გამეღაფნებას არ ავალბენ. მაგრამ რას იზამთ, რომ იგივე აზრი რუსულადაც სწორედ ასრევე გამოთქმული: ИМѢИ ВЪ ВИДУ?...

ეს, ბ-ნო ყიფშიძე, მხოლოდ სურათებრივი გამოთქმაა, თორემ ილიოტიზმი რომ იყოს, დაგეთანხმებოდით და მეორეც, ხომ ჩვენცა გვაქვს მიმზავსებელივე გამოთქმა—გულში იქონიე. მაშასადამე, სულ ადვილი გასაგები და მისახვედრია, მასთან გულში გქონდეს-ზე მეტად მხატვრობრივი, მაგრამ... და-ვითნში რომ არა სწერია!

დიდადა მრისხანებს და სწუხს აგრეთვე იმის გამო ბ-ნი ყიფშიძე, რომ „ივერია“ 25 წელიწადია II ლ. II-ის მიზნად ხმარებას თურმე ებრძვის და ამ ღრმად ფესვ-გამდგარ ხენისათვის ვერა მოუხერხებია-რა... თუმცა არ მესმის, რატომ „ივერიას“ ან ბ-ნს ყიფშიძეს ერთხელ მაინც არის არ მოუვიდათ ფიქრად, რომ, თუ 25 წლის ბრძოლა ვერას გამხდარა, ეტყობა რაღაცა სიმართლე ჰქონია ამ ხმარებასა და იმიტომ ჯიუტობენ, თორემ, გარწმუნებთ, იმერეთში რომ მთელის საუკუნის განმავლობაში ცხვირსახოცის მაგივრად „პლატოკი“ იძახონ და პირდაპირ-ის მაგივრად „პრიამათ“, ამითი ერთ-აზროვანი ქართული სიტყვები დავიწყებულნი არ იქმნებიან, წერით არავინ ასე არ დასწერს.

მიბრძანეთ ახლა, ბ-ნო ყიფშიძე, როგორა გსურთ, რომ II ლ. II-ის მიზნება ქართველობამ გონებიდამ ამოირეცხოს? თქვენვე არ არის ბრძანებთ, რომ II ლ. II მიზნისა ჰნიშნავს და როგორც ტენიკური სიტყვა, სროლაში იხმარება? რუსულადაც დასაბამი აზრი სიტყვისა ვე არის.

მაგრამ, განა, ან რუსებისა და ან ჩვენთვის ცოდვად უნდა ჩაითვალოს, თუ იმავე აზრით—რისსამე მიღწევისა, სროლის დროს ხომ მიზანს ისა აქვს აზრად, რომ ტყვია მიიზიდოს—ამ სიტყვას სხვა მზგავსს შემთხვევებშიაც ვიხმართ? არასოდეს! და აკი რუსებიც და ჩვენც ვხმარობთ, თურმე მიუხედავად იმისა, რომ „ივერია“ 25 წელიწადია მრისხანებს და რუსიციზმების მოტრფიალეთ სთვლის ყველას, ვინც-კი ენას ნებას მისცემს და თუ არა თოფ-ზარბაზნით ხელში, ისე ახსენებს მიზანს!

სწორედ მაღლობის ღირსი ბრძანდება ბ-ნი ყიფშიძე, რომ თავისს წერილში, იქვე მიზანთან ერთად, ნიშანიც ახსენა.

ნიშანსაც სროლის დროს ხმარობენ: ნიშანი დაგვსვთ და ვე-სრფლთ; ან ნიშანში მოგარტყიო. მაშასადამე, გამოდის, ბ-ნო, რაკი ნიშანიც ტენიკური სიტყვაა და სროლის დროს იხმარება, სხვა შემთხვევაში და სხვა გარემოებაში აღარ უნდა იხმარებოდეს! მაგრამ არა, ეს ისეთი უკბილო ლოგიკური დასკვნაა, რომ მორჩილებას არავისგან არ უნდა მოელოდეს.

მიზანი და ნიშანი კი არა, ბ-ნო, თითქმის ყველა სიტყვა რაიმე სპეციალურ ცნების გადმომცემია, მაგრამ ამითი არ ეკრძალებათ მიმზგავსებულს შემთხვევაში სხვა ნათესავურის მნიშვნელობითაც იხმარებოდნენ. ასეთი სიტყვაა, მაგალითად, ნიშანიც. სროლის დროს ხომ მიზანს უდრის, უმისოდ თითქმის მთლად ჰკარგავს ამ საგანგებო აზრსა და სხვა მნიშვნელობით იხმარება, მაგალითად: ნიშანი საგნისა, თუ ცხენისა—აქ შეიძლება უხილავი თვისებაც იგულისხმებოდეს და გარეგანი, ხილული რამაც, მაგალითად, ფერი, ნაკლულოვანება და სხ. მართალია, ამ შემთხვევაში ნათესავური მნიშვნელობა სიტყვისა, რომელიც სროლის დროს სულ სხვასა ჰნიშნავს, დაცულია, მაგრამ ის-კი აღარ არის, რაც იყო.

რაც შეეხება მიზანს, მისი ხმარება ხომ უფრო სამართლიანი და მუდამ ადვილად გასაგებია, მასთან საგანგებო მნიშვნელობისა, რომლის წინააღმდეგაც არა ითქმის - რა, თუ - კი დაფუკვირდებით.

ავიღოთ, ბ-ნო, თუნდაც იგივე მაგალითები მიზნის ხმარებისა, რომლებიც, როგორც შეუსაბამო და უაზრონი, ბ-მა ყიფშიძემ გვიჩვენა: „მე მიზნადა მაქვს“, „ჩემი მიზანი ის არის“ და სხ.

ორსავე ამ წინადადებაში ის აზრია, რომ შთქმელს მისალწვევი რაღაცა აქვს, მაგრამ რა არის ეს მისალწვევი—აზრია მხოლოდ, სურვილია, თუ ნატვრა, ამას არ ამბობს, ე. ი. მისალწვევს გარკვევით, გადაჭრით არ ახასიათებს? თან თავის აზრს ასურათებს, რომ ამბობს: „მიზნადა მაქვს“, „ჩემი მიზანი ის არისო“.

მართალია, ვეთანხმებით ბ-ნს ყიფშიძეს, რომ ახსნა და განმარტება ნათქვამისა, თუ გარემოება მოითხოვს, იმ სიტყვებითაც შეიძლება, რომლებსაც იგი გვიჩვენებს, როგორც მიზნის საბადლოებს, მაგალითად: აზრი, ფიქრი, სურვილი, საწადელი, ნატვრა, დანიშნულება, მაგრამ ეს იქმნება მხოლოდ განმარტება და არა ნამდვილი შინაარსი სათქმელისა, რადგან სათქმელია მხოლოდ ზოგადი აზრი მიღწევისა, რომელიც შეი-

ძღვება სხვა-და-სხვა შემთხვევაში სხვა-და-სხვა გვარად გამოიხატოს: ხან მხოლოდ აზრად და ფიქრად, ხან სურვილად, ხანკი ნატვრადაც. და აი, სწორედ ეს გარკვეულობა მოითხოვს, რომ მიზანი, როგორც გამომხატველი საზოგადოდ მისწრაფებისა, სახმარებლად შეწყნარებული იყოს, ყველა სიტყვას თავისი მნიშვნელობა შერჩეს, აზრის სისწორე დაცულ იქმნეს, თორემ განმარტების სისტემას თუ დავადგებით, აღარც ერთს სიტყვას თავისი ხასიათი აღარ შერჩება, აღარც ერთი საგანი თავისს თავს მარტივად ვერ გაგვაცნობს.

ესევე უნდა იყოს მიზეზი სწორედ, რომ „ივერიის“ 25 წლის ბრძოლა ვერას გამხდარა და ენის მოთხოვნილებათა სასტიკს ჯიუტობასა და გარკვეულობას ზედ შეჰკლევია. ამას იქით მაინც ტყუილად ნულარ დაჰშვრებით!

რაც შეეხება იმას, რომ ეს წინადადებანი რუსულადაც სწორედ ასრევე ითქმინან, ეს ხომ სულ არაფრის დამამტკიცებელია, რადგან თვითონ ყიფშიძეც გვეთანხმება — ბევრი რამ პირდაპირ ვადმოითარგმნებაო. ესაც ერთი ბევრთაგანია, თუმცა ყიფშიძე შეწყნარებას არ უპირებს.

იგივე ითქმის ყელიბის ანუ პირობის შესახებაც.

მაგრამ „საზგასმუჯად მბობის“ შესახებ-კი რა მოგახსენოთ?!. ისეა როგორღაც ეს ჩემი ფიქრისა და მსჯელობის მეხანიზმი მოწყობილი, რომ ქართულად მისი გაგება ვერაფრით ვერ მოვახერხებ. და უთუოდ მე პირველი და უკანასკნელი არ უნდა ვიყო ასეთის ბუნებისა, ამხანაგი ბევრი მეყოლება.

რა არის მიზეზი? რა და ის, ბ-ნო, რომ მეტად ულახათოდა და მძიმედ არის დაბარგული ეს სურათებრივი გამოთქმა და იდიოტიზმის ხასიათი აქვს. არამც თუ გლეხი, ბ-ნო, ინტელიგენტიც ვერას გაიგებს, თუ როგორმე რუსული ორიგინალი არ გაიხსენა და რუსულად არ გაიგო!

უხერხულნი არიან აგრეთვე გამოთქმანი: სისრულეში მოიყვანა, ჯერაც ძალაშია, კითხვა დააყენა და სხ.

მაშასადამე, ნათარგმნსაც გარჩევა უნდა, თორემ ნახევარი თქვენის და საზოგადოდ ქართველ მწერლების ნაწერებისა უთუოდ ხაზის გადასმის, გაუქმების ღირსი იქმნებოდა.

ეს გზა-კი, თუ დამეთანხმებით, ძალიან ცუდს შედეგს გამოიწვევდა და უკიდურესობამდე მიგვიყვანდა: ენის კონსერვატიზმს დაამყარებდა და ვერც აზრი და ვერც ვერავითარი მოქმედება ჩვენი ნათელს ვერ ეღირსებოდა, რადგან ყოველივე ძველის არშინით უნდა გვეზომა, ეკლესიურის ენით გავგესაზღვრა, რადგან უძველესი ენა ისაა მხოლოდ. მერე, ჩვენის დროის ელვის სისწრაფით წინ მიმდინარე განათლება და განვითარება, სოციალური თუ ტექნიკური, განა, ამას მოითხოვს და სათოფეზედაც არის მიგვიშვებდა ახლოს??!... ყოველს ახალს აზრსა და იდეას უთუოდ სიტყვაც ახალი სჭირდება. თუ სიტყვა არა, გამოთქმა მაინც, და მაგას რომ მიგყვებო, აქამდის ჯერ არც ერთს ქართველს ვერე არ დაუცემინებია ცხვირსაო, ან აგრე არა უთქვამს-რაო, იცით საით გვიკრავს თავსა? გადაგვარებისაკენ... საჭიროა დაცული იქმნას სული ქართული, თორემ აზრი თუ გამოთქმით მთქმელისას დაემზგავსება, ეს არც საკვირველია: ყოველივე ახალი აზრი თუ გამოთქმა თავისს განსაკუთრებულს ნიშნებს თან ატარებს და ვიდრე შევეჩვეოდეთ, გვეუცხოება ხოლმე.

ამიტომაც, ბ-ნო, შემოტანა ენაში ახლის რთულ ფორმებისა, გამოთქმისა და სიტყვებისა უთუოდ საჭირო, აუცილებელია. უნდა სასტიკად ვადევნოთ თვალ-ყური მხოლოდ მათს კანონიერს წარმოებას, აზრსა და მნიშვნელობასა.

არ ვიცი, ბ-ნო, თქვენ რა აზრისა ბრძანდებით, მაგრამ მე რომ მკითხოთ, ჩვენს ენაში ჯერ მთელი რევოლუცია უნდა მოხდეს, რადგან სამეცნიერო შრომათათვის იგი სრულიად განუვითარებელი და ტერმინებით ღარიბია; არა გვაქვს ზოგჯერ სულ უბრალო ცნებათა გამოსახატავად შესაფერისი სიტყვები.

რასაკერეელია, როცა ამ რეფორმას შეუდგებიან, უპირველესად ყოვლისა, უნდა ეცადნენ თვით ქართულსავე ნიადაგზე

შეჰქმნან ტერმინები, მაგრამ, თუ ეს ზოგჯერ შეუძლებელი იქმნება, ბევრიც რომ ვიუაროთ, სხვათა სიტყვები უნდა შემოვიტანოთ.

ავილოთ, მაგალითად, სულ უბრალო სიტყვები: ощущение, воспріятіе, впечатлѣніе, духъ, душа, понятіе, отрицательное, положительное, двойственность, множественность და მრავალნი სხ. შეიძლება კერძოდ თქვენ, ბ-ნო ყიფშიძე, ან მე, გვქონდეს კიდევაც ამ სიტყვების პასუხი, მაგრამ ჯერ-ჯერობით გამოფენილნი არ არიან, პირველად მათ ყველა იუცხოვბს. აუცილებელნი-კი არიან. მაშასადამე, ასე იქნება თუ ისე, ერთხელც არის, უნდა გადაჭრით რამ დავადგინოთ, აღნიშნული და მრავალი სხვა სიტყვები ქართულად როგორ იხმარებოდნენ. ამისი მიზეზია, მაგალითად, რომ ჩვენი ახალგაზრდები ხელშეკრულები არიან და ზოგჯერ რომ მხურვალე სურვილიცა აქვთ თავისს ცოდნიდგან ენას, მწერლობას და აქედან საზოგადოებას შესძინონ რაე, რითიმე გამოადგენ, წინ უძღვევდნ დაბრკოლებად უტერმინობა ელობებათ, ველარას აკეთებენ. ესევეა მიზეზი, რომ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მწერალი შიშობს, ვერ აცხადებს —ახალი რამ სამეცნიერო შრომა მაქვს, ანა ვთარგმნეო, რადგან იცის მისი ტერმინები ბევრჯელ სიცილს გამოიწვევენ, აურ-ზაურს ასტეხენ: ბ-ნებო, ენა შეუბღალავს, გაურყენიაო. და თვითონ-კი, ვისაც მართლა ენის ღრმა ცოდნა აქვს ჩვენს მწერლებში, ამ აზრით არასფერს არ აკეთებენ, არა ჰზრუნავენ; არა სკდილობენ პოეზიისათვის ყოვლად ღამაზი და მოთხრობათათვის შნოიანი ენა ახლა მეცნიერებათა ღირსიც გახადონ, ე. ი. შესძინონ ნამდვილი სიმტკიცე და სიმაგრე, რომლებმაც ჩვენი თვითარსებობა უნდა შეინახონ, ნამდვილი ცოდნა და განვითარება მოგვანიჭონ.

გაწმენდა ენისა მართალია, საჭიროა, მაგრამ ერთიორად და სამად ამ საჭიროებას თვითონ ენის ახალი სიტყვებითა და ტერმინებით გამდიდრება სჭარბობს. მაშასადამე,



ჯერ უნდა ამას ვეცადნეთ და გზა-და-გზა უწმინდურებასაც ბევრჯერ შეენიშნავთ, ჩამოვიცილებთ!

მაგრამ ეს დიდი საქმე ერთს არავის არ მიენდობა და დაეკისრება. საჭიროა ამისათვის ჯერ გეგმის შედგენა და შემდეგ ენის ღრმად მკოდნეთა და სხვა-და-სხვა სპეციალურ კოდნისა და საზოგადო განვითარების მქონე განათლებულ ქართველთა ერთად შრომა, არა ერთისა და ორის კვირით, არამედ წლობით. რასაკერეღია, აქ კერძო კაცთა ცალკე შრომანიც იქმნებიან მასალად ხმარებულნი, მაგრამ ენის შებლაღვისა და გამდიდრების საქმე-კი შეკრებულებამ უნდა გარდასწყვიტოს, კომისია იქმნება ეს შეკრებულება თუ კომიტეტი, სულ ერთია.

ყოველს შემთხვევაში, საქმე რომ დაწყებულ იქმნეს და ჩვენი დიდის ხნის ნატურა შესრულდეს, თუნდაც პირველ ხანად მარტო ასი და ორასი ასეთი საჭირო სიტყვა გაირკვეს და შეგვეძინოს, სასურველია მოთავეობა საქმისა რომელმამე ჩვენმა საზოგადოებამ იკისროს უთუოდ და არა კერძო კაცმა, რადგან საქმეს დიდი გაძლოლა უნდა და თავდარიგს რამდენისამე კაცის შრომა დასჭირდება.

ასეთ საზოგადოებათ-კი, სხვათა შორის, მიგვაჩნია ერთადერთი „ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც დანიშნულებაც მიმზგავსებული აქვს და საღსარიც, მასალებითა თუ შეძლებით. იმეღია, მასთან, რაკი საქმე დაიწყება, თანამგრძნობელნიც აღმოგვიჩნდებიან და ვისაც შეძლება და ქონება ნებას აძლევს, ამ საქვეყნო საქმისათვის არას დაპზოგვენ, დაგვეხმარებიან.

მივმართავთ ამიტომ აღნიშნულ საზოგადოების გამგეობას, რომლის წევრებადაც დამსახურებულნი, ენერგიით სავსე საზოგადო მოღვაწენი და განათლებული ახალგაზრდები არიან და ვთხოვთ დაიწყონ ეს საშვილი-შვილოდ უკვდავი საქმე და ავად თუ კარვად ჩვენს დიდს გაჭირვებას მკირე მალამო მაინც არის წასცხონ. ვიცი, პირველისავე ცდით საქმე სავსებით არ დამ.

თავრდება და დაბრკოლება ბევრი აღმოუჩნდებათ, მაგრამ რაც  
გაკეთდება, ისაც დაუვიწყარი, ქვეყნის წინ უმაგალითო შრომა  
იქმნება.

დაძლიერდეთ.



## ქართველთა მატიაწა

3. ქეგლწა სკერო ღიტკრატურისა, სსხალხო  
გადმოცემასი, წწქენასი და სს.

სკერო ღიტკრატურასა და სსხალხო გადმოცემებში დაშ-  
თენილა დიდ-საკურადლებო ცნობები შესახებ ცხოვრებისა და  
მოქმედებათა არა თუ თითოეულ ისტორიულ პირისა, არამედ  
მთელის ერისაც.

ამგვარ თხზულებათ, გარდა გმირულ ნაწარმოებისა, ეკუთვ-  
ნიან ვეფხისტყაოსანი, „შესხმა“ შავთელისა (ჩხრუხაძისა), „შესხმა“  
რუსთაველისა, „რუსუდანიანი“, „დავითიანი“ გურამიშვილისა,  
„არჩილიანი“ არჩილისა († 1712), ნაწერები ბესიკისა, ანტონი  
I-ისა, „ზნენი და ჩვეულებანი ქართველთა“ ვახუშტისა, სამართ-  
ლის წიგნი აღმაშენებლისა, აღბუღასი, გიორგი ბრწყინვალისა,  
კათალიკოზის მალაქიასი, სამთაფნელისა, ვახტანგ VI-ისა,  
დასტურლამალი მისივე, მამულთა ასაწერი დავთრები, გუჯრები,  
სიგელები, მოგზაურობანი და სს.

შემეტესი ნაწილი ამ ძეგლთა შესწავლილია და გამოცე-  
მული; ზოგიერთის შესახებ ზემოთაც გვქონდა მოკლე საუ-  
ბარი. ამიტომ აქ შევედგებით მხოლოდ სკერო გადმოცემებსა,  
თქმულებათა და ლეგენდებზე და აღვნიშნავთ, რა ერთობა  
აქვს ყველა ამას ქართლის ცხოვრების ამა თუ იმ მოთხრო-  
ბას და თქმულებასთან.

\*) იხ. მოამბე № 3, 1901 წლისა.

1. ქართველთა რწმენით, დედამიწა დაყრდნობილია დიდს ვეშაპზედ, რომლის მოძრაობა აჩენს მიწის ძვრას, მაღალ მთებისა და მყარ კლდეების რყევას.

მსევე, თითქმის, ამავე სიტყვებით გამეორებულია „ქართლის მოქცევაში“ (გვ. 38):

„მდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღუასა შინა, შეიძრის ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრემდის დაირღვან მთანი მყარნი და კლდენი“.

## 2. შაკაგის შეჯიჯვა

ქართლის მოქცევა (გვ. 47)

ვინ ხართ უწმინდურნო?  
 რად შეგვიპყრიათ ეს კაცი?  
 გადით, წადით,  
 კლდეს ეცით, წადით  
 ბნელეთს, წმიდა გიორგი  
 აქ არის, მარჯვენათი  
 ჯვარს გვსახავს.  
 (იხ. „საინგილო“).

(უწმინდურნო) საბასტანით  
 წამოხვედით? დიდ არს თქვენი  
 ლაშქარი? მახვილი დაეციეთ  
 ქართა და ნიაფთა! წარვედით  
 ბნელთა ჩრდილოჲსათა, მათათა  
 მათ კედარისათა? აქა  
 მოვიდა იგი, რომელსა თქვენ  
 ევლტოდეთ. (და განძრა  
 მარჯვენე თვისი და დასწერა  
 კელითა სახე ჯვარისა, და  
 მეყსეულად უჩინო იქმნა  
 ყოველი იგი სიმრავლედ).

ხელში გვაქვს ტ. მომცელიძის გრძელი ავგაროზი, გადაწერილი ძველის დედნიდამ 1854 წელს. ავადმყოფი ევედრება ქრისტე მაცხოვარს, ღვთის მშობელს, ყველა წმინდანებს, შიოს, ნინოს, დავით და კოსტანტინეს, წმ. გიორგის ქართლისას, იმერეთისას, სვანეთისას, გურიისას, სამეგრელოსას, აფხაზეთისას, ოსეთისას, ჩერქეზისას, — დაიფარონ იგი „ყოველისა ჭირისა, სენისა, სნებისა, სნეულობისა, ჭამისა-უემურისა, ავის ზნისა, ავის ქარისა, ავის ჭირისა, ეშმაკის კვეთებისაგან და ყოველისა ავის საქმისაგან.“

3. ვნების ოთხშაბათს, საღამოს, ქართველები ანთებენ ჭიაკოკონას ავსულთა გასარეკად. ცეცხლზე ხტებიან და იმღებენ: არი ურული, ურული, ურული კუდიანები.

მე XI საუკ. ტყავზე ნაწერ კრებულში (გვ. 127) ვკითხულობთ: „კანონს ეწინააღმდეგებიან ისეთნი, ვინც აღანთებენ ცეცხლს თავიანთ სახლის წინ და ამ ცეცხლზე გადახტიან.“

4. საქართველოში ჭამის დროს კაცნი ცალკე სხდებიან და ქალნი ცალკე. ამასვე აღნიშნავს ცხოვრება შუშანიკისა († VI საუკ.). უღვთო ვასკენი შუშანიკს რომ აძალადებდა მასთან ერთად პურის ჭამას, ამ ქალმა მრისხანედ უთხრა: „ოდეს ყოფილარს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური!“ (სამოთხე, გვ. 185).

5. ქართველებს სწამთ, რომ საიქიოსაც არის ცხოვრება, იქაც დახოცილები მხიარულობენ, სქამენ, სმენ; ცოცხალ ნათესავების სიკეთე მათ ახარებს, ავი—აღონებს; თუ ვისიმე ჯავრი ჩაჰყვათ, ამ ჯავრის ამოყრას ავალებენ ცოცხლებს და სხ.

ღავით აღმაშენებელმა რომ ანისი აილო (1124 წ.), მისი დიდებული ტაძარი აკურთხებინა, მერე მივიდა დედოფლის კატრონიკის საფლავზე და მალლა ხმით ჩასძახა: „გიხაროდენ, დედოფალო! ღმერთმა განათავისუფლა შენი საყდარი აგარიანთაგან.“ კატრონიკამ ხმა მოსცა: „მადლობა უფალსა!“ (საქართველოს ისტორია გვ. 183).

6. მკვდარს ქართველები, ჩვეულებისამებრ, გლოვობენ საერთო ზარ-ტირილით, იწვევენ მთელს უბანს, გამოჩენილს მომტირლებს, მოზარეებს და ზარით ტირიან, მოზარე მომტირლები აქებენ განსვენებულის მკლავს, ჭკუას, ზნე-ჩვეულებას, სილამაზეს, თანაც ყველანი თავს იტყებენ, თმას იწიწკნიან, საცმელს იფხრეწენ, ძაძას იცმენ...

ამ ჩვეულებას აღნიშნავს ვახუშტიც თავის „ზნე-ჩვეულებებში“ და ქართლია ცხოვრებაც.

აი, მათიანის თქმით (ქ. ცხ., გვ. 53), როგორ დაიტირეს ქართველებმა ფარსმან ქველი (113—129):

„იქმნა გლოვა და ტირილი და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა, წარჩინებულთაგან ვიდრე გლახაკთამდე. იტყებდეს თავთა ყოველნი და ყოველთა ქალაქთა და დაბნებთა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი (ე. ი. მოზარეები), შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქველესა, სიშვენიერესა და სახიერებასა ფარსმანქველისასა და იტყოდიან: „ვგა ჩვენდა ..“

7. ზებირ გადმოცემით მთიულეთს, სოფელ ბეთლემის მაღალს და მიუვალ კლდეზე აგებულს ეკლესიაში სცხოვრებდა წმ. კაცი, ისეთი წმიდა, რომ კითხვის დროს წიგნს მზის თინათინზე აყრდნობდა ხოლმე.

მს თქმულება აღუნიშნავს ვახუშტსაც, „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი, გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემსა; გარნა საქიროდ ასავალი არს: რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გადმოკიდებული ქვაბიდამ და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველებათა, არამედ მე ვღუშებ“ (ქართლი, გვ. 115).

8. ჭართ. ცხოვრება (გვ. 333):

„დიდონი მშთვარსა და უხარშავსა ქამენ. მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლად. რომელნიმე უჩინარს რასმე ეშმაკს თაყვანის სცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა...“

ვახუშტი (გვ. 324): დიდონი უბილწესნი ზნითა, ქცევითა არიან. არა უწყიან ნათესავი და ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ქამენ. მოჰვგრის მამა მცირესა ძესა თვისსა ცოლსა და ვიდრე აღიზრდების ძე მისი მცირე, თვით მამა თანა-ყოფის დედაკაცსა მას, ხოლო ოდეს აღიზრდების ძე იგი მისი, მაშინ მისცემს დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილთაც. რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილნი მამასა: ნახევარს მისცემს ძესა და არს ძე ძისა მისისა და ნახევარს დაიპყრობს თვით და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქმრისა“.

სჩანს, თამარის დროიდან ბევრი არა შეცვლილა-რა დიდოთა ზნე ჩვეულებაში.

9. ვახუშტი შენიშნავს: იმერეთს არიან აზნაურნი მრავალნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურთათა. ვითარცა ძველად საიტყვას იყო ივერიასა შინა: დარბაისლად მესხნი, თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა. (სამცხე, გვ. კო).

მს ძველი საიტყვას დღესაც არსებობს ჩვენს ერში და დღესაც გაისმის კიდით კიდემდე, ამ სახით:

ზირველ თქმულია ძველთაგან  
 სიღარბაისლე შესხისა;  
 ზურადობა და ვაჭრობა  
 ქართულს არ ეზრახვისა;  
 ზრდილნი არიან იმურნი  
 მტრეთა მიმტემი რისხვასა,  
 რმი და ლხინი კახისა  
 მოსაწონია კაცისა.

მსრეთი თქმულება გაზვიადებული არ არის. სტრაბონი და ძველი დროის სხვა მწერლები, მართლაც, შეაქებენ ქართველებს პურადობისა, სიმხნე-ვაჟკაცობისათვის.

10. იგივე ვახუშტი ძველისავე თქმულით ხელმძღვანელობს და ამბობს (იქვე, გვ. იწ): სიტყვა იყო ივერიასა შინა ქართველ მეფეთათვის: „იცნობისო ქართლოსიან — ნებროთიან-არშაკუნიანნი გვირობითა, ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემმართებელობითა, ხოლო ბაგრატიონნი — მხნეობითა, სიბრძნე-ქველობითა და ქვეყნისათვის თავდადებულობითა“.

მასვე გვაუწყებს ძველადგანვე დაშთენილი შაირი:

თარგამოსიანი ქართლს  
 ქართლს იჯდა ზირველ ძეობით,  
 მერმე თარნავაზ ტახტოსნად  
 იჯდა სიქველით, მხნეობათ;  
 არშაკუნიანთ იმეფეს,  
 მერმე ხოსროვანთ სეფობით;

აწ ვსუფევთ ბაგრატიონნი,  
 ვგებთ ღმრთას შესათნეობით.\*)

11. თავის ისტორიის წინასიტყვაობაში ვახუშტი ამბობს (ქ. ცხ., ნაწილი 2, გვ. 2), რომ საქართველოში უსწავლელ გლეხთაც იციან სიძლიერე გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისაო.

მართალს ამბობს ვახუშტი, როგორც სჩანს შემდეგ სახალხო ლექსებიდან.

### ა. ვახტანგ გორგასალი.

ვახტანგ შეეუღლეთს უეფარდა:  
 ციღამ მოესმა რეკა,  
 იაღბუზზედ ფეხი შეიღვა,  
 დიდმა მთებმა იწუეს დრეკა;  
 ოსებში გადაიარა,  
 ჩერქეზები გადარეკა.

### ბ. ვახტანგ გორგასალი და ოსეთის მეფენი.

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი,  
 ჩარჯონიძე—ჭარხილანი:  
 ოს-ბაყათარ, დავით-ოსოსან,  
 ოთხ სამეფოთ მებრძოლანი;  
 ფიღაროს, ჯადაროს, საეურ,—  
 მტერთა ოსისხვით შემხედვარნი;  
 გიორგი, ისაკ, რამანოზ—  
 იქმნენ ქრისტეს კარგნი უმანი.  
 ჩვენ გვიჭირავს მიმოვადთა  
 ოთხივ კუთხის იწრო გზანი.

\*) ვახუშტით—ქართლოსიანნი მეფობდნენ 302 წლამდე ქრ. უწინ., ფარნავაზიანნი 93 წლ. ქრ. უწ., არშაკუნიანნი 265 წლამდე ქრ. წ., ხოსროანნი 575 წლამდე და ბაგრატიონნი 1801 წლამდე.

კასრს სიმაგრე შაქეს, საბაჟო,  
 აქ მიწინაჲს ხადის კარი,  
 საიქიანს მიმედუე,  
 სასქაოს კარგა მდგარი;  
 ოქროსა და ვერცხლის მიწა  
 იმდენი შაქეს, ვითა წყალი;  
 კაჟკასიანი დავიზუარ,  
 ოთხს სამეფოს გაუშუქაუდი,  
 ქართულს შეფეს და მოვტარე,  
 არ დაგადე ჩემი გვარი.  
 მამწვდა, ფიცით მიდალატა,  
 მან დაიდგა ჩემი ბრალი:  
 ბაჟათარ წყალსა მიეტა  
 აღიხრტა ოსთა ჯარი.  
 ვინც ესე ლექსნი იხილათ,  
 ჩუენი სვით შესანდობარი.

ამ ლექსებში მოკლედ გადმოცემულია ის, რაც ვრცლად  
 მოთხრობილია ქართ. ცხოვრებაში შესახებ ვახტანგ გორგას-  
 ლის ბრძოლისა ოსებსა და ჩერქეზებთან, და რასაც გადმოგვ-  
 ცემს ამავე გორგასლის შესახებ ჩერქეზთა ლეგენდა, ჩაწერი-  
 ლი იური ყაზბეგის მიერ (იხ. მოსკოვის უწყებანი 1896 წ.  
 № 25, 34, 40 და სხ.). ამას გარდა თვით „აღლუზიანიც“  
 ჰმოწმობს, რომ ოსთა დიდს მეფეს აღლუზს დაპყრობილი ჰქონ-  
 დაო ოთხი სამეფო ჩრდილოეთისა.

ბ. დავით აღმაშენებელი.

რას ნასწარმატებს შეფენი  
 შვიდნი მე ზურად დამესხნეს,  
 თურქნი, სპარსნი და არაბნი  
 საზღვართა გარე გამესხნეს,  
 თუგზნი ამერთა წყალთაგან  
 იმერთა წყალთა შთამესხნეს,—

აწე ამათსა მიქმედსა  
 გუღზედან სეღნი დამესხნეს.

აქ მოკლედ გვეუწყება ყოველივე ის, რაც გააკეთა აღმა-  
 შენებელმა: მტრები დაამარცხა და გარეკა საქართველოდგან.  
 დანგრეული ციხე-ტაძრები ააშენა. მწიგნობრობა განაძლიერა.  
 გზები აქვა-ფენილ ყვნა“. საქართველო გააძლიერა. ნაქარმა-  
 გევის სასახლე შეამკო და იქ გაუმართა სტუმრობა შვიდს მეფეს:

- ა. შარვანის მეფეს (მას მიათხოვა თავისი ასული თამარ)
- ბ. ბერძნის მეფეს (მას მიათხოვა თავისი ასული კატა)
- გ. ყივჩაყთა მეფეს (თავის სიმამრს)
- დ. ოსთა მეფეს
- ვ. ბულასვარ ანის მფლობელს (ტყვედ წამოიყვანა)
- ზ. კახეთის მეფას (ტყვედ ჰყვანდა)
- წ. არანის მფლობელს.

#### დ. თამარ მეფე.

1. საქართველს დედოფალი,  
 დედა ქართლისა თამარი,  
 სიშვენიერთი მოსილი,  
 ამომავალი მზის დარი,  
 დავით სოსლანის მეუღლე,  
 რომელს უმშვენა მან მხარი,—  
 დიდუბეში იქორწინა,  
 სადაც რომ საუღარი არი;  
 ნადიმობა გაუმართა,  
 მოიწვია თავის ჯარი,  
 ასი სული ცნვარი დაკლა  
 და ორასი ნიშა ხარი,  
 ღურჯი სუფრა გაუმალა,  
 იქნებოდა ასი მხარი,  
 ქვრივ-ამბლებსა უწყალობა  
 აქრო-ვერცხლი დიდისლი.

## იგაგე ქართლის ცხოვრებით:

„მოვიდეს სრასა დიდუბისასა და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და შარავანდელობისა მათისა... მშვეებელნი იშვებდეს, გლახაკნი გამდიდრდებოდეს, აზობნი და ქვრიენი ღონიერ იქმნებოდეს და ეკლესიანი აღყვავდებოდეს. იყო ხმა მგოსანთა და მუშაითთა და სახიობათა მქვრეტელნი. იყო რაზმთა სიმრავლე... დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი, განმანათლებელნი ყოველთანი და განიხარეს ყოველთა, დიდთაგან მცირეთამდე ყოველმან ერმან.“

## 2. ტრაპიზუნტის დაპყრობა.

ტრაპიზუნტის აღების შესახებ Lebbau ამბობს (Hist du Bas Empire, XVII, 254, შენ. 2): „კირ აღექსიმ, დიდმა კომანიანოსმა, 22-ის წლისამ, კოსტანტინეპოლით განშორებულმა, თავის დეიდის თამარის მეცადინეობით და ივერთა ლაშქრისა აიღო ტრაპიზუნტი, თვესა აპრილსა 17, 6712 წელს“ (= 1204).

ამასვე ქართ. ცხოვრება ასრე მოგვითხრობს: „თამარი განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა (აღექსი ანგარზე) და წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტია, ირაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონიისა და პონტოსანი, და მისცნა ნათესავსა თვისსა აღექსის კომონიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვთ წინაშე თამარისსა შემოხვეწილ (ქ. ცხ., გვ. 325).

თვით იმპერატორი აღექსი, რომელსაც ამ დროს შემოესივნენ ვენეტიკიდგან ფრანგნი (ჯვაროსანნი), გაიქცა სიძისას, ბორღალეთს და იქ მოკვდა სიყმილით.

და მართლაც, აღექსი იმპერატორი მეფობდა 1081-დან 1118 წლამდე, ხოლო თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზუნ-

ტის იმპერია არსებობდა 1462 წლამდე და ამ წელს დაამხეს იგი ოსმალებმა.

სახალხო ლექსში ეს ცნობა შენახულა ამ სახით:

თამარ შეფე და ხონთქარი  
 მადღმა ღმერთმა წაჰკიდა ..  
 ზღვაში ჩაუშო ხომალდი,  
 ზედ აღმასეზი დაჰკიდა,  
 ზედ დასხა ქართველთ ღაშქარი  
 მრავალს წყალობას დაჰშირდა...

ლექსში მოთხრობილია თამარ მეფის მიერ ტრაპიზონის არე-მარეს დაქერის ამბავი, გარნა კეისრის მაგიერ ხალხს უხმარია ხონთქარი. ამავე ამბავს შეეხება შემდეგი ლექსიც:

თამარ დედოფალი ვიუჯ  
 ქებული სოფლის კიდეშდე;  
 ზღვაში ჩაუშეო ხომალდი,  
 ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,  
 არზრუმსა დასდევ ბეგარა,  
 ისხანს ხარჯი ავიდე,  
 ამდენის საქმის მოქმედმან  
 ცხრა აღლი ტილო წავიდე.

(ვარიანტი): უბისს ავაგე სყუდარი,  
 უწყლოსა წყალი ვადინე,  
 ისხანს დასდევ ბეგარა,  
 სტამბოლს ხარჯი ავიდე,  
 თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე,  
 ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე.  
 ამდენის საქმის მოქმედმან  
 ცხრა აღლი ტილო წავიდე.

ძარო. ცხოვრებაც აღნიშნავს, რომ თამარი ჰელოობდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ტრაპიზუნტიდგან დარუბან.

დამდე, ხაზარეთისა და რუსეთის საზღვრიდან შუამდინე-  
რემდე, და ერანსაც ძლევა-მოსილად ებრძორდნენ მისნი მეომარ-  
ნი. თვით თამარი ამბობს (ქ. ცხ., გვ. 310):

ერანს ებრძოდეს ჩემ-მიერ მისთა სხათა  
ჩენნი მხედარნი, მოსაფენი შენნი, სძალა,  
მოსწუდნეს, მოსწუვიდნეს აგარის ნათესაფნი;  
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას  
შენდა შეგწირავ, მიხე ქებერ, დმერთო.

„თამარიანი“. (ტ. 94):

უკლებობს ღადი, მბრძოლთ გულის მღადი,  
სხარსთა სისხლისა დანაკლებანი!  
ბედ-დიდობს მრავლად, აქვს სვე დიდ ვაჟად:  
ზონტოს ზღვისითგან არს უფლებანი.  
უძრწის შა მადი, მით სთქვა: „შამადი  
მის კერძ მისტაცნა მცბიერებანი“.\*)  
ევლტვის ხალიფა, იტუვის შარიფა:  
აწ გაგვიცუდა სჯულის ღებანი“.

3. სვანთა თქმით:

თარგმანი

თამარ დედოფალ ანისგვეჯდა,  
თხუმარს ხანგანდა ზურჩია,  
შდიმარს ხოწიბდა ლეშდიმი,  
თერარ ხოშიდ იაგუნდიშ,  
შდიქარ ხოშიდ მარგალიტიშ,  
ჰაყბი დაგი ხანდან ვოქკრეშ,  
ყიას ხაბუდა ჰეშმარე,  
ქამენ ხაქულა აბჯარი,  
ისგან ხაქულა ატლასი,  
მენბარარს ხანდანდა ხეშნავრე,

თამარ დედოფალ მობრძანდა,  
თხემს ჰქონდა ზუჩი,  
ყურებს ეკიდა საყურე  
თვალეზი ჰქონდა იაგუნდის  
კბილეზი ჰქონდა მარგალიტის  
ყბეზი ჰქონდა მოოქრული,  
ყელს ება იაშმი,  
გარედან ჰქონდა აბჯარი,  
შიგნიდან ჰქონდა ატლასი,  
მზრებს ეცვა სამზრეზი,

\* შამელმა (სირაელმა) მისი მხარე დაიპირაო. სთქვა შეძრწუნე-  
ბულმა შაჰ-მალმა (აჩქარებულმა).

კითხარდ ხასდანდა ჯაქვარე,  
 ჩაფლარდ ხასდანდა ჩექმარე,  
 ჩაეს ხასგუნდა ქვიშე ფერი,  
 ჰუნგირ ხოგანდა ლიშკადი,  
 ჰუნგირდ ხოთრაფ ვოქვრე ახად,  
 საძუვდ ხაბუდ ვოქვრე კოპარ,  
 ჰაღვირდ ხოსდან ვოქვრე რახტი,  
 საგუუ ხოგან ვოქვრე ბუშტარ.

წვივებს ეცვა საწვივები,  
 ფეხთ ეცვა ჩექმები,  
 ცხენს იჯდა ქვიშა-ფერს,  
 უნაგირი ჰქონდა მოქედლილი,  
 უნაგირი ოქროსეული,  
 საძუედ ება ოქროს კაპარი,  
 აღვირად ოქროს რახტი,  
 საგულედ ოქროს ბუშტებო.

4. სიბრძნით, სიუსხვით განთქმული  
 მკვდარიც ვერ ვზოვეთ სად არი!  
 ქვეყნად გეძიეთ, ვერ ვზოვეთ  
 სოფლის მნათობის სადარი!  
 მისებრ მნათობი სად არი—  
 ბრწინვალე მზისა სადარი!

შეადარეთ ამას შევთელის ტაგუბი 3:

ქე აღამისი მსგავსად ამისი  
 ვისცა ეხილგონ, მამცნონ, სად არი?  
 დმურთმან სამთხით მოკვეცა სამთხით  
 ეთერ ბრწინვალე, მზებერ სადარი;  
 აღმოსავლეთით და დასავლეთით  
 სამხრით ჩრდილომდის ქმონ, სად არი  
 ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით  
 უკანასკნელით უფესკრულ სადარი?

რუსთაველიც სწერს დავითისა და თამარ-მეფის შესახებ  
 (ვეფხ. ტყ., ტ. 1582):

მე მათად საკამათებლად,  
 ვინ არის აღმოსავლეთით  
 დასავლეთს ზართა მარებლად,\*)  
 რგულთა მათთა დამწველად,

\*) ზართა მარ ებლად: ზმად—თ ა მ ა რ ი.

## ქართველთა მატთანე

ერთგულთა დამამაგრებლად,—  
დავითის ქნარი ვითა ვთქვნე,  
სიხალხე, სისაფეთანი!

პრიან კიდევ მრავალი სხვა გადმოცემანი და თქმულებანი თამარის შესახებ, რომელნიც ამ დიდებული მეფის ისტორიის სინამდვილეს მოწმობენ.

### მ. ერეკლე მეორე.

ა. ზამშულია შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა:  
„უნდა ქალაქსა მივადგე, ამოგნოცო შიმშილითა.“  
ეს რომ ელექლემ გაიგო, გადაბრუნდა სიცილითა.  
ერეკლემ სმალსა გაიკრა, საფრები მოაშხადაო,  
შიგ ჩასსა მარჯვე ბიჭები, ესროლა ჩქარა-ჩქარაო;  
ზარბაზნები დაადგნა, თხებივით დაილალაო.  
შარშან შემძვრალნი ჩირგვებში, დღესაც არ გამომძვრალანო.

ლექსში ერი გადმოგვცემს ერეკლე მეფის ბრძოლის ამ-  
ზავს აბდულობეგთან 1748 წ. (საქართ. ისტ., გვ. 439).

ბ. ერეკლე ბატონიშვილი  
განა უბრალო კასია?!  
საგურამოს ლეკის ჯარი  
მარტომან შუა კასია!

მის დაუხსონია გმირული ბრძოლა ჯერ ისევ ყრმა  
ერეკლესი ლეკებთან, საგურამოს, 1733 წელს, როდესაც  
მან, მართლაც, ლეკის ჯარი არა თუ შუაზე განია, არამედ,  
თითქმის, მთლიანად ამოსწყვიტა.

### ვ. ლევან ერეკლეს ძე.

ხმალი სჭრის ბაკრატონისა  
მეფისა ერეკლესიო...  
ნეტავი გამაძნობინა,

ლევანს უქებენ შვიდსაჲ:  
 აჯობა თავის მამასა  
 სანამ იცუდიდა კბილსაჲ,  
 ურჯულო გამაჲმტერია,  
 რაგორც ნაზირი ტუისაჲ!  
 თუ ლევან იქით მიბრუნდა,  
 საქმე სჭირს დადისტნისაჲ!

ლევანი სამხედრო საქმის კარგი მცოდნე იყო. რუსეთი-  
 დან რომ დაბრუნდა, მორიგე ჯარი დააწესებინა მამას. ბუტ-  
 კოვი ამბობს (1, გვ. 288): „გულოვანმა ბატონიშვილ ლე-  
 ვანმა, ერეკლეს უფროსმა ძემ, ამ მორიგე ჯარით თითქმის  
 მთლად მოსპო ძარცვა მთიელთაგან. გარნა ლევანი რომ გარ-  
 დაიცვალა 1781 წელს..., ყოველივე მოიშალა.“ მინამდის კი  
 ფშავლებიც ასრე იხვეწებოდნენ:

გვიშეკდე, ჩვენო ლევანო,  
 გექნებით უნჯნი უმანო.  
 მიფიდა ძაღლი მუცაღი,\*)  
 ბეგრად მიგვთხოვა ქაჯიო...

### ზ. თორღა და თორღაისქენი.

მმირის თორღას ძენი ფრიად განთქმულ იყვნენ თამარ  
 მეფის ჟამს და „კახეთის თავად“ ითვლებოდნენ (ქ. ცხ., 297).

რომ მართლაც თორღას დიდი სახელი და გავლენა ჰქო-  
 ნია კახეთში, ეს მტკიცდება მრავალის შენობის ნაშთებით,  
 რომელთაც თორღას სახელი ჰქვიათ. გადმოცემით, სოფელი  
 კაკი წინად ქალაქი ყოფილა და სახელიად რქმევია „ათას და ერთ-  
 კომლოვანი თორღა“. ლაგოდების თავს, აგრედ-წოდებულ  
 „დარუბანდის კედლის“ დასაწყვედს, არის ძველი ციხე—თორ-  
 ღა. ამავე სახელის ციხე არის ალაზნის ტოტს ლოპოტის თავს,  
 შალალს გორაზე, და აგრეთვე ხევსურთა სოფელს მუცუში.

\*) ლეკთა ბელადი.

ფშავ ხევსურთა გადმოცემით, თორღა ყოფილა ბაგრატი-  
ოვანთ ნაბიჭვარი, ხევსურეთში აღზრდილი და ხევსურის ქალის  
შვილი. ბეგარა მას უღია, სხვათა შორის, ფშავ-ხევსურებისა-  
განაც, ამიტომ ესენი გადამტერებიან და მოუკლავთ. აი, სა-  
ხალხო ლექსი როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს:

ანდაკით ამოქმართნეს  
მონადირენი ორნიო...  
მობუბუნებდა თორღვაი  
როგორც მანძილა ხარიო.  
—სადა რა იყავ, თორღვაო,  
სად რა აუშვი ალიო?  
—ემანდ სამ ვიყავ მუცუსა,  
ბეგარას მუშატეო;  
თქვენც უნდა მამცეთ, ფშავლებო,  
თითო შიშაქი ცხვარიო...

თითამა მონადირემ ჰკრა ისარი და მოკლა თორღვა.

ძართ. ცხოვრებით (გვ. 384) თორღვას ბოლო ასრეთი  
იყო: ბითო ყანმა დაიბარა დავით ლაშასძე (1243—1269).  
მან სახლის გამგებლად დაუტევა თავისი ცოლი ჯიგთუ ხათუნ  
და მესტუმრე ჯიქური და თითოეული თემი ჩააბარა თავის  
დიდებულებს. კახეთი მისცა პანკელს (პანკისელს) თორღ-  
ლუას. უბრძანა ყველას: დედოფლის ბრძანებას დაემორჩი-  
ლენითო. მეფე წავიდა. თორღვამ იფიქრა, მეფეს ბითო აღარ  
გამოუშვებსო, უკუდგა პანკისს და კახეთი თავისთვის დაიჭირა  
და აღარა მორჩილებდა დედოფალსა და არცა მესტუმრუს ჯი-  
ქურსა. ბითომ შეიწყალა დავით მეფე და უკანვე გამოისტუ-  
მრა. დავით ცერთეს რომ მოვიდა, ყველა დიდებლნი მიეგე-  
ბნენ, გარდა თორღვასი. მეფე ტფილისს მოვიდა და აქედგან  
პრავალგზის მოუწოდა თორღვას. არ მოვიდა. მაშინ გაუგზავ-  
ნა ბერი ხორნაბუჯელი. თორღვამ ალავერდს წაიყვანა და ასრე  
დააფიცა: „ამოვსწყდე უშვილოდ, თუ გვენოს რამეო“. თორღ-  
ღვა უშვილო იყო და ხორნაბუჯელს ჰყვანდა ძე, შალვა,

მრავალშეილიერი. ამის შემდეგ წამოჰყვა ხორნაბუჯელს. ტაბახ-მელას რომ მოვიდნენ, თორღუა შეიპყრა ჯიქურმა, და დედოფლის ბრძანებით კლდეკარის უფსკრულში გადაჩეხეს. ფიცის გატეხისათვის ალავერდის წმ. გიორგიმ ბერის ხორნაბუჯელის თესლი ამოწყვიტაო ისრე, რომ გადარჩა მხოლოდ ერთი სული, შალვა.

ფ. ნუგზარ (+ 1619 წ.\*) და ზურაბ (+ 1629 წ.)  
 ერისთავნი.

ქართლის ცხოვრება ამ მტარვლების შესახებ ისე დაწვრილებით არ ლაპარაკობს,\*\*) როგორც თვით ხალხი. ფშავხევსურთ ზებირ გადმოცემა საესეა ამ მამულისა და სამშობლოს მოღალატე კაცების ამბებით.

ხეესურეთშია, ზურაბო,  
 ვერ იქამ ერისთავბასა:  
 გაგიწვრილდება კისერი,  
 ვერ შესძლებ ქვეითობასა.  
 ხეესური კაცი უტია,  
 ქალუნდაურის ფრანკულმა  
 ხმაღ შექი გამოუტია...  
 ზურაბო, დაჯე, დაგვესენ,  
 ნარჩონ ვართ შენის ხმლისანი,  
 თორ ჩვენაც შამოგეცდებით...  
 დუღის ძირს წისქვილნ დაბრუნდეს  
 ზურაბის სისხლის წეღისანი...

ამ ზურაბის წინად მტარვლობდა ნუგზარ ერისთავი, მამა ზურაბისა. ხალხს მისი ერისთავობის დრო ასრე დაუხასიათებია:

ნუგზარ ერისთავის დროსაო,—  
 სისხლის წვიმების დროსაო!

\*) ქ. ცხ., 39.

\*\*) იქვე, 40.

ამ ერისთვის შესახებ შევნიერი გამოკვლევა ნ. ხიზა-  
ნაშვილისა იხ. „ივერიაში“ (1888, №№ 238 და სხ.)

### თ. ასტორაული თქმულება.

უფრანსისე ქარაფრინდა,  
ხელი რომ ჰკრეს, გარდაფრინდა.

ეს თქმულება დაშთენილა ხალხში მას შემდეგ, რაც ყორ-  
ღანასძემ გასცა მეფე სვიმონი (1558—1600 წ.).

ამ მეფის ერთგული სპასპეტი საჩინო ბარათაშვილი მო-  
დიოდა კოჭრიდგან, გზაზე შემოეყარა კახაბერ ყორღანაშვილი,  
შეფის გამცემი. საჩინომ შეიპყრა, ხელი ჰკრა და გელიყარის  
კლდეზე გადაჩეხა და მიიძახა: „უკეთუ კეთილ არს განცემა მე-  
ფისა და ქვეყნისა, იხილე აწ შენცა“. ამის შემდეგ კახაბერ  
ყორღანაშვილი საანდაზოდ გახდა და მის მგვარ მოლაღატის  
და უჭკუო კაცის შესახებ ერი იმეორებდა (და იმეორებს)  
ზემორე მოყვანილს ლექსს (იხ. ქ. ცხ., გვ. 28).

### ი. მგზავრ-მეომრის ნაწერა:

„ქნსა საგ (=1528) მიიცვალა იმერელი ბატონიშვი-  
ლი ვახტანგის ცოლი კახთა მეფის ასული ხვარამზე. ქნსა საგ  
(1529) მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვარს ა. ამასვე  
წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ და წარვიდა და  
ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისა. ამასვე ქნსა მეფეთ მეფემან  
ბაგრატ განყო ლიხთ იმერი სამ საეპისკოპოსოდ. ბრძანებითა  
აფხაზეთისა კათალიკოზისა აბაშიძისათა. ინება ღვთივ გვირგვი-  
ნოსანმან მეფემან მეფეთამან ბაგრატ და დედოფალთ დედო-  
ფალმან ელენე, დიდისა და ცათა მობაძავისა საყდრისა, ახმა-  
ლისა იერუსალიმისა, გენათისა ეპისკოპოზისა მელქისედეკისა  
საყვარელისძისა (საუკუნოდმცა არს ხსენება მათი!). ამასვე  
დროსა იმავე პატრონმან გაიჩინა ხონელ ეპისკოპოსად ჩხეტის-  
ძე მანოელ, იმასვე აფხაზეთისა კათალიკოზისა ხელითა საყდარ-

თა შიგან ბიკვინტისათა. ქნკონი იყო სიზ (1529), წარგედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა კ. ამას უამსა მონაზონ იქმნა გიორგი, ძმა დავით მეფისა და უწოდეს სახელად გერასიმე, და ბაგრატცა, ძმა მეფის დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა და უწოდეს სახელად ბარნაბე. ხოლო რა უამს მონაზონ იქმნა ბაგრატი, მპყრობელი მუხრანისა, და ესხნეს ძენი ოთხნი—ერეკლე, არჩილ, აშოთან და ვახტანგ, მაშინ მტკიცედ ეპყრა ქართლი მეფესა ლუარსაბს. ხოლო კათალიკოზი მელქისედეკ პირველვე განძებულ იყო და იდგა მონასტერსა არმაზისასა და იყო კათალიკოზად გერმანე და ტფილელად დომენტი და მროველად—გედეონ. ქნსა სით (=1531) ივლისსა აა მიიცვალა მხეცისძე სარგის. ხოლო ოდეს დაიპყრა ქვეყანა სპარსეთისა შაჰისმაილ, მაშინ წარმოემართა და განიგულა დაპყრობა საქართველოსი. მოვიდა ძალითა დიდითა და სპითა ურიცხვითა და დაიბანაკა აღჯაყალას“... (ქ. ცხ., გვ. 271)... დაიწყო ჩვენმა ლაშქარმა მოდენა... მივედით ზედათმოგვს და თმოგვის ქალაქი მოვარბივეთ და ისევ ზედა-თმოგვს ამოვედით, და პატრონი დედისიმედი იქ მოვიდა და ორშაბათს ვანის ქვაბს მოვადექით და იერიშით ავიღევით და პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდევით, რჩეულიანი შემოვიწყვენით, კვირას დღეს ოლადის ქვაბი ავიღევით. ამოვედით კარწახს, დავდევით ივლისსა ით დღესა... (ქ. ცხ., 290).

ესრეთი ძვირფასი ცნობები მემატრიანეს მესხურ ამოუწერია დავითნის ქრონიკიდან, რომელიც სრულად გამოსცა ეთაყაიშვილმა.

## 2. მნა ძაბთლის ცხოვრებისა

რახან გავიცანით ქრონიკები, რომელნიც შეადგენენ ერთეულს დიდს კრებულს, ქართლის-ცხოვრებად წოდებულს, საჭირო აღარც კი იყო ამ კრებულის ვითარცა ისტორიულის ძეგლის, სინამდვილის აღსანიშნავად შევხებოდით მისს ენასაც. გარნა ჩვენ მაინც რაოდენიმე სიტყვას ვიტყვით ამ საგნის შესახებაც.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ქართველები ამბობენ, ესა და ეს თხზულება დაწერილია „ანტონის ენითა“, „რუსთაველის ენითა“, „ათონის მამათა ენითა“ ანუ „პეტრიწონულით“, „ჩაბრუხაულით“, „არჩილურაით“ და სხ., ამით იმ აზრს ჰხატავენ,—ამა თუ იმ წიგნის დამწერი ვის ჰბაძავდა, ვისი „ენით“ სწერდა, ჰბაძავდა იგი ანტონი კათალიკოზის წაბლალულს და მოუხეშავს ენას, თუ სწერდა მოკაზმულის და ძლიერის ენით რუსთაველისა ანუ ღვთიურ ენით შავთელისა, ფილოსოფოს პეტრიწონელისა ანუ შეთე საუკუნის მრავალ მოღვაწე მამებისა.

რადგან ქართლის ცხოვრების შემადგენელი ქრონიკები და წყაროები დაწერილია სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირთაგან, ამის გამო ამ ქრონიკებისა და წყაროების ენაც ერთნაირი არ არის. და ამიტომაც ენის მხრივ ქართლის ცხოვრებას ჩვენ ვყოფთ შემდეგ ნაწილებად, სახელდობრ:

1. აწაბთა მიუღობელობამდე
2. აქროს საუკუნის დასასრულამდე
3. მონგოლთა ხანას დასასრულამდე
5. ანტონის ეპოქის დასასრულამდე.

ქართლის-ცხოვრების ამგვარად განაწილების მიზეზს გვაძლევს თვით ჩვენის მათიანისვე ენა.

ა. წარმართულ დროინდელი სახელები თვეებისა გვხვდება მხოლოდ პირველს ხანაში.

ბ. არაბული და მონგოლური სიტყვები პირველს ხანაში არ არის; თუ სადმე გვხვდება ამგვარი სიტყვა, იგი უსათუოდ შეტანილია მერმენდელ გადამწერლებისაგან.

გ. ძველი სიტყვები თანდათან იცვლებიან:

ზორგა წირვად

ზიტაოტა ბიქვინტად

ეგურა ეგრისად, საეგროდ, ჭყონდიდად, ოდიშად.

ფესეთი ოსეთად

დარუბაჟ (დარღალან) დარიღალად

აფშილი აფხაზეთად  
 სეფეწული ბატონიშვილად  
 მამის-მამა პაპად, ბაბუად  
 დედის-დედა დიდედად, ბებიად  
 მამის ქმა ბიძად  
 ჭყორა მუხად\*)

დ. მამფალი, მუქუსმტე, მამამუქე, ბღვანა... გვხვდება  
 დაახლოვებით მე-X საუკუნემდე.

მ. არაბთა მფლობელობის ეამს შემოდის სიტყვები ღურ-  
 სმანა, მადრანა, მამანიყა, ამინა, აქამი...

მ. ერასთავთ - ერასთაობა შემოდის, დაახლოვებით, მე  
 VIII—XI საუკ. და მალე იხსობა.

ზ. მე XI საუკუნითვან, დაახლოვებით, არსებითი ზმნის  
 imperfectum - ი იცვლება ვნებითა ზმნის ყოფა-ს imperfectum-ად.

### წარსული უსრული (imperfectum):

სგანურად	მეგრულად	მეკლ ქართულად	შემდეგ.
სგ-არდ	ვ-არდი	ვ-არიედ	ვაუზ
ხ-არდ	ორდი	ხ-არიედ	იუზ
არდ-ა	ორდ-უ	არიედ	იუფ

ც. ზენა სოფლად უწინ იწოდებოდა ქართლი და მერმე  
 მესხეთი. ნეკრესს ძველად ერქვა ნეღქანა, ნენქანა.

თ. თანდათან სრულიად გადის ხმარებილამ ასრეთი ფორ-  
 მები:

\*) ტყორი დღეს მეგრულში ტყონ-ად იხმარება. დავით და კოსტან-  
 ტინეს ცხოვრებაში: როგორც უკვე ვთქვით, საცა ქართლის-ცხოვრება  
 ჰხმარობს მუხას, იქ მამათა ცხოვრება ისევ ძველს ტყორს სტოვებს.  
 მაგალ., „სანახებსა ტყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ვნითა მუხა-  
 დიდი (ქ. ცხ., 174). „სანახებსა ტყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა  
 ვნითა ტყორიდიდი (მამათა ცხ., № 170, გვ. 159).

შეუკვესცეთით (ქ. ცხ., 78) = უკვე შევცდით  
 შემომცასრულიყო (178) = შემოსრულ მცა იყო  
 ხულისა-დღე (73) = ხვალ, ხვალინდელ დღეს,  
 სადაათმე (98) = საიდგანმე, საიდანმე.  
 დაგატეობებ (111) = დაგატევებინებ  
 სიტყუაჲ საეროჲ (128) = ს. ერისადმი, საეროდ, საზო-  
 გადოდ სათქმელი სიტყვა.  
 მიგცნე სპარსნი (129) = მოგცე სპარსნი (შენ ანუ თქვენ).  
 მოკუდინ (130) = მოკვდი (ინგ. მოკ).  
 დიღუამით (133) = დიღომით, დიღმით  
 მინებ (136) ანუ მინა = მინდა, მნებაეს.  
 მტკურადმღე (150) = მტკვრამღე  
 ხვასტაგი (172) = ხვადაგი,  
 მაქუნდა (178) = მქონდა, მაქვდა  
 გაადგა (186) = განუღდა  
 გორგასალი (188) = გორგასლანი  
 ვეჟინი, უჟარმა (196) = ვეჯინი, უჯარმა  
 ეყოლა (205) = ენათესავებოდა; „ეყოლა მამის ძმის წუ-  
 ლის წულად“.

### ი. აცვლება მართლწენა:

აგოვსტოსი — აგვსტო — აგვისტო  
 ჩუპნ — ჩუნენ — ჩუნ — ჩვენ (ინგილ. ჩონ, მეგრ. ჩქი)  
 საბერძნეთა — საბერძნეთი  
 კტოეთი — კხოეთი კახეთი  
 ოვფალი — ოფალი — უფალი  
 ამენ — ამინ  
 თავყუანისცემა — თავყანისცემა  
 ცხორებაჲ — ცხოვრება  
 პატრიაქი — პატრიარქი  
 ბოდი — ბუდი — ბოდბე  
 საბასტანიტ (ვარიან. 47) — საიდგან  
 მღღელი (59) — მღუღელი — მღვდელი მღუღელი (ინგ.  
 ღღელი)

დღენდღლად დღედმღ — დღევანდღამღ  
 ჰრქუა—ჰქუა—რქვა

(სივანურად)

მ-ქუა	მ-ქვა	მა-ქუ
გ-ქუა	გ-ქვა	გა-ქუ
ჰ-ქუა	ჰ-ქვა	სა-ქუ

უკუნანაარე დავრჩი (ჰნ) = უკან რა დავრჩი  
 ვაჲ თავსა ჩემსა, რომელ არა წინარს მოგვედ (ჰ4)  
 ვაჲ ჩემს თავს, რომ წინათვე არ მოგვედი.

იბ. პირველებიანი ნაცვალისასხელი მი, მს, მქ:

ძველად	ძვერულად	ქართულად
მო-მე-ც(ი)	ქო-მუ-ჩი	ქვე-მო-გვე-ც(ი)
მო-მი-ტევენ	მა-პატიი	მო-გვი-ტევე
ნუ შე-მი-ყვანებ	ნუ მიშა-მიყონანქ	გვა-პატიე
მი-ხსნენ		ნუ შეგვიყვან გვიხსენ.

იბ. ფულის სახელები

ძველად:	ძონგვლების დროიდან	შახბაზის დროიდან
დრაჰკანი	თანგი	აბაზი
ფლური.	ყახანური	შაური
დუკატი	მანათი	
ალექსატი	ფული	
პერპერა	გიორგული (გიორგი ბრწყ.	
თეთრი (ვერც-	ფული)	
ხლის ფული)	გროში (ოსმალ. ყურუშ)	

იბ. ძონგვლური (თათრული) სიტყვები და ფრაზები.

ჯილ — წელიწადი	თენგრი — ღმერთი
ყალღუნ — თავგი	მანგუ — უკვდავი

უქურ—ზროხა	ქუჩუნ—ძალა
ფარსინ—აგაზა	ქუჩუნდურ—ძალითა
თავლინ—კურდღელი	აჰლა (არაბ—ღმერთო (გვ. 363)
ლუილ—ვეშაპი	ულდაჩ—მეხმლე (379)
მოდილ—გველი	სუქური—საგრილობელი
მორილ—ცხენი	ყაფჩაჩ—მეტანისამოსე
ყონი—ცხვარი	ბაშმაყ—ქუსლიანი ფოსტლები
მეჩინ—ყაპუზუნა	ყორჩი—მცველი
თაღან—ქათამი	ეეჩი—ეზოს მოძღვარი
ნოხინ—ძალი	მანღულ—თათარი (მონგოლი)
ყაყაინ—ლორი	ღუმანი—ბევრი (10,000)
ქუნჯით—კერპთაყვანისმცე-	ქოუნ—ბატონი შვილი
ყურნუ—საბქო [მელი	ყარაული—დარაჯი
ნოინ—ერისთავი, მთავარი	ღივანხანა -- სამსჯავრო სახლი
შანა—ციხის მცველი	(423)

„თენგარიმეთუ ქაურქურბაჲ,  
 ბელარმეთუ ბუირლაჯი“.  
 „მან ქუშტემ ჩალატარ“

„ვითა ღმერთი გრგვინვიდეს  
 ვითა აქლემი ბულრობდეს.“  
 „მე მოვკალ ჩალატარ“

ესა და ამისთანა სიტყვები და ფრაზები მატიანის (ქართლის-ცხოვრება) ძველს ნაწილში არ არის, არამედ მხოლოდ ქ. ცხოვრების 342 გვერდს ქვემოდ.

### 3. გაღასხვაფერიება და გარყვანა მატიანის მოთხრობისა

რომ ძველი ნაწერები ხშირად ირყვენბოდა დროს განმავლობაში, ეს ვიცით მსოფლიო ისტორიიდანაც და საღმთო წერილის მატიანიდანაც. ქართული წიგნებიც არ უნდა გამოირჩეოდნენ ამ საზოგადო წეს-კანონიდან.

ჩახან გამოიცემოდა წიგნი, ე. ი. ხელნაწერი ერთად ერთ ცალად დაიწერებოდა, მისგან იღებდნენ პირს, ერთს, ორს თუ ბევრს და უგზავნიდნენ სხვა მონასტრებს, სხვა და სხვა სავა-



ნებს; ამ საფანეებსა და მონასტრებში კიდევ გადმოსწერდნენ ხოლმე პირებს და თავის მხრივ ავრცელებდნენ ხალხში, მიდამო მონასტრებსა და საფანეებში.

ხშირად, პირვანდელ ხელნაწერის მესამე, მეათე თუ მეოცე პირი დედნად ხდებოდა და მისგან ისევ გადაჰქონდათ პირი როგორც ნამდვილ დედნიდამ. საკვირველი იქნებოდა, წიგნის გამომცემლობის ამგვარ წესის გამო პირვანდელი დედნის ნაწერი მერმენდელს მისს პირებშიაც შეურყვნელი ყოფილიყო.

ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ძველი ქართული წიგნება, დაწერილი მე X საუკუნემდე, საქმაოდ შერყვნილიყო და ამის გამო ათონის მამებმა მე X სა და მე XI საუკუნეში ესრეთი წიგნები ხელახლა გადაშინჯეს, შეასწორეს ანუ ახლად თარგმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრძენი კაცები მოწიწებით და დიდის სიფრთხილით ასრულებდნენ საქმეს, მაინც მათს ნაწერებშიაც შეპარულა არა ერთი „მრუდი“ და შეცდომა, რასაც, როგორც სჩანს ჩვენ მიერ განხილულ ხელნაწერებიდამ, აღნიშნავენ მათივე „უცბად მჩხრეკელები“. ამ „უცბად-მჩხრეკელებს“ ანუ, ეხლანდებულად რომ ვსთქვათ, კორრექტორებს მინდობილი ჰქონდათ წიგნის გადაწერის შემდეგ ახლის ნაწერის ძველთან შედარება, დედნის თანახმად გასწორება, დაკლებულის დამატება, დამატებულის გამოკლება, „მრუდის“ გამოფხეკა და „სწორით“ შევსება. უცბად-მჩხრეკელის შრომა გადაწერისაზედაც დიდი და საპასუხო იყო.

ბარნა ყველა წიგნს არა ჰყვანდა უცბად-მჩხრეკელი: ხშირად საქმე თავდებოდა გადამწერლის ხელით და მისს შეცდომებს მის დედნიდამ სხვა გადამწერლები იმეორებდნენ.

ჩვენ გაგვიკვირდებოდა, რომ ქართლის-ცხოვრებას ჩვენამდე „მრუდებ“ აცილებულს მოედწია, მით უმეტეს, რომ ეს დიდი წიგნი დაწერილია არა ერთის კაცისაგან, არა ერთს დროს, არა ერთის ენით.

მისეთი თხზულებანიც კი, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“, შეურყვნელად, შეუმატებლად ანუ შეუმოკლებლად ვერ გადარჩნენ.

ღიას, ჩვენ არა თუ არ უფარ ვყოფთ, რომ ქართლის-  
 ცხოვრებაში არის შერყენილი ადგილები, პირიქით, კიდევ  
 აღენიშნავთ, რომ ამგვარი ადგილები ბევრია, მეტადრე მატეა-  
 ნის ძველს ნაწილში, მე VII—IX საუკუნემდე.

მსრეთი შერყენილება მოჰხდა სხვა და სხვა პირთა წყა-  
 ლობით, სახელდობრ გადამწერლებისა, შემმუშავებლებისა, გა-  
 მომცემელ დამბეჭდველებისა და სხ.

აღენიშნავთ, ამათგან ვის რა წილი ხვდება ქართველთ  
 მატეანის შერყენაში.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთის მიმოხილვა

1. დრეიფუსის საქმე და დემოკრატიის ძალა საფრანგეთში.—2. მომავალი არჩევნები გერმანიაში.—3. ესპანია

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც დრეიფუსი და-აბრუნეს „ეშმაკის კუნძულიდან“ და მეორედ გაასამართლეს, მაგრამ როგორ არ ჰგავს მაშინდელი საფრანგეთი დღევანდელს, როცა სახელგანთქმულმა დეპუტატმა ჟორესმა ისევ აღამიღლა თავისი მქუხარე ხმა უდანაშაულოდ დასჯილ ადამიანის უფლების აღსადგენად!

მაშინ მდგომარეობის ბატონი გალადებული ამაყი გენერლები იყვნენ, იეზუიტების სსახელო აღზრდილები. როგორის რიხით და როგორის გაბედულებით კიცხავდნენ და სამშობლოს მოღალატის სახელით ნათლავდნენ ყველას, ვინც კი ბედავდა და სიმართლეს, ადამიანის უფლებას ესარჩლებოდა. ყალბის მქნელობა, ცილის წამება, საშიშ ცრუ ხმების გავრცელება და კიდევ ყალბის მქნელობა აი ის იარაღი, რომლის საშუალებით გაიმარჯვეს გენერლებმა და მათმა პატრონი იეზუიტებმა რენის პროცესში და სრულებით უდანაშაულო კაცი მეორედ იცვნეს დამნაშავედ. მაშინდელი მთავრობა იძულებული გახდა სასამართლოს დანაშაულის გასასწორებლად დრეიფუსი ამნისტიაში მოექცია, მაგრამ ამნისტია ხომ სიმართლის გამარჯვება არ არის; ამნისტია პატიებაა და მხოლოდ ბრალიანს ესაჭიროება, რათ უნდა პატიება უბრალოს, მართალს!

სახელოვანი ზოლა, რომლის ძლიერმა ხმამ შესძრა მთელი საფრანგეთი და უცხოეთიც, რენში დამარცხდა, მაგრამ საფრანგეთი საფრანგეთი არ იქნებოდა, რომ არ გამკლავებოდა მის სახელის გამტეხ ბნელ ძალას და შეშფოთებული საზოგადოებრივი სინიღისი ხალხისა არ დაემშვიდებია.



სულ ოთხი წელიწადი გავიდა რენის პროცესის შემდეგ და ისევ გაისმა ხმა სიმართლისა. დემოკრატიის სახელოვანი შვილი თხოულობს საფრანგეთის სასახელოდ, ადამიანურ უფლების აღსადგენად ჩადენილ დანაშაულის გასწორებას. სადღა არიან ლაღი გენერლები—მერსიე, ნეგრუ და სხვები? რატომ აღარ ისმის მათი ერთ დროს ასე ძლიერი ხმები?

დრეიფუსის საქმემ დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთის დემოკრატიას. ეს საქმე მარტო სასამართლოს საქმე არ არის. მართალია, ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობის დროს იგი სასამართლოს კარებს არ უნდა გასცილებოდა, მაგრამ ბნელმა რეაქციამ, დემოკრატიის დაუძინებელმა და შეურიგებელმა მტერმა, ხელი ჩასჭიდა დრეიფუსს, რომ თავისი სიმდაბლე დაეფარა და მტრის სახელი გაეტეხა. ეს იგრძნეს, ამას მიხვდნენ რესპუბლიკის და დემოკრატიის ინტერესების დამცველნი და გაორკეცებულის ენერგიით დაუხვდნენ იერიშით მოსულ მტერს. ოთხი წელიწადია ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა და დღესაც არ გათავებულა. მაგრამ ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ დემოკრატია და რესპუბლიკაა გამარჯვებული. ამ ოთხი-ხუთი წლის წინად ვინ გაბედავდა ყოვლად ძლიერ კონგრეგაციების წინააღმდეგ გალაშქრებას, მათ სკოლების დახურვას და საფრანგეთიდან განდევნას.

„მხოლოდ საფრანგეთშია შესაძლებელი ასეთი ჩქარი ცვლილება ხალხის სულიერ განწყობილებაში. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დიდებული მწერალი (ემილ ზოლა) იძულებული გახდა გაქცეულიყო სამშობლოდან როგორც უკანასკნელი დამნაშავე? საფრანგეთმა აიძულა გადახეწილიყო ისეთი მწერალი, რომელმაც საფრანგეთის სახელი ცნობილი გახადა ქვეყნის უკანასკნელ მიყრუებულ კუთხეებშიც. გავიდა ცოტა ხანი და მთელი საფრანგეთი შავით შეიმოსა შეუსყიდველ მებრძოლის ტრადიკულ სიკვდილის გამო და საერო განათლების მინისტრი ერის სახელით ხსნის, თუ რა დაჰკარგა საფრანგეთმა იმ კაცის სიკვდილით, რომლის მარტო სახელის ხსენება წინად ბრბოს მძვინვარებას იწვევდა“.

სიქმეს აუცილებლად დამთავრება ეჭირვება. მთელმა საფრანგეთმა უნდა გაიგოს საფრანგეთის დრეიფტის საქმე, რომ საბოლოოდ სახელი გაუტყდეს ხალხის თვალში იმ ელემენტებს, რომელთაც ჩირქი მოსცხეს საფრანგეთის სახელს და რომელნიც ამ გზით სკდილობენ ხალხზე გაბატონებას. ჟორჯის მიერ დრეიფტის საქმის განახლება არის დიდი სამსახური სიმართლისა და დემოკრატიისა.

ფრიად საინტერესო სურათს წარმოადგენს ეხლანდელი საფრანგეთი. „ალღომის პირველ დღესო, სწერს ერთი კორესპონდენტი, ეკლესიები გაქედნილი იყო ხალხით, ქუჩებზე დიდ ძალი ხალხი მიდი-მოდოდა ლოცვანით ხელში. ხედავ ასეთ სურათს და არ გჯერა, რომ პარიზელების სულიერი განწყობილება ეხლანდელ სამინისტროს ანტიკლერიკალურ პოლიტიკას შეეფერებოდეს. თავი დავანებოთ ეკლესიებსა და ლოცვანით ხელში სეირნობას; ყური დაეუგდოთ დიდ-ძალ ჟურნალგაზეთების ხმას—„საზოგადოებრივი აზრი“ მთავრობის ეხლანდელ პოლიტიკის წინააღმდეგია და მის მოქმედებას ფანატიკოსების პოლიტიკას უწოდებს. მიუხედავად ამისა კომბის სამინისტრო განაგრძობს თავის ენერგიულ პოლიტიკას და პარლამენტიც მას მიჰყვება.

გარეგნად რომ ვუყურებთ საქმეს, კომბის სამინისტროს მდგომარეობა თითქოს გაუგებარი იყოს. მაგრამ თუ ახლო მივალთ და დავუკვირდებით თანამედროვე საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, ყველაფერს ადვილად გავიგებთ: სახელმწიფოს შინაგან ცხოვრების ხელმძღვანელი მაღალი კლასები კი არ არიან, ის მაღალი კლასები, რომელნიც უმაღლეს კულტურის წარმომადგენლებად ითვლებიან, არამედ შრომის ხალხი, რომელსაც სოციალისტების ნიჭიერი ლიდერი ჟორჯის საზოგადო სახელს „les travailleurs“-ს (მშრომელებს) უწოდებს.

მიუხედავად უკიდურეს ცენტრალიზაციისა, მიუხედავად იმის, რომ პარიზი გარეგნად ჯერ კიდევ ბატონობს პროვინციად, ხელმძღვანელი ძალა აქ კი აღარ მოიპოვება, არამედ იმ საარჩევანო ოლქებში, რომელიც გაბნეულია მთელ საფრანგე-

თის ტერიტორიაზე. ეს ფაქტი ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა უკანასკნელ არჩევნების შემდეგ. ცხადია, რომ მშრომლებს შეუფერიათ თავიანთი ინტერესი და, მიუხედავად პარლამენტის პარტიების აგიტაციისა, მათ უკეთ, ვიდრე წინად იყო, ისარგებლეს საარჩევანო უფლებით. თუ ეს მოვლენა არ გვექნება სახეში, ისე ვერ ავხსნით უკანასკნელ საკანონმდებლო აქტებს და კომბის სამინისტროს მთელ პოლიტიკას.

გარეგნად ეს ახალი მოვლენა გამოიხატა იმაში, რომ მთავრობის პირნი ეხლა სხვები არიან. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის სავაჭოელში ბრწყინვალე დეშანელის მაგიერ, რომელიც ბურჟუაზულ პარლამენტარისმის ტიპიური წარმომადგენელია, ვხვდავთ პროგრესიულ რადიკალს ბურჟუას. პირველად პალატის ვიცეპრეზიდენტად აირჩიეს სოციალისტი ჟორესი. ვალდეკ-რუსოს ადგილი დაიკავა კომბმა.

შეუდგა თუ არა ახალი სამინისტრო მოქმედებას, საფრანგეთის „საზოგადოებრივი აზრი“ აღშფოთებას მიეცა. საფრანგეთში ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ოპოზიცია ლაფში სვრიდეს სამინისტროს წევრებს, მაგრამ არასოდეს აღშფოთება ასე ძლიერი არ ყოფილა, როგორც კომბის სამინისტროს დროს. თვითონ კომბის სახელს წყვეა-კრულვით იხსენიებდნენ. მაგრამ მიუხედავად „საზოგადოების“ და პრესის უკიდურეს მტრობისა, სამინისტროს მხარეზე იყო მშრომელ ხალხის თანაგრძნობა და პარლამენტის უმრავლესობაც მისკენ იყო.

საქმე ის არის, რომ საბოლოოდ წავიდა ის დრო, როცა პარიზი რევოლუციებს ახდენდა და მთელ სახელმწიფოს წესწყობილებას სცვლიდა, როცა ინტელიგენცია იყო ხალხის ხელმძღვანელი. ეხლა გაიღვიძა თვითცნობიერებამ ხალხის იმ ნაწილში, რომელიც აქამდე ბრმად ერწმუნებოდა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიის მიერ წარმოდგენილ იდეებს, ამათი (იდეების) ადგილი დაიკავა მშრომელ ხალხის არსებით ინტერესების შეგნებამ. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ სამინისტროს პოლიტიკა წინააღმდეგი შეიქნა იმ „საზოგადოებრივ აზრისა“, რომელიც ხატავს ერის „კულტურისან უმცირესობის“ შეხედულებას...“

ეს „კულტუროსანი უმცირესობა“, მშრომელთა ოფლით გაკულტუროსნებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი, ვერ ურიგდება იმ გარებობას, რომ მშრომელი ხალხი გათვითცნობიერდა და ეხლა თავის საკუთარ გაკულტუროსნების ზრუნვას მიეცა: უპირატესობრივ მდგომარეობის დაკარგვა ყოველთვის მწარე ყოფილა და რად უნდა გვიკვირდეს, რომ საფრანგეთის მაღალი საზოგადოება ცას შესტიროდეს, როცა ხედავს რომ ნიადაგი ეცლება მის მაღალ მდგომარეობას—ხალხს აღარ სურს თავის ოფლითა და შრომით მაძლართა კეთილ დღეობას ემსახუროს.

მთელი გერმანია ეხლა საარჩევნო ასპარეზად არის გადაქცეული: ეხლანდელმა რეიხსტაგმა გაათავა თავისი მოღვაწეობა და გერმანიის ერმა ახალი კანონმდებლები უნდა აირჩიოს. უკანასკნელად რეიხსტაგმა ერთი ფრიად სიმპატიური ღონისძიება დააკანონა, რომ ამომრჩეველს შეეძლოს მეტის დამოუკიდებლობით და უშიშრად მისცეს ხმა სასურველ კანდიდატს, დღეიდან გერმანიაში ამომრჩეველი მისცემს თავის ხმას დაბეჭდილ კონვერტში. ჩვიდმეტი მილიონი საგანგებო კონვერტებისა უკვე დამზადებულია მომავალ არჩევნებისათვის. საყურადღებოა, რომ ეს ახალი ზომა გრაფ ბიულოვის წარმოდგენილია და გარდა კონსერვატორებისა ყველა თანაგრძნობით მიეგება მას. კონსერვატორებს ეშინიათ, რომ რაკი ფარული კენქის ყრა მართლა უზრუნველყოფილი იქნება, ამომრჩეველი გლეხი მათ ხელიდან გაუხსლტება. ეს არის რომ კუქს უწვავს გერმანელ იუნკერს და ამიტომაც წინააღმდეგობა გაუწია ბიულოვის წინადადებას, მაგრამ სრულიად უნაყოფოა.

ეხლანდელ რეიხსტაგში უძლიერესი პარტია (რაოდენობით) კათოლიკების პარტია ან ცენტრი არის—მას ჰყავს ას ექვსი წარმომადგენელი. თუ კონსერვატორების ჯგუფებს ცალცალკე ავიღებთ, ცენტრის შემდეგ სოციალ-დემოკრატები სპარბობენ სხვას თავის ორმოცდა თვრამეტი დეპუტატით; რაც შეეხება ამომრჩეველთა რაოდენობას, ამ მხრივ სოციალ დემოკრატებს ვერც ერთი პარტია ვერ შეედრება. წმინდა წყლის



კონსერვატორი ორმოცდა თოთხმეტი; თავისუფალ კონსერვატორებსა და ანტისემიტებს თუ მიეუმატებთ ოთხმოცზე მეტი არიან. ნაციონალ-ლიბერალებს ორმოცდა ექვსი დეპუტატი ჰყავთ; რიხტერის თავისუფალ მოაზრეთა ჯგუფს ოცდაცხრა, დოქტორ ბარტის თავისუფალ-მოაზრეთა ჯგუფს -- თორმეტი, სამხრეთ-გერმანიის დემოკრატებს -- რვა, ალზას ლორენელებს-რვა, პელონელებს -- თოთხმეტი და სხვა უმნიშვნელო ჯგუფები.

ცენტრი ერთ დროს სარგებლობდა არა მარტო თავის ამომრჩეველთა სიმპატიით; ეს ის დრო იყო, როცა ყოვლის შემძლე ბისმარკი დევნიდა კათოლიკებს და ცენტრის წარმომადგენელნიც დიდის ენერგიით ებრძოდნენ მთავრობას, დარაჯად უდგნენ ხალხის უფლებებს და ინტერესებს. ეხლა კი ეს „შეურიგებელი“ ოპოზიციონური პარტია სულ სხვა გზას ადგია: მთავრობას დაუახლოვდა და ყოველ რეაქციონურ ღონისძიებას (მაგალითად სადამოყენო ტირიფი, რეიხსტაგის წესდების შეცვლა, lex Heinze კანონი მწერლობის წინააღმდეგ) და სხვა მხარს აძლევს. მიუხედავად ამისა მოსალოდნელი არ არის, რომ ეს პარტია დაზარალებული დაბრუნდეს საარჩევნო ბრძოლიდან: შესანიშნავი ორგანიზაცია კათოლიკე სამღვდელოებისა ხერხიანი და გამოცდილი აგიტატორები, რომელთაც შესწევთ ძალა ხალხს შავი თეთრად მოაჩვენონ, და განსაკუთრებით გონებრივი განუვითარებლობა მის ამომრჩეველთა -- აი ის გარემოებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ცენტრს შეირჩინოს ეხლანდელი მდგომარეობა რეიხსტაგში. შესაძლებელია მხოლოდ ერთი ორი მანდატი დაჰკარგოს სოციალ დემოკრატებისა და პოლონელების სასარგებლოდ. აქამდე მთელ სიელეზიაში, სადაც ხალხი წმინდა პელონელია, წარმომადგენლებად რეიხსტაგში გერმანელ კათოლიკებს ირჩევდნენ; ეხლა კი პოლონეთის დემოკრატიული ნაწილი მოწადინებულია თავისი საკუთარი კანდიდატები გაიყვანოს, რადგან დარწმუნდა, რომ კათოლიკე გერმანელიც გერმანელია და მაინც და მაინც პოლონურ ეროვნებისათვის თავს არ შეიწყუბებს.



ნაციონალ-ლიბერალები ერთ დროს გერმანიის ერის აღორძინების უმთავრესი მოტრფიალენი იყვნენ და დიდი სამსახურიც გაუწიეს გერმანიის გაერთიანებას. სამოცდა ათიან წლებში ნაციონალ ლიბერალების პარტია უძლიერესი იყო, მაგრამ მალე ზურგი შეაქციეს ნამდვილ ლიბერალისმს და მთავრობის რეაქციის ყურმოჭრილი ყმები გახდნენ სადამოყნო ტარიფის განხილვის დროს და რეისტაგის წესდების შეცვლის საქმეში ისე უღირსად, მდებლად ექირა თავი ამ პარტიას, რომ რამდენიმე პირი იძულებული გახდა პარტიიდან გასულიყო — სახელის გატეხისა და პოლიტიკურ კარიერის დაღუპვის შეე შინდათ. ყველა ეს იმის ნიშანია, რომ ისედაც დასუსტებული და თითქმის უმნიშვნელო პარტია უფრო დასუსტებული და მცირე დაბრუნდება რეისტაგში.

დოკტორ ბარტის პატარა პარტიამ დიდი მხნეობა და ნიჭი გამოიჩინა ხალხის უფლებების და ინტერესების დაცვის საქმეში და მოსალოდნელია, რომ გამარჯვებული გამოვა ახალ არჩევნებიდან. სულ სხვა უნდა იქნეს რიხტერის პარტიის ბედი. სადამოყნო ტარიფს, რომ თავი დავანებოთ, ისედაც წინასწარმეტყველებდნენ, რომ პარტია დაიღუპება ლიდერის ჟინიანობის მიზეზითო. რიხტერი შესანიშნავი ორატორი და გამოცდილი პარლამენტარი არის, მაგრამ თან ისეთი თვითნება და ჯიუტი, რომ დამოუკიდებელი კაცი მის პარტიაში ვერ გასძლებს: მთელი პარტია თვითონ რიხტერია.

საარჩევანო ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს ახალი პარტია „ნაციონალ სოციალად“ წოდებული, რომელსაც მეთაურობს ცნობილი პასტორი ნაუმანი: ეს პარტია მონარხიულია, თან ფლოტისა და ჯარის გაძლიერების მომხრე, მაგრამ ამასთანავე რადიკალური ეკონომიური პროგრამა აქვს. შესაძლებელია, რომ რამდენიმე ნაციონალ-სოციალი აირჩიონ, მათ შორის უთუოდ ნაუმანიც. მაგრამ ამ პარტიას დიდი ძალა არასოდეს არ ექნება, თუმცა თვითონ ნაუმანი შესანიშნავი პიროვნებაა და როგორც ეგეთს ვაფლენა ექნება რეისტაგში.

ყველაზედ მომზადებული საარჩევანო ბრძოლისათვის სოციალ-დემოკრატია არის. ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა აღსანიშნავი—არც ერთ პარტიას არ ჰყავს ისე მომზადებული და ნიჭიერი წარმომადგენელი, როგორც სოციალ-დემოკრატის: აქ ვერ ნახავთ უბრალო, მხოლოდ ბრძანების მოძილ ჯარისკაცს. მეორე—ვერც ერთი პარტია ვერ დაიჩემებს ისეთ თავგანწირვას და მსხვერპლის დაუზოგველობას სახალხო საქმისათვის. გავიხსენოთ გროზობით შეგროვილი დიდი ფული პარტიისა. ეხლახან სხვა გვარ მოვლენასაც ვხედავთ: „ფორვერტს“ში დიდის ასოებით გამოცხადებული იყო: 30 ათასი მარკა შემოგვწირა ერთმა თანამგრძნობმა საარჩევანო ხარჯებისათვისო.

რაც შეეხება საპარლამენტო მოღვაწეობას, აქაც მომზენის სიტყვებისა არ იყოს, მხოლოდ ამ პარტიამ გამოიჩინა ნიჭი, ძალა და გაბედულება ხალხის უფლება ინტერესის დაცვის საქმეში.

ერთის სიტყვით არც ერთი პარტია არ არის მზად ბრძოლისა და გამარჯვებისათვის, როგორც სოციალ დემოკრატია.

1898 წლის არჩევნების დროსაც ყველაზე მეტი ხმა მუშათა პარტიის კანდიდატებმა მიიღეს—2,107,076; ცენტრმა კი მხოლოდ—1,455,139. წელს მოსალოდნელია კიდევ უფრო შესამჩნევი გაზრდა სოციალდემოკრატის ძალებისა. „სამოცდა თხუთმეტიდან ოთხმოცამდე დეპუტატის ადგილი მიიღუნდა დაუთმონ სოციალ-დემოკრატებსო“, სწერს ერთი მკოდნე პირი. დიდი ქალაქები თან და თან სულ მათ ხელში გადადის. წელს მათ იმედი აქვთ, რომ მთელ ბერლინში წითელ დროშას ააფრიალებენ; საქსონიის ორი მესამედიც მათი იქნება...“

ერთი სუსტი მხარე აქვს ეხლანდელ სოციალ-დემოკრატის—ვერა გაუწყვია-რა აქამდე სოფლელებთან და მანამდე კი იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ პარლამენტში თავისას გაიტანენ.

თუ პარტიამ მოახერხა და შესძლო ისეთ პროგრამის შემუშავება, რომ გლეხებიც მისკენ გადავიდნენ, მაშინ გერმა-

ნის რეინსტაგის ნამდვილი ბატონი იგი იქნება და არა კლერ-რიკალური პარტია და გერმანელი იუნკრები.

ესპანიაში ეხლახან საპარლამენტო არჩევნები იყო და არჩევნების შედეგმა აალაპარაკა ევროპი: ჟურნალ-გაზეთობა. გაზეთების მკითხველს ეცოდინება, რომ ესპანიაზე თუ ვინმე ლაპარაკობს, ლაპარაკობს ანარხისტების ან კარლისტების მოძრაობის გამო. საზოგადოთ კი იშვიათი მოვლენაა, რომ ესპანია გახდეს საგანი პრესის მსჯელობისა. ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფო მთელ ევროპაში დღეს ისე დაეცა და დაკნინდა, რომ მწერლობა თავის ყურადღების ღირსადაც არა სთვლის. შემდეგში დაწვრილებით მოველაპარაკებით მკითხველს ესპანიაზე, ეხლა კი მოგვყავს ერთი რუსულ გაზეთის წერილი უკანასკნელ არჩევნების გამო:

„ხანდახან შორეულ პირინეის ნახევარკუნძულზე გაჩნდება ხოლმე პოლიტიკურ ცხოვრების ნაპერწკალი და დაგინახავთ ისეთ ნიშნებს, რომელნიც მოწმობენ, რომ ჯერ აღრეა წესი ავუგოთ ერთ დროს ასე ძლიერ სახელმწიფოს, რომ ხალხში არის ისეთი ელემენტები, რომელნიც შემდეგ საფუძვლად დაედებან ერის აღორძინებას, რომ ესპანია ვერ ურიგდება თავის ეხლანდელ დამცირებულ მდგომარეობას.

ოფიციალურ ცხოვრების გვერდით სწარმოებს ჯერ უჩინარი შინაგანი მუშაობა...

შედეგი ამ მუშაობისა უკანასკნელმა არჩევნებმა დაგვანახვეს: სრულებით მოულოდნელად გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა და ამ გამარჯვებამ ჩააფიქრა როგორც მთავრობა, ისე დანარჩენი საპარლამენტო პარტიებიც.

აქამდე რესპუბლიკის მომხრენი სამ ფრაქციად იყვნენ გაყოფილი; ეხლა კი შეერთებულან და ენერგიულ მოთავეს სალმერონის ხელმძღვანელობით თორმეტ დეპუტატის მაგიერ გაიყვანეს ოცდა რვა; ექვს გარეშეა, რომ დამატებითი არჩევნების დროს კიდევ უფრო გაძლიერდება ეს პარტია.

ასეთმა გამარჯვებამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მონარქიულ პარტიებზე და ერთბაშად დაიწყეს იმაზედ ლა-

პარაკი, რომ საჭიროა შეერთებული მოქმედება საერთო მტრის წინააღმდეგ... რისი უნდა ეშინოდეს მონარქიულ პარტიებს, როცა კორტესში (პარლამენტში) 431 წევრი ითვლება? მაგრამ აქ შიში დეპუტატების რაოდენობით არ გაიზომება და შედეგებით პატარა ჯგუფი რესპუბლიკელ დეპუტატებისა შეიძლება, გახდეს მართლა საშიშ ძალად და ამისი მიზეზი ეხლანდელი პოლიტიკური პარტიები და მათი შემადგენელი ნაწილებია.

აქამდე ესპანიას მართავდა ორი პარტია—კონსერვატორებისა და ლიბერალებისა. არჩევნები ისეა მოწყობილი სახელმწიფოში, რომ თითქმის ყოველთვის არსებულ სამინისტროს მომხრეები იმარჯვებენ. ასეთ გარემოების შედეგი ის უნდა იყოს, რომ სამინისტროს ხანგრძლივი არსებობა უნდა ჰქონდეს. მაგრამ საქმით კი სულ წინააღმდეგ ვხედავთ, რადგან არც ერთი პარტია არ შესდგება ერთ გვარ ელემენტებისაგან. ლიბერალურ პარტიას ეკუთვნიან ბევრი ისეთი პირები, რომელნიც სახელით არიან მარტო ლიბერალები, ნამდვილად კი უკიდურეს კონსერვატორების ჯგუფს ეკუთვნიან. ესევე სენი სკირს კონსერვატორების პარტიასაც. არც ერთ პარტიას არა აქვს საერთო პოლიტიკური პრინციპები, სახელმძღვანელო იდეები. ყოველი ჯგუფი თავის კერძო ინტერესებს ემსახურება. მეტ წილად მაღალ სამხედრო წოდების მაღალ წარმომადგენელთა ინტერესებს. ასეთ ჯგუფთა შორის სასტიკი ბრძოლაა და ამიტომაც ესპანიაში მეტად ხშირად იცვლება სამინისტროები. ეხლანდელი პირველი მინისტრი სილველა პარტიის მეთაური არ არის. სხვაგან თუ პარტია იმარჯვებს, პირველი მინისტრიც პარტიის ლიდერია. ყოველი ჯგუფი იმის მაცადინობაშია, რომ რომელიმე მინისტრი კაბინეტიდან განაძევოს და მის მაგიერ თავის კაცი ჩააყენოს.

აი ასეთ ინტრიგებს უნდება საპარლამენტო მოღვაწეთა მთელი ძალღონე და აღარავის ახსოვს სამეფოს ინტერესი, საჭირო რეფორმების შემოღება. სილველა უნდება უფრო თავის პარტიის წევრთა წინააღმდეგ ბრძოლას, ვიდრე პოლიტიკურ პროგრამის განხორციელებას.



ასეთივე მიზეზი ხელს უშლიდა ლიბერალების პარტიასაც. ესპანია კენესის კლერიკალისმის უღელ ქვეშ. სამღვდლოების ექსპლოატაციით მოთმინებიდან გამოსული ხალხი არა ერთხელ მისევია მონასტრებს და უცემნია ბერებისათვის. საგასტამ კორტესს მიაღებინა საფრანგეთისებური კანონი კონგრეგაციების წინააღმდეგ, მაგრამ რაც დაწინაურებულ საფრანგეთში შესაძლებელი იყო, შეუძლებელი გახდა იეზუიტებისა და ინკვიზიციის ძველ ბუდეში არც ერთ კონგრეგაციას არ მიუმართავს მთავრობისათვის, რომ ნებაართვა აელო და მთავრობამაც ვერ გაბედა ვერც ერთ კონგრეგაციის დახურვა. ამ გვარად მონასტრები და კონგრეგაციები დარჩნენ კანონ გარეშე—როგორც ძლიერი სახელმწიფო სახელმწიფოში.


ესპანიელი მუშა ლტაკი და უვიცია. საგასტას განზრახვა ჰქონდა რამდენიმე ღონისძიება მიელო მუშის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩა.

ესპანიას მძიმედ აწევს უკიდურესი ცენტრალიზაცია. რამდენიმე პროვინცია თხოულობს თვით-მართველობის შემოღებას. საგასტაც თანაუგრძობდა სამეფოს დაცენტრალიზაციას, მაგრამ საქმე კი ისევ ძველებურად დარჩა—პროვინციები დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ და ხშირად სიტყვას საქმით მოქმედებაც მოჰყვება ხოლმე.

ვინც ნამდვილი ლიბერალი იყო და გულწრფელად სურდა რეფორმების შემოღება, დარწმუნდა, რომ არსებულ პირობებში და არსებულ წესწყობილებასთან შეუძლებელია მიზნის მიღწევა. ამიტომაც გაიზარდა და გაძლიერდა რესპუბლიკელების პარტია.

ამ გვარად რესპუბლიკელები რაოდენობით კი არ არიან საშიში მონარხისტებისათვის, არამედ როგორც პუნქტი შეერთებისა—ყველა ნამდვილად პროგრესიული ელემენტი რესპუბლიკის დროშის ქვეშ მოიყრის თავს.

მონარქიულ პარტიებს ერთი და დარჩენიათ — თავი დაანებონ დაუსრულებელ ინტრიგებს და შეუდგნენ იმ რეფორმების განხორციელებას, რომელთაც ხანია საჭიროებს და თხოულობს ხალხი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დღე დათელილია.



რედაქტორი  
აღ. ჭყონაძე

მცემელი  
ჯაბაღანა